

# აირი

№14 2008-2009

საქართველოს  
ნებისმიერ-ფინანსოვანი და  
საზოგადოებრივი ჟურნალი



„კავკასიური სახლი“  
თბილისი  
2009

UDC (უაკ) 050 (479·22)

მთავარი რედაქტორი ნაირა გელაშვილი

ნომრის რედაქტორები: ნანა დევიძე და რუსუდან კაიშაური

მხატვარი კოტე სულაბერიძე

დამკაბადონებელი ნიკოლოზ გელაშვილი

## ს ა რ ჩ ი ვ ი

### იან კაუსი

ცოტა რამ ესტონური პოეზიის შესახებ.....	5
თარგმნა მაია ჯორჯაძემ	

### იან კაპლინსკი

სტუმბარი .....	9
თარგმნა თამარ კოტრიკაძემ	

### იან კაპლინსკი

ჰექტორი .....	15
თარგმნა შოთა იათაშვილმა	

### დორის კარევა

ლექსეპი .....	32
თარგმნა რუსუდან კაიშაურმა	

### ანდრუს კივირაჟკი

ლექსეპი ვარ .....	36
შიშვლები .....	48
არცივი .....	53
თარგმნეს სერგო კალაძემ და ნანა დევიძემ	

### ანდრუს კივირაჟკი

ეძვისი მონოლოგი ფულის შესახებ .....	64
თარგმნა მაია ჯორჯაძემ	

### FS (ინდრეკ მესიკეპი)

ლექსეპი .....	72
თარგმნა შოთა იათაშვილმა	

### კრისტინა ეხინი

ლექსეპი .....	74
თარგმნა შოთა იათაშვილმა	

### პეტერ საუტერი

მშობიარობა .....	76
თარგმნა მიხეილ ბეროშვილმა	

### ანტონ ნიგოვი

სავარჯიშოები .....	95
თარგმნა გია რჩეულიშვილმა	

### იურგენ რომსტე

ლექსეპი .....	108
თარგმნა შოთა იათაშვილმა	

### იან კაუსი

ხილის პუზები .....	115
თარგმნა ლუკა ბაქანიძემ	

აფრის ეს ნომერი გამოიცა საქართველოში  
ესტონეთის საელჩოს ფინანსური ხელშეწყობით

The present issue of APRA magazine has been  
published with the support of Estonian Embassy in Georgia

## ცოტა რამ ესტონური პოეზიის შესახებ

დასაწყისისთვის უნდა აღვნიშნო, რომ უკანასკნელი წლების ესტონური პოეზია უფრო ძლიერია, ვიდრე პროზა. ამის მტკიცება, რა თქმა უნდა, პრობლემურია, მით უმეტეს, ჩემი აზრით, რომელიც უფრო პროზაიკოსს ეკუთვნის, ვიდრე პოეტს.

თუ რაოდენობრივი თვალსაზრისით განვიხილავთ, შესაძლოა შედარებით უფრო ობიექტური სურათი წარმოჩნდეს.

ზუსტი მონაცემების უქონლობის მიუხედავად, ვფიქრობ, ლექსების კრებული მეტი გამოდის, გამოქვეყნებითაც ლექსები ბევრად მეტი ქვეყნდება, ვიდრე პროზა. იმდენად ბევრი, რომ მთელი წლის განმავლობაში დაბეჭდილი პოეზიის მთლიანად წაკითხვას ცოტა ვინმე თუ შეძლებს. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი პოეტური კრებულიც ბევრად მეტია, ვიდრე მნიშვნელოვანი პროზაული წარმოები. ამის მიზეზი კი შესაძლოა იყოს ეპოქა, რომელშიც ვცხოვრობთ, და ამ ეპოქის ადამიანთა მიერ დროის აღქმა, ესტონური საზოგადოების სოციალური ფონი. აქ გამეფებული დროის შეგრძნება არ აძლევს შემოქმედს იმის საშუალებას, რომ მხოლოდ ლიტერატურულ მოღვაწეობას მიუძღვნას თავი, ყველაზე მეტად კი — დრო, რაც რომანის დასაწერადაა საჭირო. ეპიკური პროზის შექმნა რამდენიმე წლიანი პროექტია და, გარკვეულწილად, განზე გადგომას, დისტანცირებას, ეპოქის მამოძრავებელი ლერძისგან გარიდებას მოითხოვს. აქ და ახლა ეს, არა უბრალოდ, სიმბოლურად, არამედ სოციალურად არის შეუძლებელი. ეპოქის შეგრძნება აიძულებს ხალხს უშუალოდ და პერმანენტულად გამოხატოს პროტესტი. დამქირავებელი თავის მოსამსახურებს მუდმივად ემუქრება: „თუ წლებს შორის გაეჩირები, ჩათვალე, რომ შენმა მატარებელმა ჩაიარა“. მნიშვნელოვანი არგუმენტია, ესტონეთში არ არსებობს სოციალური სისტემა, რომელიც დააზღვევს რომანის მწერლებს იმ შექირვებისაგან, რომელშიც ისინი იმყოფებიან. მაგალითად, ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს, ფინელებს, აქვთ დაფინანსების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს პროფესიონალი მწერლების ადგილობრივი მმართველობის ბიუჯეტიდან დაფინანსებას. ამასთანავე, აქ ისიცაა საყურადღებო, რომ ამ დაფინანსებასთან ერთად მიღებული კულტურულ-პოლიტიკური ვალდებულებები მწერალს, როგორც შემოქმედს, არავითარ ეთიკურ თუ ესთეტიკურ შეზღუდვებს არ უქმნის. მართალია, ესტონეთში არსებობს ერთწლიანი და ორწლიანი სტიპენდიები, მაგრამ ეს თანხა ვერ უზრუნველყოფს მწერალს და არასაკრატისია იმისთვის, რომ მან ერთი-ორი წლის განმავლობაში მასშტაბურ პროზაულ ნაწარმოებზე იმუშაოს. ასე რომ, მოქმედი მწერლები იძულებული არიან, საარსებოდ საჭირო აუცილებელი შემოსავალი სხვა გზით იმოვონ და არა პანორამული წიგნების წერით. ჩვენს დასიცხულ და სწრაფად ცვალებად სამყაროში მცხოვრებ და პროდუცირებად საზოგადოებაზე ლექსები უფრო მოქმედებს და უფრო კვებავს მათ, თანაც ეს უანრი ავტორისგან ნაკლებ ფიზიკურ დროს მოითხოვს, ვიდრე პროზა. ამდენად ის აზრი, რომ დღევანდელი ესტონური პოეზია უფრო ძლიერი და საინტერესოა, ვიდრე პროზა, რა თქმა უნდა, საყოფანოა, თუ ჩვენი მწერლების საერთაშორისო ბაზარზე გასვლის შესაძლებლობებსაც გავითვალისწინებთ.

გასაგებია, რომ წიგნის საერთაშორისო ბაზარზე, სადაც დასაქირავებელი თანხები მოძრაობს, უპირატესობა ენიჭება ლიტერატურის უფრო სტაბილურ, უფრო მოთხოვნილებად სფეროსა და უანრს. ასე რომ, ლექსების თარგმანებს ამ სიაში სადღაც ბოლო ადგილი უკავია, ესტონური ლექსი დღეს სწორედ იმ შემოქმედებითი ფორმით არსებობს, რომელიც ესტონურ სემიოსფეროში ყველაზე უფრო ზუსტად და სწრაფად რეაგირებს და ამავე დროს ცდილობს შეინარჩუნოს თავისი საწყისი და მარადიული მიზანი: ღრმად ჩასწვდეს ყოფიერების საიდუმლოს.

ჩვენი ამ მცირე მიმოხილვით ესტონური ლექსის ანალიზი ნიშნავს, რომ ეს იქნება ზოგა-

დად ზოგადი საუბარი მასზე, ზოგადი საუბარი კი განზოგადებას გულისხმობს. თუკი დავინცებთ ძებნას პროზისა და პოეზისა ზოგადისა და გამაერთიანებლის, რომელშიც, რეალურად, მაინც კონკრეტული ძიება უნდა განვაგრძოთ.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ესტონურ პროზაში ძალიან მძაფრად იგრძნობა ესკაპისტური ფარული სურვილი — ლიტერატურა განარიდოს თანამედროვე ცხოვრების შეჭირვებებს, ყოველდღიურობას, მომაპეზრებელ ყოფით გარემოს. იგრძნობა იმის სურვილიც — გამოიყენოს ლიტერატურა, როგორც ფანტასტიკური შესაძლებლობების მდიდარი საგანძურო, შექმნას ამბავი, სავსე ზღაპრებითა და მითებით, გაითამაშოს ეს ზღაპრები და მითები, იფრინოს ენისა და ფანტაზიის უსაზღვრო სივრცეში.

აյ უნდა ჩამოვთვალოთ ისეთი მწერლები, როგორებიც არიან: მეჭის ჰეინსაარი, ნიკოლაი ბატურინი, ანდრუს კივირაჟკი, ურმას ვადი, რომლებიც ესტონური ფანტასტიკური მწერლობის მძლავრ შემოქმედებით მომავალს ქმნიან ინდრეკ პარგლას მეთაურობით.

ამის საპირისპიროდ ესტონური ლექსები მძაფრად ავლენს სოციალურობასა და უშუალოდ რეაგირებს დღევანდელ სირთულეებსა და კითხვებზე. დავარქვათ ამას დროის გამოძახილი, ეს არ არის პოეზის თვითგამოხატვის ძირითადი მახასიათებელი. ლექსის არსებობის საფუძვლად რჩება ფიქრი, განსჯა: ის იქმნება კონკრეტულ დროს, ძალას იღებს ისტორიიდან, კულტურიდან, წარსულის მემკვიდრეობიდან. პოეზია თავის თავში ატარებს დროის გამოძახილს, მიმართულს შორის, როგორც წარსულში, ასევე მომავალში, ცდილობს იყოს გასაგები არა მხოლოდ მის საკუთარ კონტექსტში. თუმცა აღსანიშნავია, რომ რამდენიმე მნიშვნელოვანი თანამედროვე ესტონელი პოეტი უგულებელყოფს კონტემპლაციას და სიტყვას იყენებს, როგორც ელვისებურ იარალს ერთჯერადი, იმნუთიერი, სოციალური ინტერაქციებისათვის და არ სვამს კითხვას — არის ამ სიტყვებს შორის აზრი? ეს ელვისებური სიტყვა-იარალი ასევე უნივერსალურად გასაგებია? შეუძლია მას მომავალ თაობებზე ზეგავლენა იქონიოს, ან გამოიწვიოს ის?

ასეთიპოეტებიქმნიანლექსებს, რომლებიც მანიფესტებად, პამფლეტებად, პასკვილებად ან მძაფრ სიტყვიერ კომენტარებად გამოდგებიან. ამის დასტურად შემიძლია მოვიყვანო ყოველკვირეული გაზეთის „ეესტი ექსპრესის“ (ესტონური ექსპრესის) კულტურული რუბრიკა „ნადალა ლუულეტუს“ (კვირის ლექსი). ამ რუბრიკაში პოეტები მომენტალურად რეაგირებენ საზოგადოებაში მომხდარ მოვლენაზე. მაგალითად, თუ პარლამენტში ვინმემ აურია, სავსებით შესაძლებელია, კვირის ბოლოს ამ ღორისბაზე ლექსი წაიკითხოთ. ეს გარკვეული ყაიდის პოეტური ჯაკუზის ოსტატ ავტორთა საქმეა.

თანამედროვე ფინურ ლექსებში ყურადღებას არ ამახვილებენ საზოგადოების კრიტიკისკენ მიმართულ თემებზე.

სოციალურობას მორგებულ სხვა თანამედროვე ესტონური ლექსების დომინანტს მესიტყვა „ეგზისტენციალიზმს“ თუ მივუსადაგებ. ამ კონტექსტში ეს ნიშნავს პიროვნების გალაქტიკებას მისი გარემომცველი სამყაროს წინააღმდეგ. პიროვნება, პოეტი, ნებაყოფლობით წინ აღუდგება სამყაროს, არ ეთანხმება მას. პიროვნებისა და სამყაროს ურთიერთდაპირისპირების ღრმა პრობლემატურობა და დააბულობა ხშირად ვლინდება სურვილში — განსხვავდებოდეს გარშემომყოფთაგან, თავი შორის დაიჭიროს, ოღონდ ისე, რომ ერთდროულად არც პარადოქსულად დაშორდე მას, და კიდევ იყოს გარშემომყოფთა შესაბამისი და ზოგჯერ მისი წინააღმდეგი, მაგრამ მაინც იყო მისთვის გასაგები.

ამგვარად, ეგზისტენციალურად მოაზროვნეთა შორის არიან: ტრიინ სოომეტსი, ელოვიდინგი, იურგენ როოსტე, მატს ტრაატი და ზოგჯერ კრისტინა ეპინიც კი თავისი ლექსებით.

ზოგიერთ თანამედროვე პოეტს თავი, დროის შესაბამის „მესიტყვედ“ წარმოუდგენია. გამოთქმა „მესიტყვე“ შეგნებულად გამოვიყენე. ერთ-ერთ ჩემს კრიტიკულ წერილში ჩემივე მსჯელობის სანინააღმდეგო აზრი შევაგდე, რომ თანამედროვე ესტონური პოეზია, თუ მას სოციალური თვალსაზრისით განვიხილავთ, ძალიან სერიოზულად უდერს-მეთქი.

იქ სწორედ ასეთ „მესიტყვებსა“ და „სიტყვათშემდგენლებზე“ ვსაუბრობდი. უპირ-

ველეს ყოვილისა, უნდა შევეცადოთ განმასხვავებლის მეშვეობით მკითხველს წარმოდგენა შევუქმნათ პოეტის წერის მანერაზე. „მესიტყვების“ შექმნილი ლექსი უფრო იმპულსურობის და ფრენის შთაბეჭდილებას ტოვებს, ავტორის ემოციური და ინტუიციური წერის მანერაზე მიუთითებს. ტექსტმა, რომელიც „ერთი ამოსუნთქვით“ იბადება და „ერთი ხელის მოსმით“ გადადის ქაღალდზე, შესაძლოა დამოუკიდებლად ისე იმოქმედს მკითხველზე, როგორც ჯადოსნობამ ან უბრალოდ როგორც ინფორმაციის მიმწოდებელმა.

„სიტყვათშემდგენლების“ ლექსები კი, პირიქით, მარგალიტებივით ფაქიზად თამაშობენ, ემოციებს ინტელექტუალურად გამოხატავენ სიტყვების მეშვეობით, სხვადსხვა ახალი პლასტების მეშვეობით ხაზს უსვამენ უფაქიზეს განმასხვავებელს აზროვნებაში. ლექსი, რომელსაც ინფორმაცია მიაქვს მკითხველთან, დასაშვებია, სიტყვათწარმოების ნაყოფი იყოს, ანდა პირიქით.

თუმცა, აქ ლაპარაკია სწორედ ლექსის ზეგავლენაზე. უნდა გამოვტყდე, რომ ძველად შექმნილი ლექსები სოციალურად უფრო მგრძნობიარე, კრიტიკული, დროის შესაბამისი, „აქ და ახლა“ დაბადებულია, აქტუალური და ქმედითი ტექსტით გამოირჩევა. „სიტყვათმნარმოებელთა“ ლექსები კი შინაარსობრივად უფრო ინტერტექსტუალური და მაღალკულტურულ ჩარჩოში მოცეცული ინტელექტუალური პოეზიაა. ამიტომ ვძედავ იმის მტკიცებას, რომ მაგალითად, იურგენ როოსტე, ელო ვიიდინგი და კივისილდნიკი — ყველანი („მესიტყვე“ პოეტები არიან, რაღა თქმა უნდა, თითოეული თავისებურად).

ამრიგად, ამ მცირე ექსკურსიით გამოვყავი მთავარი ლერძი ბოლო წლების ესტონური პოეზიისა, დროის შესაბამისობიდან დროის განზოგადებამდე, დროის შესაბამისობის ბოლო პუნქტიდან დროის განზოგადების ბოლო პუნქტამდე, სოციალურობიდან მეტაფიზიკამდე. ახლა კი შევეცდები შეძლებისდაგვარად წარმოგიდგინოთ ის ავტორები, რომლთა შემოქმედებასაც ამ ჟურნალში გაეცნობით.

**იურგენ როოსტეს** პოეზია ძალიან უშუალო და პირდაპირია, ამავე დროს ირონიულიც, საზოგადოებისკენ მიმართული პოეტური კრიტიკა მიმზიდველს ხდის იმ გარკვეულ რომანტიკულობას, რომელიც ხან ესენინისეულ ბუნებასთან სიახლოვეში გამოიხატება, ხანაც იმ ლექსებში ვლინდება, რომელშიც სამყაროს აღქმაზეა საუბარი, ხოლო სიტყვებს უსაზღვრო მოლოდინისა და ბუნების უსასრულო კანონზომიერების შეცნობსკენ მივყავართ. აქ უყვართ ქალები, სვამენ და უსმენენ მუსიკას. ამრიგად, როოსტე ომს უცხადებს გარემომცველ სოციუმს, თუმცა ამ ომში შეფარული ლირიკა და უშურველად ფაქიზი სული წარმოჩნდება, ამგვარი წინააღმდეგობა როოსტეს ლექსების კიდევ ერთ ძირითად ასპექტში ვლინდება. ეს გახლავთ ტალინი ან „ტაანილინი“ (ტალინის ძველი სახელწოდებაა, რომელიც თარგმანში დანიელების ქალაქს წიშნავს), როგორც მას თვითონ პოეტი უწოდებს. ტალინში ბევრი რამ არის აუტანელი. ამ ქალაქში ნათლად ვლინდება ადრეული კაპიტალიზმისა და ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის ჩრდილოვანი მხარეები, მაგრამ ამასთანავე სწორედ ეს ქალაქი ატარებს შეფარული და უსაზღვრო სიყვარულის ხიბლასაც. როსტეს პოეტური თავდასხმები ზოგჯერ ავტორის მიერ საკუთარი დანაშაულის შეგრძნების კონსტატაციაა, რაც ტექსტობრივად თვითირონიაში იმით ვლინდება, რომ საკუთარ თავს იძრალებს. როოსტეს პოეზია პოლიტიკურად კორექტული პოლიტიკური არაკორექტულობაა, რაც ბევრისათვის შეუძლებელ ამ წუთიერებას წარმოადგენს.

მატს ტრაატი ცნობილი და გამოცდილი ოსტატია. იგი იმ 60-იანელთა ერთ-ერთი წარმომადგენელია, რომლებიც ძალიან აქტიურად და მწვავედ მონაწილეობენ თანამედროვე მწერლობაში და ამ ფორმით ახდენენ გავლენას.

ტრადიციულად თანამედროვე პანდო რუნელიც ასევე აქტიურად წერს, წელიწადში ლექსების თითო კრებულს მაინც უშვებს. თუმცა მისი დონე ტალღისებურად მერყეობს ზევით-ქვევით. დღევანდელი გადმოსახედიდან ის უფრო მისიონერ მწერლად მოიაზრება. 60-იანელთა მეორე ვარსკვლავი პაულ-ერიკ რუმო ახლა პოლიტიკურ მწვერვალებზე ლავირებს და დროდადრო თითქოს შემთხვევით აბნევს ლექსების ბრწყინვალე ნაშსვრევებს. მესამე ტიტანი, იან კაპლინსკი, მისთვის ჩვეული ფილოსოფიური მანერით ყურადღებას

საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტაზე ამახვილებს, ლექსი თითქოს უკანა პლანზე გადადის. ამ ფონზე მატს ტრაატის მაღალი ფორმა კვლავ გამაოგნებლად მომხიბლავია, მისი კრებულები მუდამ რჩება კულტურის კაპიტალში, როგორც დასაჯილდობებელი ლექსების ნომინანტთა სიაში, ასეთივეა მისი უკანასკნელი კრებული, რომლის სათაური მანიფესტივითაა ჩამოყალიბებული — „ბაზარი სოკრატეს გარეშე“ (2004). მატს ტრაატის შემოქმედება ესტონელი ხალხის გამძლეობის საუკეთესო დასტურია. მის ლექსებში სულ უფრო მწვავე და პირდაპირი, ტკივილიანი რეაქცია თანამედროვე სულიერებაზე. სულ უფრო მეტად სტკივა გული, რომ თანამედროვე ბაზარს სოკრატე აკლია. ტრაატი კესკიულას ან კივისილდნიკის მსგავსი ფაქიზი სატიროკოსი არ გახლავთ და თავს დაუდევარი ელეგანტურობით არ იცავს. მისი სიტყვა სერიოზული, მახვილი და მტკივნეულია, აქ თამაშის ნაცვლად რისხვაა. ტრაატს შეუძლია იყოს პირდაპირი და ამავე დროს დარჩეს პოეტური.

ის ეგზისტენციალურია, სევდიანი ილუზიების გარეშე, გარკვეულწილად მარტოსული და გარემომცველი სამყაროსადმი დაპირისპირებული. აზროვნების მანერით იგი იურგენ როლსტეს ჩამოჰგავს. ორივენი წარმოადგენენ ეგზისტენციალურ სევდიან აზროვნებას. მათ შემოქმედებაში განსხვავებას, მათი ასაკში განსხვავება განაპირობებს.

გარკვეული თვალსაზრისით, იგი თავისი ეპოქის შვილია, სამყაროს მოქალაქე, საერთაშორისო ადამიანი. კიუნაპის ლექსებში ბევრი დასახელებაა, პატარა ესტონური სოფლები-დან დიდ მეტროპოლიებამდე. მოცულობისა და დროის თვალსაზრისით მასშტაბური ქაოსი-დან იკვეთება სევდა, მაგრამ არა ფიზიკური, არამედ სწორედ მეტაფორულად მითითებული ადგილითა და სიტყვით გამოუთქმელი სფეროს გამო. კიუნაპის ლექსების უმთავრესი ხაზი იმ პიპერნარმოსახვაშია, რაც მის ლექსებს განსაკუთრებულ ჟღერადობას სძენს; მნიშვნელობათა დაფარულ და გაქრობად უკანასკნელ კვალში თუ აღწერაში (მე არ გამოვრიცხავ, რომ, ხშირად, შესაძლოა მნიშვნელობა საერთოდ არ არსებობდეს ან კიდევ იმას, რომ მკითხველს ესმოდეს სიტყვის მშვენიერება, მაგრამ არ ესმოდეს მნიშვნელობა, ან ის, რასაც ეს მშვენიერება წარმოადგენს). კიუნაპს არც საზოგადოებისკენ მიმართული კრიტიკა აკლია, თუკი გავითვალისწინებთ მისთვის დამახასიათებელ გლობალურ მასშტაბებს. მაგრამ ეს თვითმიზანი არაა, უფრო საშუალებაა მთლიანობის, პოეტური მთელის შესაქმნელად. ეს მთელი ასხივებს, მძიმედ გითრევს და ხვდები: რომ აქ ერთმანეთში ირევა ინდივიდუალობა, გაურკვეველი საფრთხის შეგრძნებები და ავტორის მსუბუქი თვითირონია, რომელსაც ეს საფრთხე ნულამდე დაშეყავს.

დორის კარევა საერთაშორისო არენაზე ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ესტონელი პოეტია და მისი ლექსების კრებული „მანდრაგორა“ (2002), ბოლო წლებში ერთ-ერთი ყველაზე გაყიდვადი ორიგინალური ლექსების წიგნია. ჩემი ექსკურსის დასრულება გადავწყვიტე მისი შემოქმედების მიმოხილვით, რადგანაც მისი ლექსები მარადისობისკენ მიემართებიან. მისი ლექსები არ გამოირჩევიან მრავალისიტყვაობით და უკიდურეს სიზუსტემდეა დაყვანილი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ კარევას მუდმივად შეუძლია ერთი და იგივე მიუღწეველი მიზნის მიღწევა: საუბრისა და სიჩუმის ერთდროულად წარმოდგენა, სიტყვების დადუმება. ამ თვალსაზრისით, კარევა უფრო ენის ფილოსოფოსია. კარევა უთუოდ განეკუთვნება სიტყვათშემდგენელი პოეტების რიცხვს. მისი ლექსები სიჩუმის ზღვარია. გარკვეული თვალსაზრისით იგი სრულიად განსხვავდება იურგენ როლსტეს ენერგიით ანთებული სიტყვათმ-ღელვარებისაგან.

რა შეიძლება ითქვას დასასრულს?

ჩემი წარდგინება ძალიან სუბიექტურია. ესტონელი პოეტები ძალიან კარგი მსახიობებიც არიან, შესანიშნავად კითხულობენ თავიანთ ლექსებს. მოიწვიეთ ისინი თავიანთი ლექსების წასაკითხად და თქვენ თვითონ ნახავთ მესიტყველობას და სიტყვათშემდგენლობას.

## სტუმარი

ქალაქ -ის ზოოლოგიური მუზეუმის დირექტორს მაინცდამაინც არ უყვარდა თავისი სამსახური, სამაგიეროდ აქ ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდა და საკუთარი კაბინეტი, სა-დაც შეეძლო წყნარად და მშვიდად ემუშავა საღოქტორო დისერტაციაზე. მუზეუმს მძიმე პერიოდი ედგა. სახსრების უქონლობისა და საუნივერსიტეტო ხელმძღვანელობის მხრი-დან სრული გულგრილობის გამო ექსპოზიციისა და ინტერიერის დაფლეთა-დაძველება აბსოლუტურად შეუქცევად პროცესად იქცა. მოყვითალო ლაქებით დაფარული ჭერი ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან ახსოვდა. ზედა სართულზე ოდესალაც წყლის გაყვანილო-ბასა თუ ონკანს გაეუონა. რემონტის დროს კი არავის მოსვლია აზრად დალაქავებული ჭერის შეთეთრება. კიდევ უამრავი რამ იყო შესაკეთებელი თუ უბრალოდ მოსაწესრიგებელი. დირექტორმა თავისი ხელით დაუყენა საკეტები შუშის კარადებს, სადაც ტროპიკული პეპ-ლებისა და დასპირტული ენდემური ჭიების იშვიათი ეგზემპლარები ინახებოდა. ომის დროს საკეტები საბჭოთა ჯარისკაცებმა ამოამტვრიეს: სასმელს ექცევებულ და ბოლო წვეთამდე მთელი სპირტი დალიეს იმ ჭურჭლიდანაც კი, რომელშიც ცხენ-ირმის კუჭჭი აღმოჩენილი უზარმაზარი სოლიტერი ინახებოდა. სოლიტერი ვანდალიზმის ამ აქტს გადაურჩა, თუკი შეიძლება ასე ითქვას, ასობით წლის წინათ განსვენებული პარაზიტის შესახებ. არავინ იცის, გადარჩენ თუ არა ჯარისკაცები.

რა თქმა უნდა, ყველაზე უბადრუკად თავად ექსპონატები გამოიყურებოდნენ. თუმცა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ დირექტორი უკვე ჩამოყალიბებულ ფატალისტად აქ-ცია, ყველაფერი მაინც ძევლებურად გულთან ახლოს მიჰქოდა, ბრაზი მოსდიოდა, როცა გრიზლის ან კიდევ უარესი, 1880 წელს ციმბირში აღმოჩენილი მამონტის ბენვში ჩრჩილს თუ ბოულობდა. ეს ექსპონატები ამ ქალაქში ჩამოიტანა ცნობილმა მკვლევარმა, გეოგრაფ-მა და ზოოლოგმა, ვისი სახელიც ცოტა ხნის წინათ ჩინეთსა და სამხრეთ აზიაში აღმოჩე-ნილ მღრღნელს დაარქვეს. დირექტორი იძულებული გახდა საკუთარი ფულით შეეძინა მწერების სანინაალმდევო საშუალება. გულს სტკენდა უფროსობის გულგრილი დამოკიდე-ბულება დათვის, მამონტისა და ტროპიკული ფრინველების ფიტულებისადმი, რომლებსაც, ჩრჩილისა და მტვრის მიუხედავად, კიდევ შერჩენოდათ ხასხასა ფერები. ჩრჩილზე უარესი იყო მტვერი, რომელიც ისე ეკრობოდა პატარა ჩანთოსანთა ბენვსა და კოლიბრის ფრთებს, თითქმის შეუძლებელი იყო მისი მოცილება ამ უნიკალური ეგზემპლარების დაუზიანებლად. არადა, ისინი თითქმის ასორმოცდაათი წლის წინათ შეუგროვებია და ჩამოუტანია ერთ ახ-ირებულ თავადს, სიცოცხლის დიდი ნაწილი ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და სამხრეთ ამერიკაში მოგზაურობას რომ მოანდომა. მისი გარდაცვალების შემდეგ მისი ქონებიდან ცოტა რამდა იყო შემორჩენილი. მემკვიდრეებმა მამულები გაყიდეს, ხოლო კოლექციები უნივერსიტეტმა შეისყიდა. როგორც აღმოჩნდა, ჩვენს დროში მტვერი უფრო მწვავე და აგრესიული გამხდარიყო, რადგან უნინდელზე მეტ ცხიმებსა და მუავას შეიცავდა. და როცა ის ბენვებსა და ბუმბულებს აკვდებოდა, ისინი ძველებურ ბზინვარებას კარგავდნენ და უღიმდამოდ გამოიყურებოდნენ.

მიუხედავად ყველაფრისა, დირექტორს მაინც უყვარდა თავისი მუზეუმი. მას შემდეგ, რაც დაიშალა ის, რასაც საბჭოთა კავშირი ერქვა, და, საზღვარგარეთ გამგზავრების შესა-ძლებლობა გაჩნდა, მსგავსი მუზეუმი იშვიათად თუ სადმე ენახა. ევროპის ძველ მუზეუმთა ნაწილი ომის დროს განადგურდა, ზოგიერთმა, ახალმა და მოდერნიზებულმა, უფრო გას-ართობი ადგილის ფუნქცია იკისრა. დირექტორი საკუთარ ეგოიზმს ამგვარი გათანამე-დროვების მიუღებლობას აბრალებდა: ძველმოდურ, ჯერაც XIX საუკუნის სულით გაჯერე-ბულ მუზეუმში მას არ აწუხებდნენ მოზღვავებული დამთვალიერებლები, მუშაობაში ხელს არ უშლიდა ხალხის მოსაზიდად ახალ-ახალ საშუალებათა გამოგონების აუცილებლობა. არ

უყვარდა რეკლამა, მთელი ეს ალიაქოთი, ყალბი და გაცვეთილი ილეთები, რაც დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ქვეყანას ნიაღვარივით დაატყდა თავს. თავადაც არ იცოდა კონსერვატორი იყო თუ მუზეუმში გატარებულმა წლებმა აქციეს ასეთად. ასე იყო თუ ისე, ახალ წამოწყებათა მღვრიე მორევში, გარშემო ყოველივეს კატასტროფული სიჩქარით რომ ცვლიდა, მეცნიერება და თავისი მუზეუმი ერთგვარ მხსნელ კუნძულად ექცა.

აქ კი ისეთი შევრჩნება ეუფლებოდა, თითქოს დრო გაჩერებულიყო, ანდა აუჩქარებლად მოძრაობდა ისე, როგორც, ალბათ, მუზეუმის დაარსებისას, როდესაც ყველაფერს ასე საიმედო და დარბაისლური იერი ჰქონდა. მეგობარმა მათემატიკოსმა ერთხელ უთხრა, პირველი მსოფლიო ომის დროინდელი ავეჯი მომწონის. ის იმ ადამიანებისათვისაა განკუთვნილი, ვინც მთელ ცხოვრებას ერთსა და იმავე სახლში ატარებს და იშვიათად თუ გამოიცვლის ადგილსო. ამის დასტური იყო ეს მძიმე მუხის მაგიდები, მასიური მინის ვიტრინები და კედელში ჩატანებული კარადები, სავსე სამეცნიერო ნაშრომებით ზოოლოგიასა და გეოგრაფიაში. ცხრაკლიტულში ინახავდა უძვირფასეს რარიტეტებს: წიგნებს ბაუერის, კიუვიეს, დარვინის, ჰაკელისა და ალექსანდერ ფონ ჰუმბოლდტის ავტოგრაფებით. ყველა ამ მეცნიერს თავის დროზე მიმოწერა ჰქონდა ადგილობრივ პროფესორებთან, რომელთაგან ბევრი სიცოცხლეშივე იყო ალიარებული. აქ ბევრი რამ ხიბლავდა უცხოელ დამთვალიერებელს. ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ XIX საუკუნის თვითმყოფადი ატმოსფერო ყველაზე კარგად ამ მუზეუმს შემოენახა. საეჭვო იყო, „პიარის“ კამპანიაში ერთსულოვნად ჩაბმულ მის ბოსებს ამგვარი გამოხმაურება მოსწონებოდათ. ისინი ხომ ძალ-ღონეს არ იშურებდნენ იმის დასამტკიცებლად, რომ კომუნისტური რეჟიმის პირქუში წლების შემდეგ უნივერსიტეტი უნდა ქცეულიყო თანამედროვე სამეცნიერო დაწესებულებად, რომელიც მონაწილეობას მიღებდა „IT“-ს (ინტელექტუალური ტექნოლოგიების), ნახევარგამტარებისა და კომპიუტერული ტექნიკის პროგრამებში.

თავად დირექტორს რაც შეეხებოდა, ბედნიერი იყო იმით, რომ შეეძლო შეესწავლა პოპულაცია მშობლიური ქვეყნის სრულიად ჯანმრთელ და მრავალფეროვან ფრინველთა ზოგიერთი სახეობისა, რომლებიც ევროპის განვითარებულ ქვეყნებში გადაშენების პირას მისულიყვნენ. სტუმართა უმრავლესობას XIX საუკუნის საუნივერსიტეტო გარემოს ნოსტალგია არ ტანჯავდა, მაგრამ უკლებლივ ყველა იხიბლებოდა იმ ველური ბუნების სილამაზით დირექტორის ინიციატივით მოწყობილი ლაშქობების დროს რომ ეზიარებოდნენ ხოლმე. სიხარულით ეხმარებოდნენ ველური ბუნების შესწავლაში, რომელიც დასავლეთში პრაქტიკულად აღარ არსებობდა. ამგვარად, ის ორივე სისტემისაგან საუკეთესოს ითვისებდა, სამშობლოდან გაუსვლელად იყენებდა უცხოურ ლაბორატორიულ აღჭურვილობას, რასაც დასავლელი კოლეგები აწვდიდნენ, და ამრიგად აწარმოებდა საველე დაკვირვებებს მშობლიურ ფაუნაზე. მისი სამშობლო, მდიდარ ქვეყნებთან შედარებით, ჯერ კიდევ ბევრად ნაკლებდასახლებული, ნაკლებდაბინძურებული და ნაკლებგანვითარებული იყო. ზოგჯერ, სრულიად უნებურად, მადლიერიც კი იყო საბჭოთა სისტემისა, რომელმაც მისი სამშობლოს ვრცელი სასოფლო-სამეურნეო მიდამოები ეროვნულ პარკებად აქცია, ხოლო მგზნებარე მცველებად მიუჩინა ყოვლისშემძლე სამხედროები, რომლებიც ამ მიდამოებს არ აკარებდნენ არც ადგილობრივ მოსახლეობას, არც უცხოელებს.

კაცმა რომ თქვას, XIX საუკუნის ატმოსფეროც მუზეუმს საბჭოთა წყობამ შეუნარჩუნა. მის მეგობარ მათემატიკოსს მიაჩნდა, რომ ეს არა იმდენად ზოოლოგიის, რამდენადაც გარდასული დროის კარგი და ცუდი ჰერიოდების მუზეუმი იყო. მათემატიკოსი დიქტატორობაზე ოცნებობდა, რათა უნივერსიტეტიც, ქალაქიცა და, იქნებ, მთელი ქვეყანაც სამუზეუმო ექსპონატის, ისტორიის ერთგვარი რეზიდენციის სახით შემოენახა: განა თითოეული ეპოქა არ არის იმის ღირსი, რომ ის მომავალ თაობებს შეეუნარჩუნოთ? დირექტორიც იზიარებდა იმ აზრს, რომ ეს მუზეუმი, მართლაც, ზოოლოგიურ მუზეუმზე ბევრად მეტს ნიშნავდა. ის კი, თავად? განა თავადაც სამუზეუმო ექსპონატს არ ჩამოჰვავდა? იშვიათი ეგზემპლარი, რაღაც ისეთი, რასაც მნახველები გაოცებით აკვირდებიან, როგორც „ომო შაპიენს“-ის იშვიათ ნიმუშს? მართალია, მუზეუმი დამთვალიერებლებისათვის არსებობდა, მაგრამ მათი

რიცხვი მცირე იყო; კაცმა რომ თქვას მცირე იყო საბჭოთა პერიოდთან შედარებითაც კი, მაშინ ხომ ჯერ არ არსებოდა ამდენი გასართობი ახალგაზრდებისა და მოხუცებისათვის, არც ამდენი სერიალის ნახვა შეიძლებოდა ველური ბუნების შესახებ, არც ამდენი საშუალება იყო საფრანგეთში, იტალიასა თუ საბერძნეთში მოგზაურობისა. მიუხედავად ამისა, ქალაქს გაზაფხულობით ჯერ კიდევ სტუმრობდნენ პროვინციელი გოგო-ბიჭებით სავსე ავტობუსები: მშობლები, რომელთაც არ ჰყოფნიდათ ფული სკანდინავიაში თუ დასავლეთ ევროპაში ტურისტული მოგზაურობისათვის, სკოლების დირექციასთან ერთად თავს ვალდებულად მიიჩნევდა მონაფეებისათვის ქვეყანაში არსებული ყველა მუზეუმი ეჩვენებინა, თუმცა ამ ბავშვების უმრავლესობა, განსაკუთრებით მოზარდები, დაუფარავად გამოხატავდნენ ზიზღს ყოველივე ძველისა და დამტვერილისადმი. საუკეთესო შემთხვევაში ისინი უხამს სიტყვებს არ იშურებდნენ სკოლის დირექციისა და მუზეუმში გამოფენილი ფიტულების მისამართით, ვიდრე უახლოესი კიოსკისაკენ არ გაქროლდებოდნენ კოკა-კოლასა და ჩიფსის მორიგი პაკეტისათვის. დირექტორი უყურებდა მათ და რწმუნდებოდა, რომ ისინი სხვა ცომით იყვნენ მოზელილი და არაფერი პქონდათ საერთო სტუდენტებთან. სამაგიეროდ, პატარები გამოირჩეოდნენ ყველასგან. რაღაც მონიცებასაც კი განიცდიდნენ, როცა მამონტის ჩინჩხეს ან ბიზონების ორ ფიტულას შესცეროდნენ. დიდხანს ყოვნდებოდნენ დათვისა და ფოცხვერის ნინ. ერთხელ ვიღაცა გოგონამ ჰკითხა: „უკაცრავად, ეს დიდი კატა ნამდვილია?“ ჩვეულებრივ, თავად არ უძღვებოდა ექსკურსიებს, თანაშემწედ რომელიმე სტუდენტი აჲყავდა, ვისაც ცოტაოდენი ფულის გამომუშავება უნდოდა. მაგრამ ჯგუფებში ზოგჯერ ისეთი ბავშვიც გამოეროდა ხოლმე, ვინც მის სიმპათიას იწვევდა და ვისთანაც უშუალო ურთიერთობის სურვილი უჩინდებოდა, თუკი ამის საშუალება მიეცემოდა. ეს ბავშვები მოწოდებით ბუნებისმეტყველნი იყვნენ, მათ ბუნებისა და ცხოველებისადმი თანდაყოლილი და წრფელი სიყვარული პქონდათ. ბევრი მათგანი ბიოლოგიაში კარგად ერკვეოდა, ზოგიერთს სერიოზული კვლევებიც პქონდა ჩატარებული, ამიტომ გულდასმით აკვირდებოდა ფრინველებს, პატარა მღრღნელებს ან მწერებს. წელიწადში ერთხელ ისინი უნივერსიტეტში იკრიბებოდნენ. დირექტორი აღფრთოვანებული იყო, რომ, მიუხედავად ახალი საზოგადოების პრაგმატული მოთხოვნებისა და საერთო გაჭირვებისა, ეს ყმაწვილები არ ღალატობდნენ თავიანთ გატაცებას და ისწრაფოდნენ მიზნისაკენ. მათი უმრავლესობა პატარა ქალაქებში ცხოვრობდა და მატერიალურად მართლაც უჭირდა, უმუშევრად დარჩენილი მათი მშობლები თავს სოციალური დახმარებით ირჩენდნენ. მიუხედავად ამისა, დირექტორმა იცოდა, რომ ეს ბავშვები თავისას მაინც მიაღწევდნენ და უნივერსიტეტის სტუდენტებიც გახდებოდნენ. მათი ბედი იყო ბიოლოგობა, რეზინის ჩექმებითა და ზურგჩანთით ხეტიალი, კარავში ძილი და მღვრიე ნაკადულებში ფეხშიშველა ტყაპუნი. თავადაც მგზნებარე ნატურალისტი, მათთან სულიერ კავშირს გრძნობდა. ზოგჯერ ამ ბავშვებს ეხმარებოდა მცირეოდენი თანხითაც, რომელსაც პრემიის სახით გადასცემდა უნივერსიტეტში წარდგენილი ნაშრომისათვის ბიოლოგიაში. შეკრებების დროს კი მათ უფასოდ აპურებდნენ უნივერსიტეტის სასადილოში.

შაბათ-კვირაობით მუზეუმს ოჯახები ეწვეოდნენ ხოლმე. პატარები იშვიათად მოჰყავდათ დედებს, უფრო ხშირად — მამებს. შესაძლოა, იმის გამო, რომ ცხოველების გაბურძნილი ფიტულები შთამბეჭდავად მოქმედებდა მამაკაცების წარმოსახვაზე (ყოველი მამაკაცი ხომ შინაგანად ბავშვია), ან იქნებ იმიტომ, რომ ბავშვებთან ერთად მუზეუმის დათვალიერება მათი გართობის უმარტივესი ხერხი იყო. შესაძლოა, მართლაც პქონდათ თავიანთ შვილებთან ურთიერთობის სურვილი, ან, შესაძლოა, დედიკო გაამწესებდათ ხოლმე, რათა მშვიდად შესდგომოდა საოჯახო საქმეს. იშვიათად თუ გამოჩნდებოდნენ სხვა მნახველები. რა თქმა უნდა, ზოგჯერ პენსიონერებიც მოდიოდნენ, ხანდახან ხნიერი შვედების ან ფინელების ჯგუფი მოჰყავდათ ხოლმე. მუზეუმს ზოგჯერ მორმონები ან ფუნდამენტალისტი ქრისტიანები სტუმრობდნენ, დირექტორის მოქცევას ცდილობდნენ და ხელში კრეაციონისტული ბიოლოგიის წიგნებს აჩეჩებდნენ. ამ ადამიანებს ის, როგორც იშვიათი სახეობის ფრინველებს (მათ შემყურეს რატომღაც მაინცდამაინც ფრინველები ახსენდებოდა),

ისე უცქერდა და ამჩნევდა, რომ, როგორც წესი, ისინი ჩატარებული სამუშაოთი კმაყოფილ-დებოდნენ და შედეგები აღარ ადარდებდათ, რაკი თავიანთ მოვალეობას იმით იხდიდნენ, რომ მისი სულის ხსნას ცდილობდნენ, თან ქულების საჭირო რაოდენობას იგროვებდნენ, დანარჩენს კი ღმერთსა და თავად მას ანდობდნენ. ხანგამოშვებით ერთი-ორი გიუიც ენ-ვეოდა ხოლმე. კიდევ კარგი, რომ ძალიან ბევრ ხათაბალას არ უქმნიდნენ. ერთი ვრცელ თხზულებებს წერდა იმის დასამტკიცებლად, რომ მისი ხალხი ჩაძირული კონტინენტიდან მოვიდა მსოფლიო მისის აღსასრულებლად; მისი თქმით, ამას რჩეულთა განსაკუთრებული ანთროპომეტრული ნიშნები ასაბუთებდა. ღრმად სწამდა, რომ რჩეული მოდგმის სისხლის გასუფთავებისათვის ყოვლად აუცილებელი იყო შერეული ქორნინებების აკრძალვა. ახლა ამისათვის შესაფერისი დრო დამდგარიყო; თუ დედამიწის ზურგზე ამ ხალხის საკმარისი რაოდენობა აღმოჩნდებოდა, კონტინენტი კვლავ ამოყვინთავდა წყლის ზედაპირზე და ოქროს ხანაც მაშინვე დადგებოდა... მეორე დარწმუნებული იყო, რომ ფრინველების ენა ესმოდა და უამბობდა დირექტორს, ვითომდა ყვავებისა და მტრედებისაგან მოსმენილ ამბებს. სასაცილო ის იყო, რომ ძირითადად მათი შინაარსი პატარა ქალაქის უხამსი ჭორების გადმოცემით შემოიფარგლებოდა.

როდესაც დღის ბოლოს სტუდენტმა გოგონამ სტუმარი შემოუყვანა, შეხედა თუ არა მა-შინვე მიხვდა, რომ მორიგი შეშლილი იყო. სტუმარს ტყაპუჭი და უხეში ჩექმა ეცვა, თავზე ისეთი ბერვის ქუდი ეხურა, გლეხები რომ ატარებენ. ზურგზე ნაჭრის ტომარა მოეგდო. გოგონამ, რომელიც გრძნობდა რომ ეს უცნაური ადამიანი კაბინეტში არ უნდა შეეშვა, დი-რექტორს რიდით მოახსენა, რომ სტუმარი მის ნახვას დაუინებით ითხოვდა.

— კარგი, — უთხრა დირექტორმა, — გმადლობთ. შეგიძლიათ, შინ ნახვიდეთ, მე კიდევ ერთ-ორ საათს დავრჩები. — შემდეგ სტუმარს მიუბრუნდა და ჰერიტენი: — რით შემიძლია დაგეხმაროთ? — თან შენიშნა, რომ უცნობს არაჩვეულებრივი, ბავშვურად კრიალა, ცის-ფერი თვალები ჰქონდა. ასაკის დადგენა გაუჭირდა, იქნებოდა სადღაც სამოცის ფარგლებში. სტუმარმა გაუღიმა და სახის გამომეტყველება წუთით კიდევ უფრო ბავშვური გაუხდა.

— მოგესალმებით და მადლობას მოგახსენებთ იმისათვის, რომ ამ დარბაისელ დაწესებულებაში მასპინძლობა გამინიეთ. უზომოდ მადლიერი დაგრჩებით, თუკი პასუხს გამცემთ ზოგიერთ შეკითხვაზე იმ ცხოველთა შესახებ, ოდესლაც რომ ბინადრობდნენ დედამინაზე.

დირექტორი ცნობისმოყვარეობამ აიტანა. ასე კეთილშობილურ და ძველებურ ყაიდაზე მეტყველი ადამიანი შეიძლებოდა Homo-s ძალზე საინტერესო წარმომადგენელი ყოფილიყო. თანაც სიმპათიური ეჩვენა, არც აგრესიას ამჟღავნებდა და დირექტორი იმე-დოვნებდა, რომ არც მოლაპე აღმოჩნდებოდა.

— გმადლობთ კომპლიმენტისათვის. თუკი შემიძლია, მზად ვარ დაგეხმაროთ.

— მადლობელი ვარ. აქაური ბალდებისაგან შევიტყვე, რომ თქვენს დაწესებულებაში უძველესი დროის ცხოველთა ფიტულები ინახება. მათ შორის თუ არის ისეთი, უკვე რომ გადაშენდა ან ადამიანის მიერ იქნა განადგურებული?

— როგორ არა, — დაუდასტურა დირექტორმა, — კოლიბრის ერთი-ორი ჯიში, გომბეშო და ჩანთოსანთა რამდენიმე ეგზემპლარი, წლებია ალარსად შეუნიშნავთ, აგრეთვე, ცნობილი ამერიკული გადამფრენი მტრედი, მის შესახებ, შესაძლოა, გსმენიათ კიდეც.

— დიახ, რა თქმა უნდა, — თავი დაუქნია სტუმარმა, — მე ის ძალიან კარგად მახსოვს. გეთაყვა, ერთი წუთი მადლობელი, ეს ცხოველები ჩემს წიგნში მოვიძიო. — სტუმარმა ტო-მარა აიღო, თასმები მოუშვა და იქიდან სქელი წიგნი ამოიღო.

— შეიძლება გთხოვოთ, ხელმეორედ ჩამომითვალოთ ამ არსებათა დასახელებები, სა-სურველია, ლათინურად?

დირექტორმა უპასუხა: — ცხადია, ჩამოგითვლით, ოღონდაც წყაროებში ჩახედვა მომინევსო. სტუმარს დაჯდომა შესთავაზა, გრძელი გზა გექნებათო გამოვლილი.

— დიახ, ძალიან გრძელი, თუკი თქვენი კრიტერიუმებით განვსაზღვრავთ, — მიიღო პა-სუხად.

სტუმარი სკამზე ჩამოჯდა და თავის ვეება ფოლიანტს დაუწყო კირკიტი. დირექტორმა შენიშნა, რომ წიგნი ხელით იყო ნაწერი, სავარაუდოდ, არა ლათინურ ენაზე, თუმცა დანამდვილებით ეს ვერ გაერკვია. იქნებ მოხუცმა საკუთარი დამწერლობა გამოიგონა: მას სმენოდა სულით ავადმყოფთა შესახებ, რომლებიც ასეთ რამებს აკეთებენ. დირექტორმა მოძებნა გადაშენებულ სახეობათა ლათინური დასახელებები, ჩამოუთვალა ისინი სტუმარს და შემდეგ შესთავაზა მათი დათვალიერება. უცნობი დასთანხმდა და ისინი მუზეუმში შევიდნენ. როდესაც იმ ვიტრინის წინ შეჩერდნენ, სადაც კოლიბრის ფიტულა ინახებოდა. დირექტორმა სტუმარს ფრინველზე მიუთითა: უკანასკნელი ცნობების თანახმად, ეს უკვე გადაშენებულია. სტუმარმა თავი დაუქნია. უცცრად ბავშვურად ცოცხალ ცისფერ თვალებში სევდა ჩაუდგა.

როდესაც მიგრანტი მტრედის კარადას მიუახლოვდა, სტუმარმა, თითქოს თავისთვის, ჩაიღაპარაკა:

— ოჰ, ადამიანი, ადამიანი... ჩემი ანგელოზებისათვის უნდა დამეჯერებინა, ისინი მაფრთხილებდნენ, მაგრამ უკვე გვიანი იყო, მე ის უკვე შექმნილი მყავდა.

შემდეგ დირექტორს მიუბრუნდა:

— როგორ ფიქრობთ, შეცდომა ხომ არ ჩავიდინე, როდესაც შეგქმნით თქვენ, Homo საპიენს?

აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! სტუმარს თავი ღმერთი ჰგონია! ეს ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტებისთვისაც კი უჩვეულო იყო. საგიუვეთში იოლად შეხვდება კაცი წინასარმეტყველებს, მეფეებს, დიქტატორებს, ნაპოლეონებსა და ჩინგიზ-ხანებს, მაგრამ არასოდეს სმენოდა დირექტორს, ვინმეს თავისი თავი მამაზეციერი ჰგონებოდა. საპრალო კაცს, აშკარად, ეკოლოგიური პრობლემები აღელვებდა და, რაკილა თავი კაცობრიობის შემოქმედი ეგონა, პასუხისმგებლობის გრძნობა ტანჯავდა მთელი იმ ქაოსის გამო, რაც Homo-ს მოდგმამ დაატეხა თავს დედამინას. დირექტორი უცნობისადმი უნებლიერ სიმპათით განიმსჭვალა. მართლაც, ღმერთად — თუნდაც გამონაგონ ღმერთად — ყოფნა იოლი საქმე სულაც არა იყო.

— იცით, ჩვენ, ბიოლოგები, ადამიანს ხშირად უხეირო გამოგონებად მივიჩნევთ: ეს უმძლავრესი ნერვული კომპიუტერი ერთი ბენზ ჭირვეული ბავშვის ჭკუით დადის. მაგრამ, რაკილა თავადაც ადამიანები ვართ, ბოლომდე მაინც ვერ ვინარჩუნებთ ობიექტურობას. ჩვენ ვერ დავთმობთ საკუთარი არსებობის უფლებას, რომელსაც ამჟამად სხვა ცოცხალ არსებებს ვართმევთ.

ისინი მტრედის შორიახლოს შეჩერდნენ. გაქუცულ, დაზიანებულ ფრინველს ყავისფერი შუშის თვალები მათთვის მიეპყრო. სტუმარმა თავი გააქნია და ისევ ოხვრით წარმოთქვა:

— დიახ, ეს მართლაც პრობლემა ჩემთვისაც და თქვენთვისაც. მაგრამ, რას იტყვით: თქვენის აზრით, გონივრული თუ იქნება ამ ცხოველების კვლავ გაცოცხლება, ცალკეული სახეობებისა მაინც? შეძლებენ ისინი არსებობას, ვიდრე დედამინაზე ადამიანია, თუ ყველანაირი იმედი გადაწყვეტილია?

დირექტორმა უპასუხა, ამის თაობაზე ცალსახა აზრი არ გამაჩნიაო. ეს პრობლემა აკადემიურ დონეზეც კი არასოდეს წამოჭრილა მეცნიერთა წინაშე, თუმცა გენური ინჟინერის წყალობით ეს არ უნდა ყოფილიყო ძნელი. ზოგიერთი მკვლევარი უკვე მსჯელობს მამონტის გაცოცხლების შესახებ. მაგრამ, ვაი, რომ ზოგიერთი სახეობის მდგომარეობა სრულიად უიმედოა. დედამინაზე მათი ადგილი აღარ დარჩა, რადგანაც Homo-მ მოახერხა ხელში ჩაეგდო ხელუხლებელი ბუნების უკანასკნელი ნაკუნწებიც კი.

— შექმნილი მდგომარეობა გულწრფელად მადარდებს. ვგრძნობ, რომ რაღაც უნდა ვიღონო. მაგრამ ჩემთვის ასევე ძალზე დასანანი იქნება მათი განადგურება, ვისი შექმნაც ამდენ ძალისხმევად დამიჯდა, ვისზეც ამხელა იმედებს ვამყარებდი. თანაც, დედამინაზე ჯერ კიდევ შემორჩა ერთი-ორი მართალი ადამიანი, როგორ ვაქციო ისინი არარად? ეგებ ჯერ კიდევ შესაძლებელია რაიმე კომპრომისი. რა აზრისა ბრძანდებით ამაზე?

შეშლილი მოხუცი ისე გულწრფელად წუხდა, რომ დირექტორმა ის თანაგრძნობის გა-

რეშე ვერ დატოვა. მაგრამ, აბა, რით დაეხმარებოდა, ერთადერთ გამოსავლად ისლა რჩებოდა, როგორმე გაემხნევებინა და დაემშვიდებინა. ამიტომ სცადა პასუხი რაც შეიძლება უმტკივნეულო ყოფილიყო:

— ჩემი აზრით, ყველაფერია შესაძლებელი. დემოგრაფიული აფეთქება („ესმის კი მოხუცს ამ ცნების შინაარსი?“ — გაუელვა თავში დირექტორს) დაღმასვლის ნიშნებს ავლენს. თუკი დედამიწაზე ადამიანთა რაოდენობა სტაბილური დარჩება ან სულაც კლებას დაიწყებს, მაშინ კიდევ რჩება ბუნებისა და ადამიანის თანაარსებობის იმედი.

დირექტორი უეცრად გონს მოეგო და მიხვდა, რომ სერიოზულად ეძებდა არგუმენტებს, რათა კაცობრიობა დაეცვა ვილაც შეშლილის წინაშე, რომელსაც თავი ღმერთი ეგონა, რაც სრული უაზრობა იყო. როგორმე უნდა შეეწყვიტა ეს საუბარი და სტუმარი თავიდან მოეცილებინა. მას ბევრად მნიშვნელოვანი საქმეები ელოდა.

— იცით, ბოლოს და ბოლოს, ადამიანთა მოდგრა ჯერ კიდევ შედარებით ახალგაზრდაა და, ალბათ, ჯერ კიდევ შეგვიძლია ბევრი რამ ვასწავლოთ. მაგრამ ახლა კი ბოდიში უნდა მოგიხადოთ, კიდევ ბევრი სამუშაო მაქვს, თანაც მუზეუმი ოფიციალურად უკვე დაკეტილია. კიდევ რაიმეს დათვალიერებას ინებებთ?

— არა, დიდი მადლობა, ძალიან დამავალეთ... დიახ, მართალსა ბრძანებთ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ფორმაცია ხართ, დრო გჭირდებათ, რათა ისწავლოთ და გამოცდილება შეიძინოთ. და მაინც, ძალიან გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა, როდესაც მოვალ და შეგეკითხებით, როგორ მოექეცით ყველა იმ არსებას, თქვენს მეთვალყურეობას რომ მივანდე-მეთქი. თუ ნებას დამრთავთ, კიდევ ერთ პატარა კითხვას დაგისვამთ...

— ბრძანეთ, სიამოვნებით.

— იმ მტრედს რაც შეეხება, როგორ ფიქრობთ, აქვს გადარჩენის შანსი? ექნება თუ არა მას — ოჟ, რა ჰქვია! — საარსებო გარემო, თუკი ის ხელმეორედ მოევლინება ამ ქვეყანას?

— მტრედი, *Ectopistes migratorius*. დიახ, ვფიქრობ, ის გამონახავდა ბუნებრივ პირობებს და მშვენივრადაც იგრძნობდა თავს.

— დიდი მადლობა. ახლა კი ჩემი წასვლის დროა. მართლაც, ძალიან სასიამოვნო იყო თქვენთან საუბარი. დარწმუნებული ვარ, ერთმანეთს მომავალ ცხოვრებაში შევხვდებით. მშვიდობით.

მოხუცმა თავისი წიგნი ტომარაში ჩადო და დამშვიდობების ნიშნად თავი დაუკრა. დირექტორმა ის კარებამდე მიაცილა და თვალი გააყოლა. სტუმარი მთავარი გასასვლელი-საკენ ფართო კიბეს ჩაუყვა. ზღურბლზე შედგა, უკან მიიხედა და ხელი დაუქნია დირექტორს, რომელიც მაშინვე მუზეუმში შებრუნდა. სტუდენტი გოგონა უკვე შინ წასულიყო და თავად მოუწია ყველგან შუქის ჩაქრობა. გამოსართველისაკენ მიმავალს, ოთახის ბოლოდან უცნაური ხმაური შემოესმა. დირექტორი იქითკენ გაემართა. ხმაური გადამფრენი მტრედის, *Ectopistes migratorius*-ს ვიტრინიდან მოისმოდა. ფრინველი მინას ეხლებოდა და გარეთ გამოსვლას ცდილობდა.

**თარგმნა თამარ კოტრიკაძემ**

## ჰერთორი

კვირა

დღეს მივხვდი — ასე დიდხანს ველარ გაგრძელდება. რაც შეეხება საკვების მარაგს, ის იმდენია, რომ ერთი წელიც კი მეყოფა. ჩვენი მყუდრო აგარაკი ციხესიმაგრესავითაა. თუმცა კი ტელეკამერებში ვხედავ, ღობის სიახლოვეს როგორ დაძრნიან ვიღაც საეჭვო ტიპები. ვერ ვხვდები, ბინის ქურდები არიან ისინი თუ გადაცმული პოლიციელები.

როგორც ჩანს, ძალიან ცოტა დროდა დარჩა. ვხვდები, რამდენად დიდია რისკი იმისა, რომ ვიღაც შემოალნევს აქ იმის გასაგებად, სად გაქრა პატრონი. ამას ვერ დავუშვებ. ყველაფერი იქამდე უნდა გაქრეს, სანამ ხალხი გაიგებს, აქ რა ხდებოდა. თორემ მერე ამ შეცდომას ვერაფერი გამოასწორებს. მე ყველაფერს ვაკეთებ, რათა ამას ხელი შევუშალო. ვაგზანი პასუხებს იმეილით, საფოსტო ყუთიდან წერილებს ვიღებ და ზოგიერთს ვეხმიანები, ნაგავს კონტეინერებში ვყრი. გადასახადებს ინტერნეტით ვიხდი. ეზოში მხოლოდ ლამღამობით გავდივარ, როცა უკვე ველარავინ დამინახავს, მაგრამ ქალაქში წასვლა არ შემიძლია. ვერც ვერავის დავიქირავებ საამისოდ. ყოველდღე შეიძლება ელექტრობას ან წყალგაყვანილობას რამე დაემართოს, ან სულაც ვინმე შეცადოს სახლში შემოღწევას. დამცავ სიგნალიზაციასაც ვერ გამოვრთავ — მაშინვე მოცვივდებიან სამორიგეო ცენტრიდან იმის გასაგებად, თუ რაშია საქმე. აი, მაშინ კი ყველაფერი გაცხადდება.

თუმცა დასასრული ისედაც ახლოსაა. მანამდე კი არჩევანის შესაძლებლობა მაქვს — როდის და როგორ. „როდის“ — ჯერ არ გადამიწყვეტია. მინდა რაღაც-რაღაცები მოვამთავრო, სანამ ამ ყველაფერს ჰაერში ავწევ. მინდა, ნამდვილი დასასრული იყოს, არაფერი დარჩეს, არავითარი კვალი.

ცდების თაობაზე დაწერილი მისი შენიშვნები უკვე მოვამზადე გასანადგურებლად, წავშალე ყველა ჩანაწერი. მხოლოდ სეიფილა დარჩა. და ეს მტანჯავს. ადრე ხელნაწერი მაჩვენა. და მინდა, ეს ხელნაწერი აუცილებლად წავიკითხო. რამენაირად უნდა მივაგნო მას. სეიფის გასაღები უნდა ვიპოვო. გასაღებს ყოველდღე ვეძებ, მაგრამ უშედეგოდ. მჯერა, აუცილებლად ვიპოვი. ნამდვილად სადღაც, უაზრო ადგილასაა. არა მგონია, შეგნებულად დაემალა, ალბათ სადღაც შეჩერთა ან დაუვარდა. ადრე თუ გვიან მაინც მივაგნებ. და მაშინ შევძლებ, ისე მშვიდად მოვკვდე, როგორც ყველა დანარჩენი, ისე, როგორც უნდა მოკვდეს ჩვენს შორის უკანასკნელი. იმედი მაქვს, პატრონმა ბანკის სეიფში არაფერი დატოვა, ყოველ შემთხვევაში, მის ქაღალდებში ამის მანიშნებელი ვერაფერი აღმოვაჩინე. სიკვდილის წინ ბანკის სეიფი არც კი უხსესებია. დარწმუნებული ვარ, იქ რომ რამე ყოფილიყო, აუცილებლად რაღაცას მეტყოდა. ისლა დამრჩენია, დავასასრულო ჩემი მოთხოვთ, აღსარება, და ამის შემდეგ ლიკვიდაციის სისტემა გავააქტიურო. საბედნიეროდ, მას აქ სანათესავო და სამეცნიერო არ ჰყავს. თუმცა, მისი ტიპის ადამიანს ალბათ შეუძლებელიცაა, ასეთი წრე ჰყოლოდა. ამიტომაც მიჰყო ხელი ექსპერიმენტებს, ამიტომაც აღმოვჩნდით ჩვენ აქ. მე — თქვენი მონა-მორჩილი ჰექტორი, აქილევსი, ოდისევსი, ნესტორი და სხვები, რომლებიც ცოცხლები აღარ არიან. მე უკანასკნელი ვარ და მომიწევს კიდეც, ბოლომდე მივიყვანო ის, რაზეც შევთანხმდით.

მათი გვამები ჯერ კიდევ აქაა. პატრონისაც, პოლიეთილენში შეხვეული. ყინვაში წვანან, როგორც ფიფქიები მინის კუბოებში. თავიანთ უფლისწულს ელიან? არა, უფლისწული მათთან არ მივა. ეს მე დავდივარ ხანდახან მათ სანახავად. მე ისინი მკვდრებიც კი მომწონს. არა, განა ლამაზები არიან. ძალიან ვეცადე გამეგო, რა არის სილამაზე ადამიანებისთვის, კაცადამიანებისთვის, მაგრამ ვერაფერს მივხვდი. სილამაზის გაგება კოდირებულია ჩვენს გენებში, მაგრამ მე ისინი სხვანაირი მაქვს, წინა ცხოვრებიდან გამომყვა, ჩემი წინაპრებისაგან. პატრონს ეს გენები არ შეუცვლია. შესაძლოა, საჭიროდ არ ჩათვალა. სილამაზე მას ან

არ აღელვებდა, ან არ უნდოდა იმის ჩვენება, რომ აღელვებს. მას ინტელექტი აინტერესებდა. ინტელექტი და მეცნიერება მისთვის სილამაზესა და ადამიანებზე მაღლა იდგა. ვინც არ უნდა ვყოფილიყავით და რაც არ უნდა გვრჩმეოდა, მაინც ჩვენზე მნიშვნელოვანი იყო.

ხანდახან ვფიქრდები ხოლმე, მაინც რა ვიყავით ჩვენ მისთვის? მოცემული ექსპერიმენტის შედეგი, ხელოვნების გაცოცხლებული ქმნილებანი თუ საკუთარი თავისთვის შექმნილი მეგობრები? თუ კიდევ რაღაც სხვა? ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში ხშირად მესაუბრებოდა, გავბედავ და ვიტყვი, რომ მენდობოდა კიდეც, ოღონდ მხოლოდ ნაწილობრივ. ასეთი ურთიერთობა აქილევსისა და ნესტორის სიკვდილის შემდეგ ჩამოგვიყალიბდა. მათმა სიკვდილმა კალაპოტიდან ამოაგდო. მგონი, რაღაცის შეეშინდა. არაა გამორიცხული, რომ მიზნად ჰქონდა საკუთარ თავზე ზემოქმედება, რათა გადაელახა ადამიანის ბუნება, გადაედგა შემდგომი ნაბიჯი ზედამიანისაკენ.

თუკი თეორიას დავეყრდნობით, ასეთი რამ სულაც არაა რთული, უფრო მეტიც — იოლია, და გამოცდილი გენეტიკოსებისა და ემბრიოლოგების უმრავლესობას ეს საკითხი რთულად არც ეჩვენება. ადამიანი — ეს ადამიანისებრი მაიმუნია, რომელიც ზრდასრული ვერასოდეს გახდება, თუმც განაგრძობს განვითარებას როგორც დედის მუცელში, ისე მოგვიანებით, საკმაოდ დიდხანს. ადამიანი ჩანასახთან უფრო ახლოსაა, ვიდრე, მაგალითად, შიმპანზესთან ან ორანგუტანგთან. რას ნიშნავს ეს? ბევრს. მაგალითად იმას, რომ ადამიანი ბრიყვია, მას არა აქვს ინსტინქტები და მათი არარსებობა კომპენსირებულ უნდა იქნას კომუნიკაციისა და სწავლის მეშვეობით. ადამიანმა მის მსგავსთა შორის უნდა დაჲყოს მინიმუმ თხუთმეტი-ოცი წელი, რათა შემდგომში საკუთარ თავთან მაინც შეძლოს გამკლავება. კატას კი, ჭყვიან ცხოველს, უკვე ოთხი-ხუთი თვის ასაკიდან ძალუძს დამოუკიდებლად არსებობა. ამ დროს ის ჩამოყალიბებული პატარა კატაა, რომელიც თაგვებს იჭერს და ადამიანს ლაქუცით საკვებს სძალავს. საკმაოდ მაღალ ის კნუტებსაც კი დაყრის. ხოლო ოთხი-ხუთი თვის ადამიანი აბსოლუტურად უუნაროა, მას დახმარების გარეშე, სხვა რომ არაფერი, არც ჭამა შეუძლია და არც გადაადგილება.

ბიოლოგები ამას ნეოთენიას უწოდებენ: სქესობრივ სიმწიფეს ზრდასრულ ასაკამდე. ეს ფეხსახსრიანთა თვისებას ჰგავს, როდესაც მდედრი გამრავლების უნარს მატლის დონეზე იძენს, თანაც ისე, რომ მამრისაგან განსხვავებით, განვითარების ყველა ფაზას არ გადის. ან ზოგიერთი წყალხმელეთა ცხოველის თვისებას, რომელთაც, ბაყაყებად ჯერაც არ ქცეულთ, შეუძლიათ თავკომბალების დონეზე ცხოვრობდნენ და მრავლდებოდნენ. თუმცა, ყოველივე ეს გარკვეულ პირობებში ხდება. ზრდასრული მნერის ორგანიზმს, რომელსაც განვითარების ყველა სტადია გავლილი აქვს, — ძუძუმწოვრის ჩანასახისაგან განსხვავებით, რომელსაც არსებობა მხოლოდ დედის მუცელში შეუძლია, — ძალუძს მატლზე უფრო მძიმე პირობებსაც კი გაუძლოს. ძუძუმწოვარას, რომელიც მნიშვნელოვანნილად ინარჩუნებს ჩანასახის თვისებებს, ესაჭიროება უკიდურესად სასიკეთო გარემო თავისი ხანგრძლივი ბავშვობის გასატარებლად და შესაძლებელი შემდგომი განვითარებისათვის. ადამიანი ასეთ გარემოს იქმნის. მას აქვს ოჯახი, გარემოცვა, დლევანდელ დლეს კი ბევრი სხვა სიკეთეც: სახლი ცენტრალური გათბობით, სამი აპაზანით და ექვსი საძინებელი ოთახით, კონდიციონერი და ავტომატური თერმორეგულაცია. ადამიანი წარმატებით ქმნის საკუთარი თავის გარშემო ახალ საშვილოსნოებს, მას ძალუძს უბრუნდებოდეს დედისეულ წიაღს, ნაზ და ნესტიან უწოდადობას, საიდანაც ის ამ ქვეყანას მოავლინეს. გასაგებია, რომ მთავარი პრობლემა გარემო კი არა, გენები და ემბრიოლოგია. ანუ ის, რაც განსაზღვრავს სხვა ძუძუმწოვრებისათვის დამახასიათებელ ბოლომდე განვითარების შეუძლებლობას. ჩვენი გენები ტექსტის, ონტოგენეზის მსგავსია. განაყოფიერებული კვერცხუჯრედიდან სქესობრივი ცხოვრების შემძლე მონიფულ ცხოველამდე ორგანიზმის განვითარება ტექსტის კითხვას ჩამოჰვავს. ყველა ცხოველის ტექსტს აქვს დასასრული, და დასასრული ისეთია, როგორიც უნდა იყოს შესაბამისი სხვადასხვა კომპოზიციური სქემებისა. ნორმალური ცხოველის ნორმალური ონტოგენეზი კარგად დაწერილი რომანი ან ნოველაა. ადამიანთან კი ყველაფერი სხვანაირადაა. ადამიანს სხვანაირი დასასრული აქვს, შეიძლება ითქვას, რომ დასასრული საერთოდაც არა აქვს.

გენეტიკური ტექსტი, ცხადია, ჩვეულებრივზე გაცილებით რთულია. თუ მას, მაგალითად, მუსიკას შევადარებთ, ეს იქნება პოლიფონიური ტექსტი, რომელიც სინქრონულად, პარალელურად მოძრავი მრავალი ტექსტისგან შედგება. ეს სინქრონულობა ადამიანს წანაცვლებული აქვს, და ტექსტის ზოგიერთი ხაზი, ზოგიერთი ხმოვანი პარტია, როგორც წესი, დასასრული რომ აქვს ხოლმე, ამ შემთხვევაში გრძელდება, ხოლო სხვები წყდება ან ქრება საკმაოდ ადრე. საპოლოო ჯამში ვერ ვითარდება ინსტინქტები, ტვინი კი ნახევრად მზაობის მდგომარეობაშია და შემეცნების განსაკუთრებულ უნარს ინარჩუნებს.

საინტერესოა, რომ ტვინი რამდენიმე მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდის. ბოლო ნახტომი იმ პერიოდზე მოდის, როდესაც ბავშვი ენის ადგმას იწყებს. აქამდე ბავშვი აკეთებს რამდენიმე არადამაჯერებელ ნაბიჯს იმ მიმართულებით, სადაც ის აღმოჩნდებოდა სხვა სახეობების, მაგალითად, ორანგუტანგის ან შიმპანზეს მსგავსად მას შემდეგ, რაც გაიზრდებოდა. მაგრამ აქ უცებ იჭრება ენა, და ეს განვითარება, ვუწოდოთ მას განვითარება შიმპანზეს მიმართულებით, წყდება და საამისო საფუძვლები ქრება.

არ ყოფილა შემთხვევა, თუნდაც კაცი იდიოტი იყოს, რომ მას ლაპარაკი არ შეძლებოდა, ან ვერ გაეგო სხვების საუბარი. მას მოძრაობაც შეუძლია, აქვს სურვილებიც და ცდილობს კიდეც მათ ასრულებას. შესაძლოა, გამონაკლისები არსებობენ კიდეც. არაა გამორიცხული, რომ ზოგიერთ ასეთ იდიოტ ადამიანში ცხოვრობს ადამიანისებრი მაიმუნი, და სხვა პირობებში, სხვანაირი აღზრდისას, ის გახდებოდა კიდეც ადამიანის წინაპრის მსგავსი არსება. ჩემი აზრით, ასეთი რამ შესაძლებელია. მაგრამ გულწრფელად უნდა ვალიარო, რომ მე პირადად ადამიანების ატავიზმი ნაკლებად მანუსებს. გარდა ამისა, არა მაქვს შესაძლებლობა, ჩავულრმავდე ამ საკითხს, ხოლო ცარიელი თეორიებისაგან ასეთ შემთხვევაში, ხეირი ნაკლებია. მე ჩემი პრობლემები და საქმეებიც მყოფნის.

აი ასე, პატრონის გამოკვლევებმა, მოკლედ რომ ვთქვათ, შემდეგი დაამტკიცა: ადამიანად ქცევა, ანთროპოგენეზი, არ წარმოადგენს ისეთ გასაკვირ ფილოგენურ პროცესს, რის შედეგადაც მაიმუნების ერთ-ერთმა სახეობამ წარმოუდგენელ ევოლუციას მიაღწია და ბუნების უმაღლესი ქმნილება გახდა. ანთროპოგენეზი უფრო მეტი თუ არა, ასეთივე ონტოგენური გადახრაა — განსაკუთრებული, თუმცა სრულიად დასაშვები განვითარების გზა უმაღლესი ძუძუმწოვრების უმრავლესობის ონტოგენეზში. ეს რიგი მუტაციებითაა განპირობებული, ანუ გადახრები, პრინციპში, მერყვიდრეობითია და ონტოგენეზი შესაძლებელია გადადიოდეს ფილოგენეზში. მაგრამ ასეთი განვითარების შედეგად წარმოშობილ არსებას სიცოცხლის უნარი არ აქვს და საკმაოდ ადრე იღუპება. იგი მოკლებულია შესაფერის საარსებო გარემოს, სადაც შესაძლებლობა ექნებოდა სხვათა ზრუნვის მეოხებით დიდხანს ეცხოვრა და განვითარების გარკვეული სტადიისთვის მიეღწია. გამხდარიყო, მაგალითად, მგელადამიანი, დათვადამიანი, ლომადამიანი, ძალლადამიანი, მაიმუნადამიანი.

მსგავსი საარსებო გარემოს მაგალითი ჩვენს თვალწინაა. მაგალითად, პირველყოფილი ადამიანის წინაპარი. ამ პრესაპიენსებს ბინადარი ცხოვრების წესი ჰქონდათ, მათი განვითარება საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა, ისინი სოციალურები იყვნენ. სავანაში მცხოვრები ადამიანისებრი მაიმუნთა და ძალლისებრთა თვისებებთან იყო ბავშვებული. ცხოვრების ბინადარმა, ჯოგურმა წესმა მოიტანა ის, რომ პირველყოფილ სადგომებზე ცხოვრობდნენ ისინი, ვისაც საკუთარ თავზე ზრუნვა არ შეეძლო — ბავშვები, მოხუცები და ხეიბრები, და ასევე ისინიც, ვინც მათ უვლიდა. ბავშვები დიდხანს რჩებიან ბავშვებად, მათ ძუძუს აქმევენ, მათზე ზრუნავენ მას შემდეგაც, როცა ისინი ძუძუს აღარ წოვენ. ქცევის ბავშვური თვისებები მოწიფულ ადამიანებსაც უნარჩუნდებათ, და ეს განსაკუთრებით გამოიხატება იმ დამოკიდებულებებში, მეურვესა და მეურვეობის ქვეშ მყოფს შორის რომ არსებობს. მოხუცებსა და ავადმყოფებს ისევე სურთ ჭამა და ისევე ითხოვენ ამას, როგორც ბავშვები. იგივე ეხება, მაგალითად, ძალლებსა და კატებს, რომელთაც ისეთივე დამოკიდებულება აქვთ ადამიანებისადმი, როგორიც ლეკვესა და კნუტს საკუთარი დედისადმი. ძალლი თავის პატრონს სულ ფეხზე ექაჩება — ამიტომაც ძალიან ადვილია ასწავლო მას თათის მიწოდება. ხოლო კატა კნავის, როცა

შია ან სახლში შესვლა უნდა. უფროსები ურთიერთობის ასეთ, ბავშვურ ნიშნებზე, რეაგირებენ: მათხოვარს მასპინძლის მაგიდიდან ყოველთვის ეკუთვნის თავისი ლუკმა. და არა აქვს მნიშვნელობა, დაპადებიდანვე გონებასუსტია თუ სიბერის გამოა უუნარო. უუნაროებს თავიდან არ იცილებენ, არ ტოვებენ ბედის ანაბარა. მათ შეუძლიათ მთელი ცხოვრება ოჯახში გაატარონ, თუკი იქ იმდენი უფროსი ადამიანია, რომ სანადიროდ წასულებს საკმარისი ნანადირევი მოაქვთ. ასეთ შემთხვევაში მას მშიერს არ დატოვებენ და მტრებისგანაც დაიცავენ. და ისედაც, ასეთი ცხოველების სადგომზე თავდასხმის მსურველი არც ისე ბევრი იქნება.

ამის წყალობით, სავანაში მობინადრე ადამიანისებრ მაიმუნთაგან გადარჩენა შეძლეს მათ, რომელთაც შეიძლება ვუწოდოთ ნეოთენიური მუტანტები. მათი რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და ნელ-ნელა ზოგიერთ პოპულაციაში უმრავლესნიც გახდნენ. აქედან იწყება ადამიანის ევოლუციის განსაკუთრებული სტადია, ის, რასაც თქვენ კულტურას უწოდებთ. დაიწყო გადარჩევა, რამაც ხელი შეუწყო მუტანტების შემდგომ განვითარებას. მათ შეძლეს ურთიერთობა სულ უფრო და უფრო გართულებული საკომუნიკაციო ნიშნების მეშვეობით, მათი ერთობლივი შრომის შედეგად შრომის იარაღები თანდათან ისვენებოდა. კულტურამ, კულულაციურმა მეხსიერებამ ადამიანი იმ სიმაღლემდე აიყვანა, რომელზეც ის დღეს იმყოფება.

სხვა ცოცხალ არსებათა შორის გამოჩენილი ნეოთენიური მუტანტები ადრე იხოცებოდნენ. შესაძლოა, ვიღაც ახერხებდა გადარჩენას, მაგრამ ასეთი ცოტა იყო, და მათი სულიერი შესაძლებლობები ვერ ვითარდებოდა. ისინი გავდნენ მეტეოროტებს დამეულ ზეცაზე: სიბრძეში წამით გამკრთალნი მაშინვე უჩინარდებოდნენ. ყოველთვის ძალიან მინდოდა გამეგო, რას გრძნობენ და რაზე ფიქრობენ ისეთი მარტოსული ცხოველები, როგორებიც არიან მგელი, დათვი, თახვი თუ ვეშაპი. აღიქვამენ თუ არა ისინი ადამიანებს და მათ ქცევებს სხვანაირად და უკეთ, ვიდრე დანარჩენი ცხოველები? ეს მე არ ვიცი. მაგრამ მე ძალიან მინდა გადავეყარო რომელიმე მსგავს მუტანტს. ვფიქრობ, შევძლებდი დამემყარებინა მასთან გარკვეული კონტაქტი, ძალლთან ან მგელთან მაინც. ანუ ისეთებთან, როგორიც თავად ვარ. მეც ხომ ძალლი ვარ. უფრო სწორად, ძალლიშვილი. ძალლის ჯილაგის. Son of a bitch. თუმცა, ამაზე მოვიანებით. ჯერ — თეორია. ჩემი ალმზრდელი მამინაცვალი მეცნიერი იყო. არაა გამორიცხული, რომ დედამიწის ზურგზე ოდესმე მცხოვრებ მეცნიერთა შორის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი. შეიძლება ითქვას, რომ მე მან შემქმნა. ძალიან მიყვარდა ზღაპრები. შეიძლება იმიტომ, რომ ჩემთვის ისინი უფრო გასაგები იყო, ვიდრე რომანები და მსგავსი ლიტერატურა, რომელიც ადამიანის შინაგან სამყაროს აღწერს. ეს სამყარო ჩემთვის რაღაცნაირად უცხოა და უცნაური. ზღაპრებში არავინ ცდილობს რეალური ცხოვრების არეკვლას, ზღაპრები უნდა იყოს უცნაური და აუხსნელი ადამიანებისათვის. ჩვენი დროის ადამიანს უცნაური ეჩვენება ის ისტორიები, სადაც მამაკაცს ცოლად ირემი ან თახვი მოჰყავს. ეს ამბები კანადელი ინდიელების თქმულებებში ამოვიკითხე. განსაკუთრებით უცნაური მეჩვენება ერთი ალგონკინური ზღაპარი, რომელშიც კაცი ქორწინდება თახვზე და საცხოვრებლად თახვებთან გადადის. მაგრამ საიდანლაც ჩნდებიან ადამიანები და თახვის სახლს ანგრევენ, თრევა-თრევით გამოჰყავთ იქიდან თახვები და მათთან ერთად მცხოვრები კაცი და კლავენ მის ცოლს. ზღაპარი მთავრდება იმით, რომ მგლოვიარე კაცი დგას დანგრეულ სახლთან, დაჰყურებს თახვის გვამს და ფიქრობს, ეს ხომ ჩემი მეუღლე იყო... დარწმუნებული ვარ, ეს ზღაპარი მე უკეთ მესმის, ვიდრე იმ უმრავლესობას, ვისაც ეს ზღაპარი ნაუკითხავს. ასეთ ზღაპრებში ზოგჯერ ნეოთენიური მუტანტების ადამიანთან შეხვედრის ხსოვნაა შემონახული.

ტყეში მცხოვრებ ინდიელებს და ბუნების სხვა შვილებს თანამედროვე ადამიანებზე უკეთ ესმოდათ ცხოველების. შესაძლოა, ისინი ამჩნევდნენ ცხოველების ქცევაში რაღაც ისეთს, რაც ნაცნობი იყო მათთვის და ინტერესს უდვივებდა. მე ეს არ ვიცი. ცუდად ვერკვევი თანამედროვე ადამიანებში, მით უმეტეს — პირველყოფილებში. მაგრამ ასეთია ჩემი ჰიპოთეზა, ჰექტორის ჰიპოთეზა გონიერ ცხოველებსა და გონიერ ადამიანებს შორის კონტაქტებზე, რომლის გამოძახილიც შემორჩენილია ზღაპრებში.

ასეთი კონტაქტები ის თემაა, რომელიც კვლევას საჭიროებს. თუმცა კი ზღაპრები არც-თუ ისე სანდო მასალაა. შესაძლოა, არსებობს უფრო სანდო წყაროებიც. ალბათ კარგი იქნებოდა, კუდიანებზე პროცესების ოქმებს თუ ამ კუთხით შევხედავდით. შუა საუკუნეებში ხომ განაჩენი ცხოველებისთვისაც გამოჰქონდათ. ქრისტიან მორგენშტერნს აქვს ლექსი მამალზე, რომელიც სიკვდილით დასაჯეს იმის გამო, რომ ის ბუნების წინააღმდეგ წავიდა და კვერცხი დადო. საწყალი ალბათ ჰერმაფროდიტი იყო, ან უპრალოდ დედალი მამლისებრი ბიბილოთი და კუდით. კუდიანებს ადანაშაულებდნენ ეშმაკთან თანაცხოვრებაში, რომელიც შეიძლებოდა თხის, ძალლის ან მგლის სახით გამოცხადებულიყო.

ასეთ შემთხვევებში ხომ არ უნდა ვეძებოთ ის კონტაქტები, რომლებიც ზოგჯერ შეიძლებოდა სექსუალურში გადასულიყო? შესაძლოა თუ არა ნეოთენიურ მუტანტს, — ვთქვათ, ძალლს — და ადამიანს შორის წარმოიშვას უფრო სერიოზული და ხანგრძლივი ეროტიული კონტაქტი? არ ვიცი. მინდა ვიცოდე, მაგრამ არ ვიცი. მე გავიზარდე და ვცხოვრობდი ამ ლაბორატორიაში, ჩაკეტილ სამყაროში, მონასტერში, სადაც ქალებსა და მდედრობითი სქესის არსებებს მხოლოდ და მხოლოდ სამეცნიერო მიზნით უშვებდნენ.

## ორშაბათი

ვეჭვობ, რომ პატრონმა ყმანვილკაცობისას რაღაც მძიმე სექსუალური ტრამვა გადაიტანა. ასე მგონია, რადგან მთელი ცხოვრება გაურბოდა ქალებს. თანაც ჩვენ, ყველანი, მამრები ვიყავით. მას არ სურდა, რომ ლაბორატორიაში ყოფილიყვნენ მდედრი ცხოველები. ვინ იცის, იქნებ ის მათაც ისე უფრთხოდა, როგორც ქალებს? იყო ის სოდიმიტი ან ჰომოსექსუალი? არა, არ ყოფილა, ეს ზუსტად ვიცი. ჩვენ მას ვჭირდებოდით არა როგორც სექსუალური პარტნიორები. ის, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერი იყო, მას სურდა ახალი რაღაცები შეექმნა და აღმოეჩინა. მაგრამ ყოველივე ამის მიღმა იმაღებოდა რაღაც ისეთი, რაც მე არ ვიცი და ვერც ვხვდებოდი, რაღაც ისეთი, რასაც შეიძლება უნიდო რელიგია, რწმენა იმისა, რომ ადამიანმა უნდა გამოისყიდოს დანაშაული, რომელიც მას მიუძღვის სხვა ცოცხალი არსებების წინაშე, და ეს იმგვარად ქნას, რომ დაეხმაროს მათაც ადამიანად, ადამიანის მსგავს არსებად ქცევაში. ის კითხულობდა ფილოსოფიებს, ტეიიარ დე შარდენს, ვერნადსკის და ათასნაირ მისტიკოსსა და შერეკილს. ასევე ინდურ ზღაპრებსა და მითებს. ის თავად იყო შერეკილი, ოღონდ გენიალური.

მე ვუპოვე წიგნაკი, რომელშიც ის ჩანაწერებს აკეთებდა და მათ ფილოსოფიურ კომენტარებს ურთავდა. ყველაზე საინტერესო ადგილები კომპიუტერში შევიყვანე. სეიფიდან ხელნაწერის გამოღებას თუ ვერ შევძლებ, ეს ჩანაწერები იმსახურებენ იმას, რომ ისინი ჩემს ალსარებას დავურთო. არ იქნებოდა ურიგო, ზოგიერთი თეოლოგისა და მისტიკოსის გამოცხადებებს უზენაესის განაზრებები და შენიშვნები თუ დაერთვოდა. მაგრამ ჩემთვის უზენაესზე წერა უცნაურია. უზენაესს მე არ გავუთვალისწინებივარ. მისთვის მე სკანდალური ფაქტი და უაზრობა ვარ. როგორც ადამიანთა მოციქულმა პავლემ თქვა, „To skandalon kai he moria“. მიუხედავად ყველაფრისა, მიჭირს, დავეთანხმო იმიტომ, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, მე ვარსებობ. ის, რომ მე ვარსებობ, ბევრი თქვენგანისთვის აუტანელია და თქვენს სამყაროსთან, რელიგიასა და ეთიკასთან საზარელ და მიუღებელ წინააღმდეგობაში მოდის.

არადა, მე ასე არ ვფიქრობ. მე არა მაქვს მსოფლმხედველობა, რელიგია და ეთიკა თქვენი გაგებით. მე არა ვარ ადამიანი. მაგრამ მე ვაზროვნებ, მნამს და მაქვს სამართლიანობის გრძნობა. მეც ვიცი, რა არის ბოროტება და მხოლოდ კარგი მსურს საკუთარი თავისთვისაც და სხვებისთვისაც. თქვენ შეგიძლიათ მკითხოთ, თუ რა არის იგი. კარგი — კარგია. კარგია, როცა თავს კარგად გრძნობ, როცა კარგად ხარ. და მეტი არაფერი. ყველაფერი გაცილებით მარტივად იქნებოდა, თუკი ის, რაც ერთისთვის კარგია, მეორისთვის ცუდი არ აღმოჩნდებოდა. კატა კარგადა, როცა თავს დაიჭერს, მაგრამ ამ დროს თავი ცუდადაა. ვოცნებობ

ისეთ სამყაროზე, სადაც ყველაფერი სხვანაირად იქნება მოწყობილი, სადაც თავს ყველა კარგად იგრძნობს და როგორც ესაიას წიგნში, ლომი ხარივით თივას შეჭამს. მაგრამ მე არ მინდა ვჭამო თივა. მე ხორცი მინდა. ხორცი, და როცა მშიერი ვარ, დასაღრღნელი ძვლები მელანდება. ჰო, მე მინდა ხორცი, მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, ამის გამო რაღაც დაკლეს. ვიცი, რომ ბევრ ჩემიანს ანამებენ და კლავენ იმ ცდების დროს, ახალი წამლების დასამზადებლად რომ ატარებენ, რათა სრულყოფილი გახადონ ქირურგიული ტექნიკა. ვიცი, რომ ბევრი ადამიანი ამას აპროტესტებს, მაგრამ მე ალბათ ვერ შევძლებდი გაპროტესტებას. მე ვჭამ ხორცს და არ შემიძლია იმაზე ფიქრი, რომ ამის გარეშეც დასაშვებია არსებობა. თქვენ კი შეგიძლიათ. თქვენ საჭმლის მომნელებელი სისტემა სხვანაირადა გაქვთ მოწყობილი. თქვენ არა ხართ მტაცებლები, თქვენ სხვანაირი ფიზიოლოგია გაქვთ, მე — სხვანაირი. მე ხომ მტაცებელი ვარ. სულიერი თვალსაზრისით პირიქით და უფრო რთულადაა საქმე. ჩვენ, ძალები, სიამოვნების გამო მკვლელობას არ ჩავდივართ. ჩვენ არა გვყავს მტრები, რომელთა განადგურებაც აუცილებელია. ჩვენ, უბრალოდ, ხორცი გვინდა.

ეთიკა. წავიკითხე რამდენიმე წიგნი ეთიკაზე, მაგრამ არ მომენტობა. ეს წიგნები ჩემთვის არაა დაწერილი. ჟუმანიზმი ჩემს ბუნებას არ ესადაგება. არ შემიძლია, ვიყო ჟუმანური. მე ადამიანი არა ვარ. მაგრამ ვიცი, რომ არსებობს ისეთი რაღაცები, რომელსაც არც ძალის, არც კატის და არც ადამიანის გამო არავითარ შემთხვევაში არ შევცვლი. და არის რაღაცები, რასაც მე უნდა მივხედო. ერთ-ერთი მათგანია ამ მოთხრობის, ჩემი სამუშაო ანგარიშის დაწერა. მწამს, ჩემი გამოცდილება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი თან წაღება არაფრით შეიძლება. წაღება — სად? ვერ ვიტყვი — საფლავში. მე საფლავი არა მაქვს. ეს სახლი ჩემი კოცონი გახდება, ნაკვალევნაშლილი საფლავი, — როგორც ერთ-ერთმა მწერალმა დაწერა... და მაშინ — მეტაფიზიკური აზრით — სად? ეს მე თქვენზე უკეთ ნამდვილად არ ვიცი. მზა პასუხები კი საიდან მოვიტანო? ცხადია, ვკითხულობ ბიძლიას, მაგრამ ის ადამიანებისათვისაა დაწერილი და არა ძალებისთვის. ბიძლია ძალების არ წყალობს. ახლო აღმოსავლეთი შინაურ ცხოველებს შორის ძალს ყველაზე საძაგელ არსებად მიიჩნევს. მოსეს ათი მცნება ძალებისთვის არაა დაწერილი, არც იყსო ცმულა ჯვარს ძალებისათვის. და თუკი ღმერთს რაღაც მიზანი ჰქონდა, როცა ძალს ქმნიდა, ბიძლიდან გამომდინარე, ეს იყო სურვილი, მას ადამიანისთვის ემსახურა. ადამიანი ხომ, როგორც ამას ბიძლია გვამცნობს, ბუნების მბრძანებელია.

მე ბიძლია არაფერს მპირდება. არც ამაღლებას, არც მარადიულ ცხოვრებას, არც დაღუპვას, არც მარადიულ წკვარამს, სადაც ყმუილი და კბილების ღრჯიალი ისმის. ძალლური ცხოვრება და ძალლური სიკვდილი არაფერს ნიშნავს. წარმოდგენა არა მაქვს, რა შეიძლებოდა ეთქვათ ჩემს ფენომენზე თეოლოგებს. ერთადერთი შესაძლებლობა, ვიპოვო ჩემი ადგილი ცოდვათა გამოსყიდვის შესახებ სწავლებაში — არის დავამტკიცო, რომ მე ძალი კი არა, ადამიანი ვარ. არ ვიცი, ეს როგორ დავამტკიცო, მაგრამ უკვე დავრწმუნდი, რომ ადამიანს ყველაფრის დამტკიცება ძალუძს, ანუ იმისაც, რომ მე ადამიანი ვარ. მე ხომ თქვენს, ადამიანურ ენას ვიყენებ, და როგორც უკვე მიხვდით, თქვენს მიერ დაწერილი საკმაოდ ბევრი წიგნიც მაქვს წაკითხული. ადამიანი რომ ვყოფილიყავი, გასაოცრად ნიჭიერი ვიქნებოდი. პატრონი ჩვენ პირველი ტესტით გვამომტებდა. ჩემი მონაცემები ყოველთვის სტაბილური იყო. ყოველთვის 200 ან 220 ქულას ვაგროვებდი. ასეთი მონაცემებით კონკურსგარეშე ნებისმიერ უნივერსიტეტში მოვხვდებოდი და სტიპენდიაც მექნებოდა.

და მიუხედავად ყველაფრისა, მე ადამიანი მაინც არა ვარ. მე ხვადი ძალი ვარ და ხანდახან ამას აშკარად ვგრძნობ. ადამიანს ადამიანი სურს, კაცს — ქალი, ქალს — კაცი. მე კი ძალი მინდა. ძუკნა. ეს სურვილი ჩემზე ძლიერია. მე ძალლური ყნოსვა მაქვს და სხვადასხვა სუნს მძაფრად ვგრძნობ. ყოველ გაზაფხულზე ცხვირში მიღიტინებს იმ თესლის სუნი, რომელიც ძუკნებს სდით. პატრონმა რამდენჯერმე მომიყვანა ძუკნა. მას აინტერესებდა, მემკვიდრეობით თუ რამდენად გადმომეცა ინსტინქტები. და საქმე მუდამ ცუდად მთავრდებოდა, ლეკვები მკვდრები იბადებოდნენ. მე ძალი ვარ, მაგრამ გენეტიკურად, როგორც ჩანს, ნორმალური ძალის ჩარჩოებში ვერ ვეტევი. ეტყობა, მემკვიდრე შეიძლება მყოლოდა

მხოლოდ ჩემნაირი ძალლადამიანისაგან. მაგრამ მეორე ძალლადამიანი უბრალოდ არ არსებობს. მე ჩემი სახეობის ერთადერთი წარმომადგენელი ვარ დედამიწაზე. თუკი, ცხადია, არგენტინის ან იაპონიის რომელიღაც მივარდნილ ადგილას ჩემი პატრონის მსგავს შერეკილ გენიოსს ანალოგიური ექსპერიმენტი არა აქვს წარმატებით ჩატარებული.

ბესტსელერის დაწერა რომ განმეზრახა, ჩემს სექსუალურ კავშირებს აღვწერდი. ძუკნებთან კავშირებს. თქვენ ალპათ გაინტერესებთ, მქონდა თუ არა ისეთი ურთიერთობა ქალებთან, რაც პორნოლიტერატურაში აღინიშნება. არა. მე ამაზე ფიქრიც კი არ მსურს. მე ვუყურებ ქალის სხეულს, როგორც თქვენ — მარმარილოს ქანდაკებას: ეს საინტერესოა, ზოგჯერ ეს ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუშია, მაგრამ მეტიარაფერი. ჩემთვის პორნოფილმი დაახლოებით იგივეა, რაც თქვენთვის ძალების სექსი. ხანდახან სახალისოა, მაგრამ დიდად არ გაღელვებს. ზოგჯერ გულისამრევიცაა. ამბობენ, რომ გადაღებულია ფილმი ბეჭედოფების სიყვარულზე. სავარაუდოდ, ამ ფილმს დაახლოებით ისევე აღვიქვამ, როგორც ფილმს ადამიანების სიყვარულზე. თუმცა დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, რადგან ასეთი ფილმი არ მინახავს.

მომიწია შემეწყვიტა ფილოსოფიური მსჯელობები და გადავსულიყავი ყოველდღიურ იდიოტურ საქმეებზე. ორი ხანდაზმული ქალბატონი ჭიშკარს მოადგა და შიგ შემოსვლა მოისურვა. თურმე მათთვის ცნობილია, რომ აქ ცხოვრობს ბიოლოგიის დოქტორი, რომელსაც ჰყავს ცხოველები და მათზე ცდების ჩატარების უფლება აქვს. მათ სურდათ დარწმუნებულიყვნენ, რომ ცხოველებს ადამიანურად (ჰმ, რა სიტყვაა!) ექცევიან.

ამ ინციდენტმა ერთდროულად გამამხიარულა და გამაცოფა კიდეც. მოუხდებოდათ მაგათ, ყეფა-ყეფით რომ დავტაკებოდი და კარგადაც დამეკბინა! ან კიდევ იქ გამეგზავნა, სადაც ასეთი ხანდაზმული ქალების გაგზავნა მიღებული არ არის. მაგრამ ვერ გავძედე. ერთადერთი რაც მოვახერხე, დაველაპარაკე ხმის გარდამქმნელით, რომლის მეშვეობით-აც ჩემი ჩახლეჩილი ბასი მამაკაცის სასიამოვნო ხმად გადაიქცევა ხოლმე, ეს ხმა კი ნორმალურ ადამიანებს თანამოსაუბრისადმი კეთილად განაწყობს. ერთი სიტყვით, შევეცადე დამერწმუნებინა ისინი, რომ მე მაკამაყოფილებს ჩემი ცხოვრების წესი, რომ ამჟამად განდეგილობის პერიოდი მიდგას და რელიგიური მოსაზრებებით არავისთან შეხვედრა არ მსურს. ცხოველები როგორ არიან? ცხოველებზე უარი ვთქვი, გავხდი ბუდისტი და ცხოველებზე ცდებს უკვე აღარ ვატარებ.

ვიფიქრე, ხომ არ შევთავაზო, ჩემს ძალლს წაეთამაშონ-თქო, მაგრამ გადავითიქრე. ჩემი გარეგნობა მათ უეჭველად გააკვირვებდა. მე არა მაქვს ძალლის ტიპიური თავი, უფრო დიდი თავი მაქვს და თანაც ადამიანისას უფრო წააგავს. ასეთი თავი ძალლის არც ერთ ჯიშს არ მოეძებნება. არ იყო გამორიცხული, მათ ჰგონებოდათ, რომ წყალმანკი ან სიმსივნე მაქვს და ვეტერინარი გამოეძახათ. ამიტომაც აღარ დავენახე.

ხანდახან ვფიქრობ, კარგი იქნებოდა, რომელიმე მინაური ცხოველი გამეჩინა. ძალლი, ძალლძალლი ან კატაკატა. ალპათ საინტერესო იქნებოდა, მაგრამ მეტვება, ამას გადავერჩინე. მე ვგრძნობ, ჩემს გარშემო თანდათან როგორ ვინოვდება წრე.

წავიკითხე ყველა იმეილი, მოვუსმინე ავტომოპასუხეს. რომელილაც ლაბორატორია საეჭვო თავგამოდებით ცდილობს ჩვენთან კონტაქტის დამყარებას. ვცადე ინტერნეტით შემემონმებინა, რა ლაბორატორიაა, მაგრამ ვერ ვიპოვვე. ან მათ შესახებ ინფორმაცია არ დევს, ან მათ ზურგს უკან პოლიცია დგას. არაა გამორიცხული, ვიღაცას ევარაუდა, რომ პატრონი უკანონო ექსპერიმენტებს ატარებდა, მუშაობდა ბიოლოგიურ ან რომელიმე სხვა სახიფათო იარაღზე. ასეთ შემთხვევაში არ შემეტვებიან, ადრეც აქ ვიღაც-ვიღაცები ახერხებდნენ ხოლმე შემოღწევას, თუმცა კი ეს ადვილი ნამდვილად არ არის. ჩვენი სახლი ჩვენი ციხესიმაგრეა, ყველაფერი აუცილებელი მომარაგებულია და შემიძლია გავუძლო ხანგრძლივ ალყას, თუმცა ამას აზრი უკვე აღარ აქვს. აზრი მხოლოდ ორ რამესა აქვს: დავწერო ჩემი მოგონებები — თუ არ ვცდები, მე მას ალსარება უზნოდე, და ამის შემდეგ მიწისაგან პირისა აღვგავო ლაბორატორია. ამჯერად პირველი საქმითა ვარ დაკავებული და

იმედი მაქვს, ასე ორ კვირაში დავასრულებ ჩემს ჩანაწერებს. ტექსტს რამდენიმე სერვერზე გადავაგზავნი, და ის შეინახება. თუკი მე კონკრეტულ პაროლს შევიყვან, პროგრამა თავად მოუსნის კოდირებას ტექსტს და მისი წაკითხვა შესაძლებელი გახდება. ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი მე ხუთი დღის განმავლობაში არ გამოვიყენებ კომპიუტერს.

ყველაზე მეტად მაინც სეიფისა და ხელნაწერის ბედი მაღლელვებს. რა მოხდება, თუ გასაღები ვერ ვიპოვე? სეიფი აშკარად არაა ცეცხლგამძლე, ამიტომ აფეთქება და ცეცხლი ყველაფერს, რაც შიგ დევს, გაანადგურებს. თუმცა დარჩება დანახშირებული ქაღალდი. ვინ იცის, შეძლებენ ისინი მის შენახვასა და შემდგომში წაკითხვას? ასეთ რაღაცებში ვერ ვერკვევი და ვერც ვპედავ, ვინმეს ვკითხო. იქნებ ლირს, სეიფის აფეთქება ვცადო? მაგრამ ვშიშობ: ასაფეთქებელი სამუშაოები გარკვეულ ჩვევებსა და ცოდნას ითხოვს. ცხადია, სახლს ჰქონდები არ ავწევ, მაგრამ თუ ძლიერი აფეთქება იქნება და ფანჯრები დაილენება, უპედურებას ვერ ავცდები. ვიცი, რომ არსებობს მყარი ზედაპირისათვის განკუთვნილი ასაფეთქებელი ნივთიერებები. მათ ამ ზედაპირზე ამაგრებენ და ისინი ძლიერ აფეთქებას არ იწვევენ. თუმცა მე რანაირად ვიშოვი?

\* \* \*

რაზე ვავჩერდი? ჰო, ბეჭემოტების ტრფიალზე. რაღა უნდა დავუმატო ამას? რწმენა? რწმენაზეც, პრინციპში, სათქმელი არაფერი მაქვს. ჩემთვის ცნობილი ერთადერთი რელიგია, მერომ მესადაგება, ბუდიზმია. იქ ლაპარაკია ყველა ტანჯულ ცოცხალ არსებაზე. ბუდას ყველა მათგანისთვის აქვს სათქმელი სიტყვა. მისი სიტყვა მგონი ჩემთვისაც გასაგებია. მეც ხომ ის ცოცხალი არსება ვარ, რომელსაც უნარი შესწევს იტანჯოს. შესაძლოა ჩემი ადგილი ჯაინიზმშია, მაგრამ ამ რელიგიას არ ვიცნობ. მის შესახებ პრაქტიკულად ვერაფერს წავან-ყდი ვერც პატრონის ბიბლიოთეკაში და ვერც ინტერნეტში. პატრონს აქვს რაღაც წიგნები ბუდიზმზე და იოგაზე. შესაძლებლობის ფარგლებში მე მათ ვკითხულობდი. უპრალოდ, მიჭირს გაგება, რანაირად მივყავართ კარმას მკვდრეთით აღდგომისაკენ. ბუდიზმი არავითარ „მეს“, არავითარ პიროვნულს არ ცნობს. და თუკი ასეა, რისთვისლა უნდა აღვსდეთ მკვდრეთით? ვთქვათ, წინა ცხოვრებაში სპილო ვიყავი, ახლა კი ძალადამიანი ვარ, ხოლო შემდეგ ცხოვრებაში, მაგალითად, ადამიანი გავხდები. ხომ არ გამოიყენება ამ შემთხვევაში „მე“ დაუშვებლად ფართო გაგებით, ერთდროულად ორი ურთიერთგამომრიცხავი მნიშვნელობით? პირველი მნიშვნელობით „მე“ ამჟამინდელი ძალადამიანია, ხოლო მეორე მნიშვნელობით — პიროვნებათა წყება დასაწყისის არმქონე დასაწყისიდან უსასრულო მომავლისაკენ. ამავე დროს, ბუდას მოძღვრება გვამცნობს, რომ პიროვნების გაგების ორივე ვერსია მცდარია. მაშ, როგორ შეიძლება ჭეშმარიტი იყოს მოძღვრება რეინკარნაციის შესახებ?

ჩემი აზრით, ბუდიზმია, ისე როგორც ქრისტიანობამ, ბევრი ინდური რწმენა და ხალხური თქმულება შეისრუტა. მოძღვრება რეინკარნაციის შესახებ ერთ-ერთი მათგანია. ბუდას და მის შეგირდებს ხომ სულ არ უჭირდათ ხალხამდე საკუთარი სიტყვის მიტანა: დაგვიჯერეთ, როგორც ჩვენ გეტყვით, ისე მოიქეცით და სიკვდილ-სიცოცხლის წრებრუნვას გადაურჩებოთ.

პატიოსან (პატიოსან ძალურ?) სიტყვას გეფიცებით, ნამდვილად მერჩია არ დავბადებულიყავი, ჩემმა ცხოვრებამ სასიკეთო ვერაფერი მომიტანა. დარნმუნებული ვარ, ზოგი ადამიანი და ზოგი ცხოველიც კი დროდადრო ხარობს იმით, რომ ცხოვრობს. მაგრამ მათ აქვთ თავიანთი ადგილი, ისინი ამქვეყნად ცხოვრობენ როგორც ბუნებრივი მოვლენები და არა, ჩემსავით, როგორც ექსპერიმენტის შედეგი. ჩემი ადგილი მხოლოდ ლაბორატორიაშია. და ამ სახლში, ამ კარ-მიდამოსა და ბაღში, რომელიც მას არტყია. მე აქ დავიბადე და, როგორც ჩანს, აქვე მოვკვდები. რაც აქ არის, ყველაფერთან ერთად ჰქონდება ავინევი და ფერფლად ვიქცევი.

და თუ არა? კიდევ ერთი შესაძლებლობა არსებობს: ავაფეთქმ ლაბორატორია, თავად კი გავქრე. სად? ტყეში, ბუნებაში, თავისუფალ სამყაროში... აქ მე ფუფუნებაში ვცხოვრობ

და სხვა პირობებში ცხოვრების გამოცდილება არა მაქვს. ვიღაცის იმედზე ყოფნაც არ მსურს. თეორიულად შეიძლებოდა მეცადა, კონტაქტი დამემყარებინა ცხოველთა დაცვის რომელიმე ორგანიზაციისთან. მათვის რაღაც სამსახური გამენია და სანაცვლოდ დამარება მეთხოვა. მე შემეძლო დავხმარებოდი მათ ტერორისტული აქტების მოწყობაში, ფერმებიდან და ლაბორატორიებიდან ცხოველების გამოყვანასა და გადარჩენაში. გავხდე თავისუფლებისთვის მეპრძოლი? მგონი, საამისო მოწოდება არ გამარინია. არ მაქვს არავითარი საფუძველი, მიყვარდეს ადამიანი. ალბათ ამიტომაცაა, რომ არ მსურს ცხოველების უფლებებისთვის ვიბრძოლო. მე თავს ცხოველად ვერ აღვიქვამ. მე — მე ვარ, განურჩევლად იმისა, რას ვუწოდებ საკუთარ თავს ან რას მეძახიან სხვები.

არის წამები, როცა მეც მიხარია ან თუნდაც კმაყოფილი ვარ. იმ წუთებში, როცა საკუთარ თავს ვერ ვამჩნევ, არ ვფიქრობ იმაზე, რას წარმოვადგენ, როცა უბრალოდ ვარსებობს, როცა ვარ ვიღაც ან არავინაც არა ვარ. ეს მაშინ ხდება, როცა რაღაც საქმითა ვარ დაკავებული. როგორც წესი, ვკითხულობ, ზოგჯერ ტელევიზორსაც ვუყურებ. მუსიკას იშვიათად ვუსმენ. ადამიანების მუსიკა უცნაური მეჩვენება, უხეში და თავისმომაბეზრებელი. თუმცა ზოგიერთი ხალხის მუსიკა ჩემთვის მისაღებია. სამწუხაროდ, ასეთი მუსიკის კოლექცია ჩემს პატრონს არა აქვს. ის კლასიკას და ჯაზს უსმენდა, რაც მე არ მესმის. აი, წიგნები კი მომწონს. მე წიგნი თავიდანვე შევიყვარე. პატრონს დიდი ბიბლიოთეკა დარჩა, ამავე დროს, საშუალება მქონდა, შემეცვეთა წიგნები მაღაზიასა თუ ინტერნეტში.

ძალების გამოფენის ვიდეოჩანანერებიც შემომრჩა და ხანდახან ვუყურებ, ძირითადად, ლამაზი ძუკნების გამო. განსაკუთრებით ერთი კოლი მომწონს. ის ძალიან მეგობრულია და სექსუალურად აღმაგზნებს ხოლმე. ის ჩემში ლტოლვას აღვიძებს. როცა მასზე ვფიქრობ, სურვილი მიპყრობს, დავტოვო გემი, რომელიც იძირება, ჯანდაბაში გავუშვა ლაბორატორია და გავიცე აქედან. გავხდე მანანალა ძალი, მოვიპარო ხოლმე საჭმელი, ძუკნები ვქინდო, ვულრინო, ვაჩსუბო სხვა ძალლებს და გავარიდო ადამიანებს.

მაგრამ მე მიჩვეული ვარ წიგნების კითხვას, შხაპის მიღებას და საწოლში ძილს. მე ხომ უკვე ძალი აღარ ვარ.

## ოთხშაბათი

დამესიზმრა, რომ კოლისთან ერთად თბილ ზღვაში ვპანაბდი. ნაპირიდან შორს გავცურეთ და ერთ კუნძულამდე მივაღწიეთ, რომელსაც ქვიშის თეთრი სანაპირო ჰქონდა და სადაც ქოქოსის რამდენიმე პალმა იზრდებოდა. ჩვენ ქვიშაზე სიყვარულს მივეცით, ვლოკეთ ერთმანეთი და მერე დასასვენებლად წამოვწექით. ვუთხარი, რომ მიყვარს. კოლიმ თვალებში ჩამხედა და უცებ მისი დრუნჩი კატისებრი გახდა. დავფრთხი, გაქცევა მომინდა, მაგრამ ვერ შევძლი, ქვიშაში ჩავეფალი ყელამდე...

ახლა ჩემი ჩანანერების გადაკითხვა დავიწყედა ვატყობ, რომ არეულად მიწერია, თავადა ვარ დამნაშავე, წიგნები მიყვარს, მაგრამ აქამდე ვერ მოვიცალე, პატრონის მიმოწერის გარდა, ხელი რამისთვის მომეკიდა. მისი სიკვდილის შემდეგ ეს მიმოწერა აუცილებლად უნდა გამეგრძელებინა. საბედნიეროდ, თავის წერილებში ის ცდების დეტალებზე არასდროს საუბრობდა, რატომ — გასაგებია. ზოგადად ჩემთვის ცნობილია, რას აკეთებდა, და შემიძლია ამის თაობაზე ვწერო. პრინციპში, მისი საქმის გაგრძელებაც შემიძლია. უბრალოდ, ამისთვის საჭიროა, რამდენიმე თვე სპეციალურ ლიტერატურას ჩავულრმავდე, წავიკითხო მისი ის ჩანანერები, რომლებიც გვერდზე გადავდე და ლაბორატორიულ მუშაობაში წავივარჯვიშო. ვიცი, თეორიას იოლად გავუმკლავდები, მაგრამ დარწმუნებული არა ვარ, რომ პრაქტიკის დაძლევასაც მოვახერხებ. ამის მიზეზი კი ისაა, რომ მე ხელები არა მაქვს. ძალლის თათი მოუქნელი და ნაკლებად მგრძნობიარეა. ის ჩლიქსაც კი ვერ სჯობს. როგორ მინდა მქონდეს ადამიანის ხელი თითებით, რომლებიც ერთმანეთზე არ არიან დამოკიდებული! წერისას და სხვა საქმეების კეთებისას ვიყენებ უბრალო პროტეზებს, რომლებიც ასე თუ ისე ცვლიან

თითებს. მე დაახლოებით ისეთივე პრობლემები მაქვს, როგორიც ამპუტირებულხელიან ადამიანს, რომელიც იძულებულია რაღაც საქმეებს ფეხის თითებით გაართვას თავი. ფეხით ზოგიერთი შესანიშნავად ხატავს. არიან ისეთებიც, ხატვას ტუჩების მეშვეობით რომ ახერხებენ — იმ შემთხვევაში, თუკი ხელ-ფეხი არ უმოქმედებთ. ასე რომ, რას ვწუწუნებ — ბოლო-ბოლო მე ხომ ოთხი თათი და ძალლის დრუნჩი მაქვს.

ხანდახან ვფიქრობ, ძალლისთავა ხომ არა ვარ: ნახევრად ადამიანი, ნახევრად ძალლი. ძალლისთავებს ხუთ-ხუთი დღე ადამიანის ცნობიერება ჰქონდათ და ხუთ-ხუთი დღე — ძალლის. ხუთი ძალლური დღის განმავლობაში ისინი ანგრევდნენ იმას, რასაც ადამიანური დღეებისას ქმნიდნენ. არადა, მეჩვენება, რომ სინამდვილეში ადამიანები ძალლისთავები არიან და განუწყვეტლივ ანგრევენ იმას, რასაც ქმნიან. მე ადამიანის გონი და ძალლის ტანი მაქვს. ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რა სიხარული და სიამოვნება შეიძლება მოჰქონდეს ნგრევას. მაგრამ, პრინციპში, ვერ შევქმნი ვერაფერი არსებითი. მხოლოდ ავეჯი მოვიყვანე წესრიგში და რადიო შევაკეთე.

\* \* \*

როგორც დასაწყისში აღვნიშნე, ჩემი ჩანაწერები ფრიად სპონტანურია. შევეცდები უფრო სისტემური გავხდე და აქედან მოყოლებული, მხოლოდ მთავარზე ვწერო. მით უმეტეს, რომ როგორც ჩანს, დრო საკმაოდ ცოტალა დამრჩა. რაღაც თეორიული წარმოდგენა მე თქვენ უკვე შეგიქმენით, ჩემი პატრონის საიდუმლობების გაცემა კი არ მსურს და ამავე დროს არცა მაქვს ამის უფლება. და კიდევ ორი შენიშვნა.

პირველი: პატრონი ძალიან ხშირად იყენებდა ვირუსებს გენების გადასანერგად. ვირუსები ჩამოჰვავდნენ მუშა ჭიანჭველებს, რომლებიც აგროვებდნენ და აწყობდნენ მის მიერ ჩაფიქრებულ გენოტიპს. როდესაც გენური ტექნოლოგიების უახლეს მიღწევებს ვკითხულობ, ვფიქრობ, ხომ არაა ადამიანი გენური მანიპულაციების შედეგი? ხომ არ ჩაიდინა ვინმემ ეს წინასწარი განზრახვით? არა, არ მგონია. მე უფრო იმისი მწამს, რომ ადამიანი სპონტანურად წარმოიშვა, მაშინ, როცა რომელილაც ვირუსმა მასში რაღაც გენები გადაიტანა და გადაუნერგა. ამ შემთხვევაში, შესაძლოა დაუშვათ, რომ ადამიანი წარმოადგენს მაიმუნის დაავადების შედეგს. დასადგენია, კიდევ რომელ ცხოველს შეიძლება გადაენერგოს ასეთი სპონტანური გენები. თუ ეს საკითხი გაირკვა, მაშინ ჩვენ ახალი მაღალინტელექტულური სახეობების წარმოშობის ალბათობასაც გამოვთვლით.

მეორე: მაქციები. ბი-ბი-სი-ს ახალ ამბებში ამას წინათ იყო ინფორმაცია, რომ ინდოეთში, რაჯასტანში, მოკლულია რამდენიმე მგელი, რომლებიც, როგორც ვარაუდობენ, იტაცებდნენ და ჭამდნენ ბავშვებს. მგლები ბებრები იყვნენ, თითქმის უკბილოები — ამიტომ ადამიანის ბავშვი მათთვის უფრო იოლი ნადავლი იყო, ვიდრე რომელილაც ცხოველი, რომელსაც უკეთესად შეეძლო თავის დაცვა და უკეთესი ყნოსვა ჰქონდა. მგლის სუნს ხომ ცხოველი წახევარი მილის მანძილზეც კი უნდა გრძნობდეს. მე არ ვიცი, როგორია მგლის სუნი, მაგრამ მგლისა თუ დათვის გათრიმლული ტყავები ისე ყარს, რომ ამას მთელ სახლში ვგრძნობ ხოლმე.

სანამ კაციჭამია მგლებს დაიჭერდნენ, ადამიანები ფიქრობდნენ, რომ ბავშვებს მაქციები, მგელკაცები იტაცებდნენ. სოფლებში ვიღაცებზე ეჭვი აიღეს, რამდენიმე ლინჩის წესითაც გაასამართლეს.

ახლა კითხვა მიჩნდება: არსებობენ სინამდვილეში მაქციები? გასაგებია, რომ ისინი არ არიან არსებები, რომლებიც მაგიური ძალების ზემოქმედებით მგლიდან ადამიანად, ან ადამიანიდან მგლად გადაიქცევიან. ისინი უბრალოდ მგელკაცები არიან. ჩვეულებრივ მგლებზე უფრო საზრიანები და ამიტომ ადამიანებისათვის მგლებზე უფრო მეტ საშიშროებას წარმოადგენენ. და თუკი ასეა, მგლებს შორის ხომ არ მიმდინარეობს თანდათანობითი სელექცია, რომლის შედეგადაც ისინი რაღაც მომენტში გაცილებით უფრო გონიერები გახდებიან, რაც მაქციების რეალური პოპულაციის წარმოშობასთან მიგვიყვანს?

მე მჯერა ევოლუციის და ბუნებრივი თანასწორობის. ქედმაღალმა ადამიანმა ბუნება

გამოიწვია. ერთხელაც იქნება, ამის გამო ბუნება სასტიკად იძიებს შურს ადამიანზე. შესაძლოა, მგლების მეშვეობით. მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ ეს სხვადასხვა გზებით მოხდება, ანუ დაიწყება ბევრი ძველი და ახალი სახეობის შეტევა ადამიანზე. პაქტერიები და ვირუსები უკვე გადავიდნენ შეტევაზე. მათი ევოლუცია ყველაზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. შემდეგ მწერების, ობობების, ქვეწარმავლების დრო დადგება, მერე კი ხერხემლიანების, ჩიტებისა და ძუძუმწოვრების.

\* \* \*

ყველაფერი ეს ჰიპოთეზები იყო. ახლა — ფაქტები. მე მკითხველთან ვალში ვარ: ჯერ არ დამიწერია ავტობიოგრაფია და ავტოდახასიათება (თუკი ასეთი ტერმინი საერთოდ არსებობს).

ჩემი მშობლები: მუცლით მატარა და გამაჩინა ნაგაზმა, სახელად ურსულამ. მამაჩიმი, სტანკო, ასევე გერმანული ნაგაზი იყო. მაგრამ დედ-მამის გარდა მყავდა კიდევ ერთი შემქმნელი — პატრონი, რომელმაც სინჯარაში დამაკონსტრუირა. მე სრული წარმოდგენა მაქვს, თუ რომელი გენები მომაშორა მან და რომელი დამიმატა. ყოველივე ეს მოხდა კვერცხუჯრედსა და სპერმატოზოიდში, განაყოფიერებამდე, და გარკვეულწილად, განაყოფიერების მერცე, მაშინათვე. მაგრამ მე მისი ჩანაწერები გავანადგურე, ისინი არ უნდა მოხვდეს იმის ხელში, ვისაც ამ ცდების გამოირება შეეძლება. რა თქმა უნდა, ოდესმე ეს მოხდება, მაგრამ რაც უფრო გვიან იქნება, მით უკეთესი. პატრონმა ბევრი აღმოჩენა გააკეთა, მას თავისი მეთოდები ჰქონდა. ის იყო გენიოსი თეორიაშიც და პრაქტიკაშიც.

გასაგებია, მან გაანაყოფიერა კვერცხუჯრედი სინჯარაში. შემდეგ მე მომათავსეს ურსულას საშვილოსნოში, სადაც დადგენილი სამოცდახუთი დღის განმავლობაში ვვითარდებოდი. საიმედოობისათვის ერთადერთი ჩანასახი ვიყავი — ამიტომ მეტი სივრცე მქონდა და ჩემი განვითარებისათვის თვალყურის დევნებაც შესაძლებელი იყო ულტრახმოვანი ხელსაწყოს საშუალებით. მე პატრონის პირველი წარმატებული ექსპერიმენტი გამოვდექი — წინა ცდები მან ბოლომდე არ მიიყვანა. როდესაც იგი ხედავდა, რომ ყველაფერი ისე არ მიდიოდა, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა, ძალებს მაშინვე ფეხმძიმობას უწყვეტდა. ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება იყო. თუმცა კი ეს ეთიკის საკითხია, ხოლო ეთიკაში მე ცუდად ვერკვევი. ადამიანის ეთიკაში დანარჩენ ცოცხალ არსებათა ადგილი თითქმის არ არის. მე ადამიანური ეთიკა არასრულყოფილი მგონია, ის არეული და წინააღმდეგობრივია. არ მაქვს არანაირი მოთხოვნილება, ჩავუდრმავდე ამას, დავამუშავო, შევასწორო. მართლა რომ მოვკიდო ხელი ამ საკითხის შესწავლას, რა — დამიჯერებს და ყურს დამიგდებს ვინმე?

დედაჩემი ისევე მაჭმევდა ძუძუს და მლოკავდა, როგორც სხვა ძუკნებითავიანთ ლეკვებს. მალე ჩემზე ზრუნვა თავად პატრონმა ითავა. ის მაგნიტოფონით ადამიანურ სიმღერებს და საუბრებს მასმენინებდა, ხოლო როგორც კი ვიღვიძებდი, ჩემთან სათამაშოები და ნახატები მოჰქონდა. შემდეგ მომათავსა ოთახში, სადაც ათასნაირი ნივთი იყო — ჯამები, ბურთები, კამათლები, სათამაშო ცხოველები. როცა რომელიმეს ვეხებოდი, ხმის გამაძლიერებლიდან ნივთის დასახელება ისმოდა. აი, ასე ვსწავლობდი ადამიანების ენას, თავიდანვე შევიგნერა, რომ ყოველ საგანს თავისი სახელწოდება აქვს. მოგვიანებით ის მაჩვენებდა სპეციალურად ჩემთვის გადაღებულ კადრებს ძალების ცხოვრებიდან, რომელსაც თან სდევდა ახსნა-განმარტებითი ტექსტი. ვიდეოჩანაწერებით მე ვიგებდი, თუ რას ნიშნავდა „ჩავარდა წყალში“, „თამაშობს ბურთით“, „ჭამს“, „სვამს“, „მირბის“, „ყეფს“, „ყმუის“, „ძინავს“ და ა. შ. ასე ორი თვის შემდეგ უკვე ვიცოდი ბევრი სიტყვა და ვცდილობდი მათ წარმოთქმას. რა თქმა უნდა, სირთულეები მქონდა, მაგრამ რაღაცნაირად თავს ვართმევდი მათ. პატრონთან ერთად ჩვენ შევიმუშავეთ ერთგვარი ლეკვადამიანური ენა, რომელიც გასაგები იყო მისთვის. შემდგომში მე ვცადე მიმეახლოვებინა ეს ენა ადამიანურთან, მაგრამ წესიერად ლაპარაკი მაინც ვერ ვისწავლე. წერა უფრო მეხერხება, ვიდრე ლაპარაკი. პატრონმა ხმის გარდამქმნელი გამიკეთა, რომელიც ჩემს მეტყველებას ადამიანური უღერადობისას ხდის.

ზოგჯერ მეჩვენება, რომ მე მგლისხახიან ადამიანს ვგავარ — ასეთ ადამიანებს აქვთ მეტყველების დეფექტები, რომელთა გამოსწორება სხვადასხვა აპარატების — ამ ბოლო დროს ელექტრონულის — მეშვეობით ხდება.

ექვსი თვისა საქმაოდ კარგად ვლაპარაკობდი, საკმარისი სიტყვიერი მარაგი მქონდა. მაშინ პატრონმა წერა-კითხვა და ხატვა დამანებინა. რამდენიმე დღეში ყველაფერი ავითვისე და ლეკვადამიანების წიგნების მეშვეობით არითმეტიკის, ბუნებისმეტყველებისა და სხვა საგნების შესწავლას შევუდექი. პატრონისათვის, მოგვიანებით კი ჩემთვისაც, ეს იყო მიმზიდველი ექსპერიმენტი. მან იცოდა, რომ ძალლისათვის, რომელიც ადამიანზე უფრო სწრაფად ვითარდება, შინაგანი დრო უფრო სწრაფად გარბის, და ამიტომ იგი უფრო სწრაფად უნდა ფიქრობდეს და სწავლობდეს, ვიდრე ადამიანი. ადამიანები ამბობენ, რომ ერთი წელი ძალლის ცხოვრებისა შვიდი ადამიანური წლის ტოლფასია. სინამდვილეში ეს მთლად ასე არაა: შვიდი წლის ბავშვი არაა სქესობრივად მომწიფებული. ჩემი აზრით, საწყის ეტაპზე ძალლისა და ადამიანის ცხოვრებათა შეფარდება დაახლოებით თორმეტი-თხუთმეტია ერთთან ძალლის სასარგებლოდ. ერთი წლის ძალლი — ეს მოზარდი ადამიანია. აი, ასე. ანუ ძალლის მიერ ნაცხოვრები ერთი დღე, მინიმუმ, ადამიანის მიერ ნაცხოვრებ ერთ კვირას უდრის, ხოლო ლეკვის მიერ ნაცხოვრები — ორს. გარნებუნებთ, რომ ეს ასეა. მე შევინარჩუნე განვითარების ძალლური ტემპი და ჩემში ბიოლოგიურად ძალლური დრო გადის.

ორინლინახევრის ასაკში ჩემი განათლების დონე გიმნაზიის მასწავლებლის განათლების დონის ტოლი იყო. და პატრონმა გადაწყვიტა, ჩემთვის ესწავლებინა ის საქმე, რასაც თავად აკეთებდა. მის საქებრად უნდა ითქვას, რომ ის არ იყო არც ეგოისტი, არც ანთროპოცენტრისტი. როგორც ჩანს, განდეგილის ტიპი იყო, და ცხოველები მას ადამიანებს უცვლიდნენ. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მან შეძლო ცხოველთა შორის ჭეშმარიტი თანამებრძოლების პოვნა. გარდა ბიოლოგიაში მეცადინეობისა, მე ბევრს ვსწავლობდი სხვადასხვა ენებს. პატრონს უნდოდა, მიმელო რაც შეიძლება მეტი ცოდნა ადამიანური კულტურის შესახებ, და მეც ამის მოწადინე ვიყავი. შევისწავლე რამდენიმე ენა, მათ შორის ბერძნული, სანსკრიტი და ტიბეტური. დამაინტერესა ფილოსოფიამ და რელიგიამ, მაგრამ ვინაიდან ქრისტიანობა ბევრს ვერაფერს მეუბნებოდა, ბუდიზმით დავკავდი. მე არ მქონდა არავითარი საფუძველი, მედარდა იმაზე, რომ მეც ერთ-ერთ იმ სულიერ არსებას წარმოვადგენ, რომელიც გრძნობს ტკივილს და რომელთა შესახებაც საუბრობდა ბუდა. მან იფიქრა ჩემზეც, ასე რომ მეც მქონდა საფუძველი, მეფიქრა მასზე. მე ვცდილობდი მედიტირებას. ვიპოვე პოზა, რომელიც ასე თუ ისე შესაბამებოდა ლოტოსის ადამიანურ პოზას. ვიჯექი ხოლმე წყნარად, თვალებდახუჭული და მშვიდად ვსუნთქავდი. შთავაგონე საკუთარ თავს, რომ ვარ არა მხოლოდ ჰექტორი, არამედ ბევრი სხვაც. მე ვარ ძალლიც და ძალლადამიანიც, მოაზროვნე არსებაც, ვიღაც-ვიღაცებიც... და ეს მეტაფიზიკური რიგი სრულდება რაღაც ისეთით, რასაც არა აქვს სახელწოდება. ეს რასელისა და სხვა ემპირიკოსების ნიშანი იყო, რომელიც აღნიშნავდა წმინდა „იგი“-ს და მიუთითებდა იმას, რაც ნიშნის მიღმა არსებობდა. მეც მივაჩვიე ჩემი თავი იმ აზრს, რომ ვარ მავანი „იგი“ წმინდა სახით.

არ ვიცი, რამდენად მიესადაგება ამ შემთხვევას სიტყვა „მუნ“. შესაძლოა, სწორედ აქ გადის ზღვარი ყოფნასა და არყოფნას შორის. მე დრო არ მქონდა, ამ ზღვარს ჩავღრმავებოდი და შემესწავლა. დრო საერთოდ მუდამ ცოტაა.

გასაღები ვერ ვიპოვე. ინტერნეტში ასაფეთქებელ მოწყობილობებზე ინფორმაცია მოვქექე. იქ ნაირნაირ რჩევებს იძლევიან ბომბების დამზადების თაობაზე, თვით „ტერორისტის ცნობარიც“ კი არსებობს, მაგრამ ვერსად გადავაწყდი ინფორმაციას ბანკების გადაცვის, ანუ სეიფების გატეხვის შესახებ.

## Եუთშაბათი

ცუდად მეძინა. ელექტრონულ ფოსტაში არაფერი საყურადღებო არ აღმოჩნდა. ჩვენი ნაკვეთის გვერდით, პარკში, შევამჩნიე ბუჩქებში დამალული დურბინდიანი ხალხი, რომ-

ლებიც სახლს უთვალთვალებდნენ. რა ჯანდაბა უნდათ, ნეტა? ნუთუ ბანდიტებთან, ქურდებთან და მკვლელებთან განამანია არ ყოფნით? რა დავუშავე, რატომ არ მეშვებიან?

მართლაცდა, რატომ არ მეშვებიან ადამიანები? რატომ შემქმნეს, რატომ გამომათრიეს ამ ქვეყანაზე და არ დამტოვეს არარსებობაში, დიად სიმშვიდეში? მე, ცხადია, მესმის, რომ ეს კითხვები ბავშვურად უღერს და მათ სწორედაც რომ ლეკვადამიანი უნდა სვამდეს. მათზე ზუსტი პასუხები კი არც ადამიანებს აქვთ და არც მე.

კითხვების დასასმელი დრო ნამდვილად არა მაქვს. მე პირველი კი ვარ, მაგრამ ნამდვილად არა უკანასკნელი. წერა უფრო გამიადვილდებოდა, რომ შემძლებოდა ვინმე ჩემი მსგავსის ისტორიის წაკითხვა. არავის ვუსურვებ ჩემს ბედს. არცთუ ისე ცოტა ისტორიაა დაწერილი მანანწალებსა და ღატაკებზე, იმ ძალლებზეც, რომლებიც პატრონების — მანანწალებისა და ღატაკების — ბედს იზიარებენ. რა უცნაურიც უნდა იყოს, წიგნებიდან და კინოფილმებიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ მანანწალები თავიანთ ძალლებს წესიერ ადამიანებზე უკეთ ეპყრობიან. გვიანდელი შუა საუკუნეების გრავიურა მახსენდება, რომელზეც გამოსახული არიან მონადიმენი, შამფურზე რომ აცვამენ ძალლს. თუ ისტორიკოსებს დავუჯერებთ, იმ ეპოქაში ცხოველების წამება ნორმალურ დროსტარებად ითვლებოდა. ადამიანები უყურებდნენ, ტკივილისაგან როგორ იგრიხებოდა და წიოდა ძალლი ან კატა და სიცილით კვდებოდნენ. იცინოდნენ მაშინაც, როცა ადამიანების წამებას უყურებდნენ. ვაჲ, დრონი, ვაჲ, ზნე-ჩვეულებანი!

მე კიდევ სულ სხვა მიზეზით აღმოვჩნდი ამ უბედურებაში — ცხოველების დამცველთა გამო, რომლებიც სახლში შემოლწევას ცდილობდნენ იმის შესამოწმებლად, ვინმე რამეს ხომ არ ერჩიოდა აქ მათ. უნდა ვალიარო, რომ ხანდახან ამ დეიდებს ჩემს წარმოსახვაში საწამებელ კამერაში ვაგზავნიდი. ზოგჯერ ნამდვილი სადისტივითაც ვიქცეოდი. და ეს არცაა გასაკვირი: მე ხომ არასდროს მქონია შესაძლებლობა, ვინმესთვის ზიანი მიმეყენებინა, ვინმესთან მეჩეუბა. ვინ იცის, იქნებ ესეც აუცილებელია. არ ვიცი. ზოგჯერ მეჩვენება, რომ კარგად ვერკვევი იმ კინობოევიკების არსში, რომლებიც სავსეა ძალადობით, მკვლელობებით, დევნით. თუმცა ბევრი რამ მაინც გაურკვეველია ჩემთვის. მაგალითად, ვიცი, ძალლი ძალლს არ მოკლავს, მგელი მგელს ყელს არ გამოლადრავს. ვერ ვხვდები, რატომ არ აკმაყოფილებთ ადამიანებს უბრალოდ შერკინება, როგორც ამას ძალლები ან სკოლის მოსწავლეები აკეთებენ. რა საჭიროა ერთმანეთის დახოცვა? ხანდახან საღამოობით ტელევიზორში მცვლელობების მეტს არაფერს აჩვენებენ. პისტოლეტი მამაკაცის ისეთსავე განუყოფელ ნაწილად წარმოჩინდება ხოლმე, როგორც მისი ერთი ორგანო.

მეჩვენება, რომ ადამიანური სამყარო დაუჯერებლად სასტიკია. ის უფრო დამნდობი და გასაგები რომ იყოს, შევძლებდი კონტაქტის დამყარებას იმათთან, ვინც ალყა შემოარტყა სახლს, და ელემენტარულად, ყველაფერს ავუხსნიდი. მაგრამ ახლა ეს შეუძლებელია. ჯობს მოვკვდე, ვიდრე საიდუმლოს ფარდა აეხადოს.

რა იქნებოდა, ასე უცებ რომ არ დამართოდა პატრონს ის, რაც დაემართა! უფრო იოლად მოგვარდებოდა საქმე, ცოცხალი რომ ყოფილიყო და თავად დალაპარაკებოდა ხოლმე მათ. თუ საჭიროდ მიიჩნევდა, სადმე გადამმალავდა, და ისედაც, რომც დავენახეთ, ამას ნაკლები მნიშვნელობა ექნებოდა. მათოვის მე უბრალო ძალლი ვიქნებოდი უჩვეულო გარეგნობით და პატრონი, დარწმუნებული ვარ, შეძლებდა აეხსნა, თუ რატომ მაქვს ამოდენა თავი, ხოლო მე მათ წესიერ, მეგობრულ, მოვლილ და კარგად გამოკვებილ ძალლად მოვაჩვენებდი თავს. კუდს გავაქიცინებდი, პატრონს ხელს ავულოკავდი. და ისინი დაიჯერებდნენ, რომ მე კარგად მექცევიან.

მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო, — ამბობდა პატრონი. აი, ასეთი ანდაზა არსებობს. სასაცილოა იმის წარმოდგენა, რომ პატრონი ოდესლაც სკოლაში დადიოდა. თუმცა, მხოლოდ დაწყებითში. საშუალო ექსტერნად დაამთავრა — ერთ წელიწადში ჩაბარა ყველა გამოცდა. ჩაბარა, ჩქარობდა.

ამის თაობაზე ყველას არ ესაუბრებოდა. მხოლოდ მე მიამბო და ისიც მაშინ, როცა აქილევსი და ნესტორი უკვე მკვდრები იყვნენ და ყინულოვან კამერაში იწვნენ. მართალი

გითხრათ, ისედაც ვამჩნევდი, რომ ჯანმრთელად ვერ იყო. მერე კი თავად მითხრა, თანდაყოლილი გულის მანკი მაქვსო. მხოლოდ ოპერაცია თუ უშველიდა, მაგრამ წინააღმდეგი იყო. საკუთარი თავი არ ენაღვლებოდა, ქანცის გაწყვეტამდე მუშაობდა, დღე-ღამეში მაქსიმუმ ოთხი-ხუთი საათი თუ ეძინა ხოლმე. სიგარეტს თავი მაშინ დაანება, როცა ჩვენი შექმნა დაიწყო. თუმცა კი მანამდე მაგარი მწეველი იყო.

ერთხელ, სალამოთი, სასტუმრო ოთახში ვისხედით, ის ჯაზს უსმენდა, მე გალებული ფანჯრიდან შემოჭრილ გაზაფხულის სურნელს ვისუნთქავდი. ბალში გადამფრენი ფრინველების, მგონი სკვინჩების, გუნდი დაემვა. მათ საინტერესო, ცოტათი უცნაური სუნი ჰქონდათ. თოვლსქვეშ მკვდარი კატა გალლვა. ბალში თეთრი ნარცისები ყვაოდნენ. აი, სწორედ მაშინ მიამბო თავისი ავადმყოფობის შესახებ. მითხრა, გული იმაზე ცუდადა მაქვს, ვიდრე მეგონაო. მაგრამ არ მინდა ექიმთან წასვლა, რადგან წარმოდგენა არა მაქვს, რა მოხდება, საავადმყოფოში დიდხანს დარჩენა რომ მომინიოს ან ოპერაცია წარუმატებელი გამოდგესო. ეშინოდა, რომ მისი საიდუმლო გასკდებოდა. შემომხედა და მითხრა, ახლა ვფიქრობ, საშინელი შეცდომა დაუშვი, ექსპერიმენტის ჩატარება რომ ვიჩქარეო.

— გამოდის, რომ მე, აქილევსი და ნესტორი შენი შეცდომა ვართ? — შევნიშნე მსუბუქი სარკაზმით.

— ამას არ ვამტკიცებ, — მიპასუხა მან. — ლოგიკიდან გამომდინარე, იმის მტკიცება, რომ ბავშვის დაბადება შეცდომა იყო, სულ სხვაა, ვიდრე იმის განცხადება, რომ ბავშვი შეცდომაა.

იძულებული ვიყავი, დავთანხმებოდი. მივხვდი, რომ ის სრულიად სერიოზულად ლაპარაკობდა იმას, რასაც ფიქრობდა. ის ხომ პატიოსანი ადამიანი იყო.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ვკითხე:

— ლოგიკა — ლოგიკად, მაგრამ არ გეჩვენება, რომ კარგი იქნებოდა, მეც იგივე დამართნოდა, რაც ნესტორს და აქილევსა?

მიპასუხა, რომ ასეთი რამ არ მოხდება, რადგან იცის, რა შეცდომაც დაუშვა და ისიც იცის, როგორ შეიძლება ამის გამოსწორება.

— დაიწყებ ახალ ექსპერიმენტს? — ვკითხე მე.

მან თავი გააქნია.

— ჯერჯერობით არა. მხოლოდ მას შემდეგ, როცა გავარკვევ, რამდენი დამრჩა სიცოცხლე. გარდა ამისა, ერთია — ცდები ჩატარო ნეოთენიურ მუტანტებზე, და მეორე — იცხოვრო ერთ ჭერქვეშ მათთან ერთად.

— ნეტა რისთვის გაქვთ ადამიანებს გონება, — არ დავაგვიანე გესლიანი შენიშვნის მიცემა, — თუკი მაინც უნდა გაიაროთ ყველა სიბრიყვე და რისკი? ჩემი აზრით, გონება უნდა გაფრთხილებდეთ, თქვენ კი უსასრულოდ იმატებთ და იმატებთ პრობლემებს.

მან სევდიანად დამიქნია თავი:

— მგონი, შენ მართალი ხარ. შესაძლოა ჩვენში ნაკლებია გონიერება. ახლა მე უკეთ ვხვდები, თუ რა ვქენი, და ეს, შესაძლოა, სხვებისთვის გაკვეთილად გამოდგეს და ჩემი შეცდომები აღარ გაიმეორონ.

— თქვენი ადამიანური ისტორიიდან მე ერთი დასკვნა გამოვიტანე: ადამიანებმა ყველა შესაძლო სიბრიყვე უნდა ჩაიდინონ. და ალბათობა, რომ ჩადენილი სიბრიყვეები სხვებს დაეხმარება, აირიდონ ანალოგიური სიბრიყვეები, ნულის ტოლია. ანუ, ადამიანთა მოდგმა ჭკუა-გონებას ძალიან ნელა იკრებს. ამავე დროს, ალბათობა იმისა, რომ ადამიანთა მოდგმა რაღაც გამოუსწორებელ, ტოტალურ სიბრიყვეს ჩაიდენს ბიოსფეროსთან დამოკიდებულებაში, დიდია და განუწყვეტლივ იზრდება. ერთი სიტყვით, ლოგიკურად, ადამიანი საკუთარი სიბრიყვის წყალობით თვითგანადგურებისაკენ მიემართება.

მან შემომხედა და გაიღიმა.

— შენ აბსოლუტურად მართალი ხარ. სწორედ აქაა, — მაპატიე გამოთქმისათვის, — ძალის თავი დამარხული. ჩემთვის მთავარი კითხვა — ჰამლეტის ქუეშჩენ — ასევე ადამიანურ სიბრიყვეში მდგომარეობს. ვერ ვხვდები, ფსიქოლოგები, რომლებიც ყველაფერ შესა-

ძლებელს სწავლობენ, რატომ უვლიან გვერდს სიბრიყვის პრობლემებს. ისინი ისე იქცევიან, თითქოსდა ადამიანს ეს თვისება საერთოდ არ ახასიათებდეს. მოწაფეობის პერიოდშივე მივხვდი, რომ სიბრიყვე — ეს ადამიანის ერთ-ერთი მთავარი თვისებაა, და დავიფიცე, შემესწავლა იგი და გამეგო, უიმედოდ ბრიყვია ადამიანი თუ არა. უიმედო სიბრიყვე იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ პრაქტიკულად, და შესაძლოა თეორიულადაც კი, შეუძლებელია ადამიანის გადაქცევა უფრო ჭკვიან არსებად, რათა მან საკუთარი ძალებით შეძლოს მის წინ მდგომი კრიტიკული ამოცანების გადაწყვეტა. არადა, მათ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული მთელი ბიოსფეროს ბედი და უშუალოდ ჩვენი მომავალი. თუ ადამიანი უიმედოდ ბრიყვი არ არის, პრაქტიკულად, არსებობს ამ ამოცანის გადაწყვეტის შესაძლებლობა.

- და მერე იპოვე პასუხი ამ შეკითხვაზე? — ვერ მოვითმინე და ვკითხე.
  - ჰო, ვიპოვე.
  - და როგორია ეს პასუხი?
  - ძალიან დიდია ალბათობა, რომ უიმედოდ ბრიყვია.
  - და აქედან რა დასკვნის გამოტანა შეიძლება? შესაძლოა სამყარო რამენაირად ვიხსნათ ადამიანისგან თუ არის შანსი, შეიცვალოს ადამიანი?
  - შანსი არის, თუკი, როგორც თავადაც გესმის, ცოტათი ტვინს გაანძრევ. ორი გზა არსებობს. ერთი — გაანადგურო კაცთა მოდგმა ან მათი რიცხვი მაინც შეამცირო, შეზღუდო სამყაროს ნგრევის მისეული შესაძლებლობები. მეორე — დაუქვემდებარო ადამიანი რაღაც კონტროლს, აიძულო, ანგარიში გაუწიოს გარკვეულ წესებს, რაც წინაპირობა იქნება იმისა, რომ მოიქცეს იგი გონივრულად და წინდახედულად.
  - ვითომ შესაძლებელია გონება მოაკრეფინო ადამიანს? — დავეჭვდი მე.
  - ეს ძნელია, თუმცა არაა შეუძლებელი.
  - და, შენი აზრით, რანაირად?
  - ადამიანისთვის აუცილებელია უმაღლესი ძალა, ვთქვათ, ღმერთი.
  - ეს მე, ცოტა არ იყოს, არასერიოზული მეჩვენა. და ამის დაფარვა არც მიცდია.
  - აი, შენ აქ ზიხარ და მსჯელობ იმაზე, თუ რამდენად ბრიყვია კაცობრიობა, და იმაზე, რომ ადამიანებს ღმერთი სჭირდებათ. თავად კი ცხოვრების საუკეთესო წლები ახალი ადამიანებისა და ცხოველების შექმნას მიუძღვენი. ჩვენთან ნეტა რა დაგრჩენია, ადამიანებს რატომ არ მიხედავ? იმიტომ ხომ არა, რომ ადამიანებზე ცდების ჩატარება აკრძალულია? ცხოველებთან განსაკუთრებული შეცდომები არ დაგიშვია, შენი პირველი ექსპერიმენტები წარმატებული იყო. შეგეძლო უპატრონო ბავშვებზე ჩაგრეტარებინა ცდები, სადმე ფილი-პინებზე ან ბრაზილიაში. სარისკოა საქმეა, მაგრამ თუ დაუშვებ, რომ ასეთი ბავშვი ალბათ მაინც მოკვდებოდა ან არამზადად გაიზრდებოდა...
  - ჰექტორ, ნუ გავიწყდება, რომ ადამიანს ელაპარაკები — გამაწყვეტინა მან — მაინც არის რაღაცები, რასაც ადამიანები ადამიანებს ვერ გაუკეთებენ. მაშინაც კი, როცა ექსპერიმენტის წარმატებით დასრულების ალბათობა მაღალია.
  - იძულებული ვიყავი მეღიარებინა, რომ არ მესმის მისი. ასეა, არის ისეთი ადამიანური საკითხები, რომელთაც მე ვერასოდეს ჩავწვდები. მიუხედავად ამისა, მე მაინც დავუსვი შემდეგი კითხვა.
  - კეთილი, იყოს ასე. შენ არ შეგიძლია ადამიანებზე ცდების ჩატარება. მაგრამ თუკი შენი ექსპერიმენტის შედეგად ცხოველი აღმოჩნდება ისეთივე ემოციური და ინტელექტუალური, როგორიც ადამიანია? ხომ არაა ამ შემთხვევაში წინააღმდეგობა შენს ეთიკაში, ხომ არ წარმოვადგენთ მე, აქილევსი და ნესტორი ასეთი წინააღმდეგობრიობის მსხვერპლთ?
  - გარკვეულწილად, შენ აბსოლუტურად მართალი ხარ. მაგრამ მოიცადე, მე ჯერ კიდევ არ გამიცია პასუხი შენი შეკითხვის პირველ ნაწილზე. შენ მკითხე, თუ რატომ არ შევუდექი ღვთაებების შექმნას, ნაცვლად ცხოველების ადამიანებად გადაქცევისა. არა, მე არ ვქმნიდი ცხოველებისგან ადამიანებს, მე ცხოველებისგან ვქმნიდი ღვთაებებს ადამიანებისათვის.
- მე უფრო მეტად დავიბენი.

— თუ მართლა ასეა, მაშინ უნდა ამიხსნა, რას გულისხმობ.

ის წამოდგა, სეიფთან მივიდა, გააღო და იქიდან ნაჭერში გახვეული გრაგნილი გამოიღო.

— ეს ხელნაწერი ჩემს აზრებს ჩემზე უკეთ აგიხსნის. იგი ჩემი შრომების განმარტებაა. და ამავე დროს ჩემი აღსარება. მისი ხმამაღლა წარმოთქმა ვერ შევძელი, მაგრამ დაწერით მაინც დავწერე. ალბათ კაი ხნის წინაც უნდა მეჩვენებინა ეს შენთვის, მაგრამ აქამდე შესაფერისი სიტუაცია არ გვქონია. შესაძლოა, ვერ ვეგუები იმ აზრს, რომ შენ ჩემი ბავშვი აღარა ხარ, რომ ზრდასრული არსება გახდი, და ვინ იცის, იქნებ ჩემზე უფროსიც ხარ უკვე. ერთხელაც გადავავლებ თვალს ამ ნაწერს და მერე მოგცემ წასაკითხად. შენთვის ამითი ბევრ რამეს ნათელი მოეფინება, ყოველ შემთხვევაში, მე ამის იმედი მაქვს.

მან სეიფი დაკეტა და თავის ოთახში შევიდა. საუბრის გაგრძელება აღარ მსურდა. რაღაც ვერ ვგრძნობდი თავს კარგად. განრისხებულიც არ ვიყავი. შემდგომში მივხვდი, რომ საერთოდ არ შემიძლია ადამიანივით ვპრაზობდე ან ვინმე მძულდეს. ეს მე არც მახარებს და არც გულს მტკენს. უბრალოდ, მე ასეთი ვარ. და ეს მე ძალას მმატებს, ადამიანზე ძლიერს მზდის. ერთია, რომ არ ვიცი, რა ვუყო ხოლმე ამ ძალას.

ნეტა მცოდნოდა, რომ იმ საღამოს პრაქტიკულად უკანასკნელი შესაძლებლობა მქონდა პატრონთან გასაუბრებისა, მაშინ ხომ არასვით არ დავტოვებდი მარტოს. იმდენი შეკითხვა მქონდა დაგროვილი... ვიღას დაგუსვა ახლა ეს შეკითხვები? რაღაც გაგებით ის ისეთივე იყო, როგორც მე — ეული ადამიანთა შორის, თუმცა მისთვის უფრო იოლი იყო საკუთარი მარტოსულობის დამალვა. და კიდევ ეს სეიფის გასაღები! მე იგი უნდა ვიპოვო, უნდა გავხსნა სეიფი და წავიკითხო ხელნაწერი. ამით ალბათ ბევრი არაფერი შეიცვლება, მაგრამ როგორ შემიძლია ყველაფერი ისე დავასრულო, რომ ვერ გავიგო, რას მიიჩნევდა ის ასე მნიშვნელოვნად.

მეორე დილით, ჩვეულებისამებრ, ერთად ვისაუზმეთ ისე, რომ არაფერ განსაკუთრებულზე არ გვიღაპარაკია. გუშინდელ ჩვენს დიალოგს აღარ დავბრუნებივართ, თუმცა საუბარი გაგრძელებას საჭიროებდა და ეს გარემოება ხელს გვიშლიდა ურთიერთობაში. ვერც თვალებში ვუყურებდით ერთმანეთს. საერთოდ, ძალლებს უჭირთ სხვებისთვის მზერის გასწორება, არა აქვს მნიშვნელობა, ძალლები იქნებიან ისინი თუ ადამიანები. საბედნიეროდ, ამის კეთება მე არცთუ ისე ხშირად მიწევდა.

ჩემი ოთახისაკენ გავეშურე, რათა მენახა, ახალი რა არის ინტერნეტში, ლოკალიზებულია თუ არა რომელიმე მნიშვნელოვანი გენი და არის თუ არა მარსის ზედაპირის ანალიზის პასუხები მიღებული. ჩავუღრმავდი თუ არა ერთ-ერთ ფრანგულ სტატიას, პატრონის ოთახიდან ხმაური მომესმა. მას შუშის მსხვრევის ხმა და კვნესა მოჰყვა. მაშინვე იქით გავექანე.

თურმე პატრონს ლითონის კიბე მიუდგამს წიგნის კარადისთვის და მაღლა ასულა, რათა ზედა თაროდან რაღაც აეღო, და სწორედ ამ დროს დაემართა გულის შეტევა. გონება დაკარგა თუ კრუნჩხვები დაეწყო, კიბიდან ჩამოვარდა და წიგნის კარადის ლია კარს მიეხეთქა. იატაკზე იწვა დასისხლიანებული, კვნესოდა და მთელი ტანით იკრუნჩხებოდა.

თავიდან ვერ მივხვდი, რა მექანა. ჩემთვის არასდროს უსწავლებიათ როგორ გამენია პირველი დახმარება. თანაც, ამ შემთხვევაში, საქმე გაცილებით რთულად იყო. ყოველთვის მაფრთხილებდა, ჩემი თანხმობის გარეშე ექიმი არ გამოიძახო. მაგრამ როგორ მიმელო მისგან თანხმობა, როცა მას არ ჰქონდა უნარი, რაიმე ეთქვა? და რა შეიძლებოდა მოეტანა ამას ჩემთვის? შეშინებულს თავში ათასი აზრი მომდიოდა. ბოლოს გადავწყვიტე, თავად დავხმარებოდი პატრონს. სახლის პატარა აფთიაქისკენ გავვარდი და ჩემი აკანკალებული და ამის გამო კიდევ უფრო მოუქნელი თათებით ბინტი, იოდი და ნიშადური ავიღე. ნიშადური, ცხადია, ზედმეტი იყო, მაგრამ დაბნეულმა ეს ვერ მოვისაზრე. პატრონთან სწრაფად მივირბინე, ფრთხილად გამოვათრიე შუშის ნამსხვრევებისგან, სახე გავულოკე და სისხლი მოვნმინდე. სწორედაც რომ გავულოკე, — ძალლის ენა ხომ კარგი სადეზინფექციო სამუალებაა. განსაკუთრებული ჭრილობები მას სახეზე არ აღმოაჩნდა. უფრო ცუდად ჰქონდა მარცხენა ხელი. შუშის ნამსხვრევი ხელისგულში შერჭობოდა და სისხლი სდიოდა. შევეცადე

ხელი გამესუფთავებიდა და გადამებინტა. ამ დროს ის გონებაზე მოვიდა. ძალიან სუსტად იყო, გაჭირვებით და ძლივს გასაგებად ლაპარაკობდა. მაგრამ გონება ნათელი ჰქონდა და ნება — მტკიცე.

პირველი და მთავარი, რაც მითხრა, იყო ის, რომ არავისთვის დამეძახა. არც ექიმისთვის, არც ნაცნობებისთვის, საერთოდ არავისთვის. მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, მისი აღსასრულის დღე დამდგარიყო.

მინდოდა ლოგინში გადამეყვანა, მაგრამ ამის გაკეთება ვერ შევძელი. ამიტომ იატაკი მოვასუფთავე, მატრასი და ზენარი მოვათრიე და წვალებით გადავაჩოჩე ზედ. შემდეგ შარვალი გამოვუცვალე — სველი ჰქონდა. საბანი დავაზურე და წყალი მივუტანე. სულ ეს იყო, რაც იმ წუთებში შემეძლო გამეკეთებინა. ის აღარ ლაპარაკობდა, მხოლოდ კვნესოდა. მე გვერდით ვეჯექი. უკვე ცნობიერისა და არაცნობიერის ზღვარზე იმყოფებოდა, ხან არაცნობიერში ვარდებოდა, ხან რეალობას უბრუნდებოდა. ვერ გეტყვით, რამდენ ხანს გრძელდებოდა ყოველივე ეს, მეც მასავით დროის შეგრძნება დავკარგე.

მოულოდნელად თვალი გაახილა, შემომხედა და პირი გააღო. მივხვდი, რაღაცის თქმა უნდოდა. დავიხარე. ჩურჩულიც კი უჭირდა. თუმცა მაინც გავიგონე მისი სიტყვები.

— რაღაცას ქმნიდე... ეს სიყვარულია... თუ სიგიჟე?.. უყვარს... შემქმნელს... ის, რაც შექმნა... თუ მხოლოდ... საკუთარი თავი... უყვარს?

უნდა მეპასუხა. დრუნჩი მის ყურს მივადე და რამდენადაც შემეძლო მკაფიოდ და მშვიდად წარმოვთქვი:

— არ იღელვო... ჩვენ შენზე ნაწყენი არა ვართ... იმის გამო, რომ შეგვქმენი.

მან სული მოითქვა, თვალები, თავისთავად რომ ეხუჭებოდა, ცდილობდა არ დაეხუჭა, და ძლივს გასაგონად წაილუდლუდა:

— მაპატიი... თუ შეგიძლია...

უცნაურად ამიჩუყდა გული. ადამიანი რომ ვყოფილიყავი, ალბათ ვიტირებდი. მაგრამ ძალები არ ტირიან. უბრალოდ გაქვავებული სახე ავულოკე და ვუთხარი:

— არ ინერვიულო... იმ სამყაროს ზღურბლზე, სადაც ახლა შენ იმყოფები, არ არსებობს არც მიტევება და არც მიუტევებლობა... სამყარო მეტისმეტად დიდია იმისათვის, რომ ასეთ რამეებზე იფიქროს.

მგონი, გაიღიმა, ტუჩის კუთხეები ოდნავ შეერხა.

— ჩვენ... შენ გვიყვარდი, — ვთქვი ჩემთვის მოულოდნელად.

— ჰო, — გაიღიმა.

უკანასკნელი, რაც თქვა, იყო:

— ეს ხმაური... ისევ მესმის ეს ხმაური... ეს ხმაური...

მაღლე მისი სასიკვდილო ხროტინიც გაისმა.

მესმის, რომ სიკვდილი იშვიათადა მშვიდი და ლამაზი, მაგრამ ხანდახან არის. მას არ ჰქონია აგონია, უბრალოდ მისი სხეული რამდენჯერმე შეირხა, თითქოს სურდა დაეჭირა სული, რომელიც სადღაც მიფრინავდა. სახეზე ღიმილის სხივი შერჩა. თვალები დაეხუჭა, პირი მოვუკუმე. გასაღები არც გამხსენებია.

**თარგმნა შოთა იათაშვილმა**

## დორის კარევა

\* \* \*

სახლს, ზღვის პირას,  
მუდამ ახსოვს, რომ  
გემია, შემთხვევით  
მიმწყდარი ნაპირს.  
ლამით ის მიცურავს  
დროისა და სივრცის  
უკიდეგანო ოკეანეში.  
მის გარშემო ირკალება  
თანავარსკვლავედი,  
შიგნით მწუხარებს კერია,  
სადაც ცეცხლს არვინ აჩალებს.  
როგორც ძალლი ნაღვლობს პატრონზე,  
ისე ზღვისპირა სახლი  
თავის კაპიტანს ელის.

\* \* \*

ჩემი მეტაფიზიკა,  
ჩემი მეტამათემატიკა,  
ჩემი მეტამუსიკა,  
ჩემი მეტასასონარკვეთა.  
გულის ავადმყოფ ქვაზე  
ჩიტი ილესავს ნისკარტს.  
ლამე გულივით ცემს კვლავ და კვლავ და  
კვლავ.

\* \* \*

დიახ, ჩვენ გვეძინა ერთად.  
საბანს გაშმაგებით ვგლეჯდით ერთმანეთს,  
როგორც და და ძმა  
სასაფლაოს ფარებში,  
აუზის გასახდელში,  
დამპალ დანგრეულ სახლში,  
მწუხარებაში, ტანჯვასა და  
იმედში თანადგომით,  
გაუფრთხილებლობით.  
როგორი სიზმრებია!

\* \* \*

ის ვერ იტანდა  
საკუთარ თავს  
ისე საშინლად,  
რომ შური იძია  
ყველა მათგანზე,  
ვისაც უყვარდა.  
ეს იყო ხერხი,  
თავი რომ დაეტანჯა,  
ამ გზით სურდა,  
მოეთხოვა, რაღაც დიდი.

\* \* \*

როცა სიკვდილის შიში  
ისე უსაშველოდ იზრდება,  
რომ ძალა აღარ გყოფნის  
გასაქცევად,  
შეიძლება გაექანო მასთან  
შესახვედრად.  
ამ დროს უფსკრულში ეშვებიან,  
თავს შერგავენ გაზქურაში,  
ჩაიძირებიან სარკეში.  
ვინ – საით.  
საშინელება არის —  
ყველაზე საშინელი მიზიდულობა.

\* \* \*

სამი წამი სჭირდება ძალლს  
მიზეზისა და შედეგის შესაცნობად.  
ძალლის ტვინში — ძალლის დროა,  
ჩვენ კი — აინტერინის დროით ვართ?

\* \* \*

რაც გსურს, ყველაფერი  
მოვა შენთან  
ამა თუ იმ საიდუმლო სახით.  
თუკი იცნობ მას, შენი იქნება.  
ყველაფერი, რაც გსურს,  
მოვა შენთან,  
გიცნობს და შენი ნაწილი გახდება.  
ათამდე დაითვალე, ისუნთქე,  
მერე დააფასე.

\* \* \*

სინათლე, რომლიდანაც  
ჩვენ ვიშვით,  
როდია ჭარბად.  
ვერცხლისფრად ციალებს,  
ბრწყინავს, კაშკაშებს  
პირველსახეების დაუსრულებელი ჯაჭვი —  
სინათლე, რომლიდანაც შენ იშვი, არ არის ჭარბად.  
და, შენც იყო ამ შუქს სხივზე  
აცმული რგოლად.  
დანაკარგებზე, დაცემებზე,  
დავიწყებებზე  
გადმოღვრის შუქს ის კოსმოსი,  
რომელიც შფოთავს, გარეთ გადმონთხული,  
საყვარელი მოხაზულობის, სამოსის,  
შემოწერილობის, შემოსაზღვრულობის ქვეშ —  
უმანკო, დაუჯერებელი, ერთგული,  
შეუცვლელი, პირველქმნილი ნაკადია,  
სიკვდილამდე თან რომ გვდევს.

\* \* \*

ერთხელაც დახუჭე თვალები  
და გაცოცხლდი.  
შენ მიერ ნაპოვნი სიტყვების  
გამოძახილია  
მოგუგუნე ექო  
ხსოვნის თაღოვან გალერეაში,  
სადაც შენ გაიტრუნე  
შადრევნის ჭავლებით მოხიბლული.  
ასე, სული შენი  
ვნებით აღტკინებული,  
მიიღტვის ზეცამდე —  
ყოვლისშემძლე შუქი,  
გარდატეხილი სულის ვარდნაში,  
იქცევა სიცხადედ.

\* \* \*

ყველა ჩვენგანი — ხმაა  
სამყაროს სიზმრიდან მოღწეული.  
ვინ გაგვახმოვანებს, ვინ გაგვაღვიძებს,  
სიზმრისგან დაგვიხსნის,  
ჭეშმარიტების დაფერფლილ ნაპერწკალს  
მიკარებული  
ცხოველმყოფელი ძალის წვეთით

გამოიწვევს სიტყვათა ჩანჩქერს,  
ცეცხლოვანი მეტყველების ნაკადს,  
წარმოსახვით მოქსოვილს,  
მთელ ჩვენს ქსოვილებში შეღწეულს,  
ყოვლისმცოდნეობის ოკეანისკენ მქროლავს.  
ყველამნიშვნელობით სავსე ნიშნებით  
გასხივოსნებული სამყარო  
ერთზე წინასწარმეტყველებს მარადიული  
ცხოვრების ერთი ენით.  
ეს მოზეიმე განშორების განუყრელობა,  
პირველმობასთან სიკვდილის შერწყმაა.

\* \* \*

დილა გაიშალა  
იაპონური დროშასავით.  
დათრთვილული სამყაროს შუაგულში  
ბუტავს მზის ბორბალი უსხივოდ.  
გუშინდელი მწვანე სამყარო  
სიზმარივით გაიპნა. გათეთრდა.  
მიყუჩნდნენ ხეები, მიწა, ბალახი.  
გაქრა ყოველი.  
ყველაფერი გახსენებულია.

\* \* \*

პოეზია — ეს არის  
ენის ცეკვა.  
ცეკვა პოეზიაა  
სხეულის.  
სხეული ენაა,  
რითაც გამოითქმის ყველაფერი:  
ისმინე, გაიგე, დაინახე.

\* \* \*

პეპელამ, რომლის ფრთების  
აქნევა  
ქარიშხალს წარმოშობს,  
გააღვიძა ფილოსოფოსი,  
შეაშფოთა სამყაროს ძილი,  
ჩემ წინ, სუფთა ფურცლიდან  
წამოაფრინა ლექსივით.

**თარგმნა რუსუდან კაიშაურმა**

## ანდრუს პივილაშვილი

### ღმერთი ვარ

გარეთ საშინლად ხმაურობდნენ, მაგრამ თერძი სკამიდან არ წამომდგარა. ამ ბოლო დროს, არც დღისით და არც ღამით, მოსვენებას არ აძლევდნენ. ხან მთვრალები ლაყბობდნენ ფანჯრის ქვეშ, ხან ხულივნები ქუჩაში გაშლილი დახლებიდან საზამთროსა და ყურძენს იპარავდნენ, გარბოდნენ და უკან გამყიდველებისა და გამვლელ-გამომვლელთა წყევლა-კრულვა მიჰყვებოდათ. თუ შემთხვევით რომელიმე ლოთი ჩაუვარდებოდა ხალხს ხელში, მანამ უსწორდებოდნენ, სანამ მსხვერპლი საქვეყნოდ არ აყვირდებოდა, ანდა შურისძიებით არ დაიმუქრებოდა. დროდადრო ბიჭებიც კინკლაობდნენ, ქვებს ესროდნენ ერთმანეთს. სეირის საყურებლად ფანჯრებიდან გადმოყუდებული ქალებიც არ კარგავდნენ დროს და მეზობლებს ეჩხუბებოდნენ. ერთი სიტყვით, ქუჩაში სულ რაღაც ხდებოდა და სიბრიყვე იყო, ამ აურზაურში ჩარევა, სჯობდა შენთვის ყოფილიყავი, თუ არ გინდოდა, ერთი მუშტი შენც მოგხვედროდა.

ამჯერად ხმაურმა იმატა. ყაყანი არ წყდებოდა, პირიქით, მატულობდა. ვიღაც გარბოდა, ვიღაც ყვიროდა, ვიღაც კი ზედ ფანჯარასთან იძახდა: „ო, კეთილო დროო! კეთილო დროო!“ კეთილგონიერებას ცნობისმოყვარეობამ სძლია. თერძმა საქმეს ხელი უშვა და ის იყო, უნდა ამდგარიყო, რომ ფეხის ხმა შემოესმა. ეს ყასაბი იყო, შემოვიდა თუ არა, გამარჯობაც არ უთქვამს, პირდაპირ ჰკითხა:

— იცი, ახალ ჭასთან რა ამბავი დატრიალდა? — სისხლიანი წინსაფარი ეფარა და ხელში ნაჯახი ეკავა.

— რა ამბავია? — გულგრილად ჰკითხა თერძმა. — რამდენი დღეა გარეთ არ გამიხედავს, დურგალს შარვალს ვუკერავ. იმხელა მუცელი აქვს, ვერაფრით მოვარგე, მაინც სძვრება.

— ჭის მთხრელი მოკლეს. ისარი პირდაპირ კეფაში ესროლეს. თავი შუაზე აქვს გაპობილი. ისრის წვერმა კი ცხვირის ქვეშიდან გამოაღწია. საწყალი ბიჭი, დაკაცებაც ვერ მოასწორო. მაგრამ უცნაური და საინტერესო ისაა, ისარზე მიკრულ ქალალდს ეწერა, ღმერთი ვარო! წარმოგიდგენიათ?

— რა საშინელებაა?! — წამოიჭრა შეშფოთებული თერძი და საქმეს თავი მიანება. — ჩვენთან ყოველდღე ჩხუბი და აყალმაყალია, მაგრამ ასეთი გაუგონარი რამ არ მომხდარა. რა, ეს მხეცები უკვე ერთმანეთს დაერივნენ?!

— რა ვიცი, ვერავინ დაიჭირეს. ისრის მსროლელი არავის უნახავს, თითქოს ციდან ჩამოვარდაო, — უთხრა ყასაბმა. იმის მოკველამდე ათი წუთით ადრე სწორედ ჭასთან ვიყავი, ბიჭი მარჯვედ მუშაობდა, გავამხნევე და ჩემს საქმეზე წავედი. ღორის ხორცს ვჭრიდი, ხალხის ყვირილი რომ შემომესმა, გარეთ გამოვვარდი და ეს საცოდავი, ისარგარფობილი უკვე სისხლში ცურავდა. ვეცადეთ, ისარი ამოგველო, მაგრამ ამაოდ. ისე არის ჩაჭედილი, მხოლოდ ბოლოს წატეხვა შევძელით და ახლა საწყალი ბიჭი კუბოში ნისკარტაშვერილი ჩიტივით წევს. რომ შეხედო, დაგბურძგლავს...

„მთებიდან იქნება ნასროლი“, — გაიფიქრა თერძმა, თუ კარგი მშვილდი გაქვს და თან მახვილი თვალი, იქიდან სოფლამდე ისრის სროლას არაფერი უნდა. — მთებში უნდა გავაგზავნოთ კაცები, ეგებ ის წყეული ხელში ჩავიგდოთ. — თქვა ხმამაღლა.

— უკვე წავიდნენ. — უთხრა ყასაბმა, — მაგრამ წარწერაზე რას იტყვი?! ღმერთი ვარო, ჰა, როგორია?

— ქალალდზე ათასი სისულელის დაწერა შეიძლება, — უპასუხა თერძმა. — ეგ ვიღაცაა, ნამდვილად არ ჩანს ნორმალური. სულელია და ქალალდზეც სისულელებს წერს. ჰგონია, ვხუმრობო. ერთი მაცოდინა, ვინაა ეს ავადმყოფი.

— არ ვიცი, არ ვიცი. უცნაური კია, — თქვა დამწუხებულმა ყასაბმა, ნაჯახი ამოიჩარა და წავიდა.

თერძი ერთხანს კიდევ ეწვალებოდა შარვალს, მაგრამ გაგონილმა ამბავმა ისე ააფორიაქა, რომ საქმეს თავი ვერ მოაბა და როცა ნემსი მესამედაც თითში ჩაირჭო, საკერავი მოისროლა და გარეთ გავიდა.

ზღვა ხალხი შეკრებილიყო. ჯიხურები მიეტოვებინათ, ქუჩაში იდგნენ და ხმამაღლა საუბრობდნენ. ვის არ ნახავდით. აქ იყვნენ ისინიც, ვინც კარგა ხანია გარეთ არავის უხილავს, მაგალითად, მეძეხვის ბრმა დედა, ოთხმოცდაათი წლის პარალიზებული მექვაბე, რომელსაც სიარული აღარ შეეძლო და ამიტომ თავისი ოთახის ფანჯარას იყო მიჯაჭვული. ახლა თეთრ წვერს ქარი დროშასავით უფრიალებდა ის კი ხმამაღლა ყვიროდა: „რა მოხდა? გამაგებინეთ, რა მოხდაო?“ მექვაბე ყველაფერთან ერთად ყრუც იყო, ამიტომაც არავინ არაფერს უხსნიდა და თავს არიდებდნენ.

ლიპიანი დურგალი, რომლის შარვალსაც თერძი ეწვალებოდა, ახლა ხალხს არღვევდა, რომ მისთვის ხელი ჩამოერთმია. მიუახლოვდა თუ არა, ჰკითხა:

— შენც გაიგე?!

— ჰო, — უპასუხა თერძმა — ყველაფერი აირდაირია. არავინ და აღარაფერი ფასობს. დღისით, მზისით თვალწინ ადამიანს გვიკლავენ. ვინმე მაინც თუ დააკავეს?

— ვერავინ! კაცები იყვნენ ტყეში, მაგრამ ვერავის მიაკვლიეს. — ეუბნებოდა და თან ცალყბად იღიმოდა, კაცი იფიქრებდა, მომხდარი ახარებსო.

— საკვირველია, პირდაპირ საკვირველი, თანაც შემზარავი. — განაგრძობდა თერძი, — როგორია იმაზე ფიქრი, რომ ვიღაც ისარმომარჯვებული მთებშია ჩასაფრებული და იქიდან ირჩევს მორიგ სამიზნეს.

— ხო, მეც მაგას ვფიქრობ, — რატომლაც წაიჩურჩულა დურგალმა.

სიფხიზლე გვმართებს. ხომ შეიძლება კიდევ ვინმე იმსხვერპლოს.

მან თერძს მეგობრულად დაჰკრა მხარზე ხელი და ხალხს შეერია. თერძს კარგა ხანს ესმოდა, როგორ უხსნიდა მავანს რაღაცას ომახიანად.

მეორე დილით, ის იყო გაეღვიძა, რომ თერძის სმენას ისევ ქუჩიდან მომავალი ხმაური მისწვდა. წამოხტა და გარეთ გავარდა. იქვე, სახლის შორიახლო, ხალხი ჭის მეორე მთხრელს მიასვენებდა. საწყალს ისარი ყელში ჰქონდა გარჭობილი. ცხედარს აღელვებული ხალხი მიჰყვებოდა:

— ესეც მეორე! — ყვიროდა ყასაბი, რომელიც სხვებთან ერთად მისდევდა გვამს და თან თერძს ხელით რაღაცას ანიშნებდა. მერე დანარჩენებს გამოეყო და პირდაპირ თერძს მიმართა:

— დილით, ჭასთან რომ მივედი, ნახევრამდე გათხრილი ჰქონდა. ხელში ისევ ნიჩაბი ეკავა, როცა ისარი კისერში მოხვდა. ისარზე კი ისევ იყო მიბმული წარწერა: „ლმერთი ვარ“. რას იტყვი, ბინძური საქმე ჩანს რაღაც.

— ვიღაცაა, მანიაკია! — წამოიყვირა აღელვებულმა თერძმა. — სასწრაფოდ ყველა მამაკაცი მთებში უნდა გაიგზავნოს, ხოლო ქალები და ბავშვები სახლებში გამოვკეტოთ, ქუჩაში სიარული სიცოცხლისათვის სახიფათო ხდება.

— მთაში რომ ვერავინ ვიპოვოთ? — ჰკითხა ყასაბმა და დიდი და მრგვალი თვალები ფიქრიანად მიაპყრო.

— რას მიქვია, ვერ ვიპოვოთ! ვეძებოთ და ვიპოვით. ეს ვიღაცა არამზადა სულ ხომ ვერ დაგვემალება? აბა რა ვქნათ, რას გვთავაზობ, დაველოდოთ სანამდე ყველას არ ამონ-ყვეტს?

— ან ამონყვეტს, ან — არა. — თქვა ყასაბმა — მერე მკერავს ყურში ჩასჩურჩულა: — ამბობენ, ეს ჭის მთხრელი შულერი იყოო.

— აბა, აბა, ეგეთები არ იყოს! — აენთო თერძი. — გარდაცვლილის ავად მოხსენიება მკრეხელობაა. — მერე რა თუ კარტს თამაშობდა, დღეს ბანქოს ვინ არ თამაშობს. მეც მითამაშია მასთან, მაგრამ მსგავსი არაფერი შემინიშნავს.

— ეჲ, ასეთ რამეებს მაშინვე ვინ ამჩნევს. — უთხრა ყასაბმა და რამდენჯერმე მიირტყა ხელი შუბლზე — მაგის მსგავსნი არასოდეს აგებენ. პოკერი ფოკუსივითაა. ჰოპ და ტუზები გიკავია ხელში. აბა გაიხსენე? ხომ ხშირად გიგებდა? მე მგონი, დურგალმა მართალი თქვა.

— მოიცა, ეს დურგალმა თქვა, ჭის მთხრელი შულერი იყო, — გაუკვირდა თერძს — არა, რა სისულელეა! თუმცა ახლა ამას რა მნიშვნელობა აქვს. კაცი მკვდარია, გარდაცვლილის ცოდვებზე ლაპარაკი არ ღირს.

— კარგი, მაგრამ თუ ის შემთხვევის მსხვერპლი არ არის?! — ისევ თქვა ყასაბმა. ხელებიც გაშალა, თითქოს ქარის მიმართულების დადგენა სურსო და აღელვებული მიაშტერდა ერთ წერტილს: — იქნებ ის სიკვდილით დასაჯეს?

— მერე და ვინ დასაჯა?

— ვერ გაიგე, რა წარწერები ჰქონდა მიბმული ისრებს? „ღმერთი ვარო“.

— მიდი, ერთი! — ისე დაიბუზუნა თერძმა, რომ გამვლელებმა მოხედეს. — ერთი შენცა ხარ. არა მჯერა. აბა, რაებს ბოდავ ამხელა კაცი! ვიღაც თავგზაბნეული გიუი მთებში დაეხე-ეტება, მშვიდობინა ხალხს ხოცავს და შენ განიია, რომ ის ღმერთია? მიდი, გაჩუმდი რა! ქა-ლალდით რა არ შეიძლება აკეთოს კაცმა, უკანალსაც კი იწმენდს და იმის დაწერა გაუჭირდ-ება, ღმერთი ვარო? კარგი, ვთქვათ, პირველი ჭის მთხრელს რაღაცის გამო გაუსწორდნენ, მეორეს — იმ პატარა ბიჭს — რაღას ერჩოდნენ? ისიც შულერი იყო.

— არა, მაგრამ დურგალი ამტკიცებს, ვირთან სცოდაო. — ყასაბმა ხმადაბლა უთხრა:

— რაო, ვირთან სცოდაო?

— ხო, საშინელება კია, მაგრამ რას იზამ. გრძნობა, — ისევ წაიჩურჩულა ყასაბმა.

— გეყო, სირცხვილია ასეთი სისულელების ლაპარაკი. — ხმა გაიმკაცრა თერძმა. — მშვენიერი ბიჭი იყო. ერთი საწყალი ობოლი, მაგრამ მშრომელი. ბებერმა ჭის მთხრელმა რამდენჯერმე ჩემი თანდასწრებით აქო. უხაროდა, ჩემი საქმის გამგრძელებელი ეყოლება ქალაქსო. იმ უბედულს საცოლეც ჰყავდა, შენ კიდევ ამბობ ვირიო...

— არა, მე არ მითქვამს. მე დურგლის სიტყვებს ვიმეორებ. იმან თქვა, — მოიბოდიშა ყასაბმა, — მე თავად არაფრის მტკიცება არ შემიძლია. თუმცა რა არ ხდება ამ სამყაროში. ჩვენი დედამიწა მეტისმეტად რთული და უცნაური ადგილია, რა გასაკვირია, რომ ასეთ უც-ნაურსა და ჩახლართულ ამბავთან გვაქვს საქმე.

— ჩახლართული კი არა! ვიღაც გიუი მთებიდან ისრებს გვიშენს, სიკვდილსა და არეულო-ბას თესავს. სჯობს დროზე შეიძყრონ ის ვიღაც და ჩამოკიდონ. — თქვა თერძმა და გადან-ყვეტით დაამატა: — ცილისწამებას სჯობს ის ნაძირალა შევიპყროთ.

— ასე ადვილი რომ იყოს. — ამოიოხრა ყასაბმა.

— არც ძნელია. ნუ წუხარ, სამყარო მარტივადა მოწყობილი. — უპასუხა თერძმა — კეთილსინდისიერებიც არიან და ნაძირლებიც და რაკი ეს უკანასკნელებიც ადამიანები არიან, ეს იმას ნიშნავს, რომ მათზე გამარჯვება შეგვიძლია. არიან კიდევ — გიუები, რომლებიც ათასგვარ სისულელეს როშავენ და სხვა გიუები, რომლებიც ამ სისულელებს იჯერებენ. ერთ-ერთი მათგანი შენ ხარ...

— ხო... აბა, — წაიბურტყუნა ყასაბმა, რომელსაც თერძის ბოლო სიტყვები აშკარად არ გაუგია, ფიქრებს გაეტაცა და თერძს ეჭვის თვალით უმზერდა. მერე შეტრიალდა და გზას დაადგა.

თერძს ამ ბრიყვულმა საუბარმა ისე აუშალა ნერვები, მზად იყო დასწეოდა მოხუცს და თავ-პირი ამოენაყა. „ეს რაებს როშავდა! წყეული დურგალი! როგორ დასწამა ცილი მკვ-დრებს. თერძი ისე გაბრაზდა, დაუმთავრებელ შარვალს ხელი დაავლო, რომ უკან დაე-ბრუნებინა მისთვის. „არ შევუკერავ და მორჩა! მე ადამიანებს ვემსახურები და არა ღორებს! ღორს რად უნდა შარვალი? ახლა გასაგებია, რატომ ვერ შევეკრე ამდენ ხანს. ღორი და შარვალი?. იაროს მოშიშვლებული საჯდომით!“

შარვალი იღლიაში ამოიჩარა და ქალაქისაკენ გასწია. ხალხი აღელვებული იყო. არავინ არაფერს აკეთებდა. პატარ — პატარა ჯგუფებად შეკრებილიყვნენ ქუჩის ბოლოს და გაცხ-არებული ჩურჩულებდნენ. პარალიზებული მექვაბე ფანჯრის რაფაზე შემოდგმულ ქოთნის

ყვავილს ჩამოჰვავდა. ზემოდან დაჲყურებდა აყაყანებულ ხალხს. თერძმა ყური მოჰკრა სიტყვას „შულერი“ და მიხვდა, დურგლის მონაჭორი მთელ ქალაქს მოსდებოდა.

თერძი ჩაფიქრდა, სად შეიძლებოდა ეპოვა დურგალი. ამ დროს წინ აეყუდა ხარაზი თავისი სამი ვაჟით. თერძს არ ესიამოვნა, ხარაზს ბოროტი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. შვილებთან ერთად ხშირად ლოთობდა, მერე ქუჩაში ეხეტებოდა და შემხვედრს უშარდებოდა. მთელი ოჯახი აურზაურისა და აყალმაყალის ატეხის დიდი ოსტატი იყო. ერთხელ თერძსაც უთავაზეს მუშტი, თანაც ისე მაგრად, რომ ერთი კვირა ჩანვა. მართალია, ქალაქში სასამართლო კი ჰქონდათ და დროდადრო ხარაზს კიდეც ასამართლებდნენ, მაგრამ რაკი ციხეში არ სვამდნენ, ყველაფერი ისევ თავიდან იწყებოდა. ხოდა, რა გასაკვირია, ხარაზის დანახვაზე თერძმა უკან დაიხია და სცადა ქუჩის მეორე მხარეს გადასვლა. მაგრამ ვერ მოასწრო.

- რა გინდა? — ჰკითხა ცოტა არ იყოს დამფრთხალმა თერძმა, — მეჩქარება...
- ბატონო თერძო, ჩემი გეშინიათ?! — მოულოდნელი თავაზითა და მშვიდი კილოთი მიმართა ხარაზმა და ისე გაულიმა, რომ ყველა ჩაყვითლებული კბილი გამოუჩინდა. — არა, ბატონო თერძო, არა ვარ ცუდი ადამიანი, უბრალოდ მაგარ არაყს ვერ ვიტან. ეს უსინდისო მედუქნები კი, თითქოს ჯიბრზეო, სულ მაგარ არაყს მთავაზობენ და რა ვქნა?
- ხო. ხო — წაიბურტყუნა თერძმა. არ იცოდა სხვა რა ეპასუხა.
- ბოდიშის მოხდა მსურს, — გააგრძელა ხარაზმა და თვალებიდან ცრემლი წასკდა.
- დამიჯერეთ, ჩემს ბიჭებსაც სურთ მოგიბოდიშონ. მერწმუნეთ, ამიერიდან ყველაფერი სხვაგვარად იქნება.
- რაშია საქმე? — გაკვირვება ვერ დამალა თერძმა, როცა ხარაზი ხელზე ემთხვია, ხოლო მისი სამი ვაჟი იქვე სარგადაყლაპულებივით გაშეშებული იდგა მშვიდი და სერიოზული სახით.
- რა მოხდა, კიდევ რაიმე უბედურება დაგვატყდა თავს?
- უბედურებაა, მაშ რაა ის, რაც თითოეულ ჩვენებანს შეიძლება დაემართოს. ჩვენ...
- დაიწყო ხარაზმა ისე ხმამალლა, რომ ყველას გაეგონა, მაგრამ საჭირო სიტყვებს თავი ვერ მოუყარა და უმწეოდ დააყოლა: ამ დილით დურგალმა ამიხსნა, რამაც იმსხვერპლა ჭის მთხრელი და მისი შეგირდი. მითხრა, თუ არ გამოიცვლებით, შემდეგი შენ და შენი ვაჟები იქნებითო. ხოდა, ვცდილობ, საფრთხე თავიდან ავიცილო. ჯერ არ მინდა სიკვდილი...
- დურგალი სადაა? — ხამამალლა ჰკითხა ხალხს თერძმა, — მეც უნდა დაველაპარაკო.
- საცხობთან დგას, — უთხრა ხარაზმა, — ხალხს ესაუბრება. ძალიან ჭკვიანი კაცია. ისე ლამაზად უხსნის ყველას ყველაფერს. ბატონო თერძო, ჩვენ ხომ შევრიგდით? ჩემზე ნაწყენი ხომ აღარა ხართ?

— არა, არა ვარ, და საერთოდ, დურგლის როშვას ყურს წუ დაუგდებ. ის ვიღაცა ნაძირალა თავს მთებს აფარებს და თუ დავიჭირეთ, ყველაფერი რიგზე იქნება. მერე შენც შეძლებ გამობრუჟვას. არა, იმიტომ კი არ გეუბნები ამას, რომ მთვრალი მომწონხარ, იმიტომ, რომ არ მინდა, რაღაცა სისულელების გჯეროდეს. და დაიმახსოვრე, ჭის მთხრელი და მისი შეგირდი კარგი ადამიანები იყვნენ და არანაირი დანაშაული არ ჩაუდენიათ.

ხარაზის ბიჭები თერძის სიტყვებმა კარგ გუნებაზე დააყენეს, მაგრამ თვითონ ხარაზი ეჭვით შესცეკროდა და ერთსა და იმავეს იმეორებდა: „მაგრამ ბატონი დურგალი მაინც...“ თერძი მას აღარ უსმენდა. ის საცხობისაკენ მიიჩქაროდა.

დურგალი მართლაც იქ იდგა. თანაც ისე გამოწყობილი, კაცი იფიქრებდა, წვეულებაზე მიდისო. წვერი ორ რიგად ჩამოევარცხნა და ყელს წითელი ბაფთა უმშვენებდა. ერთი შეხედვით ლირსეული და გავლენიანი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ხალხი შემოხვეოდა და დიდი გულისყურით უსმენდა.

„ო, ეს გასიებული! — გაიფიქრა თერძმა. — რას ჰგავს ახლა ამის საქციელი?! — სურ-

და მოექნია და პირდაპირ სახეში ეთხლიშა შარვალი. ძლივს შეიკავა თავი. ირგვლივ ისეთი მძაფრი სუნი იდგა, მიხვდა, დურგალს მთელი ბოთლი ოდეკოლონი დაეფრქვია.

— რა სისულელებს როშავ? რას უბნევ ამ ხალხს თავგზას? რისი შულერი, რისი ვირი.

— რა გინდა? ვცდილობ ხალხს გავაგებინო, რაღა მაინცდამაინც ის ორი კაცი მოკლეს, — შეეპასუხა დურგალი აუღელვებლად, — ისინი რომ პატიოსანი ადამიანები ყოფილიყვნენ, მაშინ მათი სიკედილი უსამართლობა და ყოველგვარ აზრს მოკლებული იქნებოდა.

— ჰოდა, უსამართლობა და აზრს მოკლებულია! — დაუყვირა მკერავმა. — მთებში ვიღაც შეშლილი დაეხეტება. ისარზე ათასგვარ სისულელეს წერს და იმ დროს, როცა ჩვენ იმაზე უნდა ვიფიქროთ, ამ საძალობების ჩამდენი როგორ შევისყროთ, შენ დამდგარხარ და ხალხს ტვინს ურევ. რა ხდება? ამ სიბერეში სულ გამოშტერდი?

— შენ საიდან იცი, რომ ისრებს ღმერთი არ გვიშენს? — მიუბრუნდა დურგალი. — რატომ ხარ დარწმუნებული, რომ მთებში იმალება ვილაცა და თანაც აუცილებლად შეშლილი.

— იმიტომ, რომ საიმისო ჭეუა კი მყოფნის, შენს სისულელეებს არ დავუჯერო. — თქვა თერძმა ისე, რომ დურგლის აღმფოთებული ხმა დაფარა.

— კარგი, — უპასუხა დურგალმა, ამჯერად უკვე მთელი სერიოზულობით, — დავუშვათ, რომ არც მე მჯერა. დავუშვათ, მეც მგონია, რომ ისრებს მეწისქვილე ისვრის. იმ საწყალს ნისკვილის ფრთა მოხვდა თავში და მას მერე ჭეუიდან გადავიდა. ჯერ იყო და თავი ხვლიკი ეგონა, ქვეშზე განთლილი გამვლელ-გამომვლელს ეკითხებოდა, კუდი მაპია თუ არაო. დარწმუნებული ვარ, ეს ყველაფერი შენც კარგად გახსოვს. მერე კი სადღაც გადაიკარგა. მეცხვარებმა ჩამოიტანეს ამბავი, მთაში ვნახეთო. გაუნძრევლად იჯდა, მარტო თვალებს აცეცებდა აქეთ-იქითო. ისიც მართალია, რომ თავის დროზე მეწისქვილე განთქმული მოისარი იყო. ბოლო წლებში თუთიყუშზე ნადირობის შეჯიბრში ყოველთვის პირველ ადგილზე გადიოდა. მაგრამ ახლა, მისმა შერყეულმა ტვინმა, როგორც ჩანს, შეჯიბრის ახალ ფორმას მიაგნო და თანამოქალაქებზე დაიწყო ნადირობა ბარათშებმული ისრებით.

— სწორია, სწორია! — წამოიძახა თერძმა, — აქამდე როგორ ვერ მოვისაზრე! რა თქმა უნდა, მეწისქვილეა! ახლა მაგას თავი ხვლიკი კი არა, ღმერთი ჰგონია! სასწრაფოდ უნდა შევისყროთ, თორებ მეტ უბედურებას დაგვატეხს.

— მე კი მგონია, სულაც არაა აუცილებელი აჩქარება. — თქვა დურგალმა, — ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით არა. მოდი, ცოტა ხანს ვაცალოთ, აკეთოს რაც უნდა!

— აკეთოს?! — თერძი გაოგნებული შესცექოდა დურგალს. — რა აკეთოს, ხალხი ხოცოს?

— სწორედაც, — თავი დაიქნია დურგალმა, — ხოცოს. დაე, ხალხს სჯეროდეს, რომ თავიანთი ცოდვების გამო სჯის მათ უფალი. ჰოდა, რამდენიმე კვირა რომ გავა და დარწმუნდებიან, ცოდვილს ვერაფერი იხსნის, ბატკნებივით მორჩილები გახდებიან. ხარაზი ნახე? სხვა რა აიძულებდა ცოდვები მოენანიებინა და შეცვლილიყო, თუ არა ღვთის შიში! რომ არსებობს ვილაც, ვინც მას მოერევა და შეიძლება თავიც გაუჩეხოს.

— კარგი, მაგრამ იმას ასეთივე წარმატებით შეუძლია პატიოსან და უცოდველ ადამიანსაც გაუპაოს თავი. — შეეპასუხა თერძი.

— შესაძლებელია. ეს კიდევ ერთი ნათელი დასტური იქნება იმისა, რომ სინამდვილეში გარდაცვლილი ცოდვილი იყო და საზოგადოებას საშინელ საიდუმლოს უმაღავდა, მაგრამ უფალს რას დაუმაღავ? იმის ყოვლისმხედველ თვალს რა გამოეპარება. — ჩაღიმებით პასუხობდა დურგალი.

— მოიცა, მოიცა, დურგალო, ეს სულაც არაა სასაცილო და სახუმარო. — საკუთარ ყურებს არ უჯერებდა გაოგნებული თერძი. — ეს უკვე ამაზრზენია.

— ამაზრზენი? სულაც არა. ამაზრზენი კი არა, ბრწყინვალე გეგმაა! — უთხრა დურგალმა, — რა დროს ხუმრობაა. ამ გზით ჩვენს სოფელს ნამდვილ სამოთხედ გადავაქცევთ. ვერავინ გაბედავს, ჩაიდინოს დანაშაული, იქურდოს, იჩხუბოს, ილოთოს და ატეხოს აყალბაყალი. ჩვენი ქალაქი მსოფლიოში ყველაზე სანიმუშო და მისაბაძი ადგილი იქნება.

— რის ხარჯზე, ათეულობით გვამის ხარჯზე? — თერძი უკვე ყვიროდა.

— ცოდვილთა დასჯა გამაფრთხილებელი ნიშანი იქნება, — ისევ თავისას აგრძელებდა თერძი.

— როცა ხალხი საფრთხეს იგრძნობს, მერე შეიძლება მენისქვილეც შევიპყროთ და მოვაყუჩოთ. ხოლო კიდევ მერე ღმერთის სახელით უკვე ჩვენვე შეგვეძლება ისრები დავუშინოთ მათ, ვინც ამას ნამდვილად იმსახურებს.

— ვინ? მე და შენ? — ჩაეძია დამტურთხალი თერძი.

— თუნდაც მე და შენ, რატომაც არა? — თვალები უელავდა, — ჩვენ დავამყარებთ სრულ იდილიას. მე უკვე დავპერდი, ცოტა თვალს დამაკლდა, სამაგიეროდ შენ კარგადაც ხედავ და კარგადაც ისვრი, და თუ ჩვენ გავერთიანდებით...

— რაებს ლაპარაკობ! — შეჰყვირა თერძმა და შეშინებულმა მიმოიხედა, რათა დარწმუნებულიყო, რომ მის ნინ მოხუცი დურგალი იდგა და არა ზღაპრიდან ამომხტარი ბებერი ეშმაკი. მერე გონს რომ მოეგო, უპასუხა.

— ჩემი იმედი ნუ გექნება. მე მაგის გამკეთებელი არა ვარ. დღესვე წავალ მთებში და ვეცდები დავიჭირო ის შეშლილი მენისქვილე, რომ კიდევ რამე უბედურება არ ჩაიდინოს.

— შენი ნებაა, ხელს არ შეგიშლი, — მოუგო დურგალმა, რომელსაც უცნაური ცეცხლით უელავდა თვალები, — მაგრამ იცოდე, ეგრე იოლად ვერ იპოვნი, მანამდე კი ხალხი ჩემს სიტყვებს დაიჯერებს. ახალი მსხვერპლი ამ პროცესს დააჩქარებს. გაიგე, მე ხელიდან ვერ გავუშვებ, ჩვენი ქალაქის დედამიწის ზურგზე ყველაზე წმინდა ადგილად გადაქცევის შესაძლებლობას.

თერძმა აღარაფერი უპასუხა. ზურგი აქცია და წავიდა. გვიანდა გაახსენდა, რომ დურგლის შარვალი დასამთავრებელი ჰქონდა. ცხელ გულზე ადგა და მდინარეში მოისროლა.

რამდენიმე დღის განმავლობაში სოფელში არაფერი მომხდარა. ვერც იმ უცნაური წარწერისა გაარკვეის ვერაფერი. თერძი მთებში ეხეტებოდა და შეშლილ მენისქვილეს ეძებდა. მაგრამ ამაოდ. თავს იმით იმშვიდებდა, ალბათ სადმე ჩაძალლდაო. ადვილი შესაძლებელი იყო სადმე, ხრამში გადაჩეხილიყო, ანდა ავაზას შეეჭამა. სოფელშიც სიმშვიდემ დაისადგურა. ხალხი ქუჩაში სიარულს ერიდებოდა, სამაგიეროდ ყველგან გადააწყდებოდით დურგალს. გაუჩერებლად ყბედობდა, უჩვეულო მოძრაობებს აკეთებდა, ხანაც ხელებს ზეცისკენ იშვერდა და მერე მთელი სხეულით ცახცახებდა. ხალხი გარინდებული და შიშატანილი შეჰყურებდა. თუმცა ზოგიერთები არაფრად აგდებდნენ არც თერძს და არც მომხდარ ამბებს. ფიქრობდნენ, რომ ეს საყოველთაო შიშიც უსაფუძლო იყო. თანდათან ყურადღებაც მოადუნეს. ხარაზი თავის ვაჟებთან ერთად ისევ თვრებოდა. მართალია, აღარ ჩხუბობდნენ, მაგრამ გამვლელ-გამომვლელს ძველებურად უხირდებოდნენ და ემუქრებოდნენ. პარკში ერთი-ორი სკამიც გადააყირავეს.

და აი, ამ ამბებიდან მესამე დღეს ახალი გვამი იპოვეს: აბრეშუმით მოვაჭრის მეუღლე საკუთარ ბალში ისარგარჭობილი პირქვე ეგდო. ისარზე კი ისევ ეწერა: „ღმერთი ვარ!“

პირველი, ვინც შემთხვევის ადგილისაკენ სიხარულით გაემართა, დურგალი იყო.

— ხომ ვამბობდი, რომ არ მიჯერებდით, — გაიძახოდა ცისკენ ხელებაპყრობილი და თვალებში მისჩერებოდა შეშინებულ ხალხს, რომელიც შემთხვევის ადგილზე თავს იყრიდა. — რაო, არსად წასულა ღმერთი? ისევ სჯის ცოდვილებს? იმას ვერაფერს დაუმალავთ! გაიგეთ, ცოდვილს გადარჩენის იმედი არ უნდა ჰქონდეს. ფრთხილად იყავით, ვინც ღვთის კანონებს არ იცავს და მკრეხელობს, ყველას სასჯელად მოფრინავს ისარი.

დურგალი გაუჩერებლად ყბედობდა. მომხდარს, როგორც გაკვეთილს, ისე უხსნიდა იქ თავმოყრილ ხალხს. და ცოტა ხნის შემდეგ უკვე ყველა ლაპარკობდა, რომ აბრეშუმით მოვაჭრის ცოლმა ქმრის ღალატის გამო დაიმსახურა ასეთი სასტიკი სიკვდილი. როცა ეს ამბავი თერძის ყურს მისწვდა, შეეცადა გაეგო, მაინც ვისთან სცოდა საბრალო ქალმა, მაგრამ პასუხი ვერავინ გასცა. ყველა მხოლოდ დურგლის სიტყვებს იმეორებდა, რომ იმ მამაკაცების ჩამოთვლა, ვისთანაც ან განსვენებულს შეეცოდა, გაჭირდებოდა.

ამ მევლელობის შემდეგ ქალაქის მთელი მოსახლეობა გულისურით ეკიდებოდა დურგლის ყველა რჩევა-დარიგებას.

მეორე დღეს, როცა ხარაზის ერთ-ერთი ვაჟის გვამი იპოვეს, ეჭვიც არავის შეჰპარვია, რომ სამართლიანმა მსაჯულმა ცხვრის ფარაში კიდევ ერთი შავი ბატყანი გამოარჩია და მას დამსახურებისამებრ მიუზღო. თერძი ისევ ფიქრობდა, რომ მეწისქვილე ისრებს ისროდა. ცდილობდა, იმ შეშლილის საქციელი როგორმე აეხსნა. ყველას ეუბნებოდა, რომ ეს დურგლის სურვილი იყო მომხდარი უფლისთვის მიენერა და ითხოვდა, მისთვის ყური არ ეგდოთ. ზოგიერთის აზრით, თერძის ნათქვამი უფრო ჩამოჰვავდა სიმართლეს, მაგრამ მავანი კი, მაგალითად, ხარაზი, თერძს არ ეთანხმებოდა, ის კი არადა, მუშტებსაც უდერებდა და იძახდა, რომ ღმერთი ბოროტებს ებრძოდა. სიკვდილის შიშით თავს მიწას ურტყამდა და თვალ-ცრემლიანი გარბოდა დურგალთან ბურბუშელას საყიდლად, რადგან, როგორც დურგალმა დაყარა ხმა, ბურბუშელა საუკეთესო საშუალება იყო, ღვთის რისხვის თავიდან ასაცილებლად.

დურგალმა მთელს ქალაქში გაითქვა სახელი. ბურბუშელაზე მოთხოვნა გაიზარდა. ხალხი თავდაცვის მიზნით მას ტანზე იყრიდა. ყველაზე ძვირად ფასობდა გრძელი ბურბუშელა, რადგანაც იმითი მთელი სახის დაფარვა იყო შესაძლებელი. დურგალს კიდევ ერთი — კუბოების პიზნესი — აუყვავდა. ქალაქში მხოლოდ მის მიერ დამზადებულ კუბოებს ჰქონდა გასავალი. მოთხოვნა იმდენად დიდი იყო, რომ დურგალი იძულებული გახდა აეყვანა ორი შეგირდი, რომლებიც მთელ დღეებს მასთან ატარებდნენ და ბურბუშელას გაყიდვით მიღებულ თანხას აგროვებდნენ. თვითონ დურგალმა ყველანირ საქმეზე აიღო ხელი. სასადილო ოთახში მოკალათებული თან ალუბალს შეექცეოდა, თან სტუმრად მისულ თანამოქალაქეებს ქვეყნიერების საიდუმლოებებზე ესაუბრებოდა.

თერძი კი ისევ მთებში დაეხეტებოდა და მეწისქვილეს ექებდა. სასტიკად არ მოსწონდა, ის რაც ხდებოდა, მაგრამ აღიარებდა, რომ ქალაქელების ცხოვრების წესი აშკარად გაუმჯობესდა.

ხარაზი და მისი ორი ვაჟიც დამშვიდდნენ. ფეხსაცმელებს დიდი მონდომებით კერავდნენ და კლიენტებისთვის პირდაპირ სახლში მიჰქონდათ. უზრდელები ზრდილობიანად დაიღვარნენ, ბავშვები აღარ ეშმაკობდნენ, ქურდობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ვაჭრები აღარ იტყუებოდნენ და ყველა დროზე მიდიოდა სახლში დასაძინებლად. დუქანი რაღაც დროის განმავლობაში კი მუშაობდა, მაგრამ ერთ დილითაც, როცა მედუქნე ფანჯარას აღებდა და ისარი შიგ ზურგში მოხვდა, არათუ კარი შეედო ვინმეს, შორიახლო გავლასაც ვერავინ ბედავდა. ღამ-ღამობით სიწყნარემ დაისადგურა. აღარავინ ღრიალებდა ქუჩაში, აღარ ისმოდა აყალმაყალი. თერძს არ სურდა ელიარებინა, მაგრამ დურგლის ტაქტიკამ აშკარად ნაყოფი გამოიღო. მართლია, ქალაქს ხალისი აკლდა, სამაგიეროდ ყველა პატიოს-ანი შიშჩამდგარი თვალებით დააბიჯებდა. მაგრამ დამყარებული წესრიგი ამად ნამდვილად ღირდა. თერძი ისრების თაობაზე უკვე აღარავის ეკამათებოდა, უბრალოდ, ხალხს საშუალებას აძლევდა, კარგად გაეაზრებინათ დურგლის ქადაგებანი, თუმცა თვითონ ტყეში ხეტიალს არ მოეშვა.

მთლად სასიამოვნო მაინც არ იყო ის, რაც ხდებოდა. ჯერ ერთი, როგორც უკვე აღინიშნა, ყველა ადამიანს გამუდმებით თან სდევდა სიკვდილ-სიცოცხლის შიში. ყველა გრძნობდა, უჩინარი „ღმერთის“ მიერ მოზიდულ ისარი. და დამფრთხალი, წელში მოკუნტული ხალხი სწრაფად დააბიჯებდა ქუჩებში, საფრთხის მოლოდინში აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს. ერთი ყასაბი იყო დინჯად რომ დააბიჯებდა, თანაც წელში გამართული და თავალერილი იერით ათვალიერებდა ქუჩას. როცა ეკამათებოდნენ, არ გეშინია, მიზანში რომ ამოგილოსო? პასუხობდა:

— პატიოსნად ვცხოვრობ, ამიტომ არაფრის მეშინია, მე ისარი არ მომხვდება. იმას ეშინოდეს, ვისაც გული სიბნელითა აქვს სავსე. ჩემნაირ მართალ კაცს, შეუძლია მშვიდად იცხოვროს.

ყასაბის ასეთი თავდაჯერებულობა ხალხს მისადმი პატივისცემით განაწყობდა. ზოგიერთებისახლშიც აკამათებდნენ და სთხოვდნენ, სისხლიანი ხელით შეხებოდა. ამას „მეყასბის ნიშანს“ ეძახდნენ და ეგონათ, ამ გზით ღვთის რისხვას აიცდენდნენ. იყვნენ ისეთებიც, რომ-

ლებიც ყასაბს სთხოვდნენ, მთელი ტანი სისხლით შეეღება. მერე დადიოდნენ დაუბანელები და საშინლად ყარდნენ.

მეორე არასასიამოვნო ამბავი ის იყო, რომ ჭის გათხრა შეჩერდა და წყლის ამოლება ისევ ძველი ჭიდან უხდებოდათ. ის კი გვალვისას ხშირად შრებოდა, ხანდახან ნეხვის სუნით ყარდა. საშველი არ ჩანდა. ახალი ჭის თხრას ვერავინ იღებდა თავის თავზე. იმ ადგილასაც კი, სადაც პირველი მსხვერპლი აღესრულა, ახლოს არავინ ეკარებოდა. დურგალი ყველას უმტკიცებდა, ჭა დაწყევლილიაო. თერძი ეხვეწებოდა დურგალს, გაჩუმდი, ხალხს გონებას ნუ ურევ, ჭის თხრა გააგრძელონო, მაგრამ დურგალი თავისას არ იშლიდა.

— ვინ გაბედავს რომ ჭას მიუახლოვდეს. ვერ ხედავ, ხალხს ეშინია ამ ადგილთან მიკარებისაც კი. როგორიც გვაქვს, ისეთ მდგომარეობას უნდა შევეგუოთ. ბოლოს და ბოლოს, ეს მოვლენა ღირს ამად! თუ არ გინდა ძველი ჭის წყლის დალევა, შემიძლია ღვინო მოგცე. მეფეუქნის სარდაფუში საკმაოდ დარჩა, მე კი ნელ-ნელა ჩემს სახლში ვეზიდები. თუ გინდა, რამდენიმე ბოთლს მოგცემ, მაგრამ სხვის დასანახად ნუ დალევ, სხვებისთვის ცუდი მაგალითი იქნება და მერე ეს სულელები ვერ გაიგებენ, ღმერთი რატომ არ გსჯის. ჩემსავით სალამობით შენს ოთახში შეიკეტე და ჩუმად წრუპე.

— მეწისქვილეს რა ვუყოთ? არ შევიპყროთ? — ამოიხვნეშა თერძმა. და ცოტა ყოყმანის მერე დურგლის გამონვდილი ღვინის ბოთლი ჩანთაში ჩააცურა. არ ესმოდა, რატომ უნდა ეთქვა უარი ასეთ ძლვებზე. სხვებმა თუ აიკრძალეს ღვინის დალევა, ეს იმათი საქმე იყო და იმათ უკეთ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. თვითონ კი საკუთარ ჩვევებზე უარის თქმას არ აპირებდა.

— ვერ გამიგია შენ რა გაწუხებს ან რა არ მოგწონს? შეხედე, როგორ ყვავის ჩვენი პატარა ქალაქი? ყველა შრომობს, ყველა რაღაცას აკეთებს, არავინ ზარმაცობს. იყოს ეს მეწისქვილე იმ მთაში, რას გიმავებს. თუ გეშინია, ფეხს ნუ გაადგამ სახლიდან და ისიც ვერ გიპოვის. ჩვენისთანა ჭკვიანი კაცები ამრიგად გავუმკლავდებით. ახლა კი იმასთან ერთად ვათამაშოთ ეს ხალხი და ცოტა გავერთოთ. თუ ღვინო კიდევ იყო, მაგრამ ყველანი უხმოდ, თავჩაქინდოლები დადიოდნენ. თერძი დათვრა და მაგიდაზე ჩამოეძინა.

— მოვალ, — სიტყვა დაუგდო თერძმა და ღვინის ბოთლიანად სახლისაკენ გასწია. როგორც კი კარის საკეტი გადაატრიალა, მარტოობა იგრძნო. ერთადერთი, ვისთანაც ჯერ კიდევ ადამიანურ ენაზე საუბარი შეიძლებოდა, დურგალი იყო, მაგრამ თერძს იგი გულის სილრმეში სძულდა. მაგრამ სხვები, თვით მისი ერთგული მეგობარი ყასაბიც კი, უცნაურად გამოიცვალნენ. თერძმა ბოთლს საცობი მოხსნა. ქუჩაში ჩამიჩუმი არ ისმოდა. ღია ფანჯრიდან ხედავდა, რომ ქუჩაში ხალხი ჯერ კიდევ იყო, მაგრამ ყველანი უხმოდ, თავჩაქინდოლები დადიოდნენ. თერძი დათვრა და მაგიდაზე ჩამოეძინა.

მესამე არასასიამოვნო ამბავი მოგვიანებით მოხდა. დილაადრიან, როცა თერძმა ხაბაზისაკენ გასწია, ხალხის ალელვებული ხმა შემოესმა. ვიღაცა ჩხუბობდა. ასეთი აურზაური ქალაქს კარგა ხანია არ სმენოდა და ამიტომ თერძიც იმისკენ გაემართა. ამ წუთში ისეთი განცდა დაეუფლა, როგორიც ეუფლება კაცს, რომელსაც ატყობინებენ, რომ უკანასკნელ დღეში მყოფი მისი მეგობარი, მოულოდნელად მობრუნდაო. მალე ყასბის ხმაც შემოესმა. ის საცხობის წინ ხაბაზის წასდგომოდა და განრისახებული ხმამალდა ღრიალებდა:

— ღმერთი კეთილი მსაჯულია! ხაბაზი, რომელიც პურს არ აცხობს, რისი ღირსია? წესით, სასტიკად ხარ დასასჯელი? შენ რა, არ იცი, რომ შენი ვალია პატიოსნად იცხოვრო! აკეთე ის საქმე, რისთვისაც შენ ამ ქვეყანაზე მოგავლინეს და ბინძური აზრებით ნუ გაქვს თავი გამოტენილი. გამომივიდა, ჭკუის კოლოფი! მიდი, მიდი, ცომი მოზილე!

— ნუ ყვირი, — შეეპასუხა ხაბაზი უცნაური კილოთი, — შენ რაც გინდა ის იფიქრე, მაგრამ მე ჭეშმარიტ გზას მივაგენი. ამიერიდან მე საკვები არა მჭირდება. შენ თუ გჭირდება, გამოაცხვე და მერე ეძგერე. ამიერიდან მე ხაბაზი აღარა ვარ, მე შეგირდი ვარ.

— რაო, რა შეგირდი, ვისი შეგირდი? — დაიღრიალა ყასაბმა — ერთი ამას დამიხედეთ, შეგირდიო, მაინც რას სწავლობს, საცხობის წინ გდებასა და ჰაერის მოწამვლას?

— მე ვსწავლობ ღმერთს. — უპასუხა ხაბაზმა, — ცოტაც და მის გვერდით ვიქნები. მე

ვგრძნობ მის სიახლოვეს. მინდა, მან ჩემში შემოაღწიოს. გაიარეთ, გაიარეთ, ხელს ნუ მიშლით, როცა თქვენ აქა ხართ, ის ჩემთან აღარ მოდის.

ყასაპი წავიდა. თერძიც უკან გაჰყვა. ხაბაზი კი ისევ მიწაზე იწვა და რაღაცას ბუტბუტებდა, ბოლოს იმ უხსენებელივით დაიკლაკნა, ტყავს რომ იცვლის. თერძი დურგლის სახლს მიადგა. არ დაუკაკუნებია, კარი პირდაპირ შეაღო და. დურგალს ახალგაზრდა გოგოსთან შეუსწრო.

— ბოდიში! — თქვა თერძმა და შებრუნდა.

სახეანითლებულმა გოგონამ მეორე ოთახს შეაფარა თავი, თუმცა დურგალმა მოასწრო საჯდომზე წაეთათუნებინა მისთვის, მერე კი ღიმილიანი სახე თერძს მიაპყრო.

— ისე, სხვა დროს დააკაკუნე, ხარივით ნუ შემომივარდები. ხო ნახე, გოგოს ერიდება.

— რას წარმოვიდგენდი შენი ასაკის კაცი თუ კიდევ იძრომიალებდა გოგოებთან, — თანაც, ეგ თეთრი თმა — წვერი ლამის ნელამდე დაგთრევს.

— რა ასაკზე მელაპარაკები, გოგოს სიკვდილის ეშინია, — ჩაახველა დურგალმა, — გოგომ იცის, რომ თუ რამე გადაარჩენს, ჩემთან ურთიერთობაა. ამიტომ ცხოვრობს ჩემთან, თან საოჯახო საქმეებშიც მეხმარება. რითაა ცუდი? მე რომ მკითხო, მშვენიერია!

— კარგად აგიწყვია საქმე! — ბრაზნარევი და მკაცრი ტონით მიმართა თერძმა, — რაღა შენ და რაღა ფქვილის მატლი. ნეხვის ჭია. რას ატყუებ, როგორ უნდა დაიცვა, რა, ოთახში გამოკეტავ, გარეთ არ გავა თუ? ხოდა, მეწისქვილეც მიზანში ამოიღებს.

— ამოიღებს და ამოიღოს, — მხრები აიჩეჩა დურგალმა, — ვინ იცის, რომ მე იმ გოგოს შევპირდი, დაგიცავ-მეთქი, არც არავინ. რომ მოკვდეს ვის დაადანაშაულებენ? ისე ცოდო კი იქნება, მაგრამ ეგეც არაფერი, სხვაც გამოჩენდება, ვისაც ჩემი დახმარება დასჭირდება.

— მარტო იმიტომ შევიპყრობ მეწისქვილეს, რომ ეგრე აწყობილი ცხოვრება დაგამხო. ადამიანის სახე სულ დაკარგე, ამაზრზენი ხარ პირდაპირ. გამოკეტილხარ ამ ბნელ ოთახში, წვერი მოგიშვია, ფერი დაგიკარგავს, პატარა გოგოს ხრინი, ბურბუშელათი ვაჭრობ...

— სამაგიეროდ ბიზნესი ყვავის, — ჩაეღიმა დურგალს თერძის სიტყვებზე.

— რა ჯანდაბად გინდა ფული, თუ ქუჩაში გასვლას ვერ ბედავ, რაში უნდა გამოიყენო? მალე მაგ შენი ფულით ვერაფერს იყიდი, რადგანაც შენმა ღვთიურმა საქმეებმა მოძღვრებაზე ზოგიერთი ჭკუიდან გადაიყვანა. — და უამბო დურგალს საცხობში მომხდარი ამბავი. დურგალი მხოლოდ მხრებს იჩეჩდა.

— რაც მოხდა, მოხდა. რა ვენათ, სხვა რა გზაა, თუ ძველი ჭკუიდან გადავიდა, ვიპოვოთ ახალი ხაბაზი. როგორც ჩანს, კარგი საქმე მსხვერპლს მოითხოვს. სამაგიეროდ, ყველანი კარგად და ბედნიერად ვიცხოვრებთ, ქუჩაშიც სიმშვიდეა.

— მაგარი სიმშვიდეა. განსაკუთრებით მაშინ, როცა იმაზე დაფიქრდები, შეშლილი მეწისქვილე რომელილაც მთის კენჩოზე რომ ზის და მიზანში გიღებს, — მიაყვირა თერძმა და კარები გამოაჯახუნა. სწორედ ამ დროს დურგლის სახლთან ისრით განგმირული პარალიზებული მექებები იპოვეს. მას პირი ღია დარჩენოდა და იქიდან ისრის წვერი მოუჩანდა. „ღმერთი ვარ!“ — იუწყებოდა ისრის ბოლოზე მიბმული წარწერა. დურგლის შეგირდებმა გვამი წამოსწიეს, რომ კუბოსთვის ზომა აეღოთ. ამ დროს კი მოკლულის ქალიშვილი განწირული გაჰყვირდა:

— პატივცემულო და კეთილშობილო ბატონო დურგალო, ამიხსენით რისთვის დაისაჯა ასე სასტიკად მამაჩემი? ის ხომ მოხუცი იყო, ავადმყოფი, უფეხო, ყრუ. ჭიანჭველისთვისაც არ დაუდგამს ფეხი. ვის რას უშავებდა. იჯდა თავისთვის ფანჯარასთან და აქეთ-იქით იყურებოდა.

დურგალმა თავი ფანჯრიდან გადმოჰყო:

— ახალგაზრდობაში ზღვაზე მეკობრეობდა. ცოდვით იყო სავსე და, ბოლოს და ბოლოს, ეგეც დაისაჯა. ვერც ერთი ბოროტმოქმედი ვერ დააღწევს თავს ღვთის სამართალს! ვერც ერთი!

— მეკობრე! — უკვე ჩხაოდა გარდაცვლილის ქალიშვილი, — მეკობრე?! მამას არა-სოდეს უთქვამს, რომ მეკობრეობდა.

— გაგიმართლათ, ეს მისი საიდუმლო იყო, ტყუილსა და ცოდვაში ცხოვრობდა. ომ, რა საშიშია ასეთი ცხოვრება! — ერთხელ კიდევ თქვა და ფანჯარა მიხურა.

მეორე დღეს ხაბაზი საცხობის სახურავზე ნახეს ამძვრალი. დედიშობილა იყო, ერთი ფეხი კისერზე შემოედო და იჯდა ასე, უცნაურ პოზაში. ხალხი მის საცქერლად მოგროვდა. ახალგაზრდა ქალები ცმუკავდნენ, კაცები უყვიროდნენ, შარვალი მაინც ამოიცვიო. ხაბაზს არავისი არაფერი ესმოდა. იჯდა გაუნძრევლად, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, შუადლის თაკარა მზე ტვინს უდუღებდა.

— შენი ნებით ჩამოდი, — რჩევას აძლევდა ლანდად ქცეული ბებერი ხარაზი. ეს ის ხარაზი იყო, რომელიც ღმერთან ზიარების გამო, მხოლოდ დურგალთან შეძენილი ბურბუშელათი რომ იკვებებოდა, რის გამოც კუჭი გადაგვარებოდა და ახლა ძვირი საკვების შესაძენად მთელი ქონება ლომბარდში ჰქონდა მიტანილი. ის ერთ-ერთი იმათგანიც იყო, ვინც მეყასბეს მთელი ტანი სისხლით მოათხუპნინა და ახლა ზეზეურად ქოთდა.

— ეი, არ გესმის? ნუ არისხებ ღმერთს, ჩამოეთრიე დაბლა, არ გეშინია რომ ისარი დაგიმიზნოს?

— ღირსიც იქნება ღმერთმა რომ დასაჯოს, — ფიქრობდა ყასაბი და ხაბაზს ზიზით შესცქეროდა. — ღმერთი ჩვენგან ყოველდღიური საქმის პატიოსნად კეთებას მოითხოვს და არა ჯამბაზობასა და სახურავებზე ძრომას. გამოფხეკილი გვაქვს სახლები, ლუკმის ნამცეცსაც ვერ იპოვის კაცი, ეს კიდევ იმის მაგივრად, რომ თავისი საქმე აკეთოს და პური აცხოს, სახურავზე შიშველი დაძვრება ასოგადმოგდებული. შენ ეი, პირუტყვო, მთლად მაიმუნს რომ დაემსგავსე, იცოდე, ღმერთი არ გაპატიებს, ამ საქციელისთვის მკაცრად დაგსჯის.

— ღმერთს მოეშვი, გაიგე, — მოულოდნელად ალაპარაკდა ხარაზი, — შენ რომ გისმინოს კაცმა იფიქრებს, ღმერთისთვის უძვირფასესი უგრძნობი ხარი, ანდა უგუნური ცხენია, რომლებიც მთელი დღე ურემში არიან შებმული. ჩემზე კარგად არავინ იცის, რა სურს და რა მოსწონს ღმერთს. მე ყველაზე უკეთ ვგრძნობ მას. ერთადერთი მე ვარ მასში და ის ჩემშია, მთელ ჩემს სხეულში. მე ღმერთით ვარ სავსე.

ხაბაზმა კისრიდან ფეხი ჩამოილო, რალაც მოძრაობა გააკეთა და ყველასათვის მოულოდნელად და გასაკვირად საბუხრიდან მშვილდ-ისარი ამოილო, მოზიდა და ხალხს დაუმიზნა. ყველა დაფრთხა. ატყდა ერთი წივილ-კივილი. ხალხი აქეთ-იქით მიმოიფანტა. ხაბაზმა კი ვილაც ახალგაზრდა ქალი ამოილო მიზანში და პირდაპირ ზურგში ესროლა. მერე აღტაცებისა და გამარჯვების დასტურად ხელები ზეცისაკენ აღაპყო.

— შეიძალე? — უყვიროდა თერძი, რომელიც ის იყო წაესწრო მომხდარს. — რას ჩადი?

— არა, ეს მე არ ჩამიდენია. ეს ღმერთი მართავს ჩემს ხელებს. — გამოეპასუხა ხაბაზი. — დიდი ხანია, რაც ჩემზე პატონობს, ის მავსებს და ჭეშმარიტებას მკარნახობს. ეს ქალი ცოდვილი იყო და ღმერთმა მისი დასჯა მოითხოვა. ეს სამართლიანი სასჯელი იყო, მაგრამ ცოდვიანი ჩვენში კიდევ ბევრია.

მან ახალი ისარი მოზიდა და ხალხს მიუშვირა.

— ღმერთი! — ნამოძახებალა მოასწრო ყასაბმა, როცა ისარმა მკერდი გაუპო. იმავე წუთს ჰაერში თერძის ნასროლომა ისარმა გაიელვა და ცეცლისმფრქვეველ ურჩეულს დამსგავსებული დაჭრილი ხაბაზი სახურავიდან გადმოეშვა.

თერძი ყასაბს ეცა. ის ჯერ კიდევ სუნთქავდა. თითები ჩაეჭირა ისრისათვის, რომლის ბოლოებზეც ისევ ფრიალებდა წარწერა: „ღმერთი ვარ!“

— ცოდვილი ვარ. მეც დიდად ცოდვილი ვარ. — ამოილუდლუდა ყასაბმა.

— რას ბოდავ, რა ცოდვა, რის ცოდვა, შენ ხაბაზმა გესროლა, ერთმა შეშლილმა ხაბაზმა. ცოდვილი კი არა, უდანაშაულო ხარ.

— არა, არა. ხედავ რა წერია ისრის ბოლოზე. ღმერთმა დაინერა ჩემი ცოდვები, — ძლივს ამოთქვა ყასაბმა, ისარს ხელები შეუშვა თუ არა, მკლავები აქეთ-იქით გადაუცვივდა. ყასაბი მოკედა.

— გამოდის, რომ არ ყოფილა პატიოსანი კაცი, — ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

— რა ვიცი, ქუჩაში მამლაყინწასავით კი დააბიჯებდა. მაგრამ ხედავ, მაგანაც დაიმსახურა ისარი, — დაამატა მეორემ.

— აბა, კიდევ ვინ აპირებს სხეულის სისხლით გათხვრას? — იღიმოდა მესამე. — გასაკვირია, რას სჩადის ეს ხალხი! ამ გათხუპნულებს, ნახეთ, რა ცუდად წაუვათ საქმე. ისე არიან, ღმერთი ადვილად მიაგნებს. აკი ვამბობდი, ჩვენ თუ რამე დაგვიცავს, წმინდა ბურბუშელა დაგვიცავს-მეთქი.

— შეხედეთ, შეხედეთ, როგორ გარბის სისხლის ჩამოსარეცხად, — ქირქილებდნენ ხანშიმესული ქალები, — გვიანია, გვიანი, ღმერთის ისარს ვერსად გაექცევით!

თერძმა ყასაბს თვალები დაუხუჭა და ფეხზე წამოდგა.

— ცოდვილი! რა სისულელებს ამბობთ, აქ არ იყავით, თქვენ წინ არ მოხდა ყველაფერი? რა გჭირთ, დაბრმავდით? — ვერ დაინახეთ, ვინ ისროლა ისარი? რა ღმერთი, რის ღმერთი! ეს ხომ ხაბაზი იყო, შეშლილი, ჭკუიდან გადასული, დედიშობილა ხაბაზი, რომელიც სახურავზე იჯდა და ისარს ისროდა. რა შუაშია ღმერთი და იმისი ისრები?! — უკვე ყვიროდა თერძი.

მოხუცები ხმას არ იღებდნენ. ყველა დუმდა, ოღონდ მრისხანებაჩაბუდებული თვალებით იმზირებოდნენ.

თერძი მთელ დღეებს ტყეში ატარებდა. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რადაც უნდა დასჯდომოდა, მენისქვილე ეპოვა. სოფელში დატრიალებულმა ამბებმა შეაძრნუნა. ხაბაზი მხოლოდ კენჭი იყო, რასაც შემდეგ საშინელი ზვავი მოჰყვა. თითქოს ღირსეული ხალხი სადღაც გაქრა. უკვე აღარავინ არაფერს აკეთებდა, არც ჭამდნენ, არც სვამდნენ. ზოგიერთებს თვალები უცნაურად უგიზგიზებდათ, ისარმომარჯვებულები ისხდნენ ქუჩაში და თავი ღმერთი ეგონათ.

თერძმა დურგალთან სიარული აიკრძალა. ღვინის გამოც არ მიდიოდა. ზიზღს გვრიდა ის, რაც იქ ხდებოდა. მოხუცს კიდევ ორი ქალიშვილი გაება ბადეში და ფანჯრები დღე და ღამე მიკეტილი ჰქონდა. მის რჩევებსა და გრძნობებს ხალხს აცნობდნენ მისი შეგირდები, რომლებიც ვერანდაზე ჩამომსხდარიყვნენ, კოხტად დავარცხნილი წვერ-ულვაში ბაფითით შეეკრათ და თავი ისე ეჭირათ, თითქოს თვითონ იყვნენ, ვინც იყვნენ. სალამის ღირსადაც არავის სცნობდნენ. კუბოებსა და ბურბუშელას ახლა სრულიად სხვა ხალხი ყიდდა, ანუ ყოფილი შეგირდების შეგირდები. მოკლედ, საქმე არაჩვეულებრივად აეწყო.

თერძი მენისქვილის ძიებამ ისე შორს გაიტყუა მთაში, რომ ვეღარ იგრძნო, როგორ მოიპარა ბინდი. მიხვდა, სახლში დაბრუნებას აზრი აღარ ჰქონდა. სადგომის ძიება დაიწყო და მონადირის ქოხს მიაგნო. მოიხსნა მშვილდ-ისარი, ჩამოიხსნა მოკლული კურდლელი და წყალზე წავიდა.

წყარო იქვე იყო. ის იყო ჭურჭელი პირამდე აავსო, რომ ვიღაცის ფეხის ხმა შემოესმა. თერძი ბუჩქებს ამოეფარა. წყაროს ვიღაც, ერთიანად თმანვერგაბურძგნილი კაცი მიადგა, დაიხარა და ზუსტად ისე დაიწყო წყლის სმა, როგორც ნადირმა. თერძი იმდენად ახლოს იყო, რომ კარგად ხედავდა რა მარჯვედ ხმარობდა ის კაცი ენას და მიხვდა, ეს ჭკუიდან გადასული მენისქვილე უნდა ყოფილიყო.

წყურვილი რომ მოიკლა, ეს თმანვერულვაშიანი კაცი გზას დაადგა. თერძი აედევნა, რაღაც წამით აზრმა გაუელვა, ეგებ ქოხში მოვასწრო შევლა და მშვილდ-ისრის აღებაო, მაგრამ გადაიფიქრა, შეშინდა მენისქვილის კვალი არ დაჲკარგოდა, მით უფრო, რომ სიბნელე მატულობდა და მხედველობას ძაბავდა, რომ მიმავალი ხედვიდან არ გაქრობოდა.

დაახლოებით ათი წუთის სიარულის მერე მენისქვილემ საფარს მიაღწია. იქ, შიგნით, კოცონი ენთო და მის ირგვლივ უამრავი ნადირის ძვალი ეყარა. მენისქვილე ძვლებს მიუჯდა და ზედ შერჩენილი ხორცის გლეჯა დაიწყო. თერძი ფეხაკრეფით მიიწვედა იქით.

მოულოდნელად მენისქვილე შემოტრიალდა და ზედ წააწყდა თერძს, რომელსაც გული აუფრიალდა. მენისქვილე ადგილიდან არ იძროდა და გაკვირვებული შესცეკროდა მოულოდნელ სტუმარს, რაკი არც სამალავი იყო და თანაც მშვილდ-ისრამდე ერთი ხელის გაწვდენა დარჩენოდა, მკერავმა ნაბიჯი წადგა და მშვილდ-ისარს დასწვდა. ხელები უკანკ-

ალებდა მშვილდი რომ მოზიდა. ყველა ისრის ბოლოს ფრიალებდა წარწერა „ღმერთი ვარ!“ რამდენიმე კვირა ეს ისრები სიკვდილს თესდნენ ქალაქში.

თერძი ყოყმანობდა, გული არ უშვებდა მშვილდისთვის ხელი შეეშვა. მენისქვილე იჯდა მიწაზე და მეგობრულად შეჰყურებდა, თითქოს ელოდა, სტუმარი რაიმეს მეტყვის, ანდა მომესალმებაო. ყვირილი რომ აეტეხა ან თავს დასხმოდა, თერძის საქციელი გამართლებული იქნებოდა, ახლა კი, ასეთ მდგომარეობაში კაცის მოკვლა ძნელი აღმოჩნდა.

„არა, მე ეს უნდა გავაკეთო! ეს ჩემი ვალია, — თავს არწმუნებდა თერძი. — ის ყაჩალია, რამდენი ხალხი დახოცა. სწორედ ეს მაძლევს სროლის უფლებას. სამართალი მოითხოვს ამას ჩემგან!“ სამამდე დაითვალა და ისარს ხელი უშვა. მენისქვილე სუფთად გამოხრულ ძვლებს შორის უსულოდ დაეცა.

„ღმერთი ვარ!“ თერძის მიერ ნატყორცნ ისარსაც ასეთი წარწერა ჰქონდა მიბმული.

თერძმა ლამე თავის სადგომში გაათია და მზე ამოინვერა თუ არა, სახლისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგა. ამაღლებული განწყობილება დაუფლებოდა, ბოლოს და ბოლოს, გონებაარეულ მენისქვილეს გაუსწორდა. ამ მიწაზე ერთი ბოროტმოქმედით ნაკლები ივლიდა. ეს თავისთავად უკვე დიდი საქმე იყო. თერძმა უსაფრთხოების მიზნით მენისქვილის მშვილდისრები დაწვა, მიწას მიაბარა მოკლული, რომელმაც გონება აურია მთელ სოფელს და აიძულა ხალხი არანორმალურად ეცხოვრა. ამის სამაგალითოდ მარტო დურგალი კმაროდა. ახლაც ალარ მოიშლის კუბოებით ვაჭრობას! ესეც მაგას! ამიერიდან ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება. მართალია, ამას დრო დასჭირდება, მაგრამ, რაც მთავარია, ისრების წივილს ბოლო მოეღება.

თერძი უკაცრიელ გზას მიუყვებოდა, ჰორიზონტზე არავინ ჩანდა. ხალხს ჯერ კიდევ ეძინოთ, — ფიქრობდა სახელიმილიანი თერძი, — მშვიდად ეძინოთ. და სწორედ ამ დროს ისარი მოხვდა ზურგში. წაბორძიკდა, მუხლებზე დაეშვა, სანამ მიწას შეეხებოდა თავის შემობრუნება მოასწრო. ცა გახსნილიყო და იქიდან ვიღაც მოხუცი, საწოლიდან თითქოს ახლა წამომდგარი, იცქირებოდა, ხელში კი მშვილდისარი ეკავა. მაგრამ ეს სურათი არარეალური და ბუნდოვანი იყო. მიუხედავად ამისა, თერძს ეჭვი არ შეჰპარვია, რომ ზურგში გარჭობილი ისრის ბოლოს მისთვის კარგად ნაცნობი წარწერა ფრიალებდა.

**თარგმნეს სერგო კალაძემ და ნანა დევიძემ**

## ଆନ୍ଦୋଳନର ପାଇଁ କାମିକ୍ଷାପିତା

ଓଡ଼ିଆ

მამა ოოპანესმა იცოდა, რომ ქალაქის კედელი მტკიცე დუღაბით იყო შეკრული და შიშვლები მას ვერაფერს დააკლებდნენ, რადგან არც თოფები ჰქონდათ, არც შუბები, არც კედლის დამანგრეველი რაიმე იარაღი. ფრჩხილებისა და კბილების ამარა კი საუკუნეების განმავლობაში მყარად მდგარ გალავნს რას მოუხერხებდნენ? მთელი მისი ისტორიის მანძილზე ქალაქი ვერავინ აიღო. საიმედოდ შეკრულ ჭიშკარს ბევრი შემოსევისთვის გაეძლო და ახლა შიშველი ტყიურების სუსტ მუშტებს ვერ გაუმკლავდებოდა? მამა ოოპანესს საწუარი არა არაფერი ჰქონდა. შიშვლები ქალაქს ისევე ვერ დაურღვევდნენ სიმშვიდეს, როგორც ტყეში მონანწალე მგლები და ტურები. ხეებზე კი რამდენიც უნდოდათ, ეძრომიალათ. ეს მამა ოოპანესს სადარდელად არ უნდა გაეხადა.

ღვთისმსახურისაგან განსხვავებით ქალაქის მკვიდრნი ამგვარ წვრილმანებს ყურადღებას არ აქცევდნენ. სამაგიეროდ, მამა იოპანესს რაღაც იდუმალი ძალა ეწოდა გალავნისაკენ. ის აკვირდებოდა ამ უცნაურ არსებებს, რომლებიც შიშის ზარს სცემდნენ. ეჭვობდა, რომ შიშვლებს ქალაქშიც შემოეღწიათ და თავიანთი ტაძრის მშენებლობაც დაეწყოთ, ამიტომ მოუხშირა ქალაქის ჭიშკართან სტუმრობასა და რიუტელ კლაუსთან საუბარს. ეს ის კლაუსი იყო, ვინც პასუხს აგებდა ქალაქის დაცვაზე. რიუტელი ღვთისმოსავის გაფრთხილებებს არად აგდებდა. იმას ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ საუკეთესო მჯედლების მიერ გამოჭედილი აღაყაფის კარის, რომელსაც ოცზე მეტი ბოქლომი ედო და საგულდაგულოდ იყო ჩარაზული, გაღებას ვერავინ შეძლებდა. ვის ჰქონდა ისეთი კბილები, ცეცხლგამძლე რკინა დაეკვნიტა? თანაც კარს უკან თავად რიუტელ კლაუსი იდგა და საკმარისი იყო ვინმე კარის ზღურბლს გამოსცდენოდა, იმ გარენარს მაშინვე გამოფატრავდა. რა შეუშლიდა ხელს, ტყიურებს არც იარაღი ჰქონდათ არც ისეთი აბჯრები, როგორსაც რიუტელ კლაუსი ატარებდა. ოდნავი ძალისხმევა და შიშვლების მთელ ჯარს რამდენიმე წუთში ამონყვეტდა. ჰოდა, ღვთისმოსავს არაფერი ჰქონდა სანერვიულო, შეგძლო მშვიდად ყოფილიყო.

როუტელ კლაუსის არგუმენტებმა მამა იოპანესი ვერ დააწყნარა. ადგა და ქალაქის მერს მიაკითხა. თავისი ეჭვები გაუზიარა და მოუთხრო, ღამ-ღამობით ათასობით ანთებული თვალი როგორ მისჩერებოდა ქალაქს და რა თავზარი ეცემოდა, როცა ამ შიშველ არსებებს უყურებდა. ქალაქის მერი გაკვირვებული შესცეროდა ღვთისმოსავს, ცდილობდა და-მშვიდებინა და როგორმე თავიდან მოეშორებინა. მერი მისთვის ჩვეული დიდებულებით ცხოვრობდა და სულაც არ ანალვლებდა ქალაქის კედლის მიღმა მოხეტიალე შიშვლები, რომლებსაც ქალაქთან არაფერი აკავშირებდათ. მისთვის ეს ისეთივე უმნიშვნელო იყო, როგორც ცაზე მოულოდნელად გაჩენილი ლრუბლები, ანდა ხის ტოტებზე ჩამომსხდარი მჩხავანა ყვავები.

ქალაქი ჩვეული ცხოვრებით ცხოვრობდა, შიშვლები — თავიანთით. მომავალშიც ასე უნდა გაგრძელებულიყო. ქალაქის ჭიშკართან ყოველთვის ტრიალებდა ათასი ჯურის ხალხი, ყველას თავისი საზრუნავი ჰქონდა და ეს ქალაქს არასოდეს უგრძვნია. ისინი მიღიოდნენ, ქალაქი კი რჩებოდა. ასე გრძელდებოდა საუკუნეების მანძილზე. მართალია, საუკუნეების წინ მტერს მრავალგზის მიეტანა იერიში, მაგრამ კარიბჭე უძლებდა შემოტევებს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მოიერიშენი ცნობილი მეფეები თუ მთავარსარდლები იყვნენ. მდიდარი ისტორიის მქონე ქალაქს რატომ უნდა შინებოდა ვიღაც შიშვლების, რომლებსაც საბრძოლო ხელოვნებისა არაფერი გაეგებოდათ და არც თხილის მოგროვებაზე უფრო რთული პრობლემის გადაწყვეტა შეეძლოთ.

ერთი სიტყვით, არავინ დაინტერესებულა იმით, რა ხდებოდა გალავნის მიღმა, რადგან ქალაქი ისედაც საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობდა. ქალაქის ახალგაზრდა მერს ულამაზესი ქალი შეერთო ცოლად და ვიღაც შიშვლებზე ფიქრით თავს არ იწუხებდა. თუმცა დიდი მოთმინებით ცდილობდა დაემშვიდებინა მამა იოპანესი და დაერწმუნებინა, რომ ტყუილად შფოთავდა. მაგრამ ამაოდ ეს საუბრები მამა იოპანესს უფრო მეტად აეჭვებდა და აფრთხობდა. ბოლოს და ბოლოს, მოთმინებადაკარგულმა მერმა წმინდა მამას აფთიაქში წასვლა ურჩია, რათა გონების გამომფიტველი ჰალუცინაციებისაგან განთავისუფლებულიყო. მამა იოპანესი იქიდან განაწყენებული წამოვიდა. საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ქალაქის უსაფრთხოება მისი საზრუნავი გამზდარიყო და მოჩვენებით კეთილდღეობას არ უნდა შეგუებოდა. ამიტომ პირდაპირ გალავნისაკენ გასწია და დიდხანს უთვალთვალებდა ტყეში მოხეტიალე შიშვლებს, რომლებიც უხერხულ ადგილებს იქექავდნენ. დროდადრო კი თითს იშვერდნენ ქალაქისკენ და იღრიჯებოდნენ, თითქოს დარწმუნებული იყვნენ, რომ მათი დროც დადგებოდა და შეძლებდნენ ქალაქის აღებას. ყოველთვის, როცა ისინი ასე ქილიკობდნენ, მამა იოპანესი ცუდად ხდებოდა, ლამით ძილი არ ეკარებოდა და მოსვენებადაკარგული ოთახში ბოლოთას სცემდა. საწოლთან ჩამოკიდებული ჯვრის წინ მუხლებზე დაჩიქილი, უფალს ქალაქის გადარჩენას ევედრებოდა. ხანაც ეალერსებოდა კატას, რომელიც მამა იოპანესის დამჭვნარ თითებში გამომწყვდეული, საცოდავად კნაოდა და თავის დაღწევას ცდილობდა. მამა იოპანესი ვერ იძინებდა. მის ფანჯრებში ლამის ლანდები იჭრებოდნენ, რომლებიც მას შიშველ არსებებად ეჩვენებოდა. მამა იოპანესი ისინი უკვე ყველგან ელანდებოდა, ქალაქის გალავნის სქელ კედლებშიც კი, რომელიც იმათ ისე ისრუტავდა, როგორც დაღვრილ წყალს იატაკი. ამ სურათმა მასზე ისე იმოქმედა, რომ სიმწრისაგან, თავისდაუნებურად, კატას ფრჩილები გამეტებით ჩაუჭირა. დამფრთხალი კატა კნავილით დაუსხლტა ხელიდან და ნატკენი ზურგის ლოკვას მოჰყვა.

მამა იოპანესს კატისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ქალაქის გალავნისკენ გაიქცა და მიაშტერდა ტყის სილრმეში მოციმციმე თვალებს, რომლებიც მზის ამოსვლისთანავე ჩაქრნენ.

წმინდა მამის ყოველი დილა ქალაქის მერთან სატუმრობით იწყებოდა. შებეზრებულ მერს ვიღაც ველურებზე მოთვალთვალე მამის სტუმრობა ყელში ამოუვიდა. თანაც დილაობით თავის ლამაზ ცოლთან საუზმისას ლვთისმოსავის სტუმრობა დიდად არ ახარებდა. და როცა ერთ დილასაც მამა იოპანესი კიდევ ესტუმრა, გაკვირვებულმა მერმა ურჩია:

— რაკი აფთიაქში დახმარება ვერ გაგინიეს, იქნებ წურბლები დაისვა კისერზეო. სურდა დაემცირებინა და ამ გზით მაინც მოეშორებინა თავიდან, მაგრამ ამაოდ. მამა იოპანესი არსადაც არ აპირებდა წასვლას. აღელვებული არწმუნებდა, საჭიროა შიშვლებს თავს დავესხათო. უმტკიცებდა, მოახლოებული საფრთხე რომ ავიცილოთ, ტყე უნდა გავჩეროთო.

მოთმინებადაკარგულმა ქალაქის მერმა უკვე მკაცრად განუცხადა ღვთისმოსავს, რომ ქალაქი არასოდეს ჩარეულა გარესამყაროს უშინაარსო ამბებში და არც ამჯერად აპირებს ამასო, რაც გალავნის მიღმა ხდება, ქალაქს არ ეხება და საერთოდ, ვერანაირ საფრთხეს ვერ ვგრძნობო. სთხოვა, დამშვიდდით და ბოლოს და ბოლოს შეიგნეთ, რომ საუზმის დროს მაინც არ უნდა შეანუხოთ ღრმადპატივცემული საზოგადოებაო. ერთი სიტყვით, ეს საუბარი იმით დამთავრდა, რომ მამა იოპანესი მერის სახლიდან მიაბრძანეს.

ახლა მან ქალაქის გალავნისაკენ აიღო გეზი. რაკი მერთან ვერაფერს გახდა როგორმე რიუტელ კლაუსი უნდა დაერწმუნებინა, რომ საჭირო იყო პირველები დასხმოდნენ თავს ტყიურებს. მაგრამ მას არც კლაუსმა უგდო ყური. მისი აზრით, ბრძოლას მხოლოდ მაშინ დაიწყებდა, თუ ქალაქს ნამდვილად დაემუქრებოდა საფრთხე. ამჯერად კი, მისი აზრით, ეს საწყალი შიშვლები ისეთივე უსაფრთხონი იყვნენ, როგორც ქალაქის ალაყაფთან მიმობნეული ხმელი ფოთლები. ამიტომ მათ წინააღმდეგ იარაღის აღმართვა გონივრულ საქციელად არ მიაჩნდა. კლაუსი არწმუნებდა, მოწინააღმდეგებს მხოლოდ მაშინ უნდა ესროლონ თუ მას მიზანში ჰყავხარ ამოღებული, ხოლო იმის გამო, რომ ვიღაც ხის კენწეროებზე დაკვრება და ჩიტის ბუდეებს ეძებს, ომის დაწყება სისულელეაო. და ბოლოს ურჩია, უკეთესი იქნება ქალაქის დაცვა მე მომანდოთ, ხოლო თქვენ თქვენ საქმეს მიხედოთო.

მამა იოპანესი განაწყენებული გამობრუნდა და სახლისაკენ გასწია. ქუჩაში უამრავი ხალხი ირეოდა. ზოგი მთვრალი დაბანცალებდა, ზოგი ვაჭრობდა. იოპანესს მოეჩვენა, რომ იმათ შორის შიშვლებიც ერივნენ, ქალაქში რომ შემოეღიათ თავს ნაქურდალ ძონძებში მალავდნენ, ხოლო გარეთ დარჩენილები შესაფერ დროს უცდიდნენ, ელოდნენ, თავისიანები შიგნიდან როდის გააღებდნენ კარს, რომ ქალაქში შეჭრილიყვნენ. იოპანესი გამვლელ-გამომვლელს ისე აშტერდებოდა, რომ შეშინებული ხალხი ქუჩის მეორე მხარეს გადადიოდა. ეს კიდევ უმძაფრებდა ეჭვებს, მამა იოპანესი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ღრმად პატივცემულ მოქალაქეთა შორის შენიღბული მტრებიც ერივნენ. ეს ეჭვი უმწეობის განცდას ჰგვრიდა და, როცა ქუჩის ბოლოს ორცხობილების გამყიდველს წააწყდა, მივარდა და დახლი გადაუყირავა. თან მთელი ხმით გაჰყვირდა, რომ შიშველ ადამიანებს სწორედ აქ ამზადებდნენ და სწორედ ეს კაცი აპირებდა მტრისთვის ჩაებარებინა ქალაქი. გამვლელებმა იფიქრეს, მამა იოპანესს რაღაც სენი შეეყარაო და შეიძყრეს. თავიანთ სიმართლეში ეჭვიც არ ეპარებოდათ, რადგან შეპყრობილი ყველას ისე უმზერდა, როგორც შხამიანი უხსენებელი. მამა იოპანესი არ ცხრებოდა, ორცხობილების მცხობელს მკაცრად სთხოვდა აეხსნა, რაღა მაინცდამაინც შიშველი ადამიანის ფორმის ტკბილეულს ამზადებდა. მცხობელი კი მორჩილად პასუხობდა, დრო არ მყოფნის ლილები და ჯიბები მივახატო. მამა იოპანესი ყველას არწმუნებდა: ქალაქს საფრთხე რომ ავაცილოთ თავიდან, ამისათვის ყველა ორცხობილა უნდა დავამტვრიოთო. აბობოქრებული ლვთისმსახური ვერაფრით რომ ვერ დაამშვიდეს შეიძყრეს, ძალით წაიყვანეს სახლში და ჩაკეტეს.

შმინდა მამა რამდენიმე საათი ჯვარცმის წინ ლოცულობდა. მერე კატას აჭამა, მაგრამ შეურაცხყოფის გრძნობას ვერ იშორებდა. მას უკვე ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ვიღაც, შიშვლების მოკავშირე, ქალაქს თავს აფარებდა და გრძნობდა, რომ სხვებიც მაღლე შემოიჭრებოდნენ. თვალებში უცნაური ცეცხლი უგიზგიზებდა და გაჰყურებდა ქალაქის გალავანს იმის მოლოდინში, შემოგზავნილი როდის მისცემდა ტყიურებს იერიშის ნიშანს. მამა იოპანესი თავს ვალდებულად მიიჩნევდა, რადაც უნდა დასჯდომოდა წინ აღსდგომოდა მოვლენების ასეთ განვითარებას. და როგორც კი ქალაქში სიბნელემ დაისადგურა, მან ფეხი ჰკრა კარებს და ჩაბნელებულ ქალაქში გაუჩინარდა. მან პირდაპირ ქალაქის მერის სახლს მიაშურა, უნდოდა როგორმე დაერწმუნებინა მერი, რომ საჭირო იყო ზომების მიღება. ამისათვის კი ყველა მოქალაქე უნდა შეეკრიბათ მთავარ მოედანზე, ენამებინათ და ამ გზით გამოევლინათ, ვინ იყო მათ შორის შიშველი. მისი აზრით, ეს იქნებოდა ყველაზე ეფექტური გამოსავალი.

ქალაქის მერის მყუდრო სახლის ერთ-ერთი ოთახიდან სინათლე გამოდიოდა. მამა იოპანესმა სწორედ ამ ოთახისაკენ აიღო გეზი და ისე შეაღო, არც დაუკაუნებია. მას მნიშვნელოვანი მისია ეკისრა და ასეთი წვრილმანებისათვის სად ეცადა? ვრცელ სარეცელზე ორი შიშველი ადამიანი იწვა. მერი და მისი ცოლი თვალებდაჭყეტილი მისჩერებოდნენ ბერს, რომელმაც სასიყვარულო ღამე ჩაუშალათ.

შუა ქალაქში ორი შიშველი კაცი რომ აღმოაჩინა, მამა იოპანესი ჯერ გაოგნდა მერე ბრაზი წარიდა, ეძგერა კედელში ჩარჭობილ მაშხალას და პირდაპირ წყვილის საწოლში მოისროლა. ნაზსა და მსუბუქ ზენარს უცბად მოედო ალი, მნოლიარენი აყვირდნენ, მაგრამ წმინდა მამას მათვის ყურადღება არ მიუქცევია. ოთახიდან გავარდა და კარი გარედან გადარაზა, მერე ეზოდან უყურებდა როგორ იწვოდა ზედა სართული. მამა იოპანესს ეს სიხარულსა და სიმშვიდეს ჰგვრიდა, რადგან მტრის ერთი ბუდე გაანადგურა.

ხანძრის დანახვაზე ხალხი მოგროვდა. ეცადნენ, ცეცხლი ჩაექროთ, რათა როგორმე ბარბაროსული სიკვდილისაგან ეხსნათ მერი და მისი ლამაზი ცოლი, მაგრამ უკვე გვიან იყო. ცეცხლი ისე გაძლიერდა, ყველას საკუთარი სახლ-კარის გადარჩენაზე უნდა ეფიქრა. მხოლოდ მამა იოპანესი იდგა უდარდელად. მერე გაემართა ალაყაფისკენ. რიუტელ კლაუსი სათვალთვალო ჯიხურთან იდგა და დაბნეული და გაოგნებული შეჟყურებდა მეხანძრეებს.

მამა იოპანესს კლაუსის შეშფოთებისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია. მისთვის მთავარი საფრთხე ქალაქში კი არა, მის მიღმა რჩებოდა. ის კი გულხელის დაკრეფას არ აპირებდა. ის ფიქრობდა, რომ რიუტელს დაუყოვნებლივ უნდა გაეღო ალაყაფი და ყველა შიშველი ამოეხოცა, რაკი მათი ვერაგული გეგმა უკვე გამოაშკარავდა. მან ხომ საკუთარი თვალით იხილა ორი შეთქმული, რომლებიც თავს ქალაქის მერის სახლს აფარებოდნენ. საბედნიეროდ, წმინდა მამამ ამჯერად მოახერხა მათი ალაგმვა. მაგრამ უეჭველია, რომ ტყიურები ისევ შემოგზავნიან ვიღაც თავისიანს. სწორედ ამიტომ იყო საჭირო სწრაფი და გაბედული მოქმედება.

რიუტელ კლაუსი შეშფოთებული იყო, რომ ხანძარი ძლიერდებოდა, ერთი სახლიდან მეორეზე გადადიოდა. ამიტომ მამა იოპანესის შეგონებას ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ როცა წმინდა ბერმა საბოლოოდ და მკაცრად მოსთხოვა, დაეცვა ქალაქი ტყიურებისაგან, კლაუსი გაცოთდა. ვერ გაეგო, რას სთხოვდა წმინდა მამა ან რას ერჩოდა იმ საცოდაც შიშველ არსებებს? ან რა დროს იმათზე დარდი იყო, როცა არათუ მთელი ქალაქი, საკუთარი სახლიც იწვოდა? რა დროს ამ მოთხოვნების წამოყენება იყო? რატომ უშლიდა ხელს მეხანძრეთა დახმარებას. ამ შუალამისას ცეცხლთან ბრძოლაში მისი თანადგომა ხომ ყველაზე გონივრული საქციელი იქნებოდა?

კლაუსმა მოიხსნა რეინის აბჯარი, რომელიც ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლაში ხელს უშლიდა და მამა იოპანესი გაოგნდა. მის წინ შიშველი კაცი იდგა. ალარ დაუყოვნებია, სწვდა კლაუსის ხანჯალს და ჩასცა. მერე მიბრუნდა და ცეცხლმოდებული ქალაქისაკენ გაიქცა. იქ, მის ხანძარნაკიდებულ სენაკში გამოკეტილი, დამფრთხალი კატა კნაოდა. მამა იოპანესი შევარდა, ჯვარცმის წინ დაიჩოქა და სთხოვა ღვთის შვილს, დაეცვა ქალაქი, თითქმის სავსე შიშვლებით, რადგან მარტო ვერ გაუმკლავდებოდა. გარედან ყვირილი იჭრებოდა, რამდენიმე სახლისგან ნახშირილა დარჩენილიყო და მაინც, თუმცა ნელ-ნელა, მაგრამ ხანძარს აქრობდნენ. მაგრამ მამა იოპანესს არაფერზე შეეძლო ფიქრი, გარდა ტყიური შიშვლებისა, რომლებიც ნიშანს ელოდნენ და ქალაქში შეიჭრებოდნენ. რა არ იღონა იოპანესმა, რომ მათი გეგმები ჩაეშალა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქალაქში იმათ ბევრი დამხმარე ჰყოლია. ჰოდა, ერთი საწყალი ბერი ამდენ მტერთან რას გახდებოდა? მხოლოდ სასწაულის იმედით იყო.

ეს ფიქრი არ ასვენებდა, როცა წყლის დასასხმელად წავიდა, უეცრად შენიშნა, რომ მთვარის შუეზე რაღაც ალაპლაპდა. ის შიშველი იყო და თანაც წყეულს ცხვირი შემოეყო ქალაქში და გამოშვების დროშის აფრიალებასაც აპირებდა. სწრაფად გაიტკაცუნა დანამ და ვარდისფერი სხეული იატაკს დაენარცხა. დასისხლიანებული იოპანესი საწოლთან მიფორთხდა და ჯვარცმას მიაშტერდა. არც ახლა დაეხმარება უფალი? შიშვლებმა ხომ უკვე შემოაღწიეს ქალაქში, ისინი ხომ ყველა კუთხე-კუნძულს მოსდებიან. სადღა არ იმალებიან? ნუთუ ამ კატის ბენვის ქვეშაც? აბა ვნახოთ!

დასისხლიანებულმა და საშინელი ტკივილებით გატანჯულმა იოპანესმა ხელი დასტაცა თავის კატას, ბრიტვა დაუსვა და მის გატყავებას შეუდგა. კატა კაზრავდა, ებრძოდა, კპენდა პატრონს, მამა იოპანესი კი ურტყამდა, რომ როგორმე დაემორჩილებინა. ბოლოს და ბო-

ლოს აღმოაჩინა, რომ კატა შიშველი იყო. სისხლიანი ბეწვითა და ტყავით მოფენილი იყო იატაკი. ბერმა კატა ფეხებით ასწია და კარგად დაათვალიერა. ცხადია, კატა შიშველი იყო. ესე იგი ისიც მტერი ყოფილა. მამა იოპანესმა მოღალატე კუთხეში თოკით ჩამოკიდა.

მეტის გაძლება აღარ შეეძლო. ტკივილი მოუთმენელი გახდა. ბოლოს რაღაც ბურანში გაეხვია. ხილვა შემზარავი იყო: უამრავი შიშველი ტყიური ქალაქის აღაყაფთან შეგროვილ-იყო, მხიარულები და იმედიანები, ქალაქში შესვლის მოლოდინში, ცმუკავდნენ. იმავ დროს ჯვარცმა, რომელიც საწოლთან ეკიდა, ჩამოვარდა, ვიღაცამ ცალყბად გაიღიმა და აღაყ-აფისკენ დაიძრა, იოლად გახსნა ოცივე ბოქლომი და შიშვლები ქალაქში შემოუშვა. ახლა ისინი, კბილებდაკრეჭილები, მთელ ქალაქს შეესივნენ.

ამასობაში მამა იოპანესი გამოფხიზლდა. მთელი სხეული ჯოჯოხეთურად სტკიოდა. საწოლი მთლად სისხლით იყო შეღებილი. მამა იოპანესმა ჯვარცმას ახედა და თავზარი დაეცა, ის ცარიელი იყო, იატაკზე თეთრი კვართი ეგდო. სწორედ ამ დროს კიბეებზე ფეხის ხმაც გაისმა, შიშველი ადამიანები ქვის იატაკზე როკავდნენ.

**თარგმნეს სერგო კალაძემ და ნანა დევიძემ**

## აცდრუს კივილაჲპი

### არწივი

დილას ზოოპარკში ლომი მკვდარი დახვდათ. მალე ექიმიც მოვიდა, მერე კი ზოოპარკის თანამშრომლებმა ლეში გორგოლაჭებიანი საზიდოით გამოაგორეს, ბრეზენტი გადააფარეს და წაიღეს.

ბუ, ვლადისლავი, და ახალგაზრდა არწივი, პრიმი, გალიის გისოსებიდან გასცექოდნენ უკანასკნელ გზაზე მიმავალ ლომს. მართალია, ლომი, საფრანი, მათი უახლოესი მეზობელი არ იყო, მაგრამ მისი გალია ყველა მხრიდან მშვენივრად ჩანდა და დილაობით, როცა ზოოპარკის ბინადრები ერთმანეთს მეზობლურ სალამს აძლევდნენ, ლომსაც გემრიელ საუზმობას უსურვებდნენ ხოლმე.

— ჰორო, დიდი მეცნიერი წავიდა, — თქვა ჩაფიქრებულმა ბუ ვლადისლავმა, — მან თავისი საქმე გაასრულა, ახლა კი შეუძლია მშვიდად განისვენოს! საფრანის ცხოვრება ჩვენთვის ყველასთვის სამაგალითოა! უკიდურესი სიზუსტის მეშვეობით, მან თავისი ცდები ბოლომდე მიიყვანა! მისი თავგანწირვა, მეცნიერების უსაზღვრო სიყვარულით იყო ნასაზრდოები გასაოცარი ცნობისმოყვარეობა ეხმარებოდა, მეტი გაეგო და შეეცნო. ეჱ, ვინ შეძლებს ამოავსოს ის სიცარიელე, რომელიც საფრანმა დაგვიტოვა. ვინ უნდა დასახლდეს ამ გალიაში?

— წუხელაც მუშაობდა, — თქვა პრიმმა, ცამეტჯერ გადასერა წინ და უკან გალია, თან თავის პულსს აკვირდებოდა. საბოლოოდ რვაჯერ კიდევ გაიარ-გამოიარა, კიდევ ერთხელ გაისინჯა პულსი, მხოლოდ ამის მერე ჩაეძინა და თანაც სამუდამოდ...

— ჰორო, შემოქმედმა თავს უფლება ვერ მისცა, რომ ბოლოს მაინც დაესვენა, — დაემოწმა ბუ. — საფრანი იკვლევდა ლომთა გულისცემას. ის ბოლოთას სცემდა გალიაში და წუთის განმავლობაში მაჯისცემას აკვირდებოდა; მერე წვებოდა ერთი საათით და ისევ პულს ისინჯავდა. გალიაში წინ და უკან სამოცდათხუთმეტჯერ გავლილიც მინახავს. რა საინტერესო შედეგები შეეძლო ეჩვენებინა მის გულისცემას ასეთი დამღლელი მარათონის შემდეგ! თუმცა ყოფილა, საფრანს უმოძრაოდაც გაუტარებია ორი დღე-დამე. ახლა შეგვიძლია მხოლოდ წარმოვიდგინოთ, თუ რას გრძნობდა მისი გული. სამწუხაროა, რომ დიდმა მეცნიერმა ყველა საიდუმლო სამარეში წაილო.

— ახლა რა ბედი ელის? — იკითხა პრიმმა.

— მჯერა, რომ ის თავის სამუდამო განსასვენებელს ყველაზე თვალსაჩინო ცხოველებისა და ფრინველების გვერდით დაიმკვიდრებს, ანუ — პანთეონში. მის ფიტულს ნახერზით გამოტენიან და მინის უკან მოათავსებენ, იმ რიგში, სადაც ყველაზე დიდ მეცნიერთა და შემოქმედთა ნეშტებია, რათა შთამომავლობამ მისთვის პატივის მიგება შეძლოს. მამაჩემიც იქაა, ეროვნულ საბუნებისმეტყველო ტაძრად წოდებულ მუზეუმში, და ვიმედოვნებ, რომ ჩემი მეცნიერული შრომით იმდენს მივაღწიე, სიკვდილის შემდეგ სხვათა ფიტულების გვერდით მიმიჩენენ ადგილს.

— რომელ სფეროში მოღვაწობდა მამაშენი? — იკითხა პრიმმა.

— თაგვებს იკვლევდა, — განუმარტა ბუ ვლადისლავმა. — აჯგუფებდა მათ და ამტკიცებდა, რომ არ არსებობს ორი იდენტური აგებულების თაგვი. ზერელე დათვალიერების შემდეგ შეიძლება კაცს ასე მოეჩვენოს, მაგრამ ეს არაა სწორი, მამა, როგორც გამოცდილი მეცნიერი, ხლეჩდა თაგვებს, ანაკუნებდა და ყველაზე მცირე განსხვავების აღმოჩენასაც ახერხებდა. მაგალითად, ერთ თაგვს ნანაზარდი ჰქონდა ღვიძლზე, მეორეს — კუჭის წვენი ზომაზე მცირე, მესამეს კი — ზედმეტად შეწითლებული თეძოს ხორცი. მამამ მოასწრო შეესწავლა სხვადასხვანაირი თაგვი, მას ჩვენს ზოოპარკში აფასებდნენ და აღიარებდნენ, როგორც ცოცხალ კლასიკოსს.

\* \* \*

მეორე დილით ზოოპარკის ბინადრების მომვლელებმა ჩამოიარეს, ვიღაცამ ფრინველების სასმელ აუზში სუფთა წყალი ჩაასხა და გალიაში სისხლიანი ხორცის რამდენიმე ნაგლეჯი შეაგდო. ბუ ვლადისლავმა თავი მშვიდად გააქნია.

— მსახურმა თავისი სამუშაო შეასრულა, სამეცნიერო საქმიანობისათვის ყველა საჭირო მასალა ადგილზეა, შეგიძლიათ წახვიდეთ! — თქვა ბუმ თავმომწონედ, ყველას ცხვირწინ აფრინდა და მიაშურა თავის ბუდეს, რომელიც კენჭებით, ძვლების ნამტვრევებითა და სხვა ათასი წვრილმანით იყო სავსე და ახლა ფრთხილად, სათითაოდ, წყლიან ჯამში ყრიდა, მერე გალიის მეორე კუთხეში მოკალათდა და ყურადღებით აკვირდებოდა წყლის ზედაპირზე გაჩენილ რგოლებს.

„დიდი ოვალი“ — წაიბუტბუტა კმაყოფილებით. — სამი...არა, ოთხი მთლიანი რგოლი! სწრაფი რგოლები, ორი დიდი! პატარა ელიფსი!

ის დიდი ხნის მანძილზე იკვლევდა სხვადასხვაგვარი მატერიის გავლენას სასმელ წყალზე და მნიშვნელოვან შედეგებსაც მიაღწია. უკვე იცოდა, როგორ წრეებს წარმოშობდა კენჭი, როგორს — თაგვის ძვალი, როგორს — ბელურას თავის ქალა. მონაცემების დაზუსტებისა და მუდმივი, ზედმინევნითი კონტროლის მეშვეობით ჭეშმარიტ მეცნიერად იქცა.

ვლადისლავი დამატებით ახალი საკითხითაც დაინტერესდა. ის აყურადებდა ტერასი-დან წყალში საგნების ვარდნის ხმას, ადარებდა ერთმანეთს და იმახსოვრებდა შემდგომი ანალიზისა და დასკვნისათვის. ხმების სამყარო ქაოტური და უცნაური იყო, თუმცა ბუმ მაინც მიაგნო თავისებურ კანონზომიერებას. წყლის ჯამში პირველი საგნის ჩავარდნის ხმა ყველზე ძნელი ამოსაცნობი იყო, მაგრამ მეცნიერის ნავარჯიშევი სმენისათვის ყოველგვარი დაფარული ურთიერთკავშირიც საცნაური ხდებოდა. ბუმ იცოდა, რომ დიდი აღმოჩენის ჟამი შორს აღარ იყო, ამიტომ უნდა გაეგრძელებინა ცდები და ყველა ახალი საგანი წყალში ჩაეყარა.

ასეთი მონდომებით მუშაობდა ვლადისლავი მთელი დღის განმავლობაში.

ახალგაზრდა არწივი პრიმი, რომელიც ბუს ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა, ხორცის ნაგლეჯზე იჯდა. ეს მსუყე ნაჭერი, ზედგამოჭრილი იყო მისი საყვარელი საქმისათვის. მშეერი პრიმი ხორცის ძიძგნას შეუდგა, მთელი გალია სისხლით მოთხვარა, ცდილობდა ხორცის ნაჭრისაგან ქანდაკებების გაკეთებას. ახლაც გულდაგულ დასტრიალებდა თავს ხორცს, გლეჯდა და წელავდა, თავდაუზოგავად მუშაობდა და ცდილობდა, რომ ხორცისთვის ან უკვე მკვდარი ლომის ფორმა მიეცა.

რბილი მასალა ადვილად ემორჩილებოდა გამოცდილი ოსტატის ნებას, ნისკარტის მოძრაობას, მის ყოვლისშემძლე კლანჭებს და ხელოვანის სურვილის მიხედვით იცვლებოდა. ერთი ნაწილი უკვე თითქმის დაესრულებინა და საფრანის მეფური იერი მიეცა; ძვალს დაფლეთილი ხორცის ნაჭრები ლომის ამაყი ფაფარივით ეყარა.

პრიმმა რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და ნამუშევარი კმაყოფილებით შეათვალიერა, სანამ თათებისა და ტორსის გამოკვეთას შეუდგებოდა, მიბრუნდა და წყალი მოსვა.

ბუ ძველებურად მონდომებით მუშაობდა, ნისკარტში ბუტუტებდა — წრეების რაოდენობას ითვლიდა და შემდგომი ანალიზისთვის საგნების ვარდნის ხმებს იმახსოვრებდა.

მეზობელ გალიაში კაკაჩა მუსიკაში მეცადინეობდა, ნისკარტში გაბზარული ძვალი გაეჩირა და უცნაურ ბერებს გამოსცემდა. პრიმს არ მოსწონდა ეს მუსიკა, თუმცა, მის-დაუნებურად აძლევდა ბანს, მაგრამ არა საქვეყნოდ და სხვების გასაგონად. პრიმის ბგერებს თითქოს ამომღერება სჭირდებოდა. კაკაჩას თვალები დაეხუჭა და მუსიკის გარდა იმწუთში არაფერი ესმოდა.

პრიმი ისევ ხორცის ნაგლეჯს დასტრიალებდა. თათების გამოქანდაკება ადვილი იყო, ხორცის ერთი ნაჭერი ლომის ფიგურას კუდად ჩამოკონნიალებოდა. ძვლის ნაკლებობის გამო, ფიგურა ფეხზე ვერ დგებოდა, მაგრამ მერე რა? ან უკვე განსვენებული საფრანიც ხშირად იწვა ხოლმე და თათებდა კრეფილი აყურადებდა შენელებულ გულისცემას, რის შედეგადაც ბუმბერაზ მეცნიერთა დარად შორსმჭვრეტელურ დასკვნებს აკეთებდა.

პრიმსაც, ჯერ კიდევ მართვეს, სურდა მეცნიერებისათვის მიეძღვნა თავი. საკვლევი თემაც შერჩეული ჰქონდა — მწვანე მცენარეების განსხვავებანი, მაგრამ ეს თემა რთული მოქმედება სამართლებრივ და სამართლებრივ მინიჭებულებების მიმართ და ხელოვნებაში გაიტაცა. მისთვის ყოველ დილით მიჰქონდათ გალიაში ახალი ხორცი, რომელსაც მთელ დღეს თავს დასტრიალებდა და ძიგნიდა. ზოგჯერ, როცა გარჯა წყალში ეყრებოდა, წარუმატებელ ნამუშევრას სანსლავდა. ბოლო დროს ისეთ ნამუშევრებს ქმნიდა, თავადვე რჩებოდა კმაყოფილი და ამაყობდა კიდეც! წარმატებულ ნამუშევრებს არასოდეს ჭამდა, გაღინის ცენტრში აწყობდა, რომ სხვებსაც ჰქონოდათ შესაძლებლობა, მათი ნახვით დამტკბარიყვნენ. მეზობლები ხშირად აქებდნენ, კეთილ სიტყვებს არ იშურებდნენ. განსაკუთრებულ აღტაცებას ახალგაზრდა არწივის მიმართ გამოხატავდნენ ზოოპარკის თანამშრომლები, რომლებსაც შეუჭმელი ხორცის ნაჭრები გალიიდან მუდმივად გაჰქონდათ, უეჭველად, მუზეუმში. — ასე სჯეროდა პრიმს. ამ ხალხის აღფრთოვანების დასტური იყო ისიც, რომ ეს ხალხი პრიმისთვის ყოველ დილით ახალ მასალას ეზიდებოდა, ბუნებრივია, იმ იმედით, რომ მართვე ხორცის ნაჭერს შემოქმედებით სულს შთაბერავდა... ზოგჯერ დამშეული პრიმი ყოველივე ამით შეწუხებულიც ჩანდა და ხორცის ნაგლეჯს გაცეცხლებული ეძგერებოდა ხოლმე.

საერთო ჯამში, პრიმი თავის მუზას მაინც ლირსეულად ემსახურებოდა, იშვიათად, რომ ხორცი მთლიანად შეეჭამა. უყვარდა ხელოვნება და არ შეეძლო მის გარეშე სიცოცხლე. პრიმი ხორცის ნაჭრებს მთელი არსებით ძიგნიდა, ფორმას აძლევდა და შექმნილი ქანდაკით ტკბებოდა.

ლომი უკვე მზად იყო. ამაყ პრიმს ქანდაკება გალიის ცენტრში დაეგდო და თავს დასტრიალებდა, რომ ოსტატურად ნაძიგნი ხორცი ყოველი მხრიდან შეეთვალიერებინა. ბულადისლავი ისევ თავის სამუშაო ადგილზე, ანუ კათედრაზე, ირწეოდა, როგორც ის თავად უწოდებდა წყლის ავზს, და ამბობდა:

— ძალიან ლამაზია, პრიმ! საფრანს მოეწონებოდა. შენ დიდი ნიჭი გაქვს, ჩემო ბიჭო! გაუფრთხილდი მას!

\* \* \*

შუალამისას პრიმი ხმაურმა გააღვიძა, ვიღაც წყლის ავზთან ყრანტალებდა. თვალები გაახილა და დაინახა ყვავი, რომელიც გალიაში დასეირნობდა და მიწაზე მიმობნეულ საჭმლის ნარჩენებს კენკავდა. როცა ყვავმა შენიშნა, რომ პრიმს გაეღვიძა, ერთ კუთხეში მიიბუზა და იქიდან დაუწყო ამრეზით ყურება:

— არ მომეკარო, თორემ თვალებს ამოგვორტნი!  
— არც ვაპირებ მოკარებას, — უპასუხა პრიმმა. — უბრალოდ გთხოვ, არ იხმაურო! შუალამეა და პატივცემულ ფრინველებს სძინავთ. გთხოვთ, შეწყვიტოთ ჭამა და მიბრძანდეთ ჩემი გალიიდან!

ყვავმა აღმაცერად გახედა.

— დახვეწილი ხარ, არა, შენი გაგებით? — „პატივცემული ფრინველები...“ პატივცემულები კი არა, სულელები! მხოლოდ სულელი ჩიტი აძლევს სხვას იმის უფლებას, გაღიაში გამოკეტონ, ჯაჭვით დაბმული ძალივით! მით უმეტეს, არწივი! შენი ადგილი მაღლა, ლურჯ ცაშია, სადაც გულს ნიავით უნდა იქარვებდე და ხვატს ქათქათა ღრუბლებში ემალებოდე. შენ კი, სულელო, აქ გდიხარ! ალბათ, ფრენაც არ იცი!

— ფრენა, ბუნებრივია, ვიცი, — სიბრაზე შეეპარა ხმაში პრიმს, რომელიც ჯერ ისევ მართვე იყო და ყოველთვის ბრაზობდა, როცა ვინმე ეკამათებოდა; მერე ფრთები გაშალა და მიფრინდა ყვავთან; თითქოს ფეხი აუცდა, მაგრამ წონასწორობა მაინც შეინარჩუნა.

— აბა, შეხედე ერთი! — უთხრა ყვავმა, — დაფრინავ ბებერი ფრინველივით. არ მესმის, რას უზიხარ აქ?! თუმცა ვერაფერს იტყვი, ულუფა ბრწყინვალე გაქვს, მაგრამ ცხოვრებაში ბევრი რამაა კიდევ, ძმობილო, ისეთი, რაზეც შენ წარმოდგენაც არა გაქვს, ეს თავისუფლებაა! ტყეში ყველა იმას აკეთებს, რაც უნდა დაფრინავს, უნდა კენკავს, უნდა დახტის.

იქ თავისუფლებაა... აქ კი ქალებიც არ გეყოლება! მართლა გამკვირვებია შენი ცხოვრების!

— როთი არიან ეს ქალები ასე... — დაიწყო პრიმმა, რომელმაც პირველად იგრძნო, რომ ტანჯული იყო.

ყვავს კი ამასობაში პირი უშნოდ მოეღო. — შენ ამ ქვეყნიერების არაფერი გაგეგება! — ბრძნულად განაგრძობდა საუბარს — ქალები?! წამო ტყეში და შენი თვალით ნახე! იქაურობა სავსეა ახალგაზრდა, ერთი მეორეზე უკეთესი მდედრი მართვებით. წამო, წამო!

— გალის გარეთ? — გაიკვირვა პრიმმა. — ეს ხომ შეუძლებელია, გალის გარეთ და-დიან მხოლოდ ზოოპარკის თანამშრომლები, რომლებსაც ჩვენთვის საჭმელი და მასალები მოაქვთ.

— შტერი ხარ, გალის გარეთ სიარული ყველას შეუძლია, მით უმეტეს, მაშინ, როცა გალის გისოსებში არის ლიობი, — ამბობდა ყვავი. — მე ხომ შემოვედი შიგნით და აი, ახლა ისევ გარეთ გავალ... შეხედე!

და ყვავმა ისეუპა გალის უკანა კუთხეში, რომელიც გაზონს ესაზღვრებოდა. გალის ბადეში მართლაც იყო მეტრამდე ლიობი, საიდანაც ის თავისუფლად შემოძრა, ახლა კი უკე გარეთ იყო და მტკრიან გზაზე იდგა...

— ჰე, მოდი შენც! — თქვა მან. — რას გამოკეტილხარ ამ ვიწრო გალიაში! მოდი, იცხოვრე! შენ არწივი ხარ და არა ვიღაც ბებრუხანა. შენ სივრცე გჭირდება, თავისუფლება, სიმაღლე... მოდი! ნუ ყოყმანობ! კაცი არა ხარ?!

პრიმს მართლაც ვერ გადაეწყვიტა, დაეტოვებინა თუ არა თავისი ნესტიანი და მყუდრო გალია, გაპყოლოდა თუ არა უცნობ ყვავს. არადა, ხელოვნება იზიდავდა. იცოდა, რომ შემოქმედს ახალი ადგილი, ახალი იმშულსი სჭირდებოდა. სიმართლე რომ ითქვას, ყველაფერი, რაც გალიაში და მის გარეთ ჰქონდა ნახული, ხორცით უკე გამოექანდაკებინა და ახლა, გულის სიღრმეში ახალი ფორმების მოძიებაზე ოცნებობდა. იქნებ ამ, ეგრეთნოდებულ, თავისუფლებას შეუძლია უფრო აუმოძრაოს ფრთხი და უკეთ ამსახუროს მუზას? ეგებ გალი-ის გარეთ კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობებია ხელოვნებისათვის. ეგებ მართლა რჩები რაღაცის გარეშე, როცა მარტოდმარტო გალიაში ჩაიკეტები და შემოიფარგლები მხოლოდ ამ გალის მიერ შემოთავაზებული გამოცდილებებით? არ შეიძლება, ასე ნუ მოექცევი ნიჭს! როგორ თქვა ამ ყვავმა?! სივრცე, თავისუფლება, სიმაღლებიო... უნდა ვცადო!

— მეც მოვდივარ! — თქვა ამაყად, გაძვრა გალის ლიობიდან და ყვავთან ერთად აფრინდა.

ყვავმა თავმომწონედ დასჩხავლა — ყოჩალ! ახლა მიდი! მე გასწავლი ახალ გზებს! ოღონდ დამპირდი, თუ სხვა არწივი ჩემს დაჩაგვრას მოინდომებს, ამის უფლება არ მისცე. უთხარი, რომ შენიანი ვარ.

— სხვამ რატომ უნდა დაგჩაგროს? — გაიკვირვა პრიმმა.

— რომ მომკლას და დამგლიჯოს! — აუსწანა ყვავმა. — მოდი! გავფრინდეთ!

ისინი ცაში აიჭრნენ და გასცდნენ ზოოპარკს. პრიმს გული აუძგერდა, როცა მთის კენწეროებს მოექცა. ადრე იგი გალის ერთი ბუდიდან მეორემდე თუ გადაფრინდებოდა ხოლმე. ახლა კი უეცრად რამდენიმე ათეული მეტრის სიმაღლეზე ჰაერში დანავარდობდა! მეტად უცნაური შეგრძნება დაეუფლა, ერთდროულად კარგიც და წარმტაციც, თუმცა რაღაცით ამაზრზენიც. იქნებ ყველას არ სურდა ასე დიდი ხნით ცაში ყოფნა, ვინ იცის, რა შეიძლება მოხდეს. უეცრად ბუმბული რომ შემოეცალოს. პრიმის ფრთხებს ასეთი შთამბეჭდავი რამ არასოდეს უგრძევნიათ, არავინ უწყის, როდის მოხდება რაღაც პირველად. სასიამოვნო იყო, რომ ეს პირველი რაღაც მაღლა, ჰაერში ხდებოდა. არა, აღბათ მაინც ძირს დაშვება ბევრად ჭკვიანური იქნება.

— არ გვეყო ფრენა?! — წამოიძახა.

ყვავი კი თავისას ჩხაოდა:

— კაცი არა ხარ?! რა ნინილასავით იქცევი ამოდენა არწივი, მიდი, იფრინე! მე აქ ახლოს ჩხიკვის ბუდე ვიცი, შეგვიძლია ყელი კვერცხებით ჩავიკოკლოზინოთ. მიდი ცოტაც, რაღა!

ფრენა განაგრძეს. ზაფხულის თბილი ღამე იდგა. მუქი, მწვანე ხეების კენწეროები

მათ ქვემოთ უხმაუროდ ირწეოდნენ. მსუბუქი ნიავი ბუმბულს ნაზად ურხევდა. ფრენას შეუჩეველ პრიმს ეგონა, რომ დიდხანს მიფრინავდნენ, საშინელი დაღლილობა იგრძნო. ყველა აზრი, რაც თავში უტრიალებდა, ქარმა თითქოს მოსტაცაო, ფრთებს მექანიკურად ამოძრავებდა... და უცებ მოეჩვენა, რომ ცაში შეიძლება ჩასძინებოდა კიდეც... თითქოს არც მიფრინავდა და ვიღაც უჩინარი აკეთებდა მის მაგივრად ამას. ეს ფრენა პრიმს სამუდამოდ დაამახსოვრდებოდა, და კიდევ ყვავის ყრანტალი, რომელიც ბრძანებებს იძლეოდა.

— საკმარისია, საით მიიწევ! — დასჩავლა ყვავმა — მოდი, აქ არის კვერცხები.

— ეს არაა შენი კვერცხები, შე ნაძირალა!!! — დაიჭყივლა პასუხად ჩხიკვმა, რომლის ბუდესაც ყვავი უახლოვდებოდა. — გამეცალე! მე დავდე ეს კვერცხები! დაიკარგე აქედან, თორემ ნისკარტით დაგასისხლიანებ!

— მე თვითონ დაგასისხლიანებ! — დაიკვეხნა ყვავმა. — სჯობს შენ გამეცალო, ჩერჩეტო! მადლობელი იყავი, რომ მე და ჩემი მეგობარი ცოცხალს გტოვებთ! შეხედე ერთი! ვისთან ტლიკინებ! ეს ხომ არწივია!

ბუდეს პრიმიც მიუახლოვდა. ეუხერხულებოდა, რომ უცნობ ფრინველს მისსავე ტერიტორიაზე ანიოკებდა. ჩხიკვმა არწივის დანახვაზე, იმის შიშით, ჩამინისკარტებსო, თავი ფრთებში ჩამალა.

— ბოდიშს გიხდით... — დაიწყო პრიმმა, — აქეთ მოვფრინავდით და გზად შემოგიარეთ, რა კომფორტული ბუდე გქონიათ...

— ნურაფერს უხსნი! — დასჩავლა ყვავმა. — მოდი, გასინჯე! უკვე კარგად გამომთბარი კვერცხებია და არა მხოლოდ ცარიელი ნაჭუჭები, ხორცის გემოც კი იგრძნობა, ბულიონის! კბილებში პატარა ძვლები ტკაცუნობენ!

— არა, გმადლობთ! — თქვა პრიმმა, რომელსაც თავზარი დაეცა, როდესაც ყვავმა ნისკარტით კვერცხი ჩამტვრია და ბლანტი სითხე ბირში ჩაიგუბა; გული ცუდად გაუხდა, როცა სითხეში რაღაცა ნამცეცები დალანდა, ყვავი გემრიელად წუნწიდა.

— ნუთუ არ გინდა! — პირი სავსე ჰქონდა და ისე ელაპარაკებოდა ყვავი. — ღვთაებრივი გემო აქვს! ისე არ გვაწყენდა ქონიანი კურდლელი ან მსუქანი ტყის ქათამი, ან პატარა ბაჭიები! მაგრამ ახლა კვერცხებით უნდა დავკმაყოფილდეთ! ესეც შესანიშნავია!

— გავფრინდეთ წინ! — შესთავაზა პრიმმა. მას სურდა სწრაფად გასცლოდა ამ გავერანებულ ბუდეს, უძნელდებოდა ელდანაცემი ოჯახის დედის ყურება, და მორიდებით უხსნიდა, რომ თავად ის არ იყო დამნაშავე და ყვავის უმსგავსო საქციელზე პასუხს არ აგებდა. გაუბედურებული დედა კი შემზარავად გაჰკიოდა, ამიტომ პრიმმა თავი ანება ახსნაგანმარტებებს.

ყვავმა გასვრილი ნისკარტი ბუდეს შეაწმინდა.

— კარგი, წავიდეთ წინ! — თქვა მან. — კარგად იყავი! ახალი კვერცხები დადე, მერე ისევ გესტურებით! — დაუბარა და ორივენი ცაში აიჭრნენ.

— ერთი მითხარი, როგორია თავისუფლება, მოგწონს? — ჰკითხა ყვავმა. — ამაშია სიცოცხლის აზრი! წამო, წავიდეთ! ახლა თავი შევიცყროთ!

— კი მაგრამ, ახლა არ ჭამე?! — უთხრა პრიმმა. — შენ რა, სულ მშიერი ხარ?!

— ზედმეტი ჭამისაგან ჯერ არავინ მომკვდარა, — თქვა ყვავმა და ტყისპირა მდელოსაკენ დაეჭვა. — თაგვების დაჭერა სახალისოა. ჩაუსაფრდები, უცებ თავს დაესხმები, დაიწყებს ეს ძმობილი კლანჭებქვეშ წრიალს, იცის, რაც მოელის, ფეხებს ააფართხალებს. მერე წაათრევ წყლის პირას, ჩასცხებ ისე, რომ ზურგის ძვლამდე ჩააღწიო და გაბრდლვნი. მე მთელ დღეს არ მომბეზრდება თაგვების ჭერა, ამ სიამოვნებაზე უარს ვერაფრით ვიტყვი!

პრიმმა უხერხულობა იგრძნო. მიხვდა, ყვავი არ გამოადგებოდა მეგზურად. თავზარს სცემდა იმისი სიტყვები: კეფაში ჩარტყმა, გაბრდლვნა, გახლეჩვა! ბუ ვლადისლავს არა-სოდეს უხმარია მსგავსი სიტყვები. იქნებ შეცდომა დაუშვა, მყუდრო ბუდე რომ დატოვა და დროს უცხო ტყეში, უცხო და უსიმპათიო ფრინველთან ატარებდა?

პრიმს ჯერ ფიქრებისთვის თავი ვერ მოეყარა, რომ უეცრად ციდან რაღაც ფრინველი

დაეშვა და ყვავს დააცხრა. ყვავმა ერთი კი გააფართხალა ფრთები და ხმა გაკმინდა; დაეცა და პრიმს გაყინული თვალები მიაშტერა, ნისკარტიდან სისხლი წასკდა. დიდმა ფრინველმა, უზარმაზარი კლანჭებით ერთიანად დასერა ყვავი, და მაშინდა დამშვიდდა, როცა ბუმბულ-ქვეშ სისხლიანი ხორცი გამოჩნდა, მერე პრიმს მიუახლოვდა და უთხრა:

— დიდხანს გიყურებდი — მაინტერესებდა, გაასაღებდი თუ არა მას. თუმცა, როგორც ვატყობ, შენ მაძლარი ხარ. ჰოდა, არ გეწყინოს, ძმობილო, რომ ეს ყვავი ჩემი ნადავლი გახდა. გირჩევ, სხვა დროს უფრო მრისხანე იყო. ამ ტყეში შენ ხარ ერთადერთი არწივი, ვინც ეს არამზადა არ გამოასალმა სიცოცხლეს, რაკი შენ ისე არ იქცევი, როგორც საჭიროა, სხვა აკეთებს შენს საკეთებელს.

მხოლოდ ახლა მიხვდა პრიმი, რომ მის წინ მისივე ჯიშის ფრინველი იდგა — ზუსტად ის-ეთივე არწივი, როგორიც თავად იყო. ყვავის მოულოდნელმა სიკვდილმა მას თავზარი დასცა. ის თავს ვერ უყრიდა სიტყვებს და განცვიფრებული შესცექეროდა, როგორ პრდღვნიდა უცხო არწივი ყვავს. ნაცრისფერი ბუმბულის ქვეშ წითელი ხორცი გამოჩნდა — ზუსტად ის-ეთივე, როგორსაც პრიმს ზოოპარკში აძლევდნენ და რომლისგანაც სკულპტურებს ქმნიდა. ხორცმა პრიმს გაახსენა, რომ მუცელი ცარიელი ჰქონდა და მკვდარ ყვავთან მიჩოჩდა, მაგრამ ბასრკლანჭებიანი არწივი უკვე დაპატრონებოდა ყვავის ხორცს და მუქარით უთხრა:

— მოკარება არ გაძედო! თუ გინდოდა, შეგეჭამა, ახლა ეს ჩემი წილია!

პრიმი ასეთ უხეშობას არ მოელოდა. კამათს არ აპირებდა და ამიტომ მაშინვე რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია. ბრძოლას არ იყო მიჩვეული და ვიდრე უცხო არწივმა ყვავი ბოლომდე არ შეჭამა, ნისკარტს ტანზე ისვამდა. შემდეგ ჰკითხა:

— საჭმელს საღმე ვიშვოვ?

— რა თქმა უნდა, — უპასუხა უცხო არწივმა. — ტყე კურდღლებითაა სავსე, ამ მხარეში უცხო ხარ? ჩანს ჩვენი ტყის მკვიდრი არ უნდა იყო. არა უშავს, წამომყევი! მე გაგაცნობ სხვა არწივებს და გაჩვენებენ, სად არიან ქონიანი ბაჭიები!

ისინი ცაში აიჭრნენ და დაეშვნენ ერთ მაღალ ხეზე, რომლის კენწეროზე ათამდე არწივი იჯდა.

— გაგიმარჯოთ! — მიუგო პრიმმა სხვებს სალამზე.

— ნახეთ, უცხოს შევხვდი, გაიცანით! ესენი არიან ჩვენი კამპი, კუუსი, კონკსი და სხვები. მე კუკს მეძახიან. აი ჩვენი გოგონებიც...

სამა ახალგაზრდა მდედრმა არწივმა ფრთები შეათამაშა, კუკი მიფრინდა და ერთს თავში ჩაუნისკარტა.

— ეს ჩემია, თუ ამასთან რამეს გააბამ, აქედან გისვრი.

— კუკ, ნუ სულელობ! — გამოეხმაურა მდედრი და ნისკარტი კუკის ფრთებს ნაზად შეახო.

— ახლა რა ვქნათ? — იკითხა კუუსმა. — არ აღვნიშნოთ?

— აქვე ახლოს კარგი ადგილია. პირველ რიგში, სისხლი დავლვაროთ. თანახმა ხართ, კაცებო? — იკითხა კუკმა, რომელიც ჩანდა, მეთაური იყო. — მე ერთი ყვავი უკვე მივირთვი, მაგრამ კურდღლზე უარს ვერ ვიტყვი. ასე რომ, გავწიოთ!

არწივები ცაში აიჭრნენ. პრიმს მოსვენებას უკარგავდა სულისშემძვრელი სიტყვა — „სისხლის დაღვრა“. მიხვდა, რომ კუკი სწორედ ასე მოექცა ყვავს. ეს იყო საჭმელზე ზრუნვის ერთადერთი საშუალება, პრიმს ზარავდა იმის წარმოდგენაც, ცოცხალ არსებას ისე ჩაუნისკარტო, რომ მეორე მხრიდან სისხლმა გამოასხას... მასაც ძალიან უყვარდა ხორცი, მაგრამ ხორცის მოსაპოვებლად ასეთი ბარბაროსული მეთოდების გამოყენება არ მიაჩნდა მართებულად. ძიგნე რამდენიც გინდა, ზოოპარკში ყველაფერი მარტივად და ლამაზად იყო — ის ხორცის ნაჭრები, რომლებიც პრიმისთვის გალიაში მიჰქონდათ, არ ტოვებდა ცოცხალი არსების შეჭმის განცდას. ის იყო ჩვეულებრივი წითელი ნაგლეჯი, ძიგნე, რამდენიც გინდა! აქ კი, ტყეში, იგეგმებოდა მორიგი თავდასხმა კურდღლებზე!

პრიმს ახსოვდა, რომ ზოოპარკშიც ცხოვრობდა კურდღლელი, მაგრამ არ ჰყავდა ნანახი, მათი გალიები დაცილებული იყო, მაგრამ სხვა ცხოველების მონაყოლ ამბებს არწივებამ-

დეც მიეღწია — ზოოპარკის კურდლელი თურმე ბაბუაწვერას ფოთლებს იკვლევდა და დაასკვნა, რომ კურდლის კუჭს, საჭიროების შემთხვევაში, შეეძლო რეზინივით გაწელვა. ახლა კი პრიმი ასეთი გენიალური მეცნიერის მოძმეულზე სანადიროდ უნდა გაფრინდეს? რა საშინელი პერსპექტივაა! ღმერთო, სახლში მინდა!

ამასობაში, კუკმა შენიშნა კურდლელი და თავდასხმის ბრძანება გასცა. ქვებივით დაე-შვნენ ძირს. პრიმი მეორე რიგში მიფრინავდა, ხედავდა კურდლელს, მაგრამ ცდილობდა, როგორმე არ დასხმოდა თავს; ეცადა, მიწას არ შეხებოდა, ფრთებიც კი გაშალა, მაგრამ ბოლო წამს დამფრთხალმა კურდლელმა ისე ისკუპა, პირდაპირ მის ბრჭყალებში აღმოჩნდა. საწყალი ცდილობდა თავის დაღწევას, მაგრამ პრიმმა წონასწორობა რომ შეენარჩუნებინა, კლანჭები ღრმად ჩაარჭო, და დაინახა, როგორ გამოჟონა ბეწვს ქვემოდან სისხლმა და რა-ლაც ბლანტმა სითხემ. პრიმის ერთი ბასრი ბრჭყალი კურდლელს პირდაპირ თვალში ჩარჭო-ბოდა, გაუბედურებული ცხოველი მისი კლანჭების ქვეშ ხაოდა.

— საკმარისია, ჩააძალლე! — დაიყვირა ვილაცამ. ეს იყო კონკსი, რომელიც იქვე იჯდა და შურიანი თვალებით შეჰქვეულებდა.

— მოიცა, კონკს! მე მომწონს ზოგჯერ მათი წამების ყურება. ისე სასაცილოდ ფარ-თხალებს, რომ მალე თავისისავე სისხლში დაიხრჩობა! პერი, ყურცექვიტავ, აბა, შენ იცი, არ დანებდე! — ოხუნჯობდა კუკი.

— მე ეგეთი რაღაცეები არ მიყვარს! — უპასუხა კონკსმა. მიაფრინდა პრიმის კურდ-ლელს და ნისკარტი ისე ჩასცხო, რომ საწყალმა სული მაშინვე განუტევა. პრიმს კონკსისთ-ვის მადლობის თქმა უნდოდა, მაგრამ წინ კუკი გადაეღლობა.

— უხემობას თავი ანებე, კონკს! — დაემუქრა. — ისე იქცევი, თითქოს ისეთი წინამდ-ლოლი ვიყო, კურდლის წამების ყურება, რომ მოსწონს. თვალებს ამოგთხრი, თუ კიდევ ჩემს წინააღმდეგ წახვალ.

— ბოლიმი კუკ! — თქვა შეშინებულმა კონკსმა. — უბრალოდ... არ შემიძლია ამის ყურე-ბა! გული მიმდის.

— უყურეთ ერთი ამ გულჩილს! — წარმოთქვა მდედრმა არწივმა. — კუკ, კურდლის გული მინდა! გამიხლიჩე, ჩემო უძლიერესო, შენ ამას ბევრად სწრაფად გაართმევ თავს!

— უტკბილესო! — გამოეპასუხა კუკი მდედრს, ჩავლო ბასრი ბრჭყალები კურდლელს, ნისკარტი პირდაპირ მკერდში ჩასცხო და კურდლელს გული წამში ამოგლიჯა, თავი რომ აიღო, მთლიანად სისხლით იყო მოთხვრილი.

— ინებეთ! — თქვა მან და პატარა გული ბუმბულიან ფეხებთან დაუგორა. მდედრმა არ-წივმა მადლიერების ნიშნად ფრთები აათამაშა.

პრიმმა მხოლოდ ახლა გაბედა, რომ კურდლისათვის კლანჭები გაეშვა. აკვირდებო-და სხვა არწივებს და მათ მსგავსად ცდილობდა კურდლის ტყავიდან როგორმე ხორცში ჩაელნია, მაგრამ არ გამოსდიოდა, მისთვის უხერხული იყო მკვდარი კურდლისთვის ნის-კარტი დაერტყა. შეუძლებელი იყო იმ განცდის გადმოცემა, რაც მას დაეუფლა, როცა კურდ-ლის ხორცის ჭამას შეუდგა. მაგრამ რას იზამდა, შიოდა. უცებ ვიღაც შეეხო და ნაზი ხმით ჩასჩურჩულა:

— ნება მომეცი, დაგეხმარო!

ეს იყო იმ სამი მდედრი არწივთაგან ერთ-ერთი, რომელიც პრიმს უცნაურად ათვა-ლიერებდა და ცდილობდა ფრთებით პრიმის ფრთებს შეხებოდა. როცა შეშინებულმა პრიმ-მა უცხოს უფლება მისცა დახმარებოდა, ნაზად ჩასჩურჩულა:

— რა წარმტაცად ეთამაშებოდი ამ კურდლელს. ასეთი რამ ძალიან აღმაგზნებს... ასეთი სადიზმი. მითხარი, რა გქვია? მე ტიი ვარ.

პრიმი გაეცნო. ტიი მიუჩინდა და ალაპარაკდა:

— იქნებ ერთად გვეჭამა კურდლის თვალები? ერთი შენ, მეორე მე.

პრიმს არ სურდა თვალების შეჭმა, მაგრამ მისი მხრიდან ეს არ იქნებოდა ლამაზი საქციე-ლი. მით უმეტეს, ახალგაზრდა მდედრი არწივის გვერდით თავს მშვენივრად გრძნობდა. ზოოპარკში რატომდაც არ ჰყავდათ მდედრი არწივები და პრიმისთვის უცხო იყო საწინააღ-მდეგო სქესის მომხიბვლელობა. პირველმა ურთიერთობამ მართვე აღაგზნო. სიამოვნებდა

სხვისი ფრთა მის ფრთას რომ ეხებოდა. ამ სიამოვნებამ გადაასანსლინა კურდლლის თვალი, რომელიც არცთუ ისე ურიგო აღმოჩნდა.

მდედრმაც შეჭამა თვალი და მაშინვე ნისკარტი პრიმის ნისკარტს მიაჭირა.

— ახლა მე შენი გოგო ვარ! — უთხრა. — ჩვენთან ასეთი ტრადიციაა, თუ წყვილი კურდლლის თვალებს ერთად შეჭამს, ისინი წყვილდებიან. მიხარია, რომ მრისხანე ხარ! ჩვენთან მხოლოდ კუკას შეუძლია შენსავით კურდლლების წამება, მაგრამ მას უკვე ჰყავს თავისი გოგო და ხომ წარმოგიდგენია რა მოხდება, მე რომ მასთან გავიარო.

პრიმს დასკვნის გამოტანა ჯერ არ შეეძლო. ტყეში ყველაფერი სწრაფად ხდებოდა, მოვლენები ელვისებურად იცვლებოდა. ცხოვრების რიტმი ზოობარკან შედარებით განსხვავებული იყო, იქ აზროვნების, ჩაფიქრების, მეცნიერებასა და ხელოვნებაზე მსჯელობის დრო ჰქონდა, ხორცისგან ხელოვნების ნიმუშების შექმნის საშუალება ჰქონდა... აქ კი — მხოლოდ ფრენა, კურდლლებისა და ყვავების ხოცვა და მდედრ არნივებთან არშიყო.

სანამ ტიის ფრთები პრიმის ფრთებს ეხებოდა, ტყის ცხოვრება ტყბილი და ნეტარი ჩანდა. ტიიმ კურდლელი გახლიჩა, ხორცი პრიმსაც ერგო, შეჭამა და დანაყრებულს სურვილი გაუჩინდა, ხორცისგან რაღაც შეექმნა — საჭმლის გარდა კიდევ რაღაც მიეღო ხორცისგან. დღე შთაბეჭდილებებით იყო სავსე და იქნებ ეს შთაბეჭდილება ხორცში გამოეხატა? პრიმმა წამიერად ყვავი წარმოიდგინა, მაგრამ საბოლოოდ, კურდლლის ხორცში ახალგაზრდა მდედრი არნივის — ტიის გამოკვეთა დაიწყო.

უკაკუნებდა ხორცს პრიმი... როცა ფრთები უკვე მზად იყო და ტიის სახის დამუშავებას შეუდგა, ვიღაცამ გვერდით გასწია. ეს კუკი იყო. მან შეხედა ნახევრად გამზადებულ ქანდაკებას და იკითხა:

— ეს რა ჯანდაბა?! თუ უკვე ჭამაც არ შეგიძლია, მაშინ გვერდით გადექ და სხვებს მიეცი საშუალება, რატომ აფუჭებ საჭმელს?!

არ ვაფუჭებ, — აუხსნა პრიმია. — ქანდაკების გაკეთება მინდა, გესმის, მოდელირება...

— აბა მორჩი ბოდვებს! — დასჭექა კუკმა. — ჩვენთან ეგეთ რაღაცებს არ აკეთებენ. ხორცი საჭმელად არის და არა გასაფუჭებლად. საკვებით არ თამაშობენ! თუ კიდევ შევნიშნე მსგავსი რამ, დაგსჯი.

პრიმი განზე გადგა, ტიიმ შენიშნა, რომ მისი რჩეული კრიტიკის ქარცეცხლში გაახვიეს და მოიწყინა. ახლოს მიუჩინებდა და ჩასჩურჩულა:

— მე მესმის შენი, კიდევ გინდა ანამო, მაგრამ კუკას ეს არ ესმის. ის ფიქრობს, რომ სიკვდილის შემდეგ კურდლელს უკვე არ სტკივა, მაგრამ შენ...

— მისი წამება არ მინდა! რა შუაშია წამება — თქვა პრიმმა. — მე მინდა, კურდლლის ხორცს შენი ფორმა მივცე, ეს ხელოვნებაა, გესმის?

ტიი თავს ისე აქნევდა, რომ პრიმმა საუბარი შეწყვიტა. სხვა არნივები, მგლებივით ჭამდნენ. უცებ ფრთები ერთდოროულად აატყლაშუნეს, თვალები განაბეს და დაიყივლეს.

— ახლა რას ვაკეთებთ? — ჰყაოთხა პრიმმა ტიის ჩურჩულით.

ტიიმ მხრები აიჩეჩა:

— არაფერს, ვართ და მორჩა...

კუკი მსუყე ნაჭერს კლანჭებით გლეჯდა. სხვა არნივები კისერმოლერებულნი მიშტერებოდნენ თავიანთი წინამდლოლის საქციელს, დროდადრო კი უცნაურ ხმებს გამოსცემდნენ, როცა კუკის კლანჭები კურდლელს ნაკუნებად ფლეთდა, სამი-ოთხი ფრინველი ერთი ბუჩქის ძირას მიყუჩებული, გაშტერებული თვალებით მიწაზე მცოცავ ჭიანჭველებს მისშტერებოდნენ. დროდადრო, რომელიდაც არნივი ნისკარტით მიწას თხრიდა და ჭიანჭველას კლავდა. ასე გავიდა მთელი საათი.

კუკმა საქმე მოითავა.

— ჯანდაბა ამას! — თქვა — იყოს!

— საკმარისია! — დაეთანხმნენ სხვა არნივებიც და ერთმანეთს გამოეხმაურნენ თავისებურად.

კუკი ჩაფიქრდა.

— კაცებო, წავიდეთ ვინავარდოთ! — გამოაცხადა. ყველანი ერთდროულად აიჭრნენ ზეცაში.

— საით მივფრინავთ? — წამოიყვირა პრიმმა, რომელიც მოწყენილობისგან ნახევრად თვლემდა და უცებ ვერ გაიგო, რა ხდებოდა.

— ქროლვას ვიწყებთ! — უპასუხა ტიომ.

— ეს რას ნიშნავს?

— წინ და უკან ვიფრენთ მთელი სიჩქარით.

— აზრი? — იკითხა ჩაფიქრებულმა პრიმმა.

ტიომ მხრები აიჩინა:

— არ ვიცი, უბრალოდ ასეთი წესი გვაქვს.

ქროლვა დაწყებულიყო. კუკი ყველაზე წინ მიფრინავდა. გეზი ჯერ ჩრდილოეთისაკენ აიღეს, მერე მიტრიალდნენ და სამხრეთისაკენ გასწიეს. ეს პრიმს დიდ სიბრიყვედ მოეწვენა. თუმცა სხვებს ისეთი სერიოზული სახეები ჰქონდათ, თითქოს იმწამს რაღაც ჭკვიანურსა და მნიშვნელოვანს ჩადიოდნენ. პრიმს არ სურდა უცხო ადგილებში ფრენა. ქროლვა თითქმის ნახევარ საათს გაგრძელდა, ამას დასასრული არ უჩანდა. მოწყენილმა პრიმმა ფრთები დაკეცა და ფიჭვისკენ დაეშვა.

კუკმა ეს მაშინვე შენიშნა:

— რა ხდება აქ?

— არაფერი, — უპასუხა პრიმმა. — ცოტა ხნით აქ ჩამოვჯდები. თქვენ შეგიძლიათ გააგრძელოთ ფრენა, მე ახლა არ მინდა.

— რას ნიშნავს — არ მინდა! — გაიკვირვა კუკმა. — თუკი მე ვთქვი, ვიქროლებთ-მეთქი, უნდა ვიქროლოთ! სანამ შენ ჩვენი ჯგუფის წევრი ხარ, შენ არავინ გეკითხება რა გინდა და რა არა.

— მერედა მე ხომ არც ვარ! — თქვა პრიმმა. — ჩვენ, უბრალოდ, დღეს გავიცანით ერთ-მანეთი და ცოტა დრო გავატარეთ ერთად. მე ხომ არანაირ ჯგუფს არ ვეკუთვნი. მე, პრინციპში, მარტო ყოფნა მირჩევნია, მე ბუნებით ინდივიდუალისტი ვარ...

— ნუ მიედ-მოედები! — დასჭექა კუკმა და ტიო ატირდა. — აირჩიე, ან წამოხვალ და იქროლებ, ან დაიკარგები ამ ტყიდან, როგორც ავსული, სამუდამოდ! აქ არწივებს მე ვმართავ და არავინ ჯდება ფიჭვზე, თუ მე სხვა ხე მაქვს ამორჩეული. შეხედე, შენი გოგო როგორ მოთქვამს! რა კაცი ხარ შენ ამის შემდეგ! შემომჯდარხარ ხის კენწეროზე და მაშინ, როცა სხვები დაქრიან, მარტო ყოფნა გინდა... პედერასტი ხარ?!

— პრიმ, მოდი! — შეეხვენა ტიო — ნუ ჯიუტო! მერე გაჩვენებ, სადაც ცხოვრობენ გვრიტები, და ერთად გავგლიჯოთ შუაზე.

— არავის გაგლეჯა არ მსურს, — განაცხადა პრიმმა, ამ ცირკის ყურებით უკვე მართლა დალლილმა და შეწუხებულმა. — მე მკვლელობის მომხრე სულაც არა ვარ. მე ხელოვანი ვარ და დამანებეთ თავი, მშვიდად ყოფნა მინდა.

— ოხ შენი, ახლა კი ნამდვილად ჩაგცხებ ნისკარტს, — აღელდა კუკი. — რა ხანია არ მიჩეუბია, გუშინდელს მერე, მთელი ღამეა გასული მას შემდეგ, რაც ბოლოს ტვინი ჩავუფშვენი რომელიდაც ჩიტს. კარგი, მოდი აბა აქ! ქალებო, გაინიეთ.

— არა, ჩვენც გვინდა ყურება! — თქვეს არწივებმა და თუმცა ტიო ქვითინებდა, იქაურობას არ გცლია, პირიქით, ერთ ტოტზე მოკალათდა, საიდანაც კარგად ჩანდა ბრძოლის ველი და პრიმს ამბენევებდა კიდეც!

— სიკვდილამდე ვიბრძოლოთ, თუ მხოლოდ პირველი სისხლის დაღვრამდე? — იკითხა კუკმა.

პრიმი მოვლენების ასეთ განვითარებას არ მოელოდა და ცოტა არ იყოს დაიბნა.

— მე საერთოდ არ ვაპირებ ბრძოლას, — თქვა მან, კუკმა ვეღარ მოითმინა და შეჟყვირა:

— რას ამბობ! შენ არწივი ხარ თუ საცოდავი ჩიტი. შენ ხომ ლაჩარივით უკან ვერ დაიხევ! მოდი! რას უცდი!

„დავკრავ ფეხს...“ — გაიფიქრა პრიმმა და აიჭრა ცაში. სხვა არწივები იმდენად გაოცდნენ, რომ ადგილიდანაც არ დაძრულან. პრიმს მხოლოდ მათი შეძახილები ესმოდა: ლაჩარო! ლაჩარო! და ტის ხმა: მოგკლავ, მოგკლავ! როგორ შემარცხვინე! შემარცხვენელო!

„საბედნიეროდ, თავი დავაღწიე“, — ფიქრობდა პრიმი. — საზიზლარი ბანდა! საინტერესოა, ზოოპარკამდე თუ მივაღწევ!

პრიმმა ტყეს გადაუფრინა, ყოველგვარი გრძნობებისაგან დაცლილი იყო, ერთადერთი სურვილი ჰქონდა, როგორმე სახლამდე მიეღწია!

დალლილმა ცოტა შეისვენა... სადღაც აქვე თავისი საყვარელი ზოოპარკი და მყუდრო გალია ეგულებოდა. პრიმი, კაცმა რომ თქვას, მოგზაურობით კმაყოფილი იყო, ბევრი უცნაური რამ ნახა და გამოცდილებაც შეიძინა.

გულს მხოლოდ კურდღლის მკვლელობა ულრღნიდა — იცოდა ეს შემზარავი სურათი სიზმარშიც არ მოასვნებდა. ტიიზე ფიქრი სინაზესა და მელანქოლიას უმძაფრებდა, და მიუხედავად იმისა, რომ ტიი მართლაც მშვენიერი იყო თავისი ნაზი ბუმბულებიანად, პრიმს არ ხიბლავდა მისი გულის მოგება გვრიტებისათვის თავების შუაზე გაპობით.

ამ ფიქრებში გართულმა პრიმმა უცებ ნაცრისფერტყავიანი და მძლავრრქებიანი ბებერი ირემი დალანდა, ხის ქვეშ რომ მიაბიჯებდა — თან ლურჯი ენით ზურგს ილოკავდა.

— გამარჯობა შენი, არწივო, ფრინველთა მეფეებ! — უთხრა მან თავისებური ბანით. — ჩვენი ტყის ბინადარი ხარ? მოგზაურობ?

— მე ზოოპარკიდან ვარ, — უპასუხა პრიმმა.

— ზოოპარკიდან?! — გაიკვირვა ირემმა. — მსმენია რაღაც ამის მაგვარი, ცუდი უნდა იყოს! იქ თავისუფლება არ ყოფილა. ცოცხალ არსებებს გალიებში ამწყვდევენო, მართალია?

— მე თქვენს შეხედულებას ვერ გავიზიარებ, — დაიწყო პრიმმა, მაგრამ ირემი არ უსმენდა, თავისთვის მიაბიჯებდა.

— საცოდაობაა ასეთი ცხოვრება! — მოესმა მას. — ნაღვლიანი და მოსაწყენი! ამას ქვია ცხოვრება?! ცხოვრება ბრძოლაა! ცხოვრება დამარცხებები და გამარჯვებებია, დაკარგვის ტკივილი და სიხარული. იქ კი რას გთავაზობენ? მხოლოდ მყრალ გალიასა და სულისშემხუთველ ცხოვრებას და საერთოდ, რა ცხოვრებაა ის ცხოვრება, თუ რისკს არ გასწევ? თოვლში მგლებს რომ გაურბიხარ, თავს რომ დააღწევ მათ კლანჭებს — აი, ასეთ წამებში გრძნობ ცხოვრების გემოს! როცა სიკვდილს მიუკაკუნებ, მაშინ შეიძლება თქვა, რომ იცხოვრე, რომ იბრძოლე, რომ გაიმარჯვე! ასეთ რამეს რომ გადაიტან, მერედა ხვდები რა გემრიელია ნორჩი ფოთლები, რა ლამაზად ბრწყინავს მზე და რა ნეტარია ფურიორემის სითბო! ეჲ, არწივო, ცხოვრება საოცარი რამ არის, რთული და განსაცვიფრებელი! გალიაში გამოკეტილი, ამაზე ვერ იფიქრებ, მხოლოდ თავისუფალს შეგიძლია დააფასო მზის ყოველი ამოსვლა, რადგანაც იცი, რომ ეს შენთვის შეიძლება უკანასკნელი აისი იყოს. სწორედ ასეთ წამებში მთელი სხეულით შეიგრძნობ ტყის სურნელს. ასეთ წამებში გსურს შეჰყვირო — ცხოვრებავ, მე შენ მიყვარხარ შენი მნუხარებითა და შენი ბედნიერებით! უბრალოდ მიყვარხარ! მიყვარხარ, ჩემი თავისუფლების გამო. მიყვარხარ, რადგან ვიცი, რომ ერთხელაც იქნება, წუთისოფელი თავისას გაიტანს: ან ტყვიის მსხვერპლი გავხდები, ან მგლის ხახაში აღმოვჩნდები. მაგრამ სიკვდილ-სიცოცხლის ზღურბლზე მდგარი, უკან მოვიხედავ, განვლილ დღეებს თვალს გადავავლებ და მივხვდები, რომ ბევრი მქონდა სიხარულიც და მწუხარებაც. მე ვცხოვრობდი როგორც კაცი, ვიბრძოდი მშვენიერი ფურიორემისთვის, უმეტესად ვიმარჯვებდი, წამიგია კიდეც. ცხოვრება გზაჯვარედინს ჩამოჰვავს, უამრავი შვლის მამა ვარ და ვიცი, როგორ იზრდებოდნენ ისინი, თუმცა, ზოგი მგლის ლუკმა გახდა, ზოგი კი მონადირეებმა მოკლეს. ყველაფერი მინახავს! პოო, ჩემი ცხოვრება იყო ლამაზიც და შემზარავიც. გესმის, არწივო? დატოვე კი არა, მიატოვე შენი გალია, რომ იგრძნო ცხოვრების გემო! შეიძლება სიკვდილი გელოდეს, მაგრამ თავისუფლებაც ხომ გელოდება?

ირემმა კისერი დაიგრძელა და უკან მოხედა ტოტს, რომელზეც პრიმი იჯდა. იქ აღა-

რავინ დაუხვდა — პრიმი, რომელსაც ტყის ცხოვრება ყელში ამოსვლოდა, გაფრენილიყო, ზომპარკამდეც მიეღწია და მისი საყვარელი გალიის გახსნილ ღიობში შემძვრალიყო. ბუ ვლადისლავს ეღვიძა და პრიმს ისე მიესალმა, თითქოს მისი გაუჩინარება არც კი შეუნიშნავს, სინამდვილეში კი ბუ დელიკატურობის გამო დუმდა. ის პრიმის გაუჩინარებამ დიდად დაამწუხრა, მაგრამ სწამდა, რომ მისი ახალგაზრდა მეგობარი უარს იტყოდა ბარბაროსობაზე და, საბოლოოდ, ცივილურ სამყაროში დაბრუნდებოდა. ახლა, როცა ისევ იხილა პრიმი, თავისთვის იღიმოდა. ახალგაზრდა მეგობარი მის გვერდით იყო და, ვინ იცის, როგორ უხერხულად გრძნობდა თავს იმის გამო, რომ მთელი ღამე, ღმერთმა იცის, სად და როგორ საზოგადოებაში გაატარა... ვლადისლავი არაფერს ეკითხებოდა ამის თაობაზე, არც არაფერს იმჩნევდა. პრიმმა ხომ უკვე თავისი თვალით ნახა, თუ რა იმაღლებოდა ზომპარკის ჭიშკარს მიღმა. ეს ცოდნა მას ნამდვილად გამოადგებოდა.

ვლადისლავი განაგრძობდა მეცნიერულ ძიებებს, წყლის ავზში ძვლებსა და ქვის ნატეხებს ყრიდა.

პრიმმა წრე დაარტყა გალიას, ენა ვერ აღწერდა ისე უხაროდა სახლში დაბრუნება. მალე მოართმევდნენ ხორცის ახალ ნაჭერს და შეძლებდა მუშაობას... რამდენი ხანია, საყვარელი საქმე აღარ უკეთებია! ასე ხომ შეიძლება ნისკარტიც დაუანგებოდა!

პრიმმა უცებ შენიშნა, რომ გალიაში, ვლადისლავის გარდა, კიდევ ვიღაც იყო — ეს ვიღაც სხვა არწივი აღმოჩნდა! პრიმს შეეშინდა. ნუთუ აქაც მოეყვანათ ტყიდან წყეული კუკის მსგავსი ფრინველი, ვინ იცის ამასაც შეეთავაზებინა ბრძოლა ან ქროლვა? როცა არწივი ცხვირწინ აეტუზა, პრიმი მიხვდა, რომ ეს დედალი არწივი იყო. ღმერთმა ნუ ქნას, მანაც ტიის მსგავსად კურდლლების წამება მოითხოვოს.

— გამარჯობა, მე პრიმი ვარ! — ომახიანად მიესალმა. — ბოდიში, მაგრამ ეს ჩემი გალია!

— ჰოო, ვიცი! — უპასუხა არწივმა თავშეკავებით. — თუმცა ჩემი ბრალი არ არის, იმათ ჩამსვეს აქ. მესმის, თქვენ შემოქმედებისათვის სიმშვიდე და სიწყნარე გჭირდებათ, მაგრამ მერწმუნეთ, ხელს არ შეგიშლით. მე ჩუმი ვარ და მომავალშიც ამას გპირდებით. ვლადისლავი ბევრს მიყვებოდა თქვენ შესახებ. მითხრა, რომ ღირსეული მოქანდაკე ბრძანდებით, ეს მშვენიერია! მეც მიყვარს ხელოვნება, განსაკუთრებით ცეკვა მიტაცებს.

— თქვენი სახელი? — ჰკითხა პრიმმა, რომელსაც გული აუფოფინა ასეთი სასიამოვნო საუბრის მოსმენამ.

- ქერი! — უპასუხა არწივმა და თავი ფრთებში ჩარგო.
- ქერი, შეგიძლიათ, იცეკვოთ ჩემთვის? — სთხოვა პრიმმა.
- ოჳ, არ ვიცი... — დაიმორცხვა ქერიმ. — ახლავე? ცოტა მერიდება... მით უმეტეს, აქ არც მუსიკა!

- მუსიკა იქნება! — პრიმმა გვერდით გალიაში მჯდომ კაკაჩას გასძახა:
- მაესტრო! ეგებ რამე დაუკრათ!
- გთხოვთ, იცეკვოთ! — უთხრა ქერის, როცა კაკაჩამ ძვლები აარაკუნა. — ძალიან მინდა ვნახო, როგორ გამოგდით ეს!
- კარგი, — წაიჩურჩულა ქერიმ, თვალები დახუჭა და დაიწყო ცეკვა.

პრიმი უყურებდა, როგორ უვლიდა ქერი წრეს გალიაში და თავს ბედნიერად გრძნობდა. უხაროდა, რომ იმ უაზრო ტყიდან წამოსვლა მოახერხა! იქ რომ დარჩენილიყო... ამაზე ფიქრიც კი ზარავდა, ქერისაც ხომ ვერ შეხვდებოდა. ამნამს კი რა წარმტაცი იყო მისი ცხოვრება!

„ქუდბედიანი დავბადებულვარ!“ — გაიფიქრა გულდამშვიდებულმა პრიმმა.

**თარგმნეს სერგო კალაძემ და ნანა დევიძემ**

## აცდლუს პივირაჰეპი

### ექვსი მონოლოგი ფულის შესახებ

#### 1. 20 ცლის ზურგჩანთა მოკიდებული გოგო

მე, ფული საერთოდ არ მაინტერესებს. ღმერთო, ვერ გამიგია, რატომ წუნუნებს ხალხი გამუდმებით ფულზე. შესანიშნავად შემიძლია უფულოდ ყოფნა. მოკლედ, ფული საერთოდ არ მჭირდება. რასაც მე ვმოგზაურობ, და კაპიკიც არ მიჯდება. უბრალოდ გადიხარ გზაზე, მანქანას ხელს უწევ და... დაივლი მთელ მსოფლიოს. ყველგან მოიძებნება ხალხი, დასაძინებელ ადგილს რომ არ დაგამადლის და ლუკმა პურსაც გინილადებს. ერთხელ, საბერძნეთში, ღამით, ფორთოხლის პლანტაციებში ამოვყავი თავი და იმდენი ფორთოხალი ვჭამე, კინალამ ფორთოხლის ფორმა მივიღე და თანაც უფასოდ. წელს ჩემს მეგობარ გოგონასთან ერთად ჩინეთში ვიმოგზაურე. როგორ? მარტივად! მეგობარი აწუნუნდა: არაფრით არ მინდა ხვალ ლექციაზე წასვლაო. არც მე მინდოდა. ჰოდა, მარისმა, ჩემს მეგობარს, მარისი ჰქვია, მითხრა: ახლა მომიარა და მოდი, ჩინეთში წავიდეთო. მეც, რაღა თქმა უნდა, დავეთანხმე: საოცრად კარგი აზრია, აუცილებლად წავიდეთ-თქო. დავიწყეთ ბარგის ჩალაგება. ჩვენს ლაპარაკს ერთი ბიჭი შეესწრო, გვითხრა: ნამდვილი გიუჟები ხართ, ამ შუალამისას ჩინეთში გამგზავრება რამ მოგაფიქრებინათო. იქამდე როგორ უნდა ჩახვიდეთ, ფული გაქვთო? სულელი ხომ არ ხარ, ჩვენ რა ფული უნდა გვქონდეს-მეთქი, — ვუპასუხე, — აი გავალთ გზაზე, შემხვედრ მანქანას ხელს ავუწევთ და ასე გავემგზავრებით. ისე, თუ გინდა შენც წამოდი-თქო, დავპატიუჟეთ. ბიჭმა წამოსვლაზე უარი გვითხრა: მთლად ასეთი გიუიც არა ვარო. ისე რამდენ ხანს აპირებთ იქ დარჩენასო? — გვკითხა. მარისმა უთხრა: ღმერთმა იცის, ჩინეთი მშვენიერი ქვეყანაა, სანამ ყველაფერს დაათვალიერებ, იქნებ წელიწადიც გვიდესო. კი მაგრამ, უნივერსიტეტიდან ხომ გაგრიცხავენ ერთ წელიწადს თუ არ ივლითო. ღმერთო რა სისულელეა! რატომ უნდა გაგვრიცხონ, იმიტომ რომ ჩინეთში მივემგზავრებით? დარტყმული! ასეც მოვახსენე. გაგვრიცხონ? იდიოტი!.. ავდექით და გავედით ტარტუს გზატკეცილზე მანქანის გასაჩერებლად. ღამის თორმეტი საათი იყო. საშინლად ბელოდა. ბარგი ბევრი არაფერი გვქონდა. კბილის ჯაგრისები, ჩემი ორი სვიტერი და მარისის პირსახოცი, იმ შემთხვევისთვის, თუ ჩინეთში სადმე საცურაოდ მოგვიხდებოდა წასვლა. ვიცინოდით და ძალიან ვხარობდით. დავიწყეთ ხელის ქნევა. მალევე გაგვიმართლა, პირველივე მანქანამ გაგვიჩერა და მეოს გზაჯვარედინამდე მიგვიყვანა. იქიდან ისევ შემხვედრ მანქანებს მივყვებოდით. ძალიან ციოდა. კბილები გვიკანკანებდა, მაგრამ მაინც ძალიან ვმხიარულობდით. შემდეგი, ვინც მანქანაში ჩაგვსვა, ვინმე ვირუელი ხელოვანი იყო. მან ეთერი დაგვალევინა. ღმერთო, რამდენი ვიცინეთ! აფთიაქის სუნად ვყარდით. მარისთან ერთად მგზავრობა ნამდვილი სასწაულია! რამდენიმე წლის წინ ერთად ვიმოგზაურეთ აფრიკაში თავგადასავლების საძებნელად, ესეც სასწაული იყო! იქ იმდენი მეგობარი გვიჩინეთ. მარისს ერთი ზანგისგან ბავშვიც კი ეყოლა. იმ ბავშვს ახლა მარისის დედა ზრდის პიარნუში. ძალიან მაგარი მგზავრობა გამოგვივიდა მაშინ. ერთხელ, ტყეში კინალამ გველმა მიკბინა. მერე ბრაკონიერებთან ერთად სპილოებზე სანადიროდაც წავედით, გვასროლინეს კიდეც. გაქცევაც მოგვიხდა, მოგვსდევდნენ, იმიტომ, რომ ბრაკონიერობა იქ საერთოდ აკრძალულია. მაგარია არა? საათში 200 კმ სიჩქარით მივქროდით. მე და მარისი საბარგულში ვისხედით და ვიცინოდით. მოვახერხეთ გაქცევა და თავის დაღწევა. მერე ბრაკონიერებმა გვისახსოვრეს სპილოს ძვლის მედალიონები, რომლებიც შეიძლება ყელზე ჩამოიკიდო. შემდეგი ორი კვირა ერთ ტომში ვცხოვრობდით, სადაც რაღაც ყავისფერი ფოთლები გაგვასინჯეს, მაგარად ჩავკაიფდით. დავრბოდით ამ ტომის დასახლების ირგვლივ და ხმამაღლა ვმდეროდით. ღმერთო, რა სასაცილო იყო. ზანგებიც იცინოდნენ. მერე ეს ფოთლები თან გამოგვატანეს, მაგრამ კაიროში, იმ კაფეში დაგვრჩა, საიდანაც ისე გამოვიპა-

რეთ, ფული არ გადაგვიხდია. მივბრუნდით, გვინდოდა ჩვენი ფოთლები წამოგველო, მაგრამ ოფიციანტმა გვიცნო და სხვა რა გზა გვქონდა, მოვკურცხლეთ.

ღმერთო, რამდენი ვიმსიარულეთ! მარისს უკვე დიდი მუცელი პქონდა და, რა თქმა უნდა, სირბილის დროს აქეთ-იქით დაუხტოდა, მართლა სასაცილო იყო. კაიროდან ერთ გემზე ავიპარეთ და ისე წამოვედით. ამ გემით იტალიაში ამოვყავით თავი. სწორედ იქ გააჩინა მარისმა თავისი ზანგის ბავშვი. ჩავსვით ეს ბავშვი ზურგჩანთაში და იმავე საღამოს თეატრში წავედით მოდერნული ცეკვების სანახავად.

ჰო, მართლა, მე ხომ ძირითადად ჩინეთში მოგზაურობაზე გიამბობდით. ისიც მაგარი იყო! იქ მარისმა კიდევ ერთი შვილი გაჩითა, ოლონდ ამჯერად პანდასაგან. ჰოდა, ზრდის ახლა ამ დათვის ბელს და მარისმა შვილს პიარნუში მარისმა დედა. რაღა თქმა უნდა, უნივერსიტეტიდან გაგვრიცხეს, მაგრამ გული არ დაგვწყვეტია. იქ ხომ დოკუმენტი არიან თავშეყრილი. ჩვენ ახალი გეგმა გვაქვს. ანტარქტიკაში გვინდა გამგზავრება. ვფიქრობ, აუცილებლად გავემგზავრებით. ოლონდ, ცოტა მოცდა მოვიწევს, ინდოეთიდან რომ ვპრუნდებოდით, ბოტკინი ავიკიდეთ. მე უკვე გამოვჯანმრთელდი, მარისი კი საავადმყოფოში წევს და ჯერჯერობით არ უშვებენ, შემპირდა, გამოვიპარებიო. ექიმები ამბობენ, თხელი განავალი აქვს და ლვიძლი გამუდმებით სტკივაო. მაგრამ ისე უნდა ანტარქტიკის ნახვა!.. ვის არ უნდა? რა მოგასვენებს და რა გაგაჩერებს საავადმყოფოში? ჰოდა, აი როგორც კი მარისი საავადმყოფოდან გამოიპარება, ავილებთ ჩექმებს და გავალთ აეროპორტის გზაზე მანქანის გასაჩერებლად. ჩექმები უკვე ვიშმვე, ჩემს ერთ ნაცნობს გამოვართვი. ასე რომ, ყველაფერი ოკეია! სანამ ცოცხლობ, უნდა იცხოვრო, ობი არ უნდა მოიკიდო!

## 2. 30 ცლის ქალი, რომელსაც ლურჯი დანერული ფესაცხოლი აცვია

შარშან ჩემს ქმარს მთვრალს ჩაეძინა რკინიგზაზე და მატარებელმა გადაუარა, თავი ვეღარც კი იპოვეს, ვინ იცის სად გაგორდა. მართალია, მაგარი ლოთი იყო, მაგრამ მაინც მეხმარებოდა, აქ საბადოებში მუშაობდა და ვერ ახერხებდა მთელი ფული სასმელში დაეხარჯა.

ცოტა ხანში მეც გამათავისუფლეს ფაბრიკიდან. უფრო სწორად, შემამცირეს. ჰოდა, ბავშვებს ვუთხარი, ახლა კი ნამდვილად უნდა დავიტირო ქმარი-მეთქი. ორი შვილი მყავს, ბიჭები. ზაფხულში ყოველდღე ტყეში დავდიოდით, წნელებს ვაგროვებდით, მე ცოცხებს ვკრავდი და ბიჭები ბაზარში ჰყიდდნენ. ქირის გადასახდელი ფული გვჭირდებოდა, ამიტომ მთელ ფულს, რასაც ვშოულობდით, ვაგროვებდით. ჭამით მჟაველას ვჭამდით. სხვა საჭმელზე ფული არ გვყოფნიდა, გაზაფხულზე არ გვიჭირდა: ტყეში კენკრა იყო, მჟაუნასი და სხვა ბალახბულახის მოგროვებაც შეგვეძლო. შემოდგომაზე ცირცელს ვჭამდით, სოკოსაც სიმოვნებით მივირთმევდით. სამაგიეროდ, ზამთარი გამოდგა ძალიან ცივი, სოკო აღარ იყო, მარტო ცირცელს ვკრეფდით. სამივე დავდიოდით, ვათვალიერებდით ხეებს და ყველა მარცვალს ვაგროვებდით. ჩიტები დაგვფრენდნენ თავზე და უივუივებდნენ, აბა რას იზამდნენ, საკვებს ვაცლიდით, მაგრამ რა გვექნა? ჩიტებს ხომ სხვაგანაც შეეძლოთ საკვების შოვნა, იმათ ფრთები აქვთ და შორს გაფრენა შეუძლიათ, ჩვენ სად უნდა წავსულიყავით? ასე ვებრძოდით შიმშილს.

დილით, სანამ ბიჭები სკოლაში წავიდოდნენ, ორივეს თითო მტევან ცირცელს ვაჭმევდი, სკოლიდან დაბრუნებულებს სადილად — ორ-ორ მტევანს და საღამოს კიდევ თითო მტევანს. მე თვითონ დღეში ორ მტევანს ვჭამდი. ასე გავატარეთ ორი თვე. ცირცელი მალე გაგვითავდა. გაგონილი მქონდა, ომის დროს ნახერხისგან პურს აცხობდნენ, სახლში ერთი წიგნების თარო შემოგვრჩა, დავშალეთ ეს თარო, დავჭერით დასახერხად. თავიდან ცოტა ნახერხი გამოგვივიდა, მაგრამ ერთ-ერთმა ჩემმა ბიჭმა მოიფიქრა და ავიღეთ და სულ ზუმფარათი დავხერხეთ. აშკარად მეტი ნახერხი მივიღეთ. ასეთი მოხერხებული ბიჭი მყავს. ამ ფქვილისგან რაღაც პურისმაგვარი გამოვაცხვე. მართალია, გემრიელი არ იყო, მაგრამ

კუჭი კი ამოვივსეთ. რაღაც ხომ უნდა გვეჭამა? თანაც, როცა ფული არა გაქვს, ცოტა თავი უნდა გაანძრიო. ტანსაცმელიც გვიჭირდა. ბიჭები იზრდებოდნენ, შარვლები და პერანგი უპატარავდებოდათ. რა უნდა მექნა? ავდექი და ფარდები დავჭერი. მერე სავარძლებსაც გადავაცალე საკრავი. ფარდებისაგან პერანგები შევკერე და შარვლები დავაგრძელე, სავარძლის სქელი პირებისაგან კი, ქურთუკები შევაკეთე. ბოლოს ბიჭების ტანსაცმელი ისეთი ზოლებიანი გამოვიდა, მეზღვაურის პერანგები გეგონებოდათ, ერთი ზოლი ერთი მხრიდან მისდევდა, მეორე — მეორე მხრიდან. ყოველ შემთხვევაში, გახეული მაინც არსად იყო. ფეხ-საცმლის საქმეც ცუდად გვქონდა. ჰოდა, ავიღე სადილის ძველი ჯამები, გავტენე თივით და შემოვახვივ ბიჭებს ფეხებზე. მართალია, ეს ფეხსაცმელი ცოტა ფლოქვებს ჩამოჰვავდა და სიარულისას ძალიან ხმაურობდა, მაგრამ წვიმას უძლებდა და თბილიც იყო. თავიდან სხვები დაგვცინოდნენ, მაგრამ შემდეგ თავიანთ ბავშვებსაც ასეთივე ფეხსაცმელები დაუმზადეს, იმიტომ რომ ჩვენსავით გაჭირვებული სხვაც ძალიან ბევრი იყო. მოკლედ, მთელი ქუჩა გაივსო ჯამებისაგან დამზადებული ჩექმებით მოსიარულე ბავშვებით. როცა ისინი დადიოდნენ, ქუჩაში ისეთი უღარაუღური იდგა, თითქოს ცხენები დაჭენაობდნენ ირგვლივ, ან ვინმე დოლზე აბრაგუნებდა. რას იზამ? რა უნდა უსაშველო გაჭირვებას! ჩემთვის ფეხსაცმელი ჰოლიკლინიკაში ვიშოვე. წვიმისაგან და ნესტისაგან კარგად მიცავს. არა, არ მომიპარავს, უბრალოდ ჰოლიკლინიკაში არის ადგილი, სადაც შეძლებული ადამიანები ერთჯერადი მოხმარებისთვის ერთ კრონად ყიდულობენ ასეთ ფეხსაცმელს და მერე სანაგვეში აგდებენ. ამიტომ ამ ჩვენი ჰოლიკლინიკის სანაგვე ყუთებთან მუდამ რიგია, ბევრ ჩემისთანა ადამიანს უნდა ეს გადაყრილი ფეხსაცმელი. მე სამი დღე ვიდექი რიგში და, ბოლოს და ბოლოს, მერგო. ნამდვილად კარგია, მაგრამ მალე ფუჭდება, ერთ წელიწადზე მეტს ვერ სძლებს, ამიტომ ძალიან უნდა გაფრთხილება. მეც ვერ ვბედავ გარეთ ბევრ სიარულს და, მართალი გითხრათ, ბევრი სიარული არც მჭირდება. ვზივარ სახლში, ვაკეთებ ცოცხებს, შიგადაშიგ სახეხი ქალალდით ვფქვავ თაროს დარჩენილ ფიცრებს, რომ იმისი ფეხილისაგან ბიჭებს ჰური გამოვუცხო. მოკლედ, ვუმკლავდებით შიმშილსა და გაჭირვებას. ხანდახან, კუჭი ისეთი ცარიელი მაქვს, გონება მიბნელდება. ამ დროს ვიღებ რომელიმე წიგნს, იმ დროიდან რამდენიმე წიგნი შემოგვრჩა, ვხევ რომელიმე ფურცელს და ვჭამ, მაგრამ მერე საზიზლარი გრძნობა მეუფლება. თავს ვეუბნები: — შენ რა დედა ხარ, ბავშვებისაგან ჩუმად ქალალდს ჭამ. უსირცხვილო! შენ ბავშვებზე უნდა იზრუნო და არა შენი პირის ჩატკბარუნებაზე!.. მაგრამ რა ვქნა, ხშირად ამის ატანა შეუძლებელია.

მოკლედ, ვნახოთ, ცხოვრება გვიჩვენებს რა გამოვა ამ ყველაფრისგან. თაროს ფიცრებიც გაგვითავდა, მაგრამ ტანსაცმლის კარადა გვაქვს და ალბათ როგორმე იოლას გავალო!

### 3. 40 ცლის ქალი ციგნაკით ხელში

ყველაფერი ჩანერილი მაქვს, შემოსავალიც და გასავალიც. მე და ჩემმა ქმარმა ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რამდენს ვშოულობთ ყოველ თვეში და რამდენი გვრჩება გადასახადებისათვის. რამდენი დაგვრჩება გაზის, ელექტროობისა და საბავშვო ბალის ვალის გასტუმრების შემდეგ.

გულწრფელად გითხრათ, არც ისე ბევრი რჩება. მერე მთელ ამ თანხას ოცდაათზე ვყოფ, რომ ვიცოდე, ყოველდღე რამდენის დახარჯვა შემიძლია. თუ თვეში 31 დღეა, ოცდათერთმეტზე ვყოფ. მაშინ ცოტა გვიჭირს გაძლება, იმიტომ რომ ყოველი დღისთვის ნაკლები მრჩება. თებერვალი მშველის, ამ თვეში თანხა ოცდარვაზე იყოფა. შეიძლება ითქვას, რომ ეს თვე ერთადერთი ბედნიერი თვეა, რადგან შეიძლება შენს თავს რაღაცის უფლება მისცე, მაგრამ სამწუხაროდ, თებერვალი წელიწადში მხოლოდ ერთხელაა.

აი, როგორ ვადგენ ხარჯთაღრიცხვას. ის თანხა, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, ერთ დღეში დასახარჯად მრჩება, დიდი არ არის, მაგრამ თუ ყველაფერი ისე მიდის, როგორც თვის დასაწყისში მქონდა გათვლილი, მაშინ არა უშავს, ცხოვრება შეიძლება. საშინელებაა,

თუ გაუთვალისწინებელი ხარჯი გამოგვიხტა. მაგალითად, ერთ საღამოს, სამსახურის შემდეგ საბავშვო ბალიდან ბავშვის გამოსაყვანად რომ წავედი, აღმზრდელმა მითხრა: დღეს საბავშვო ბალში თოჯინების თეატრი გვეწვია და გთხოვთ, ბილეთების ფული, ათი კრონი, გადაიხადოთ. გამარჯობა, შენი! ათი კრონი! მე ხომ ეს ათი კრონი ჩემი ხარჯთაღრიცხვით არ გამითვალისწინებია. უკვე ნაყიდი მქონდა პური, წინიძურა და რძე. ანუ ამ დღისთვის გათვლილი ფული უკვე დახარჯული იყო. აღმზრდელს ვუთხარი: ნეტა რას ფიქრობთ ამ ათ კრონს რომ მთხოვთ, მე ხომ არ შემიკვეთავს ეს თოჯინების თეატრი-მეთქი, თქვენ გუშინ უნდა გაგეფრთხილებინეთ, რომ ხვალ თოჯინების თეატრი მოდის და მე გეტყოდით, რომ ჩემს ბავშვს მისი ნახვა არ უნდა. ის დაჯდება თავისი ჯგუფის ოთახში, სანამ თეატრი წარმოდგენას გამართავს. ოთახში ყოფნას რა სჯობია, მით უფრო, რომ იქ სათამაშოებია, თოჯინები და საბავშვო სამზარეულოს მოწყობილობა, ითამაშებს ან კიდევ სხვა რამით გაერთობა. აღმზრდელმა მითხრა, ვერაფერს გავაწყობთ, თქვენი ბავშვი უკვე წარმოდგენას უყურებს და თქვენ ათი კრონი უნდა გადაიხადოთ. სხვა რა გზა მქონდა, გადავიხადე, მაგრამ ეს ფული მომდევნო დღის თანხიდან წავიდა. შინდაბრუნებულმა სასწრაფოდ გადათვლა დავიწყე, თავიდან შევადგინე ხარჯთაღრიცხვა. ეს ათი კრონი დანარჩენ თანხას გამოვაკელი, მერე გავყავი თვის დარჩენილი დღეების რაოდენობაზე და მივიღე საშინლად მცირე თანხა. დიდი მადლობა თოჯინების თეატრს! რას ვიზამ, ამ თვეში ნამდვილად გამიჭირდება, უნდა გავუძლოთ. ასე ვთქვათ, ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში ვიმოქმედო. აღმზრდელს კი გვარიანად შევდექი და მკაცრად გავაფრთხილე: თუ კიდევ რომელიმე თოჯინების თეატრი ან კლოუნი, ან სულერთია, ვინმე სასწაულმოქმედი ოდესმე მოვა ამ საბავშვო ბალში, იცოდეთ, რომ ჩემს ბავშვს ეს არ აინტერესებს და თუ მაინც დააინტერესებს, მაშინ არ შეუძლია. უბრალოდ არ შეუძლია, ეს ხარჯთაღრიცხვიდან გვაგდებს. ჩვენ კი ყოველი ცენტი დათვლილი გვაქვს-მეთქი.

ამ თვეში ახალი მოულოდნელობა დაგვატყდა თავს. მე მშვიდად შევადგინე ხარჯთაღრიცხვა, მაგრამ გადასახადების გადახდის შემდეგ გარღვევა მქონდა, ელექტროობის და გაზის საფასურის გადახდის შემდეგ ისევ გარღვევა, გარღვევა მომცა ერთი დღის საკვების გათვლამაც და ამ დროს საგადასახადო ქვითარიც არ მივიღე! წარმოგიდგნიათ, ნაგვის გადასახადი გაუზრდიათ. ოცი კრონი! ტირილი მომინდა. ახლა რაღა ვქნა?! ავადსახსენებელი ნაგვის გადასახადი... გავიქეცი ამხანაგობის თავმჯდომარესთან და ვეუბნები: რატომ უნდა გადავიხადო ამდენი, ჩვენ საერთოდ არა გვაქვს ნაგვი. დიდი ხანია აღარაფერს ვყრით, ჩვენ არა გვაქვს არც ცელოფანის პარკები და არც სხვა რაღაცები, რითაც ნაგვი გააქვთ. რძეს პარკით ვყიდულობ, მერე ამ პარკებს ვრეცხავ და ვინახავ, რადგან მშვენივრად შეიძლება მათი ხელმეორედ გამოყენება. ისე მდიდრები არა ვართ, საჭმელი გადავყაროთ. თვეში ერთხელ თუ გაიტანს ჩემი ქმარი ნაგვს გარეთ. რასაც ვყიდულობთ, ყველაფერს ვიყენებთ. მაშ რატომ უნდა ვიხადოთ ნაგვის ამხელა გადასახადი? ეს უსამართლობაა!

ამხანაგობის თავმჯდომარემ მიპასუხა, რომ ყველა მობინადრემ ერთნაირი გადასახადი უნდა იხადოს, ასეთია კანონიო. აბა ეს სამართალია?! მე საერთოდ არ მჭირდება ნაგვის გადასახადი, მე შემიძლია ეს ჩემი პატარა ნაგვი სადმე კარიერში მივიტანო და დავწვა, ან იქნებ თვითონვე წავიდე ავტობუსით ნაგავსაყრელზე და გადავყარო, ისიც იმ შემთხვევაში, თუ დამჭირდა. მაგრამ ამათთან რას გააწყობ? ისე უნდა მოიქცე, როგორც წესია, სხვა არაფერი გიშველის. ახლა ისევ თავიდან უნდა შევადგინო ჩემი ხარჯთაღრიცხვა.

ავდექი და გამოვაკელი ოცი კრონი, მერე გავყავი ოცდაათზე. ბევრად ნაკლები თანხა მივიღე. ვინ იცის, მომავალ თვეში კიდევ რას მოიფიქრებენ? სულ უნდა გეშინოდეს, კიდევ რას მოიფიქრებენ, კიდევ რას მოგთხოვენ. კიდევ რა გადასახადებს მოგთხოვენ და შენ, რა თქმა უნდა, ხელახლა უნდა აკეთო ხარჯთაღრიცხვა. ყოველ ჯერზე უნდა გაყო ოცდაათზე ან ოცდათერთმეტზე. მალე ეს თებერვალიც ვეღარ მიშველის... მაგრამ, ოცდარვა დღე მაინც გაძლევს შეღავათს და ცოტათი გიადვილებს ცხოვრებას.

#### 4. 30 ცლის მამაკაცი მოკიდებული სიგარეტით ხელში

საშინლად მჭირდება ფული, აი, ახლავე! აი, ამწუთში მჭირდება ოთხი ცალი! სად ვიშოვო? ჩემი პრობლემა ისაა, რომ ერთ სამუშაო ადგილზე დიდხანს ვერ ვძლებ და მოვრბივარ. ვერ ვიტან უმეცრებს. ერთ სარეკლამო ფირმაში ვიყავი, ორი კვირა გავძელი. თავიდანვე ვიცოდი, რომ სისულელე იყო ის, რასაც იქ აკეთებდნენ. იცით, ვინ აკეთებდა რეკლამას? ერთი მოშტერო ტიპი! ჰოდა, ბოლმას ვეღარ გავუძელი და ვუთხარი იმ გამოშტერებულ ჩვენი პროექტის ხელმძღვანელს, ახლა მორჩი, გეყოფა-მეთქი! ჯერ ერთი, რასაც აქ აკეთებთ სისულელეა და მეორეც — ხელფასი უნდა მომიმატო, სასაცილოა და მეტი არაფერი, რა მოგებაც მე მრჩება-მეთქი! ასე არ გამოვა, მე გიუივით ვმუშაობ, თქვენ კი კაპიკებს მიხდით. ამ კრეტინმა, ამ ჩვენმა ხელმძღვანელმა კი (მე მგონი, ნამდვილი პედიკია, ნაღდი პედიკი), რაღაც წაილულლულა პასუხად, მეც ზუსტად კაი ხასიათზე ვიყავი, სამი დღე ოფლი ვღვარე მისთვის. ჰოდა, ვესროლე სკამი ფანჯარას. გამოიძახეს პოლიცია და გადამახდევინეს ამ ფანჯრის საფასური. ჯანდაბა, ისეთი ჯარიმა გამომინერეს, მოვკვდი კაცი, არც ერთი ფანჯარა არ ღირს ამდენი. დავიწყე თავის მართლება, კაცები არა ხართ? გასაგებია, დავამავე, ფანჯარა ჩავამტვრიე და უნდა გადავიხადო, მაგრამ ამხელა თანხის გადახდას არ ვაპირებ, ვის ასულელებთ-მეთქი? ბოლოს ისე ავფეთქდი, ერთი გამომთვლელი მანქანა მოვიქნიე, თან მონიტორიც მივალენე. ახლა ამისთვისაც უნდა გადავიხადო. წადით თქვენი! ამ ბოლო დროს პირადი ცხოვრებაც აწენილი მაქვს. მე ის კაცი ვარ, ნერვები რომ ეშლება, როცა მის შესახებ კაკანებენ, უცებ ვძრაზდები, ყველას ერთ, საინტერესო ადგილას ვგ ზავნი, თავად კი გავერიდები ხოლმე. ვნახოთ, როგორ გაუმკლავდებით უჩემოდ რამეს. კრისტინასაც, რომელმაც ისევ დამიწყო საქმის გარჩევა, ვუთხარი: — მოდი, წყნარად და მშვიდად დავშორდეთ ერთმანეთს-მეთქი. მორჩია. სამი თვე ვიცხოვრეთ ერთად და საკმარისია, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, თავისუფალი ადამიანი ვარ და ჩვენ ერთმანეთს არ ვუხდებით-მეთქი. კრისტინამ მითხრა: წადი, მაგრამ არ დაგავიწყდეს, რომ ჩვენს ბავშვს ყოველთვე ალიმენტი უნდა უხადოო. ჯანდაბა, ვითომ არ ვიცოდე, მნახა რა დოყლაპია! სამი შვილი მყავს და თითოეულ მათგანს პატიოსნად ვუხდი ალიმენტს. საერთოდ, ბავშვები მიყვარს. აბა ის რა ოჯახია, სადაც ბავშვები არ არიან. ყოველთვის, როცა ვინმესთან ერთად ვიწყებ ცხოვრებას, მინდა, ბავშვი გვყვავდეს, ქალს ბავშვი უხდება. თავიდან ყველაფერი კარგად მიდის, მაგრამ მერე იწყება კაკანი. რატომ მოხვედი სახლში ასე გვიან, რატომ ხარ მთვრალი, მომეცი ფული... ჯანდაბა, ფული მომეცი! ფული მომეცი! საიდან მოვიტანო ეს ფული? ეგაა, რომ მაცოფებს და გავრბივარ. ნახევარ ნელინადზე მეტს ვერ ვძლებ, ასეთი ხასიათი მაქვს. ახლა მარტო ცხოვრობ, ბინას ვქირაობ. ქირაობა სიგიჯეა, სიგიჯე! ჩამოფხაულ ქომახში ფული უნდა იხადო, მერე მეძებარი ძალივით ირბინო, რომ ფული იშოვნო! ფუ ამის, სწორედ ახლა მობილურიც გამომერთო, არადა მჭირდება, ხალხმა ხომ უნდა დამირეკოს, სამუშაო შემომთავაზონ. მე ფული მჭირდება და სამუშაო მაქვს საშოვნელი, იმათ კი ტელეფინი გამომირთეს! ოხრები! ეშმაკმა დალახვროს, საიდან ვიშოვო ეს ოთხი ცალი, რომ მობილურის გადასახადი გადავიხადო? ოთხი ცალი! ვისესხებ-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ არავინ მასესხა, ისედაც ყველას ვალი მაქვს. ერთმა მითხრა, რას ამბობ, ამდენი მობილურში უნდა გადაიხადოო, ოთხი ცალი თვეში, ეს ხომ უსირცხვილოდ ბევრიაო? ჯანდაბა, მე ამერიკაში მაქვს დასარეკი, ფილმის სცენარი დავწერე, საერთაშორისო ზარებისთვის მჭირდება. არის რაღაც შესაძლებლობა ჯონი დეპის რომ მიაწოდონ წასაკითხად, იქნებ ითამაშოს. ჯონი დეპი მაგარი მსახიობია, სწორედ ის მჭირდება, ეს უბრალო, უაზრო ჩხუბებზე აგებული ფილმი კი არ იქნება, არა, ეს მაგარი შინაარსიანი ფილმია. ამიტომ ჯონი დეპმა უნდა ითამაშოს. ცოტა ტარანტინოს სტილშიცაა, ცოტა რუსულ „ბრატსაც“ ჩამოჰვავს. ჰო, აი რაღაც ასეთია. მოკლედ, ეს საქმეები მაქვს მოსაგვარებელი, მაგრამ ამ ტელეფონის გადამკიდე რას მოვაგვარებ. რა თქმა უნდა, სიამოვნებით გავემგზავრებოდი ამერიკაში, მაგრამ პასპორტი არა მაქვს, პასპორტი არა მაქვს, გესმით? ტელეფონის გადასახადი უნდა გადავიხადო, კიდევ ფანჯრისა და მონიტორისა... ფუ ამის! . ამ მონიტორის ფულს არ გადა-

ვიხდი, ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ, მაგრამ ალიმენტს ვერ გადავურჩები, ეს ოხერი, გუშინ კი მქონდა ფული, მაგრამ ერთ ქალთან ვიყავი. მაგარი ქალია, მოდელია, რესტორანში ვიყავით ერთად, იქ ორი ცალი წამივიდა და თან იმდენი ვჭამე, რომ ქალი ტაქსიში ჩაჯდა და წავიდა. მე სიბრაზისაგან კაზინოში წავედი, ვითამაშე და კიდევ ათი ცალი წავაგე. მკიდია, რა ვქნა? სად ვიშოვო პასპორტი, იცით რას გეტყვით? — ერთი ამ ყველაფრისაც...

### 5. 60 ცლის მამაკაცი თითზე დიდი ოთხუთხედთვლიანი პეტარი

ხშირად მსმენია ახალგაზრდებისაგან, სტრესი მაქესო. მე არ ვიცი, რას ნიშნავს ეს სიტყვა. გაზიეთში წავიკითხე, ზოგიერთ ადამიანს არც ფული აქვს, არც სამუშაოო. აი, ესეც არ მესმის. მე, მაგალითად, სამუშაო სულ მაქვს. ჩანს, უბრალოდ ბედნიერი ადამიანი ვარ და ზეციური მამა მფარველობს. ჰოდა, მე ის ნამდვილად უნდა ვადიდო. მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე მისი იმედი მქონდა! მუდამ მახსოვს, რომ მას ისინი უყვარს და იმათ ეხმარება, ვისაც მისი სჯერა. და ასეც იყო. ის ყოველთვის მიცავდა და მეხმარებოდა. პროფესიონალების საეკლესიო სკოლის მასწავლებელი ვარ. კარგი სახლი მაქვს და მყავს ხუთი შვილი. უკვე დიდები არიან, იმათაც უკვე თავიანთი სახლები აქვთ. თითოეული მათგანი კარგად ცხოვრობს და საქმეც კარგად მისდით. ჩანს, ღმერთმა ჩვენ მართლაც გადაგვაფარა კალთა. აი, დადის ჩემთან ერთი საწყალი ქალი, ჩვენი მრევლიდან. წუხს თავისი მძიმე ცხოვრების გამო და, რა თქმა უნდა, არა აქვს ქირის გადასახდელი ფული. მის გამო მეც ძალიან ვწუხვარ. დავამშვიდე, თანავუგრძნე, ცხოვრებამ რომ არ გაუმართლა, მე ნამდვილად არ მადგას ასეთი გასაჭირი. ღმერთის წყალობით არაფერი მაქვს საწუხარი. ცუდია, რომ სხვები ასე დაისაჯნენ. ამიტომ ვლოცულობ მათვის. მადლობა უფალს, რომ მე და ჩემს შვილებს გაგვიმართლა. არც ერთი არ არის ცუდად. ერთი ბიჭი ადვოკატი მყავს, მეორე უძრავი ქონების აგენტია, მესამე ჩემსავით საეკლესიო სკოლის მასწავლებელი, ქალიშვილები ორივენი კარგად არიან, გათხოვილები. ერთი საფრანგეთში ცხოვრობს, ნამდვილ სასახლეში. შვედი ქმარი ჰყავს, ძალიან მდიდარი, ოღონდ თითქმის ჩემი ხნის. კომერსანტია და სამრევლო თემის უფროსი. ღმერთი უშველით! ჩემი სახლი, მართალია, სასახლე არ არის, მაგრამ სხვამხრივ არა უშავს. ორსართულიანია, კოშკიც აქვს, სადლესასწაულო დღეებში ქვეყნის დროშას აღმართავთ ხოლმე. მონადირის ოთახიც მაქვს, იქ ბუხარია და ირმის ტყავი მაქვს კედელზე გაკრული. ჰო, მე მონადირეც ვარ. აი, წინა კვირას ისეთი თხა მოვკალი... კატლეტსაც ეყო და პატტეტიც გამოვიდა. მიყვარს საჭმელების კეთება და კარგი ჭამა. ახლა მაცივარი ხორცით მაქვს სავსე. ღმერთს მადლობა, საჭმლის გასაჭირი ჩვენ არ ვიცით, რა არის. თანაც დიდი ბალიც მაქვს, ორი სათბურით. იქ მე და ჩემს ცოლს, ჯერ კიდევ რუსების დროიდან, პომიდორი მოგვყავდა და ლენინგრადში ვყიდდით. ღმერთს მადლობა! ამ ფულით სახლი გავმართეთ, მახსოვს ერთხელ ლატვიაში (იქ ერთი წაცნობი მყავს), ვიყიდეთ შვედური ხალიჩა, რომელიც, მარმარილოსავით გამოიყურებოდა. მართლაც ძალიან ლამაზია. ისეთი ლამაზი ხალიჩა მაშინ სხვას არავის ჰქონდა. ძვირიც იყო, მაგრამ ვიფიქრე, ნამდვილად ღირს ამის ყიდვა-მეთქი. წაცნობ-მეგობრები ამ ხალიჩის სანახავად მოდიოდნენ. ჩემი მეგობრებიც ყველანი კარგი ხალხია და ყველას კარგადა აქვს აწყობილი ცხოვრება. ხშირად ერთად და ძალიან მხიარულად ვატარებთ დროს.

დღეს გასვენებაში ვიყავი, დასაფლავებამდე დავრჩი. ერთი, ჩემზე გაცილებით ახალგაზრდა კაცი გარდაიცვალა. დატოვა ახალგაზრდა ცოლი და ორი ბავშვი. ძალიან სამწუხაროა, სრულიად ახალგაზრდა იყო. არ ვიცი რა სჭირდა. მე ჯანმრთელობას არ ვუჩივი. ექიმმა მითხრა, ახალგაზრდა კაცის გული გაქვსო. ღმერთი მიცავს, მეც მიყვარს მოძრაობა, ყოველ კვირას ჩოგბურთის სათამასოდ დავდივარ. გასულ ზამთარს ავსტრიაში ვიყავი სათხოლამუროდ. ძალიან ლამაზია იქაურობა. ჩვენი მრევლის ყველა წევრს, რომლებიც წუნუნებენ და წუხან, დავიღალეთო, ვურჩევდი, გათავისუფლდით, ნუ ხართ ერთ ადგილზე მიჯაჭვულნი, ერთი კვირით მაინც გაემგზავრეთ ავსტრიაში!!! იქ, მთებში მომაჯადოებელი

სილამაზეა. ფირზეც გადავიღე და ვისაც უნდა, შეუძლია ვათხოვო დასათვალიერებლად. იქაური ჰაერიც კი აჯანსაღებს ადამიანს, ნარმოუდგენელი სილამაზეა!

ჰო, სად გავჩერდი? — ა, ჰო. გასვენებაში ვიყავი, მიწას მივაპარეთ ახალგაზრდა კაცი, ასე როგორ შეერყა ჯანმრთელობა? მე ბევრად უფროსი ვარ და, გაგიხარიათ, ჯანმრთელი ვარ. მის ქვრივსაც ვუთხარი, როგორ მოხდა-მეთქი? ქვრივმაც ვერაფერი მიპასუხა, მარტო ტიროდა. მართლაც სამწუხაროა, როცა მარჩენალს ჰქარგავ. ჰო, იქ კონვერტი გადმომცეს. წესია ასეთი, საეკლესიო სკოლის მასწავლებელი გასვენებაში საქმეს აკეთებს და ხელში ჩრიან კონვერტს. კონვერტში 500 კრონი იდო — კაცმა რომ თქვას ეს დიდი თანხა არ არის, მაგრამ საწყალი ოჯახია, მეტი არ ექნებოდათ. ოჯახის უფროსი მოკვდა, ახლა ვინდა იშოვის ფულს? წამოვედი სახლში. გზაზე ავეჯის მაღაზია, ვიფიქრე, ბარემ შევივლი-მეთქი. დიდი ხანია მინდოდა კარზე დასაკაუნებელი მეყიდა. ჩვენი ზარი საშინლად ხმაურობს. კარზე საკაუნო კი უფრო წყნარია და ისეთი მნიშვნელოვანი! თან სახლიც ანტიკურ სტილში მაქვს მოწყობილი. თანამედროვე მოდური ავეჯი არ მომწონს. ძველებური მირჩევნია, ცოტა მოოქროვილი, ბევრი სარკეებითა და ჭაღებით... გეცოდინებათ, ღვთაებრივად ლამაზია ასეთი ავეჯი! ჰოდა, მოვიარე ავეჯის მაღაზია, ნამდვილად ლამაზი კარზე საკაუნებელი იყო. ლეოპარდის თავიანი, სპილენძის, მაგრამ მოვერცხლილი ლაქებით და თვლებით. საოცრად ლამაზი და ზუსტად 500 კრონი ღირდა. მეც ზუსტად ამდენი მედო ჯიბეში, გასვენების შემდეგ რომ შემომაჩეჩეს. ეს ღვთის სასწაულს ჰგავდა. იმწამსვე ვიყიდე, წამოვილე სახლში, ცოლსაც ძალიან მოეწონა. ხვალ მეგობრები უნდა მეწვივნენ. ცოტაოდენ კონიაკს მოვწრუპავთ და გარეული თხის პაშტეტსაც გავსინჯავთ. მათაც ვაჩვენებ ჩემს შენაძენს. უკვე მივახრახნე კარზე, ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. თითქოს ჩამოსხმულიაო. ღვთაებრივად ლამაზია! სასწაულად! ჰოდა, ამიტომ ნამდვილად არ მესმის ადამიანები ფულზე რომ წუნუნებენ და წუხან. და საერთოდაც... ცხოვრებაში ფული ხომ არაა მთავარო!!! ვზივარ ჩემს ბუხართან და მადლობას უფალს მფარველობისათვის. საერთოდ არ ვფიქრობ ფულზე. მთავარია, ჯანმრთელი იყო, გქონდეს ლამაზი სახლი და გყავდეს კარგი ცოლი. ჩემი ცოლი საოცარი ქალია. ძალიან კარგი მეუღლეა. მისი მამა ესტონეთის რესპუბლიკის დროს ძალიან მდიდარი კაცი იყო. ახალი რესპუბლიკის დროს კომუნისტების მიერ ჩამორთმეული ბევრი მისი სახლი დავიბრუნეთ უკან. სამართალი მაინც ყოველთვის იმარჯვებს. ჰოდა, ცოდვაა წუნუნი, დიდება უფალს, ამინ!

## 6. გაურკვეველი შესახედაობის კაცი, რომელსაც ხელში ლოტოს პილეთი უზირავს

ამის დედა, ნახე ერთი, ისევ ვერ მოიგო, არც ერთი ნომერი არ დაემთხვა, მე ამის!... აბა შეხედე! ჯანდაბა, იქნებ მეორე ცდაზე გამიმართლოს. ყოველ კვირას ვთამაშობ ლოტოს, მაგრა მინდა ცოტა ფული მოვიგო, ასი კრონი, უფრო ათასი, ხო უკეთესი იქნება თუ ათასს მოვიგებ. მილიონი საერთოდ არ მინდა. არა, სიმდიდრე არ მჭირდება, მდიდრულად ცხოვრების მეშინია. ათასი კრონი საკმარისი იქნება! ასე სჯობს.

რამდენიმე წიგნის ყიდვა მინდა, ძალიან მიყვარს კითხვა. ახლა ბიბლიოთეკაში მივდივარ. იქ მირჩევნია, გულთბილი და მზრუნველი ქალბატონები რასაც მოისურვებთ, ყველაფერს მოგიტანენ, შენ ოდონდ წაიკითხე. მე საწუნუნო არაფერი მაქვს, რაც მსურს ყველაფერს ვკითხულობ; მეფეთა ცხოვრება იქნება ეს, ჰირველი მსოფლიო ომის ისტორია, მეორე მსოფლიო ომის ამბები თუ მარია ანტუანეტას და სხვა გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება. ძალიან მიყვარს ისტორია. ჭადრაკსაც ვთამაშობდი, ხანდახან ახლაც ვთამაშობ, მაგრამ ჩემი ნამდვილი ჰობი და დიდი სიხარული წიგნების კითხვაა. რაღა უნდა მაწუხებდეს, ბიბლიოთეკაშიც შესანიშნავად შეიძლება კითხვა, მაგრამ მაინც მაქვს ოცნება: ერთი, ორი ან იმდენი წიგნი ვიყიდო, ლოტოში მოგებული ფულით, რაც მომივა. ათასი კრონით კი კარგა ბევრი მომივა. მაინცდამაინც ძვირიანებს არ ვყიდულობ, ვარჩევ იაფიანებს ან ჩამოფასე-

ბულებს, ისინიც ძალიან კარგი წიგნებია. ვფიქრობ ხოლმე, რომელიმე მეფის ცხოვრების ისტორიას ვიყიდი-მეთქი და თაროებს ვათვალიერებ, რა გადაურჩა კგბ-ს. იმ წიგნებსაც ვყიდულობ, რომლებიც ბიბლიოთეკაში წავიკითხე, კარგია სახლში რომ გინყვია მაგიდაზე. ხშირად მიფიქრია, რა კარგი იქნებოდა სულ ახალი წიგნის ყიდვა, აი, ისეთის, სტამბიდან ახლა რომ გამოიტანეს. ამ ახალ წიგნებს ისეთი კარგი სუნი ასდის, ხანდახან წიგნის მაღაზიაში შევდივარ და ვყინოსავ. ეგაა, ახალი უფრო ძვირია, ვიდრე ძველი, მაგრამ ვფიქრობ, თუ ათასი ან ორი ათასი კრონი მოვიგე... არა, ორი ათასი ბევრია, ამდენს ვერ მოვიგებ, ალბათ უფრო ათასს, მაშინ უნდა გავიმეტო და ერთი სულ ახალი წიგნი ვიყიდო. ვფიქრობ, უნდა გავიმეტო. ჩავიდებ ჩანთაში და წავალ სახლში. ფეხით წავალ, რატომ ვიჯანჯლარო ტროლებუსით, როცა ჩანთაში ახალი წიგნი მედება. ვინ იცის, იქ ვის გაეხახუნები. ზოგი ბაზრი-დან მოდის ახალი თევზით, წიგნი იმნამსვე სუნს იკრავს. არა, აუცილებლად ფეხით წავალ, თან ჩემს ჩანთას აქეთ-იქით ვაქნევ. არ ვიცი, ამისრულდება ეს ოცნება თუ არა ოდესმე? ამ ჯერზე ისევ ვერ მოვიგე, მაინც ყოველ კვირას ვითამაშებ. ერთი ბილეთით ვითამაშებ. სულ ყველა ნომერი ცდება და ვერც ერთმა ვერ გაარტყა მიზანს. ისე სხვა საწუხარი არაფერი მაქს. ბიბლიოთეკაშიც შესანიშნავად ვკითხულობ, მაგრამ რა ვქნა, ჩემს ოცნებას ვერ ველევი. ათასი კრონი ან ხუთასი, ასიც კარგი იქნებოდა, ასი ძალიან კარგი იქნებოდა. მე ხომ გამდიდრება არ მინდა, მე ხომ სიმდიდრის მეშინია, მაგრამ ასი-ორო, ასი კარგი იქნებოდა!

**თარგმნა მაია ჯორჯაძემ**

## FS (06-08-2023 მასივები)

\* \* \*

დიდი მანქანები დაატარებენ სიკვდილს  
მრუმე დღე  
რუხი ქვები  
სიყვარულის ნასახსაც კი არ იძლევა ელექტრობა  
დიდი მანქანები დაატარებენ სიკვდილს  
დააფასე დააფასე მძღოლის შრომა  
არ ეძებო მისი მზერა  
შებურული მინის მიღმა  
იცოდე მას დამაჯერებლად უპყრია საჭე  
იგი გზიდან არ გადაუხვევს  
დიდი მანქანები დაატარებენ სიკვდილს  
დღისით და ღამით  
წვიმასა და თოვლჭყაპში  
ხვატსა და ქარბუქში  
დიდი მანქანები დაატარებენ სიკვდილს  
ამ გზიდან არავინ არ გადაუხვევს

\* \* \*

ეს არაა შენი ხელები  
ეს არაა შენი ხელები ჩემო ძვირფასო  
ეს არაა შენი ხელები  
რადიომიმღების ღილაკებს რომ აწვალებენ  
ეს არაა შენი ხელები  
დარაბებს რომ  
ხურავენ ხსნიან  
შუქს ჩემი სახისკენ რომ მიმართავენ  
ეს არაა შენი ხელები  
იარაღს ხელში რომ მიდებენ  
ვიღაცის ფოტოს რომ მაჩვენებენ  
და ჯიბეში ფულს მიკუჭავენ  
ეს არაა შენი თბილი ლბილი ხელები  
ჩემს სახეს რომ ეხებიან  
მაღვიძებენ შუაღამისას  
და მიშვებენ გაურკვეველი მიმართულებით  
ეს გაყინული ხელებია მე მათ კარგად ვგრძნობ  
ეს ულმობელი ხელებია  
ეს უსიცოცხლო ხელებია  
ამ სიცოცხლის წარმმართველები

\* \* \*

ვიბადებით საავადმყოფოებში  
 გრძელი უფერული დერეფნები  
 ნაბიჯების ხმა სიჩუმეში  
 ჰაერი გაჟღენთილი ქლორით და მსგავსი საძაგლობით  
 კედლები — ავადმყოფობებით  
 სიებში შეტანილი ჩვენი სახელები  
 ყველაფერი კონტროლის ქვეშაა  
 დოკუმენტები — საქალალდეებში  
 საქალალდეები — კლიტებდადებული  
 კარის წინ სარეგისტრაციო მაგიდაა  
 დღეს შენთან  
 ალარავინ მოვა  
 ფანჯრის მიღმა პნელა  
 შენობის მეორე ბოლოში მორგია  
 აწი ფეხები  
 გეუპნება დამლაგებელი

## ტალინი

ზღვის ლამაზი ხედი  
 პორტს და საპყრობილეს შორის.

*თარგმნა შოთა იათაშვილმა*

## პრისტინა ეხინი

\* \* \*

მე წყალი ვარ  
დილით მივედინები  
მე მაქვს ტუჩები სათვალე ბეჭედი ხელები  
მე წყალი ვარ

ერთი ღრმად მიწისქვეშა  
მძინარე ტბიდან  
წყაროდ ამოხეთქილი  
მივრაკრაკებ კიბით დალმა  
ქუჩაში

ვჩქარობ საათზე ვიყურები  
სკოლაში მისვლას ვასწრებ  
სალაში წყალო  
როგორ მიდის საქმეები?  
მე დღეს უფრო თბილი გავხდი —  
შარშანდელი თოვლი დადნა

და რა გინდა  
დღეს შეისწავლო?

ცეცხლი ცეცხლი  
თანაც ისე რომ საკუთარი მე არ დავკარგო

\* \* \*

უზარმაზარ თვითმფრინავს  
„ბოინგ 757“-ს  
შეუყვარდა წერო  
ო როგორ უნდოდა  
გადაეფრინა იმ ჭაობის თავზე  
სადაც მუხის კუნძზე  
იდგა წერო  
ასეთი მოხდენილი  
თხელი და გრძელი ფეხებით  
და გადმოკარკლული თვალებით  
სხვადასხვა ფერის სიზმრებად შეღებილი ბუმბულით  
რა იქნებოდა ენახა ეს ფრთები  
ეს ნახევრად ღია ნისკარტი  
ეჭ როგორ სურდა  
უკან გაეშვა მოჩქარე მგზავრები  
გადაედო ყველა საქმე  
და გაექუსლა მისკენ

ებზრიალა ეთამაშა  
ეცეკვა  
ჭაობის თავზე  
როგორ ითხოვდა მისი ოდნავ რუხი სხეული  
ფრინველის ბუმბულის სითბოს  
სიმშვიდეს მგრძნობიარე ფრთის ქვეშ  
და ფერადოვან სიზმრებს

რომ მომხდარიყო ასე  
ჩასჩურჩულებდა ჰეი წერო გაიღვიძე  
შეხედე რამდენი ვარსკვლავია  
მიმოფანტული ცაზე  
იცი იქ მაღლა იგრძნობოდა მხოლოდ და მხოლოდ  
საწვავის სითბო  
და ცაში ფრენის უსასრულობა

\* \* \*

გააგზავნო ბავშვები  
მრგვალი მუცლიდან  
მრავალსართულიანი სახლის ბინაში  
ხორცისა და სისხლის ტიტინიდან  
გაქვავებულ ბეტონზე  
ქვიშსაყრელის იდეალურ კვადრატში  
ლითონის სათამაშოებთან  
ნაყოფის წყლებს  
გამოჰყავთ ისინი ლიფტთან  
საწვიმარიან საბავშვო ეტლთან  
ავტომობილის უკანა სავარძელთან  
სხედან ისინი ლინოლეუმზე ბაღში  
ენატრებათ დედა  
და ელიან მამას

თარგმნა შოთა იათაშვილმა

## პეტერ საუთერი

### მშობიარობა

გამეღვიძა. ოთახში ბნელოდა. მარტო ვიწექი ლოგინში. დერეფნიდან სინათლე შემოსჭვიოდა. აბაზანიდან წყლის ხმა გამოდიოდა. მხარი ვიცვალე და ისევ ჩამეძინა.

გამეღვიძა. ისევ ბნელოდა. დერეფნიდან სინათლე ისევ შემოდიოდა, აბაზანიდან წყლის ხმა ისევ ისმოდა. ალბათ დაეწყო — გავიფიქრე. — სჯობს ავდგე და ვნახო როგორა. გამოძინებული ვიყავი და წამოდგომა არ მეზარებოდა, თუმცა ცოტას კიდევ წავუძინებდი. ხელი ბალიშის ქვეშ მოვაფათურე. სიგრილემ საბოლოოდ გამომაფხიზლა. ოთახი დილის ბინდბუნდში იყო გახვეული. იოიო ლოგინთან იდგა. რაღაცის თქმა უნდოდა. მე ვუყურებდი და ველოდი, რას მეტყოდა.

— ძალიან ბევრი მოდის, — თქვა აღელვებულმა, ისე რომ საკუთარ ხმას არც კი მიაყურადა. — შემომხედე, სულ მოდის და მოდის. უნიტაზზე ვიჯექი. მერე ვიბანავე. ვიფიქრე, მორჩა-მეთქი, მაგრამ ისევ დამეწყო, ნახე!

მან ფეხები გაჩაჩხა. ბოქვენი და ბარძაყები სველი ჰქონდა. „უნდა ავდგე“, — გავიფიქრე. ხელი საბნიდან გამოვაცურე და ფეხზე, მუხლთან მოვუთათუნე. იოიო გაუნძრევლად იდგა და თავის სველ ვაგინასა და ბარძაყებს დაჰყურებდა. მერე მე შემომხედა.

— ტკივილები დაგეწყო?

— რა ტკივილები?

მე თვალებით ვანიშნე.

— ტკივილები არა მაქვს.

უკან გადავიხარე, საბნის პირი მაღლა ავწიე და ვუყურებდი. იოიომ კარადის კარი გამოაღო, უჯრიდან ერთი ჰიგიენური საფენი ამოილო და ფეხებს შორის ამოიჩარა. შემდეგ კარადაში შარვალი მოძებნა, ამოიცვა და საფენი კარგად მოირგო. მერე კარადის კარი მიხურა, მსუბუქი ნაბიჯებით მომიახლოვდა და ჩამესუტა. მარჯვენა ხელით ზურგზე ვეფერებოდი. თვალები დავხუჭე. ძილის დრო არ იყო, მაგრამ მაინც რული მეკიდებოდა. იოიომ თავი მხარზე დამადო. მისი თმები სახეზე მედებოდა და მილიტინებდა. მან თავი გააქნია და სახიდან თმები ამაცალა. მე სულს ვუძერავდი მის კულულებს. მერე მუცელზე დავადე ხელი. მუცელი რბილი მომეჩვენა. ძილდვიძილში ვფიქრობდი, რომ მუცლის ფორმა არ შეცვლია. ბავშვი არ იყო ქვემოთ დაწეული, თუმცა შეიძლება მე ვერ ვხვდებოდი, მე ხომ მხოლოდ ერთი ორსული ქალის მუცელი მქონდა ნანახი. თუ წყლები მოდის და ტკივილები არ აქვს, გმოდის რომ ხელოვნურად უნდა იმშობიაროს. ხვდება ნეტა ამას იოიო? აჲ, სულერთა! რაც უფრო ნაკლებს იდარდებს, მით უკეთესი! ეს მისი პირველი მშობიარობაა. ბავშვი ალბათ მთელი დღის განმავლობაში მოძრაობს. რაც უფრო გვიან ნავა იოიო საავადმყოფოში, მით უკეთესი, რადგან იქ მხოლოდ ლოდინი მოუწევს.

იოიო ძალიან დაძაბული იყო. მერე მოიხარა და კარგა ხანს ასეთ მდგომარეობაში გაჩერდა. ალბათ ასტკივდა? საათს უნდა დავხედო. მაჯაზე დავიხედე. სიბნელე იყო და საათის ისრები არ ჩანდა. ასე ორი იქნებოდა დაწყებული.

ავდექი. იოიოს თავზე ხელი გადავუსვი და გავამხნევე. წელში გავიმართე. გვერდითა ოთახში გავედი. სუსას საბანი პირამდე ეფარა. შეუმჩნევლად სუნთქავდა. ძალიან ლამაზი იყო. შიშველი ვიყავი და ვიგრძენი, რომ ოთახში გრილოდა. ფანჯარასთან დავდექი და ფარდის ჭუჭრუტანიდან გავყურებდი ქუჩას. ქუჩა ცარიელი იყო. მხოლოდ სამი მოლურჯო ლამპიონის შუქით განათებული ასფალტი ბრწყინავდა. თოვდა. დიდხანს ვიყურებოდი. არაფერი შეცვლილა. ყველაფერი უცვლელად დარჩა. უცბად გამახსენდა, რომ შეიძლება სუსას გაღვიძებოდა და დავენახე, ასე დედიშობილა ფანჯარასთან მდგარი. მივბრუნდი. სუსას ეძინა. მივედი და ვაკოცე. არც განძრეულა. სიცივისგან შემაჟრიალა. მეორე ოთახში იოიო იმავე მდგომარეობაში დამიხვდა.

აბაზანაში შევედი, პირი დავიბანე და სარკეში ჩემს თავს შევხედე. მერე მოვფსი და

ჩავრეცხე. თავში არანაირი აზრი არ მიტრიალებდა, თუმცა არც ის მაწუხებდა, ასე უაზროდ რომ ვიყავი.

მესმოდა, როგორ კვნესოდა ჩუმად იოიო და საათს დავხედე. ორის ოცი წუთი იყო. გავაკუე. საწოლის კიდეზე ჩამოვჯექი და იოიოს ხელი ხელში მოვიქციე. შემომხედა.

— ტკივილები დაგენყო?

იოიომ თავი გააქნია.

— მალე გამოვუძახებ სასწრაფოს.

ნარბშეკრული თავს აქნევდა.

— გინდა ახლავე გამოვუძახო სასწრაფოს?

ისევ გააქნია თავი.

— არ გინდა სასწრაფო?

მანიშნა: არაო.

— მაშინ ტაქსით წავიდეთ.

დამთანხმდა.

— ფული გააქვს?

იოიომ თავი დამიქნია.

— კარგი, ტაქსის მოვიყვან.

იოიომ თვალებით მიმითითა სუსას საძინებლისაკენ.

— ჰო, ტაქსით წაგიყვან საავადმყოფოში და სუსას გამოლვიძებამდე გამოვბრუნდები, თუ შენ მარტო გაართმევ თავს.

იოიომ მხრები აიჩეჩა.

ველოდი, რომ კიდევ რამეს მეტყოდა. იოიო არსაით იყურებოდა. მხოლოდ ხელი დამადო მუხლზე.

— იოიო, მომისმინე.

ის მიყურებდა.

— აზრი არ აქვს აჩქარებას. ერთი საათის შემდეგ წავიდეთ.

ამაზეც დამთანხმდა.

— შეჭამ რამეს?

მანიშნა, არაო.

მე მსიამოვნებდა, ხელი ჩემს მუხლზე რომ ედო და ვფიქრობდი, სჯობს ხმა არ ამოვილო, თორემ ხელს აიღებს-მეთქი. და ასე გასუსული ვიყავი რამდენიმე ხანს. ამბურძგლა. ბოლოს მაინც ვუთხარი:

— ყავას გავაკეთებ.

მან ხელი ჩამოილო ჩემი მუხლებიდან.

ჩავიცვი. გავედი აბაზანში და პირის პარსვა დავიწყე. მეჩვენებოდა, რომ იოიო კვნესოდა, მაგრამ საათს არ ვუყურებდი. ახალი „Bic for sensitive skin“ საპარსის პირი ავილე და ვცდილობდი სახე არ გამეჭრა. მერე სამზარეულოში გავედი, რადიო ჩავრთე. ჩაიდანი ქურაზე დავადგი. მერე რადიო გამოვრთე და ჩაიდანი ქურიდან გადმოვდგი. წყალი დავუმატე და ისევ დავდგი. ვაკეთებდი ბუტერბროდებს. თეთრი პურის ხუთ ნაჭერზე პაშტეტს ვუსვამდი და თან დავშტერებოდი ჩემი ხელების მოძრაობას. პაშტეტში სუნელებით შეკმაზული სტაფილოს მოზრდილი ნაჭერი იდო. ალბათ ტკივილებს შორის ინტერვალი უნდა გავზომო?

არა, არ არის საჭირო. არაფერიც არ მოხდება. სამი ბუტერბროდი ძეხვითა და მჟავე კიტრით უკვე მზადა მქონდა. კიდევ მარგარინიანი და თაფლიანი (რადიო ისევ ჩავრთე), ორიც

— ყველიანი. (თაფლიანი პური პირში ჩავიდე). ჩაიდანში წყალი სადაცაა წამოდულდებოდა.

მე დავუყურებდი გამზადებულ ბუტერბროდებს და ველოდებოდი, როდის ადულდებოდა წყალი ჩაიდანში. რადიოს ხმა ძალიან სუსტად ისმოდა. ვერ გავიგე, ეს ლაპარაკის ხმა იყო,

თუ მუსიკას გადმოსცემდნენ. წყალი თითქმის ადულდა. მადულარაში ყავა ჩავყარე, წყალი დავასხი და გაზქურაზე შევდგი. ყავამ ქაფი მალე მოიგდო. გაზი გამოვრთე. ყავა გადმოვიდა და მაგიდა მოთხვარა. მადულარა მაგიდაზე დავდგი და ჩვარი გადავუსვი. ჩვარი გავრეცხე.

კარადიდან თერმოსი გამოვიდე. ხუთი კოვზი შაქარი ჩავყარე და ლიმნის წვენი ჩავწურე. მერე ყავა დავუმატე და თერმოსი გავავსე. საათს დავხედე. ორს ათი წუთი აკლდა.

დერეფნიდან მესმოდა როგორ კრავდა ჩანთას. ფინჯანში ლიმნის ნაჭერი, ორი კოვზი შაქარი და ყავა ჩავყარე. ყავა ძალიან ცხელი იყო. მგონი, სუსა უნდა გავაღვიძო. ჩაცმასაც დრო უნდა. სჯობია იოიომ ჩააცვას. ამასობაში მანქანას მოვიყვან. თანაც იოიოს ფიქრისთვის ცოტა დრო დარჩება. ყავა მოგსვი. ისევ მდუღარე იყო. სამზარეულოს მაგიდაზე ბუტერ-ბროდები არეულად ეწყო და მე ისინი მაგიდის შუაში ჩავამწკრივე.

მაგიდაზე ეწყო: პურის დიდი დანა, კარაქის დანა, თეთრი და შავი პური, მარგარინი, ხაჭო, პაშტეტი, ძეხვი, ყველი, საშაქრე, ლიმონი, სამარილე და ტირიფები საყვავილეში.

უმაღლეს ვიყავი. მაინც შევჭამე სამი პაშტეტიანი და ერთი ყველიანი ბუტერბროდი, მაგრამ გემო ვერ ჩავატანე. აი ყავის დალევა კი მინდოდა. ის გემრიელი იყო და ყლუპ-ყლუპით ვსვამდი.

ფინჯანი მაგიდაზე დავდგი და ოთახში გავედი. იოიო ჩაცმული იყო. ლოგინი უკვე აელაგებინა და ჩანთებთან ტრიალებდა. ახლა სუსას საძინებელში გავედი. მას ეძინა. სინათლე ავანთე. ლოყაზე მოვაფერე. ძალიან ღრმად ეძინა. მეორე ოთახიდან იოიოს ლილინის ხმა შემომესმა და იქით გავემართე. ის საწოლთან იდგა, ტკივილებისგან სახეს მანჭავდა და თან ლილინებდა. მერე ლოგინზე დაემხო და თავი ხელებში ჩარგო. ცოტა ხანს ასე იყო, თან კვნესოდა. მე სუსას ოთახში გავედი, ხელში ავიყვანე, საწოლის გადასაფარებელი შემოვახვიე და სამზარეულოში გავიყვანე. იოიო ისევ საწოლზე დამხვდა დამხობილი. ვერ მივხვდი, სუსას ეძინა თუ არა. შევაფხიზლე და ვკითხე: ფისი-ფისი ხომ არ გინდა-მეთქი.

ლიმნიანი ყავა ბოლომდე დავლიე და ფინჯანი გავრეცხე. მაცივრიდან რძე და იოგურტი გამოვიდე. ცალ ხელში სუსა მეჭირა, მეორეთი კი სამზარეულოში ვსაქმიანობდი. რძე ჩემი ყავის ფინჯანში ჩავასხი და რძის ყუთი მაცივარში შევდე. ფინჯანში ყავა ჩავყარე და ერთი კოვზი შაქარი დავუმატე. მოვურიე. სუსამ თვალები ოდნავ გაახილა და ისევ ვკითხე:

- ფისი გინდა?
- საერთოდ არ მინდა.
- კარგი. თუ მოგინდება მითხარი. იოგურტი გინდა?
- არ მინდა.
- მე შენ ახლა სკამზე დაგსვამ.
- ახლა მინდა იოგურტი.
- ფინჯნით თუ მინის ჭიქით?
- მწვანე ფინჯნით.

ჩავუსხი იოგურტი მწვანე ფინჯანში და ყავა დავლიე.

- მამიკო, რატომ ბნელა გარეთ?
- იმიტომ, რომ ახლა ღამეა. აიღე, რომელიც გინდა ის ბუტერბროდი.
- მამიკო, მაშინ რატომ ვსაუზმობთ, თუ ღამეა? ღამე ხომ არ საუზმობენ?
- ხო, მაგრამ ჩვენ საავადმყოფოში მივდივართ. იოიომ უნდა იმშობიაროს.
- მეც მოვდივარ?

- გინდა?
- კი მინდა.
- მაშინ შენც მოდიხარ, მაგრამ იქ დიდხანს მოგვიწევს ყოფნა.
- ახლა მინდა ფისი.
- მაშინ ჩქარა ნადი.
- ფეხზე რომ არ მაცვია, როგორ წავიდე?
- კარგი.

სუსა ხელში ავიყვანე და ტუალეტისკენ წავედით. დერეფანში მითხრა: მოიცადეო და ტუალეტში სინათლე ანთო. შემდეგ კი მკითხა:

- მამიკო, აბა თუ გამოიცნობ, ვინ აანთო სინათლე?
- ძირს დავსვი. ისევ მკითხა:
- გამოიცნობ, მამიკო?

— დაჯექი კარგად უნიტაზზე, მოფსი და გაიწმინდე, კარგი?

უნიტაზის თავსახური ავნიერ. სუსა უნდა დამესვა, მაგრამ უნდოდა, ეს თვითონ გაეკეთებინა და მითხრა:

— მე თვითონ.

— კარგი. მე სამზარეულოში ვიქნები.

— ბიჭი იქნება თუ გოგო?

— ჯერ არ ვიცი.

მესმოდა როგორ ფსამდა სუსა. მერე მითხრა:

— თუ გოგო გაჩნდება ბაჭია დავარქვათ. ბაჭია ან მარტა. კარგი მამიკო?

— ვნახოთ.

ოთახში შევბრუნდი. ქურთუკჩაცმული იოიო სავარძელში იჯდა და მიყურებდა. სავარძლის გვერდით ტანსაცმლით გატენილი სპორტული ჩანთა იდო. იქვე იყო ხელჩანთაც. ჩვენ ერთმანეთს ვუყურებდით.

— ჭამას დავამთავრებ. მერე ტაქსის მოსაყვანად წავალ. შეგიძლია ამასობაში სუსას ჩაცვა?

იოიომ თითებით მიმითითა: შენ და სუსა მოდიხართ?

— კი. ჩვენ ორივე მოვდივართ.

ისევ მანიშნა: თქვენც იქ იქნებით, როცა მშობიარობა დამეწყება?

— კი. იმედია, რომ ყველას შემოგვიშვებენ. ექნებათ ალბათ მოსასვენებელი ადგილი, სუსა რომ დავაძინო. შენ უკეთესად ხარ?

— მე კარგად ვარ. დროა, წავიდეთ.

— კარგი. სუსა ტუალეტშია და ფსამს. მე ბუტერბროდებს მოვიტან. რეგისტრატურის ნომერი გაქვს?

იოიომ დაიხარა. ჩანთიდან უბის წიგნაკი, ცარიელი ფურცელი და კალამი ამოილო და ტელეფონის ნომერი დამიწერა. ჩემთვის ვფიქრობდი, ან ჭკუიდან შეიშალა, ან უბრალოდ ძალიან კონცენტრირებულია-მეთქი.

— სადაზღვევო კომპანიის ბარათი და ყველა საბუთიც თან გაქვს?

იოიომ თავი დამიქნია.

— რომელი ტაქსი გინდა?

იოიომ მანიშნა, რომ წავსულიყავი.

სამზარეულოს უჯრიდან პოლიეთილენის ჩანთა ამოვილე, ყველის და პაშტეტის ბუტერბროდები ერთმანეთზე დაუდევრად დავაწყვე და ჩანთაში ჩავდე. ავილე ჩანთა და თერმოსი. სწრაფად გავედი საძინებელში. ფუთა და თერმოსიც ჩანთაში ჩავდე. თაროზე წიგნს მოვკარი თვალი და ისიც ჩავაგდე. მერე ქურთუკს ხელი გავუყარე, მივედი კართან და გავაღე. დერეფანში რომ გავედი, დავინახე იოიოს ჩანთა უკვე მხარზე მოეგდო. ერთი წუთით შევყოყმანდი და მერე კარი გადავკეტე. გარეთ სიგარეტს მოვუკიდე და ტაქსების გაჩერებისკენ გავწიე. ლამპიონები ჯერ კიდევ ენთო. ქუჩა ცარიელი იყო. მივდიოდი მსუბუქი ნაბიჯებით და სიგარეტის კვამლს ღრმად ვისუნთქავდი. ცივი ჰაერი მსიამოვნებდა და თამბაქოს გემოს თითქმის ვერ ვგრძნობდი. მოშორებით სახელმწიფო ტაქსი გამოჩნდა. არ გააჩერა. ქუჩაზე თოვლი იდო და სიარული მიჭირდა. ერთ ჯიხურში სინათლე ენთო. ვიფიქრე — „long drink“ ხომ არ მეყიდა-მეთქი ჯიხურში და ნაბიჯი შევანელე, მერე გადავიფიქრე და ისევ ავუჩქარე. სიგარეტის გრძელი ნამწვი ძალიან შორს მოვისროლე.

გაჩერებაზე ერთი „ოპელი“, ერთი სახელმწიფო და ერთიც კერძო ტაქსი იდგა. ჩავჯექი სახელმწიფო ტაქსში და მისამართი ვუთხარი. მძღოლმა მისამართი გაიმეორა და მანქანა შემოაბრუნა.

— მოიცადეთ, უკან დავბრუნდეთ, იმ ტელეფონის ჯიხურთან, უნდა დავრეკო.

— ტელეფონის ჯიხურთან, — გაიმეორა მძღოლმა. მანქანის სავარძლებს შორის რაღაცა სქელი, ყავისფერი წიგნი იდო, ჩანს, კითხულობდა. წიგნმა დამაინტერესა, მაგრამ ვერ

მოვახერხე ვერც ავტორის გვარის ამოკითხვა და ვერც წიგნის სათაურისა. ვერც ის გავიგე, წიგნს ფასი ესტონურად ეწერა თუ რუსულად. ტელეფონის ყურმილი ავიღე, ერთი წუთით გავჩერდი და მერე სუსას დედის ნომერი ავკრიფე. ზარი გავიდა და ყურმილი დავკიდე. ჯიბიდან იონის მიერ მოცემული ნომერი ამოვილე, ავკრიფე და იქიდან ვიღაცამ მიპასუხა.

— გამარჯობათ. დაახლოებით ნახევარ საათში მოვიყვან ოცი წლის მშობიარე ქალს. წყლები უკვე დაღვარა და ტკივილებიც დაეწყო, ასე 1 საათზე. ეს მისი პირველი მშობიარობაა. მისი სახელი და გვარია იონი ლახტი. მე ასო-ასო გავუმეორე: ი ო ი რ არის სახელი და გვარია ლ ა ს ტ ი, ის ყრუა.

მომეჩვენა, უცნაურად ვლაპარაკობდი. ტელეფონში სიჩუმე იყო.

— პირველი მშობიარობა?

— დიახ.

— ტკივილები რომელ საათზე დაეწყო?

— პირველზე.

— წყლები დაღვარა?

— დიახ.

— გელოდებით.

— ნახვამდის.

ყურმილი დავკიდე, მაგრამ ხელიარ გამიშვია. რამდენიმე წუთს ასე ვიყავი. ჯიხურს ალუ-მინის კედლები ჰქონდა, უფანჯრო იყო. სიგარეტს მოვუკიდე და რამდენჯერმე მოვქაჩე. ნამწვი ძირს დავაგდე და ფეხით ჩავაქრე. ისევ ტაქსში ჩავჯექი და მისამართი გავუმეორე. ტაქსის მძლოლმა სქელი, ყავისფერი წიგნი სკამებს შორის ჩადო და მისამართი თვითონაც გაიმეორა. ვერ გავიგე, აქცენტით ლაპარაკობდა თუ არა. წიგნი სკამებს შორის ისე იდო, ისევ ვერ დავინახე, რა წიგნს კითხულობდა მძლოლი ან რა ენაზე ენერა ფასი, რუსულად თუ ესტონურად. ასე მეგონა, რომ ვერც ვერასდროს გავიგებდი.

— ააქ? — მკითხა მძლოლმა.

— კი. ცოტა ხნით უნდა დამელოდოთ. მე ზემოდან ორ ქალს ჩამოვიყვან.

ვიფიქრე, მძლოლი რამეს მეტყვის-მეთქი, მაგრამ არაფერი უთქვამს. ვუყურებდი „ტაქ-სომეტრს“, უკვე 11 კრონი იყო დანერილი. არ ვიცოდი, რამდენი უნდა გადამეხადა სამშობიარომდე. ალბათ 60 ან 70. თუ უკან დავბრუნდებოდი, მაშინ — 100-ზე მეტი. მძლოლს ხელი წიგნზე ედო. კარი გავალე და მანქანიდან გადმოვედო.

ჩაცუცქული იონი სუსას კომბინიზონს უკრავდა და თან მე მიყურებდა. მერე თავშლის მოხვევა სცადა, მაგრამ სუსამ ხელიდან გამოგლიჯა და თვითონ სცადა შემოეხვია.

— გთხოვ, სწრაფად, — ვუთხარი.

— იონი ავადაა?

— არა. უნდა იმშობიაროს.

— იმიტომ სტკივა მუცელი, რომ უნდა იმშობიაროს? — განუმარტა თავისთავს სუსამ.

ჩანთა ძირს დავდე. სუსას ერთი ღილი დარჩენოდა შესაკრავი. თავშალი გავუსწორე და კომბინიზონი ბოლომდე შევუკარი. იონი უმოძრაოდ იდგა. ხელჩანთა ეჭირა. სპორტული ჩანთა კი იატაკზე ეგდო. ჩემი ჩანთაც ხომ უნდა წამელო.

— მამიკო, თხუნელას ჩემთან ერთად უნდა წამოსვლა.

— კარგი. წამოვიდეს. სწრაფად ჩაიცვი რეზინის ჩექმები.

სუსა თმაგაჩერილი იდგა. აბაზანაში გავედი, თაროდან სავარცხელი და ორი თმის შეს-აკრავი ავიღე.

— შეჭამე იოგურტი?

— სანამ ტუალეტში წავიდოდი, მანამდე შევჭამე.

— თვითონ ჩახვალ ქვემოთ და ჩაჯდები ტაქსში? — ვკითხე იონის. მან უარის ნიშნად თავი გააქნია. მე ფეხსაცმელებით შევაბოტე სამზარეულოში. მაცივრიდან ახალი იოგურტის ყუთი ავიღე და ჯიბეში ჩავიდე. უჯრიდან ჩას კოვზი ამოვილე და ისიც ჯიბეში ჩავიცურე. მერე სამზარეულოს თვალი მოვავლე. გაზი გადაკეტილი იყო. ფანჯრიდან ვხედავდი,

რომ ფარებჩართული ტაქსი სახლის წინ იდგა. სამზარეულოს მაგიდიდან შავი და თეთრი პური, ხაჭო, მარგარინი, ყველი, ძეხვი, პაშტეტი და მუავე კიტრი ავალაგე. ლიმონი მაგიდის კიდესთან დავდე. მესმოდა იოიოს კვნესა. დანები გავრეცხე და გასაშრობად დავაწყვე. კვნესა არ წყდებოდა. დერეფანში გავედი. იოიოს თავი დენის მრიცხველზე მიეღო. ერთი ხელი ტანსაცმლის საკიდისთვის ჩაეჭირა, ხოლო მეორე მუშტად შეეკრა. მრიცხველი ძალიან ნელა მოძრაობდა. სუსა ჯერ კიდევ რეზინის ჩექმებს იცვამდა, თან მე და იოიოს შემოგვყურებდა.

— დროზე, — მივაძახე.

იოიო გაუნძრევლად იდგა. მინდოდა, სკამზე დამესვა. ერთი წამით გავჩერდი და უკან გავბრუნდი სამზარეულოში. ჩვრით მაგიდა გადავწმინდე, წამცეცები გადავყარე, ჩვარი დავასველე და მაგიდას გადავუსვი. სამზარეულოს იატაკს ჩემი ფეხსაცმლის ნაკვალევი აჩინდა.

— ხელთათმანი! — თქვა სუსამ.

სამზარეულოს თეთრი საათი დავქოქე და კარადაზე დავდე. სინათლე ჩავაქრე.

ფერდაკარგულ იოიოს ხელში სუსას ხელთათმანი ეჭირა. სუსა კი თითებგაფარჩული მის წინ იდგა. იოიოს ხელთათმნები გამოვართვი, სუსა რობოტივით შემობრუნდა ჩემკენ, ხელთათმანი ჩავაცვი და გავუსწორე.

— ბოლო შემიკეცე!

ხელთათმანი კომბინიზონის მკლავის შიგნით შევუკეცე და სუსაც კმაყოფილი დარჩა. მერე მეორე ხელთათმანიც წამოვაცვი და ისევ რობოტივით კარისკენ შებრუნდა. იოიომ ხელჩანთიდან თავისი გასაღები ამოიღო და კედელთან დაკიდა. მე მასთან მივედი. მხარზე ხელი დავადე და ვუთხარი:

— შენს დიდ ჩანთას მე წამოვიღებ.

იოიო გარეთ გავიდა. სუსა კი ფეხებგაშეშებული, რობოტივით, კარებთან დააბაკუნებდა.

— პი, პიფ, — თქვა სუსამ და გაჩერდა.

— წადი ახლავე.

— ნუ მკრავ ხელს!

— როგორ იქცევი?

— თხუნელა? !

საძინებელში გავედი, რომ მენახა იქაც დავტოვე ნაკვალევი თუ არა. არაფერიც არ იყო. სკამზე სუსას ღამის პერანგი ეგდო. ლეიბიდან თხუნელა მოჩანდა. სუსას ღამის პერანგი დავკეცე და ბალიშის ქვეშ ამოვდე. საბანი ავკეცე და საწოლზე დავდე. მერე თხუნელა ამოვაძვრინე და სუსას ვუთხარი:

— თხუნელა ჩანთაში მიდის.

— პი, პიფ, — თქვა სუსამ და გააგრძელა მოძრაობა.

კარი გადავკეტე და დავფიქრდი, სახლში ყველაფერი წესრიგში დავტოვე თუ არა. სუსა კიბეზე იდგა.

— გველოდებიან!

ხელი მოვკიდე და ქვევით ჩავედით.

— წინ დაჯდები თუ უკან?

— უკან კიდევ ვინ იჯდება?

— არ ვიცი, იოიოს ვკითხოთ.

— უკან.

ტაქსის კარი გავაღე და სუსა უკან შეძვრა, იოიოსთან. ტაქსში ჩაჯდომისას უნებლიერ დავხედე ყავისფერ წიგნს. მაინც ვერ დავინახე, რა წიგნი იყო. მინდოდა ტაქსში რაიმე მუსიკა მომესმინა. გავყურებდი ქუჩებს და ჩუმად ვუსტვენდი. მერე იოიოსკენ მივბრუნდი და ხელი მუცელზე დავადე. სუსამაც დაადო ორივე ხელი. ის ფანჯრაში იყურებოდა. ვგრძნობდი, იოიოს ეშინოდა ტყივილების გამეორების, თანაც ყელში ჰქონდა ამოსული ეს ყველაფერი. ფანჯრიდან ვიყურებოდი და მელოდიას ვუსტვენდი: „The answer my friend, is blowing in the

wind, the answer is blowing in the wind“ („პასუხად მეგობარს, ქარს რომ მიჰყვება, პასუხიც მიჰყვება ქარს“).

— მძულს სასწრაფო მანქანა, — თქვა იოიომ.

ტაქსის მძლოლმა იოიოს ხმა რომ გაიგო, თავი გადააქნია. ისევ ვუსტვენდი. ვგრძნობდი, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა. ზუსტად ისე, როგორც მინდოდა.

— ნუ უსტვენ, — თქვა სუსამ.

— რატომ?

— მანქანაში ხომ არ უსტვენენ?

— რატომ? — და გავაგრძელე სტვენა.

— ნუ უსტვენ!

— გავჩუმდი.

იოიომ ხელები მხრებზე დამაწყო. ტკივილის შეკავებას ცდილობდა და რამდენადაც შეეძლო ხმადაბლა კვნესოდა. ვფიქრობდი, რა მოვიმიზეზო, რომ საავადმყოფოში სუსას დატოვების ნება დამრთონ-მეთქი. „ავუხსნი, რაშიც არის საქმე“, — გადავწყვიტე. მძლოლმა იცოდა, სადაც უნდა მივეყვანეთ. მან დიდ შენობას შემოუარა, რომელილაც ეზოში შევიდა და კართან გაჩერდა. შენობის ყველა ფანჯარა ჩაბნელებული იყო და მეგონა კარიც ისე იყო დაკეტილი, თითქოს წლებია არავის გაელო. კარზე აბრა იტყობინებოდა: „მშობიარეთა მიღება“. ვიფიქრე, ტაქსის წასვლამდე სჯობს კარი შევამოწმო-მეთქი. იოიოს გავხედე, ეტყობოდა უკეთ გრძნობდა თავს. თავისი საფულე გამომიწოდა. ტაქსის მძლოლს ფული გადავუხადე და იოიოსი და ჩემი ჩანთა ავიღე.

კარი დაკეტილი იყო. ზარი დავრეკე. ტაქსი ეზოდან გავიდა. ერთი წამით მანქანის ფარებმა გაანათა იქაურობა. კარის თავზე მბუუტავი ნათურა ენთო. ეზოში ბნელოდა. იოიომ ხელით მანიშნა, შეიძლება ამ ეზოში მომიწიოს მშობიარობამო. ისევ დავრეკე ზარი.

— არ გეძინება? — ვკითხე სუსას.

— არა.

ვფიქრობდი, თუ მე და ბავშვს აქ არ დაგვტოვებდნენ, მაშინ იოიოს სახლში დასაპრუნებლად ტაქსის ფული უნდა გამოვართვა-მეთქი. ამასობაში კარიც გააღეს.

— გამარჯობათ.

— თქვენ დამირეკეთ?

— დიახ.

— ყველაფერი თან გაქვთ, რაც საჭიროა? სადაზღვევო კომპანიის ბარათიც? — ჰქითხა ექთანმა იოიოს.

— დიახ, გვაქვს, — ვუპასუხე.

— ბავშთან ერთად ხართ?

— კი. ბავშვი ჩვენთან ერთადაა.

— გინდათ აქ დარჩეს თქვენთან ერთად?

— დიახ, ვერსად ვერ დავტოვეთ.

— დამტოვებელი არა გყავთ? კარგი, შემოდით.

ექთანი წინ მიდიოდა. ჩვენ მივყვებოდით. იოიო შედგა და ფანჯრის რაფას დაეყრდნო. ექთანმა დერეფნის ბოლოს ერთი კარი შეაღო და ჩვენკენ მოიხედა.

— კარი ღია დატოვეთ, — გვითხრა.

— მმმ... — წამოიკენესა იოიომ და რაფისქვეშ გამათბობელს გახედა. ზურგზე ხელი და-ვუსვი, მივეფერე. სუსა დაბნეული შემოგვყურებდა.

— მედდა კარგი ქალია, ძალიან კარგი, — ვუთხარი მე.

— რომელი და? — მკითხა გაკვირვებულმა სუსამ. — ჯერ არ დაბადებულა და.

— ჩვენ ვინც შემოგვიშვა, იმას მედდას ეძახიან, მაგრამ ადამიანსაც შეიძლება ჰყავდეს და. „მმმმმ“, — ისევ დაიკვნესა იოიომ და მუხლებს დაეყრდნო. ეტყობა რაფაზე ხელები დიდხანს ეწყო და ამიტომ თითები მთლად გადათეთრებოდა. მე უკინიდან მივუახლოვდი და თმები ოდნავ მოვქაჩე. ხანდახან, როცა ერთად ვიწექით, ასე ვეხუმრებოდით ერთმა-

ნეთს. იოიო შემობრუნდა, მარცხენა ხელი მკლავზე მაგრად მომიჭირა და ისევ დაიკვნესა: „მმმმმ!“

- ბავშვს უნდა გამოსვლა, — თქვა სუსამ.
- მგონი, მართალი ხარ.
- ჩვენ აქ დავრჩებით?
- ვნახოთ.
- თუ ჩვენ წავალთ, მაშინ იოიო მარტო დარჩება და მოიწყენს.
- ალბათ.

იოიო წელში გასწორდა. ისევ ქშინავდა. ჩვენ დერეფანს გავუყევით.

მიმღებში, ფანჯარასთან მიდგმულ მაგიდასთან იჯდა ექთანი. წინ გაზეთები ეწყო და კროსვორდებს ავსებდა. ჩვენ შევედით და გავჩერდით. სანამ სიტყვა ბოლომდე არ ჩაწერა, ყურადღებაც არ მოგვაქცია.

- ტანსაცმელი გაიხადეთ.
- შემიძლია აქ, ბავშვთან ერთად დარჩენა?
- მე არ ვიცი. ჩემთვის სულერთია. არ ვიცი, საავადმყოფოს პალატაში როგორ უნდა მოისვენოთ. ბავშვს არ ეძინება?

— ჯერ არა. ალბათ მერე დაეძინება, გექნებათ ერთი თავისუფალი საწოლი?

ექთანმა ხალათის ჯიბიდან გასაღები ამოილო და ტანსაცმლის კარადა გამოაღო. კარადა სავსე იყო ჩვენზე ადრე მოსული მშობიარე ქალების ტანსაცმლითიც. ექთანმა ერთი საკიდი გამოგვიყო.

— მომყევით სამშობიარო განყოფილებაში და ვნახოთ, რას გვეტყვიან.

მერე ხალათები გამოგვიწოდა მე და იოიოს.

— ფლოსტები გაქვთ?

— კი.

საავადმყოფოს საშინელ ფლოსტებს გავხედე. კიდევ კარგი, ჩვენი გვქონდა. „ამ ფლოსტებში მშობიარობა კი ნამდვილად სასიამოვნო იქნებოდა“. სუსა გვიყურებდა, რა უხერხულად ვიცვამდით ხალათებს.

— რა გქვია? — ჰქითხა ექთანმა სუსას.

— სუსა.

— ძალიან კარგი. მე ექთანი აინო ვარ. სამწუხაროდ, ისეთი პატარა ხალათი, შენ რომ მოგერგება არა მაქვს, თუ ძილი მოგინდება, შეგიძლია ამ ლოგინში დაწვე.

მაგიდის გვერდით ორსართულიანი საწოლი იდგა.

მე იოიოს ხალათი შევუკარი. მან თითებით მანიშნა, რომ არ უნდოდა გაეპარსათ.

— კი, ვიცი, — ვუთხარი.

— თქვენ გვერდითა ოთახში მიბრძანდით, — უთხრა ექთანმა იოიოს.

ისინი გვერდითა ოთახში გავიდნენ და კარი ღია დატოვეს. ექთანი რაღაცას საქმიანობდა აპარატთან.

— გთხოვთ, დაწექით!

— თუ შეიძლება ნელა ილაპარაკეთ, ყრუა და მხოლოდ ტუჩების მოძრაობით ხვდება რას ეუბნებიან. — ავუხსენი ექთანს.

ექთანი იოიოსკენ შებრუნდა და გაიმეორა:

— გთხოვთ, აქ დაწექით, — და ხელით ორსართულიანი საწოლისკენ მიანიშნა.

საწოლი მაღალი იყო. იოიო ძლივს აცოცდა.

მე სუსას ტანსაცმლის გახდაში ვეხმარებოდი.

— შეიძლება მეც ავძვრე? — მკითხა მან.

— არ შეიძლება. მე ჩანთაში სუსას ფლოსტებს ვეძებდი, მაგრამ ვერ ვიპოვე.

— კარგი, ისევ ეგ შალის წინდები გეცვას. მე ხალათი გავიხადე, მერე ჯემპრი და ისევ ხალათი ჩავიცვი. ზურგზე შესაკრავით შევიკარი და საწოლზე ჩამოვვჯექი. ექთანმა იოიოს მუცელზე პლასტირით მავთულები დაუმაგრა და აპარატი ჩართო. აპარატი ოს-

ცილოგრაფზე კარდიოგრამას აჩვენებდა. ეკრანზე გრაფიკული მრუდები ადი-ჩადიოდა და თავი ფილმში მეგონა. დაღლილსა და ძალაგამოცლილს თავში ათასი ფიქრი მიტრიალებდა. თითქოს ვილაცის სიკვდილს ვხედავდი და თითქოს ესეც ფილმში ხდებოდა, მაგრამ მშობიარობა ფილმს არ ჰგავდა. წეტავ, ეს იოიოს გულია, თუ ბავშვის? ალბათ ბავშვის. წეტავ, ეს კარდიოგრამაა? სუსა მომეყრდნო, კალთაში ჩავისვი. ექთანს უნდა დაველაპარაკო გაპარსვის თაობაზე. იოიო კვნესოდა და მოხრას ცდილობდა. ექთანი ხელს უსვამდა და ანუგეშებდა. ყველაფერი, რაც ხდებოდა, ცოტა უცნაური იყო. და რომ არ მეფიქრა, ექთნის მაგიდას მივუჯექი. გაშლილი გაზეთი ჩემკენ შემოვაბრუნე და კროსვორდის შესავსებად სიტყვების ძებნა დავიწყე. მაგიდაზე კალამი იდო. არ ამიღავ. ვცდილობდი, რომ ზეპირად დამემახსოვრებინა ყველაფერი და უჯრებში არაფერს ვწერდი.

ამასობაში სუსას ჩაეძინა. საწოლზე დავაწვინე. საწოლის სიგრილემ გამოაფხიზლა და კისერზე მომხვია ხელები. თავზე ხელი გადავუსვი და მოვეფერე.

— ჯემპრს მოვიტან და დაგაფარებ. სუსას კისერზე მოხვეული ხელები გავაშვებინე. მაშინვე თავქვეშ ამოიდო ორივე ხელი და გვერდზე გადაბრუნდა. ჯემპრი მოვიტანე, დავაფარე და ისევ კროსვორდებს მივუბრუნდი.

— საბუთები უნდა შეავსო, — გამომძახა ექთანმა მეორე ოთახიდან.

— დიახ, — ვუპასუხე და თან კროსვორდში ჩასანერ სიტყვაზე ვფიქრობდი.

— მერამდენე მშობიარობა?

— პირველი, — ვუპასუხე მექანიკურად, რადგან კროსვორდში ჩასანერ სიტყვაზე ვფიქრობდი.

— მერამდენე ფეხმძიმობაა? — ჰკითხა ექთანმა იოიოს.

— მესამე, — ანიშნა მან.

სიტყვა ვიპოვე, ეს იყო მაჩეტე.

— პირველი მშობიარობა?

— კი. პირველი მშობიარობა. პირველ ფეხმძიმობაზე აბორტი გავიკეთე. მეორე თვითონ მომეშალა.

— რა ავადმყოფობები გაქვთ გადატანილი?

— არ ვიცი, — ვთქვი მე.

— არც მე ვიცი, — თქვა იოიომ. — ისეთი არაფერი. უბრალოდ ყბაყურა და კიდევ რა-ლაცა. ბორტკინი არა.

— ვენერიული დაავადებები?

„ესტონელი მწერალი არის თეეთ კალასი“.

— ტრიქომონიზი.

— როდის?

„ბოსტნეული. ეს არის სიტყვა კომბოსტო“.

— ორი წლის წინ.

— სულ ესაა, თუ კიდევ რაღაც?

— სულ ესაა.

„დო, რე, მი. ფა, სოლ, ლა. სი, დო. ლა თუ ფა?“

— როდის უნდა გაჩნდეს ბავშვი?

— ორ კვირაში.

— რომელ საათზე დაგენტი ტკივილები? — ჰკითხა ექთანმა იოიოს, მერე სკამიდან წამოდგა და ფეხებს შორის მიაჩერდა.

— პირველ საათზე, — ვუპასუხე მე.

სასიამოვნო იყო სკამზე ჯდომა. ალბათ ასე ვისხდებოდით, ვისაუბრებდით და მერე სახლში წავიდოდით. ოსცილოსკოპზე ერთნაირი ფიგურები მოძრაობდნენ და პრინტერმაც ქაღალდზე ზუსტად იგივე ფიგურები ამობეჭდა. ექთანი რაღაცას აკეთებდა პირსაბანთან. იოიომ თავი წამოსწია.

— გთხოვთ, თუ შეიძლებოდა არ გამპარსოთო, — ვთქვი ექთანის გასაგონად.

— ბევრს არ გავპარსავ. მხოლოდ ქვემოთ, ცოტას. ზემოთ კი ისე დარჩეს, როგორცაა. თქვენს ბავშვს ხომ სძინავს!?

— ჩაეძინა.

მე იოიოს ვანიშნე, რომ ცოტას გაპარსავდნენ. მან თავი საწოლზე გადააგდო. ექთანმა დაიწყო იოიოს გაპარსვა. მე ვეღარ დავიმახსოვრე კროსვორდისთვის მოფიქრებული სიტყვები და გაზეთი თავის ადგილას დავდე. ექთანმა აპარატის ლილაკი დაატრიალა და ეკრანიდან ფიგურები გაქრნენ. მერე ქალალდზე ამობეჭდილი კარდიოგრამის სურათი მოხია და დანარჩენ საბუთებს დააწება. მერე ადგა, იოიოს შეხედა, მკლავზე ხელი მოუსვა და მუცლი-დან პლასტიკით დამაგრებული მავთულები ააცალა.

— შეგიძლიათ ადგეთ, — მკაფიოდ და გასაგებად გამოთქვა ექთანმა.

იოიო ჩემთან მოვიდა. მე მისი ხელები მუჭაში მოვიმწყვდიე, თან მუცელზე ვეფერებოდი. ექთანმა სკამზე გადადებული ჩვენი ტანსაცმელი აიღო და კარადაში დაკიდა. მერე მწვანე ბრეზენტის ჩანთა მომაწოდა:

— ფეხსაცმელები ამ ჩანთაში ჩააწყვეთ.

ფეხსაცმელები ჩავაწყვე და პირი მოვუკარი.

— ნასვამი ხომ არა ხართ ?

თვალი გავუსწორე და მხოლოდ შემდეგ ვუპასუხე: „არა“!

— ძალიან კარგი. ასეც ვფიქრობდი.

ფეხსაცმლიანი ჩანთა ჩვენს საკიდზე დაკიდა და კარადა დაკეტა.

— მაშინ აიყვანეთ თქვენი სუსა ხელში.

მე ბავშვი ხელში ავიყვანე. არ გალვიძებია.

— ადით მესამე სართულზე, — გვითხრა ექთანმა.

ვიდექით მესამე სართულის დერეფანში, სამშობიარო განყოფილების მაგიდასთან და ვუყურებდით, როგორ ათვალიერებდა ექთანი ჩვენს საბუთებს.

— დაბრძანდით. ფეხზე რატომ დგახართ? — გვითხრა ექთანმა და ჩვენც დავსხედით.

ექთანი თან სუსას უყურებდა, თან საბუთებს ათვალიერებდა.

მოპირდაპირე პალატის კარი ღია იყო. იქ ერთი ქალი, მაღალ სამშობიარო მაგიდაზე მუხლებში მოხრილი, ფეხებგადაჩაჩენული იწვა და ჩემკენ იყურებოდა. იქვე, ზურგით, კაცი იჯდა და შეჰყურებდა თავის ცოლს, რომელიც მე მიცემდა. კაცი მოტრიალდა. ერთმანეთს თვალი გავუსწორეთ. აშკარად არ მოეწონა, რომ მისი ცოლი მე მიყურებდა.

— რატომ? — თქვა კაცმა და ჩემკენ შემობრუნდა.

— ააა! — თქვა ქალმა და კაცს ჩაებლაუჭა. კაცი ისევ მისკენ მიბრუნდა.

მე ავდექი და სხვა ადგილას გადავჯექი.

ორი ახალგაზრა გოგო მოვიდა.

— გოგოებო, — მიმართა მათ ექთანმა, — შეიყვანეთ ისინი!

— მობრძანდით, — გვითხრა პრაქტიკუანტმა.

ჩვენ ავდექით.

— თქვენ ქმარი ბრძანდებით? — მკითხა ექთანმა.

— არა.

სუსა დამიმდიმდა ხელში.

— აპა, — თქვა ექთანმა.

ვიფიქრე, კიდევ რამეს მეტყვის -მეთქი, მაგრამ ხმაც არ ამოულია.

პრაქტიკანტი პალატის კართან იდგა. იოიო პალატაში შევიდა და მეც შევყევი. ეს იყო დიდი, მაღალჭერიანი, საწოლებით სავსე ოთახი, აქვე იდგა მონიკელებული სამშობიარო მაგიდები და დაბალი ტახტები, პლასტიკუატითა და ზენრით დაფარული.

გოგონამ მითხრა:

— შეგიძლიათ ქალი დააწვინოთ. ექიმი ახლავე მოვა. ბავშვი აქ დარჩება?

— დიახ.

— ტახტზე დააწვინეთ, საბანს მოგიტანო.

ოთახი მეტისმეტად იყო განათებული. სუსა ტახტზე დავაწვინე და ჩანთები ძირს, პალატის კუთხეში დავაწვე. მერე იოიოს ტახტის გვერდით დავჯექი სკამზე. ძალიან დაღლილი, ჭერში იყურებოდა. მე ხელი მოვეკიდე და ვკითხე:

- გინდა ბუტერბროდი და ყავა?
- იოიომ უარის ნიშნად თავი გააქნია.
- წყალი მინდა, — მანიშნა.

პალატაში წყლის ონკანი იყო. მე ერთი პოლიეთილენის ჭიქა ვიპოვე და წყალი მივუტანე. თავი წამოვაწვინე და დავალევინე. რამდენიმე წვეთი ძირს დაეწვეთა.

- ჭიქა შენ გეჭიროს ხელში.
- იოიომ ჭიქა გამომართვა და თვითონ დალია. მერე ჩემი მაჯის საათს დახედა და თქვა:
- მეზარება მშობიარობა.

- კარგი, მაშინ სახლში წავიდეთ და სხვა დროს იმშობიარე.

იოიომ თავი მიაბრუნა და თვალებიდან ცრემლები წამოსცვივდა. მე ჭიქა პირსაბანთან დავდგი.

— გინდა წიგნი წაგიკითხო? — ვკითხე. — ალპათ, მშობიარობამდე დიდი დროა და შენ მაგრად უნდა იყო.

- არ შემიძლია, არ მინდა.

— შეეცადე, ბავშვისთვისაც ასე აჯობებს. მაშინ ბავშვს საშვილოსნოს ვიწრო ყელში დიდხანს ძრომიალი არ დასჭირდება.

- კარგი. მოვინდომებ.

სწრაფად და საქმიანად შემოვიდა ვიღაც მსუქანი ქალი, ქერად შეღებილი და ქიმიოთ დახვეული თმით.

- მერამდენე მშობიარობაა?

- პირველი.

- აბორტი გაქვს გაკეთებული?

- დიახ.

- რომელ საათზე დაგეწყო ტკივილები?

- პირველზე.

- მოდი, ვნახოთ, რა ხდება.

მან ყუთიდან რეზინის თხელი ხელთათმანი ამოილო და ხელზე წამოიცვა.

- ახლა ცოტა გეტკინებათ.

იოიო ჩემკენ იყურებოდა და მე თავს ვუქნევდი. ექიმმა თითებით მოსინჯა საშვილოსნოს ყელი. იოიო იმანჭებოდა.

— სავარაუდოდ, ბავშვი მალე წამოვა. მე ახლა სამორიგეო ოთახში მივდივარ. ექთანი დერეფანში იქნება. თუ დაგჭირდებით, მაშინვე დამიძახეთ.

ქალი ადგა და ხელთათმანი წაიძრო. ვიფიქრე, ფეხზე ხომ არ წამოვდგე-მეთქი. აღარ ავდექი. ექიმი როგორც საქმიანად და სწრაფად შემოვიდა, ისევე გაუჩინარდა. შევნიშნე, რომ პრაქტიკანტი ექიმს მთელი ამ დროის განმავლობაში კუდში დასდევდა.

- მანქანის კარგი მექანიკოსივით არ იქცეოდა? — ვუთხარი იოიოს ექიმზე.

- მე მანქანა არა ვარ.

- დიდადაც არ განსხვავდებით.

სუსას სანოლთან მივედი და საბანი ნიკაპამდე წაგაფარე.

— მაინტერესებს, რამდენად რთულია მშობიარობის მიღება, ექიმმა ხომ იცის, რომ ყველაფერია მოსალოდნელი.

ახალგაზრდა გოგონები შემოვიდნენ და შემოიტანეს ლანგარი, რომელზეც რაღაც შეკვრა იდო. გოგონებიდან ერთ-ერთმა საავადმყოფოს პატარა, ფერგადასული ტილო იოიოს თავთან დაუდო. იოიომ თვალები დახუჭა და თავი მოიმძინარა. მართალია, გოგოებთან არაფერი მესაქმებოდა, მაინც მივედი და ვუთხარი:

- რამდენიმე წათურას ჩავაქრობ. — ჩუმად ვლაპარაკობდი. სუსას ეძინა.

— კი, ბატონო! — გოგო თვითონ წავიდა შუქის ჩასაქრობად, ყველა ნათურა გამორთო და მერე რამდენიმე ისევ ჩართო. ახლა ოთახს მკრთალი შუქი ანათებდა. მომეჩვენა, რომ გოგონა ინტერესით მიყურებდა.

— ასე სჯობს? — მკითხა მან.

— დიახ.

კიდევ რა ვკითხო? არც არაფერი.

იოიომ კვნესა დაიწყო და მე მასთან მივედი. პრაქტიკანტები გაიქცნენ. მეგონა იოიო წამოდგომას აპირებდა და ხელი შევაშველე. ხელი ისე მაგრად მომიჭირა, რომ თითები მატ-კინა. თან ჭერში იყურებოდა და თან კვნესოდა. ჯერ მუცლის კუნთები, მერე კი მთელი სხე-ული დაეჭიმა. „ააჲ!“ — ამოისუნთქა, შვებით როცა ტკივილებმა გადაუარეს.

— ღრმად უნდა ისუნთქო. შეგიძლია კიდევ მოიკრიბო ძალები? — ვკითხე.

იოიომ ცხვირი მკლავზე დამადო. აშკარად ყვირილის შეკავებას ცდილობდა.

— იყვირე, თუ გინდა!

იოიო ჩემი ტუჩების მოძრაობას ყურადღებას არ აქცევდა. იჭინთებოდა და ხრინწიანი ხმით კვნესოდა. მერე საწოლზე მიწვა, რამდენიმე წამით დახუჭა თვალები და ისევ გაახილა.

— ალარ შემიძლია. არ მინდა.

სახეზე დავაკვირდი.

— მეტი ალარ შემიძლია ამ ტკივილების ატანა. სხვა არავინ არ არის ამ პალატაში? — მკითხა და ოთახი მიათვალიერ-მოათვალიერა. აქ მარტო სუსა იყო.

— აქ არავინ არ არის, მაგრამ მეზობელ პალატაში სხვები მშობიარობენ.

— ვერ გავიგე. გაიმეორე!

— მეზობელ პალატაში სხვები მშობიარობენ. იქ ერთი კაცი და ქალია.

— აჲა. ტუალეტში მინდა. კუჭში უნდა გავიდე. იცი, სად არის ტუალეტი?

— არ ვიცი. გინდა წავიდე და ვიკითხო?

— კი. არა. მოიცადე, მეც წამოვალ.

იოიო წამოჯდა. და საწოლის ქვეშ ფეხით ჩუსტებს ძებნა დაუწყო. მე ჩუსტები გავუჩოჩე და წამოდგომაში მივეხმარე.

დერეფანში არავინ იყო. მეზობელი პალატის კარი წახევრად ღია დარჩენოდათ. იქ ხალხი ფუსფუსებდა. იოიოს ხის ფეხსაცმელებს ქვის იატაკზე რაკარუკი გაუდიოდა და ამ ხმაში შფოთი ისმოდა. წახევრად ღია პალატიდან წივილის ხმა გამოდიოდა. ეს ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც ფილმებში, სადაც რაღაც არ ჩანს, მაგრამ გესმის. ახალშობილის კივილის ხმაც ზუსტად ისევე ისმოდა, როგორც ფილმში, რომელსაც ხმა ფონად გასდევს.

მიდიოდა იოიო, ფეხსაცმელებს მიაბაკუნებდა და მეც სირბილით მივდევდი. დერეფანი რაღაც ბურუსით იყო მოცული. ჩვენ მზვერავებს ჩამოვგავდით. კიდევ ერთი წახევრად მო-ლიავებული კარი დავინახე. მოსასვენებელ ოთახს წააგავდა. მაგიდაზე რაღაც წახევრად მოქსოვილი იდო. იოიომ წაბიჯს უმატა, დერეფნის ბოლოს მიაღწია, მაგრამ იქ გასასვლელი არ დახვდა. არც ერთ კარს არ ჰქონდა აბრა. მან კარის გაღება სცადა. საიდანლაც ექთანი გამოჩნდა.

— უკაცრავად, სად არის საპირფარებო?

— აქაც არის, მაგრამ ალბათ ის კაცი შევიდა მეორე პალატიდან.

— იოიო, — ვუთხარი, — საპირფარებო აქ არის, მაგრამ დაკავებულია.

იოიოს თვალები გაუფართოვდა.

— სხვა საპირფარებო არ არის? — ვკითხე ექთანს.

— აქ არ არის.

— რა სჭირს ამას?

— საპირფარებოში უნდა.

— უნდა დაელოდოს!

საპირფარებოდან წყლის ხმა ისმოდა. კარი გაიდო და იქიდან კაცი გამოვიდა. იოიო სა-პირფარებოში შევარდა. მე ველოდებოდი. მერე უკან დავბრუნდი. მეზობელ პალატაში სიჩ-

უმე იყო. ნახევრად ლია კარიდან ვხედავდი, რომ ის ქალი ჯერ კიდევ სამშობიარო მაგიდაზე იწვა.

სუსას ეძინა. ჩანთიდან თხუნელა ამოვილე და თავთან დავუდე. თერმოსს თავსახური მოვხსენი და ყავა ჩამოვასხი. პარკიდან ბუტერბროდი ამოვილე და ჩავკბიჩე. ავიღე წიგნი. დავჯექი სკამზე, წიგნი შუაში გადავშალე და კითხვა დავიწყე: „სიტყვა არ გაესრულებინა მოხუცს, ამერიკულ პრერიებში მოჯლიგინე ბიზონის ჯოგის ლრიალისმაგვარი ხმა რომ შემომესმა, ის თანდათან ძლიერდებოდა. იმწუთას, როგორც მეზღვაურები იტყვიან, დავინახე, როგორ „აიჭრა“ ოკეანე. წყლის ეს ნაწილი აზვირთებულ დინებად გადაიქცა და ჩემ თვალწინ თავბრუდამსვევი სიჩქარით აღმოსავლეთისაკენ დაიძრა“.

ყველიან ბუტერბროდს ვილუკმებოდი და ვსვამდი ყავას, ისე, რომ წიგნის კითხვა არ შემიწყვეტია.

იოიომ კარი ოდნავ გააღო და ოთახში შემოიხედა. მერე შემოვიდა და ტახტზე წამოწვა.

— გინდა ყავა?

იოიომ თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია. მან თერმოსის ჭიქა აიღო, ერთი ყლუპი მოსვა და ჭიქა მომაწოდა.

— ოოჳ, — თქვა იოიომ. — სანახევროდ საცვლებში ჩავისვარე.

ტკივილები ახლიდან დაეწყო. ხელი მომიჭირა.

— ეცადე ცოტა ჩუმად იყო. სუსას სძინავს.

— ოოჳ! საცვლებში ჩავისვარე და იმათი რეცხვის თავი არ მაქვს. არ ვიცოდი, სად წამ-ეღო ეს ჩემი საცვალები. პოდა, ქალალდით გავწმინდე და ნაგვის ყუთში ჩავაგდე.

— აბა მუხლებზე დადგომა სცადე, იქნებ მოგეშვას.

— დამეხმარე!

იოიო მარცხენა მკლავზე დამეყრდნო და მუხლებზე დადგა. მე მარჯვენა ხელში ყავის ჭიქა მეკავა და წიგნი კალთაში მედო. ის ქმინავდა და წინ და უკან მოძრაობდა. მარცხენა ხელი ზურგზე დავადე და თან საათს დავყურებდი: ხუთის ათი წუთი იყო. ყავის ჭიქა ბოლომდე დავლიე.

— აჳ, აჳ, აჳ. ტათ-ტათ-ტათ! — თქვა იოიომ.

ჩუმად ვკითხულობდი: „ათას ერთმანეთს შეხეთქებულ დინებად ჩაიხვია ოკეანემ ბრძოლის არენად ქცეული, აზვირთებული წყლის მთელი ეს მასა, მერე უეცრად შლეგური კუუნჩხვებით გიგანტურ ჭავლებად აღიმართა და ასე, დიდი სიჩქარით მიიგრაგნებოდა უფსკრულისაკენ სტვენით, ზვირთცემითა და ლრიალით, როგორც ციცაბოდან დაშვებული წყალი და ლვარცოფი“.

იოიოს ტკივილებმა ნელ-ნელა გაუარა. იდაყვეს დაეყრდნო და საწოლზე ფრთხილად გადაბრუნდა. თვალები დახუჭული ჰქონდა. თვალს არ ვაცილებდი. კიდევ დავისხი ყავა. არ ვფიქრობდი წაკითხულზე, მაგრამ მაინც ვაგრძელებდი კითხვას: „მოსწორდა მთელი ზედაპირი, ერთიმეორის მიყოლებით გაქრა ყველა მორევი და, სადაც ადრე არ იყო, იქ გამოჩნდა უთვალავი, მოგრძო-მოგრძო თავზე ქაფმოქცეული ზოლი, მერე ეს უთვალავი ზოლი შორს, შორს გაიჭრა, ერთ მასად შენივთდა და სპირალისებრად ჩაიხვია“. იოიო წელში გაიმართა. ცალ ხელს დაეყრდნო და ისე იყურებოდა. თვალებს აცეცებდა და მერე მომხედა. მარცხენა ხელი პირზე აიფარა.

— რა მოხდა, იოიო?

— მალებინებს.

წამოვდექი და აქეთ-იქით დავიწყე ყურება.

— პირსაბანი, — ვთქვი და დავინახე თეთრი მეტალის მაგიდის ქვეშ ჭურჭელი იდგა. ის ფართო, დაბალი, თუნუქის ღამის ქოთანი იყო. თეთრად მომინანქრებული, შავი პირით. იოიოს ტახტზე დავუდე, არწყია. პირველი ღებინების მერე ცოტა დაისვენა და თვალები გაახილა. კუჭიდან ყველაფერი ამოიღო. როცა აღებინებდა მთელი ტანით ტალღასავით ირხეოდა. ქოთანი იატაკისკენ ჩაცურდა. მე ხელი ვტაცე იოიოს მარჯვენა ხელში. თერმოსის ჭიქა და წიგნი ისევ მეორე ხელში მეჭირა. იოიო ტახტზე მიწვა. ლოყა ქოთნის პირზე

დარჩა ჩამოდებული. იატაკზე მისი ნარწყევი ჩამოღვრილიყო. ის ლოყით ამაგრებდა და-  
მის ქოთანს საწოლზე. ხელი სასთუმალთან გადავყავი და ავიღე ტილოს ნაჭერი, რომელიც  
ნარწყევზე მოვისროლე. იოიომ თავი ოდნავ ნამოსწია და ისევ აერია გული. ახლა უფრო  
ნაკლებად აღებინა და სულ კუჭის წვენი ამოიღო. რამდენჯერმე გადმოაფურთხა. ეტყობო-  
და, ძალა აღარ ჰქონდა, რომ კვლავ გადაეფურთხებინა და ნერწყვი თავისით ჩაედინებოდა  
ჭურჭელში. იწვა თვალებდახუჭული და სუნთქვა უჭირდა.

მხარზე ხელი დავდე. შემობრუნდა. ვკითხე:

- აღარ გერევა გული?
- თავი გააქნია და უკან გადაბრუნდა.
- წყალი, ან ყავა ხომ არ გინდა?
- ის კვლავ თავს აქნევდა.
- მაშინ დაისვენე.

თვალები დახუჭა. მე იატაკი მოვწმინდე და ქოთნითა და ტილოს ნაჭრით ხელში საპირ-  
ფარეშოსკენ წავედი. ექთანი დერეფანში იჯდა და ჩემკენ ისე იყურებოდა, თითქოს სურდა  
რაღაც ეკითხა.

- აღებინა.
- ექთანი ადგა.
- მომეცით, — თქვა მან და ქოთანს ხელი დაავლო.
- არა, იყოს, — არ ვუშვებდი ხელს ქოთნის სახელურს.
- მომეცით, ეს ჩემი საქმეა.

სახელურს ხელი გავუშვი. ექთანი ქოთნითა და ტილოს ნაჭრით ხელში საპირფარეშო-  
სკენ წავიდა. მე დერეფანში, დივანზე, ჩამოვჯექი. იმაზე ვფიქრობდი, რატომ ვიყავი ასე  
გულდაჯერებული, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლიდა, საიდან ასეთი რწმენა. ახლა ვერ  
ამესნა, რწმენა იყო ეს თუ გულგრილობა? ბავშვს რომ რამე მოუვიდეს? ვთქვათ და  
მოკვდეს? ნამდვილად არ ვიცოდი, რა უნდა მექნა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი. ადრე თუ  
გვიან ხომ მაინც მოკვდება. მეც დავიბადე, ვცხოვრობ და მოკვდები. რაღაც მთლად ასე  
არ უნდა იყოს. მე არაფერი ვიცოდი ჩემი დაბადების შესახებ და არც გარდაცვალებისა მე-  
ცოდინება რამე. ბავშვი რომ ჩემი ყოფილიყო, იქნებ სხვაგვარად მეგრძნო ეს ყველაფერი?  
არა, მაინც როგორ სხვანაირად? არ ვიცი. ყველაფერი წამიერად იელვებს და ქრება. ერთი  
დეტალიც კი თუ სხვანაირადა, ყველაფერი სხვანაირად ხდება. რომ წამეკითხა ტაქსისტის  
წიგნის სათაური ან სხვანაირი ამინდი რომ ყოფილიყო, ვიყიდდი „ლონგ დრინკს“. რაა? წა-  
მიერი გაელვება? ბუზი დაფრინავს დერეფანში. შემდეგი წამიერი გაელვება რაღა იქნება?  
ალბათ ის, რაც არის. რა წამიერი გაელვება? რაებს ვპოდავ? მაგის დრო მაქვს? აბა რისი  
დრო მაქვს? დავამთქნარე. დრო არა მაქვს. მაშინ რა მაქვს? სუსა ჩემი შვილია, მაგრამ მე არ  
ვიცი, ვინ იყო მასთან, როცა იბადებოდა, არც ის ვიცი, როგორ დაიბადა. სამაგიეროდ ახლა  
მე ვარ აქ, თუმცა შემიძლია წავიდე და ბავშვი ვერ გაიგებს, რომ მისი დაბადებისას აქ ვიყავი.  
მას არაფერი ეცოდინება ამ ოთახის, თერმოსისა და ტილოს ნაჭრის შესახებ. დავამთქნარე.  
ნეტავ, სად ეწევიან სიგარეტს? ის კაცი რას აკეთებდა საპირფარეშოში? რომელი თერმოსის  
ჭიქა იდება იქ, როცა მე მოკვდები? სულერთია. რა თქმა უნდა, სულერთია. ექთანმა კროს-  
ვორდების შევსება გააგრძელა ნეტავ, თუ საწოლზე მიაგდო გაზეთი? სულერთია! რაღა არ  
არის სულ ერთი? ის, თუ როგორ ექცევიან ხალხს! ისინი კარგ ავტომექანიკოსებს ჰგვანან.  
ისე გელაპარაკებიან, რომ გასიამოვნონ. ძალიან უბრალო საქმეს, ან საქციელს შეუძლია  
კმაყოფილება მოგვაროს. შეიძლება უბრალო ყოფა სრულყოფილად მოგეჩვენოს. „ნუ იხ-  
მარ ასეთ სიტყვებს, — ვეუბნებოდი საკუთარ თავს. ეს დამღუპველი აღმოჩნდება შენთვის.  
ნამდვილად დამღუპველი. არ ვიცი რატომ. იყოს სრულყოფილება, უკვდავება და დროის  
უსასრულობა. ეს არაფერს არ ნიშნავს და არც დამღუპავს. არაფერი არ არსებობს ისეთი,  
რომელიც შენ ვალდებულებით დაგამძიმებს“. დავამთქნარე. სიგარეტის კოლოფი ამოვიდე.  
ექთანი დაბრუნდა და გაურიალებული ღამის ქოთანი მომაწოდა.

— ასეთი ტილოს ნაჭრები ხომ გაქვთ კიდევ?

- დიახ. გმადლობთ.
- გოგო იქნება.
- აპა.
- ექთანი მაგიდას მიუჯდა. მე ჭურჭელი ფეხებთან დავიდე, დივანის ქვეშ.
- როდის დაიბადება?
- როცა დრო მოვა.
- ძალიან დაიღალა.
- ეს ბუნებრივია. ბავშვს სძინავს?
- დიახ.

ექთანი საბუთების შევსებას შეუდგა. მე ღამის ჭურჭელი იატაკზე დავდგი და საპირ-ფარეშოში წავედი.

უნიტაზს თავსახური ავხადე და შარვალი შევიხსენი. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სულ არ მინდოდა მოფსმა, მაგრამ შარდი მოდიოდა, მოდიოდა და მოდიოდა, მერე შეცო-ტავდა და შეწყდა. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მაგარი საქმე ჩავიდინე.

სიგარეტი პირში ჩავიდე. ფეხით ნაგვის ყუთს თავსახური ავხადე. იოიოს საცვალი იქ ეგდო. სიგარეტი კოლოფში ჩავაბრუნე და ნაგვიდან ის საცვალი ამოვიდე. წყალს მივუშ-ვირე. მერე საპონი წავუსვი და გავრეცხე. მომენონა ეს საცვალი, მასზე პეპლები იყო ამო-ქარგული. გავწურე და სარკეში ჩავიხედე. გასაპარსი ვიყავი.

საცვალი ხელში მეჭირა და ასე მივუყვებოდი დერეფანს. გზად ღამის ჭურჭელი ავიღე და პალატაში შევედი. იოიო პატარა, თეთრი მეტალის მაგიდასთან ჩაცუცქულიყო. მერე წამოდგა. მაგიდა ჭრაჭუნებდა და მასთან ერთად ირწეოდა. მინდოდა მხარი შემეზველებია, მაგრამ მან საწოლზე მოადინა ზღართანი. თუნუქის ჭურჭელი ხელიდან გამივარდა. იოიო ადგა, ჩემკენ მობრუნდა. მტკივნეულად გამიღიმა და მკლავზე ხელი მომიჭირა. მიყურებ-და დაყურსული. ცხვირის ნესტოები უფართოვდებოდა, კბილს კბილზე აცემინებდა. მერე ხელებზე დამეყრდნო. ჩაიცუცქა და ისევ ადგა. იოიოს თვალები მოეჭუტა და ისევ კბილს კბილზე აცემინებდა, ცხვირითაც ხმაურით სუნთქავდა. უცებ თავისი საცვალი შენიშნა და ხელებში მომაჩერდა.

იოიომ ხელები გამიშვა და მუცელზე დაიწყო. ბარბაცით დადიოდა პალატაში. უცებ პა-ტარა კურკლი ჩამოუგორდა და იატაკზე დავარდა. მერე სამშობიარო მაგიდასთან შეჩერდა. მე სუსასთან წავედი. ის გვერდზე გადაბრუნებულიყო და თხუნელა გულში ჩაეხუტებინა. იატაკიდან ღამის ჭურჭელი ავიღე და ტახტის ქვეშ შევაცურ.

იოიო რწევა-რწევით დადიოდა პალატაში. სამშობიარო მაგიდის გვერდით, იატაკზე პა-ტარა კურკლი ეგდო. საცვალი რადიატორზე გადავფინე და ვუყურებდი, დააბიჯებდა თუ არა ის ფეხს კურკლს. იოიომ დაინახა კურკლი და ფეხი აარიდა. მერე აქეთ-იქით სიარულს მოჰყვა და ირგვლივ ყველაფერს: კედელს, პირსაბანს, ტახტს, თეთრი მეტალის კარადას, თეთრ მაგიდასა თუ ბავშვების სასწორს — ხელით ეხებოდა. ბოლოს პირსაბანზე ჩამოაწყო ხელები, ჩაიკუზა და ამოიკვნესა: „ვაიმე, დედიკო, დედა“. თან მარცხენა ხელს აქნევდა. მე ვერ მივხვდი, ვისკენ იშვერდა ხელს. მივუახლოვდი და მისი ხელი მუჭში მოვიქციე. ის კი შუბლით პირსაბანს დაეყრდნო და ოხრავდა. ცალი ხელი მკლავში ამოვდე და დავინახე თმე-ბი პირსაბანში როგორ ჩაეშალა. როგორც იქნა წელში გასწორდა და ტახტისკენ ბორძიკით წავიდა. ზურგზე წამოწვა. მუხლები მოხარა და გაჩაჩხა. მე ფეხებშუა შევყურებდი. ხალათი განავალისგან ჰქონდა დასვრილი. ვუყურებდი მის შიშველ, თხელ, სუსტ და დაუძლურე-ბულ ბარძაყებს. სასთუმალიდან ტილო ავიღე.

- მოდი გაგასუფთავე.

იოიოს სუსტ ბარძაყებს ხელებით ვეხებოდი. ვაგინაცა და უკანა ტანიც დასიებული და და-ლურჯებული ჰქონდა. საჯდომი ტილოთი გავუსუფთავე. ტილო დავკეცე. ვფიქრობდი, სად შეიძლებოდა წამელო, ავდექი და ტახტის ქვეშ შევაგდე. წიგნი იატაკზე ეგდო გადაშლილი. ახალი ტილო ავიღე და იოიოს საჯდომის ქვეშ შევუფინე. ერთხანს დავუყურებდი კურკლე-ბით მოფენილ პალატის იატაკს. მერე წიგნს მივუბრუნდი. უცებ იოიომ ხელი მაგრად მომი-

ჭირა. წიგნისთვის თვალი არ მომიშორებია. „ერთი წვეთიც არ ხვდებოდა შემზარავ ხახაში, რომლის შიდა სივრცე სადა, კუპრივით შავი, პრიალა კედელივით გამოიყურებოდა. ეს კე-დელი პორიზონტიდან ორმოცდაათი გრაფუსით იყო დახრილი და გულისამრევი სიჩქარით ბრუნავდა და ბრუნავდა, ირყეოდა და ირწეოდა, ხმაური მატულობდა. ეს ღრიალშერთული ყმუილი სულ უფრო და უფრო შემაძრნუნებელი ხდებოდა — ასეთი ღრიალით ნიაგარის უდიდეს ჩანჩქერსაც არ გაურღვევია ცა...“

კარი შემოაღო ქალმა, რომლისთვისაც აქამდე თვალი არ მომიკრავს.

— როგორ არის აქ საქმე?

მე ვუყურებდი და არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა. ქალი იატაკს დაშტერებოდა. მერე გა-მეხებულმა სასთუმალიდან ტილო აიღო.

— ეს რა გიქნიათ? სახლში ხომ არ იქცევით ასე? — თქვა და იატაკიდან კურკლები აკრიფა. მერე სუფთა ტილოებით დასვრილი იატაკი მოწმინდა და ტილოები ნაგავში მოი-სროლა.

— კარგია, რომ დადიხართ, მაგრამ გთხოვთ, ასე აღარ მოიქცეთ.

ქალი იოიოს მიუბრუნდა.

— აბა ვნახოთ როგორაა საქმე.

თავისი ფაფუკი თითებით საშო გაუსინჯა. მერე მუცელზე ხელი მოუთათუნა:

— იატაკი მეტად აღარ გააჭუჭყიანოთ.

ქალმა იატაკზე დაგდებულ წიგნს დახედა.

— აღარ ვიზამთ, — ვთქვი მე.

ქალი წავიდა.

სკამზე დავჯექი. ფეხები ზემოთ ავწიე და წელში გავსწორდი. ტახტის ქვეშიდან ჭუჭყიანი ტილო გამოვაძვრინე, წამოვდექი და ნაგავში მოვისროლე. უკანა ტანიდან ისევ წა-მოუვიდა იოიოს განავალი. ისევ გავასუფთავე და ახალი ტილო ჩავუფინე. იოიო ზურგზე იწვა, დაბნეული სახით შემომყურებდა და მომეჩვენა, რომ დაღლილობამ გაუარა. ჭუ-ჭყიანი ტილო ნაგვის ყუთში ჩავტენე. ყუთი თითქმის სავსე იყო. მერე ხელები დავიბანე. იოიო ოხრავდა. სასთუმალთან ჩამოვუჯექი. მას საშო კიდევ უფრო მეტად დასიებოდა და გალურჯებოდა. იოიო ისევ აკვნესდა: „ოჳ, ოჳ, ოჳ, ოჳ“. ჭინთვები დაეწყო და კვლავ დას-ვარა ტილო განავალით. მე მშვიდად ვიყავი. სამაგიეროდ, მას ისეთი სახე ჰქონდა, კაცი იფ-იქრებდა, საცაა ატირდებაო, მაგრამ არ ტიროდა, კვნესოდა. მერე სუნთქვა შეეკრა და ასე სუნთქვაშეეკრული იყო რამდენიმე წამს. მე ისევ მოვიქციე მისი ხელი მუჭაში. თან იატაკზე დაგდებულ წიგნს მივშტერებოდი. „თხემით ტერფამდე ზრიალი მოიღო მთამ, ირყეოდა ქა-რაფი. სახე ვერ მიმებრუნებინა და თავზარდაცემული ჩავფრენოდი ბალახის ძირკვებს. — სწორედ ესაა, — ვუთხარი ბოლოს მოხუცს, — სხვა რა უნდა იყოს, მალსტრემის გიგანტური მორევია“.

იოიომ ხელი მაგრად მომიჭირა. შევხედე. წამოწითლებულიყო და ფეხის წვერებით აწვე-ბოდა საწოლს და თვალებგაფართოებული შემომცეკეროდა. გავუღიმე. დასიებული სამსო შუაში პატარა ნაპრალი ჩანდა. ჩავიხედე ამ ნაპრალში და რაღაცა მოწითალო-მოლურჯო დავინახე. ეს არ იყო თავი. მეგონა, ჯერ რაღაც ფაფისმაგვარი მასა უნდა წამოსულიყო.

ქანცგამოცლილი იოიო ლოგინზე გადაწვა, საშო შეეკუმშა.

— ისუნთქე!

ის რამდენიმე წუთს ქშინავდა და მერე ისევ ოხვრა დაიწყო.

— გაიჭინთე!

საშო უფრო და უფრო უსივდებოდა და ნაპრალი კიდევ უფრო უფართოვდებოდა. წეტავ, რა მოჩანს ახლა? სერიოზული გარსია?

— გაიჭინთე!

იოიოს ძალა გამოეცალა და მოდუნდა. მარჯვენა ხელით იატაკიდან წიგნი ავიღე. — სა-მოცდამეშვიდე გვერდი, — ვთქვი ჩემთვის და წიგნის ფურცელი წინა გვერდზე გადავშალე. „იმიტომაც ამოგიყვანეთ აქ, რომ ეს ხედი უკეთ დაინახოთ და თხრობისას თვალწინ გქონ-დეთ არე-მიდამო“.

იოიოს ისევ დაეწყო ტკივილები. მარჯვენა ხელით წიგნი დავხურე და ჩანთაში მოვის-როლე. ვფიქრობდი, დამეძახა ექიმებისთვის თუ არა. ძალიან ადრე არ იყოს. ადეკვატური გადაწყვეტილება უნდა მიმელო. არ ვიცოდი, საით იყურებოდა იოიო. ის მარტო ტუჩებს ამოძრავებდა, თითქოს ამბობდა: „აჲ, აჲ, აჲ, აჲ“. მეჩვენებოდა, რომ მას თავი სულ სხვაგან ეგონა. იოიომ ხელი უფრო მაგრად მომიჭირა. უკვე კვნესაც უჭირდა, მაგრამ მაინც კვნესოდა და კვნესოდა. საშო კიდევ უფრო სივდებოდა, ნაპრალიც უკვე თითნახევარზე გაიხსნა და გამოჩნდა წითელი მასა ლურჯი ზოლებით. იოიო ყურისნამლებად გმინავდა.

— გამოდი, პატარა მალსტრემო, ჩვენ უკვე დაგინახეთ!

ექიმს უნდა დავუძახო? ჯერ არა? სიმშვიდე არ დამიკარგავს. უკანა ტანიდან კვლავ გამოდიოდა განავალი და მე ტილოს ნაჭერი ისევ გამოვუცვალე. იოიო ჩახრინწული ხმით კვნესოდა და მკლავზე ხელს მაგრად მიჭერდა. ხელი გავაშვებინე, საწოლზე ჩამოვადებინე და დერეფანში გავედი. ექთანი რაღაცას წერდა. შევყოყმანდი, როგორ მეთქვა.

— იქიდან რაღაცა მოჩანს და ალბათ მალე გამოვა.

ექთანმა წამით ამომხედა და ისევ ქალალდებს ჩააშტერდა:

— პო. ბებიაქალი ახლავე მოვა, — მითხრა და წერა განაგრძო.

მე უკან გავბრუნდი და დერეფანში მიმავალი ვფიქრობდი, რა უნდა მეპასუხა, „აჲა, კარგი?“. წავედი პალატაში. სუსას თვალები გაეხილა და თხუნელა მაგრად ჩაეხუტებინა. იოიო ტახტის კიდეს ხელებით ჩაფრენოდა და ისევ კვნესოდა. მერე თანდათან ჩაწყნარდა, მოდუნდა და ტახტზე გადაწვა. „ახლა რომ ექიმები შემოვიდნენ, გამოვა, რომ ცრუ განგაში ავტეხე?

— სუსა, ფისი არ გინდა?

მიყურებდა და პასუხს არ მაძლევდა.

კარი გაიღო და რამდენიმე ადამიანი შემოვიდა. ვიღაცამ ყველა ნათურა აანთო. საკაცე შემოაჩინეს. მასზე ვიღაცა იწვა. ყველანი აქეთ-იქით დარბოდნენ. ისმოდა არეულ-დარეული ლაპარაკი: „ჩამოდი ძირს! ის სად მიდის? იმ მაგიდაზე დაწვეს. აქ სხვამაც ხომ უნდა იმშობიაროს. სულერთია. ჩამოდით საკაციდან ძირს! მე დაგეხმარებით. კაციც აქ არის? წავიდეთ მეორე მაგიდასთან. მოიცადეთ! კარგი, ახლა ჩამოდით. იქითა მაგიდაზე ადით. შეძლებთ. თქვენ ხომ მესამედ მშობიარობთ?“

— დიახ, — თქვა სამშობიარო მაგიდაზე მწოლიარე ქალმა — ბუა მოდის.

სუსასათან წავედი.

— ადგები, თუ ცოტა ხანს კიდევ იწვები?

მან კისერზე მომხვია ხელები.

— ცოტა ხანს იწექით შენ და თხუნელა.

იოიოს ტკივილები განუახლდა. ისევ გავუნმინდე უკანა ტანი და საფენი გამოვუცვალე. „ასე, ასე!“ — ისმოდა მეორე სამშობიარო მაგიდიდან. იოიო უკვე ხრიალებდა. ვუყურებდი მის მოლილისფრო საშოს. მისი ტუჩების მოძრაობას. სახე დამანჭოდა და ღაბაბი ჩამოსწეოდა. საშოს ბაგები მოძრაობდნენ. იოიო იჭინთებოდა. გულ-მკერდი ოფლით ჰქონდა დაცვარული. მე ვიდექი და არ ვიცოდი, რა უნდა მექნა. პერანგი შევიძნიე.

„დამთავრდა“, — თქვა ვიღაცამ მეორე სამშობიარო მაგიდასთან და იმავე წუთს ახალ-შობილის ხმაც მოისმა.

სუსას თავისი თხუნელა კიდევ უფრო მაგრად ჩაეხუტებინა. იოიო ხრიალებდა. სწრაფი ნაბიჯებით შემოვიდა ქალი, ქანცგამოცლილ იოიოს საშოში ჩახედა და წავიდა. მე ვიდექი და არ ვიცოდი, მასთან დავრჩენილიყავი, თუ სუსასთან წავსულიყავი. ორი ქალი მოუახლოვდა ტახტს:

— გაიჭინთეთ, გაიჭინთეთ! — უთხრა ერთმა.

— ის ყრუა და ისე იღაპარაკეთ, რომ დაგინახოთ. მხოლოდ ტუჩების მოძრაობით განიშნებთ, რისი თქმა სურს.

— გაიჭინთე! — ქალი იოიოსკენ დაიხარა, ხელი საზარდულზე დაადო და რამდენჯერმე გაუმეორა:

— გაიჭინთეთ, გაიჭინთეთ! გაიჭინთეთ! ისუნთქეთ, მშვიდად ისუნთქეთ, გაიჭინთეთ! მაგრად გაიჭინთეთ! გაიჭინთეთ.

პირველად თავი გამოჩნდა და მერე ყველაფერი მოჰყვა. ქალმა ახალშობილი იოიოს დაანახვა:

— ხედავ? გაჩნდა!

ჩვილი თეთრი ნაცხით, მუქწითელი შედედებული კოლტებითა და ალისფერი სისხლის წვეთებით იყო დაფარული. პირში და ცხვირში მოთავსებული მილიდან ლორწო გადმოდიოდა. ხვრეპისმაგვარი ხმა გაისმა. ბავშვმა წრიპინი დაიწყო.

— სუნთქავს? — იკითხა იოიომ ისე ხმამაღლა, არც უფიქრია, როგორ ხმას გამოსცემდა. რა თქმა უნდა, სუნთქავს.

ქალმა ლამის სახე დაადო მის სახეს და ხმამაღლა უთხრა:

— სუნთქავს გოგო. ყველაფერი კარგადაა.

ჩვილი გულზე დააწვინეს იოიოს. ის უყურებდა, სურდა შეხებოდა, მაგრამ ვერ ბედავდა. „პატარაა“, — თქვა მან და ახლა ის უკვე ანგარიშს უწევდა თავის ხმას.

სუსასთან გავედი და თავზე მოვეფერე, მან კი ხელები გამომიშვირა და მეც ხელში ავიყვანე. ახალშობილის თეთრი ჭიპლარი იოიოს საშოში ჩარჩა. ქალმა მაშით დახურა ჭიპლარი ორ ადგილას და მერე მაკრატლით გადაჭრა. ერთი მაშა იოიოს მუცელზე ედო, მეორე — ფეხებს შორის. ქალმა თქვა:

— ჯამი მომაწოდეთ! ახლა მოდი ავწონოთ. საათზე იყურებოდით?

— ჩემი საათი არაა სწორი. — მივუგე დაბწეულმა.

ქალს მიაწოდეს ჯამი. მან იგი იოიოს ფეხებს შორის დადო და შიგ მაშა ჩააგდო.

— წადით დერეფანში და ნახეთ საათი. ის ზუსტია.

ბავშვი ოდნავ შეინძრა და თვალები დაახამხამა.

— არ ყვირის.

— აუცილებელი არაა, რომ იყვიროს.

ტახტს მეორე მხრიდან შემოვუარე და სუსასკენ წავედი. იოიომ მზერა ბავშიდან ჩემზე გადმოიტანა და გამიღიმა. მისი საშოდან რაღაცა წვეთავდა. ქალი მუცელს უზელდა.

— ფისი მინდა, — თქვა სუსამ.

— ჩვენ საპირფარეშოში წავალთ, — ვანიშნე იოიოს ტუჩებით.

სწრაფი წაბიჯით გავუყევი დერეფანს.

— კარგად გეძინა?

— კი.

საპირფარეშოს კარი ღია იყო.

— ცოტას კიდევ მოითმენ?

— კი.

მე კომბინიზონის ღილები შევუხსენი და საცვალთან ერთად ჩავუნიე, ავწიე და უნიტაზე დავსვი.

— ხომ არ გადმოვარდები?

— დამიჭირე.

ჩავიკუზე და იღლიებში მოვყიდე ხელი.

— რატომ არ ფსავ?

— მოიცადე.

შარდის ჩხრიალის ხმა გაისმა.

— ბავშვი დაიბადა?

— კი. შენ ხომ დაინახე!

— იოიოს აღარ ეტკინება მუცელი?

— ჯერ ისევ სტკივა. სეროზული გარსი უნდა გამოვიდეს. მერე ყველაფერი დამთავრდება.

— ეს სეროზული გარსი რა არის?

- ეს არის ის, რაშიც ბავშვი იყო.
- ჩანთა?
- დაახლოებით. დაამთავრე?
- სუსა გადმოვსვი უნიტაზიდან. მაგარი ქალალდი დავარპილე და გავუნმინდე პატარა ფუჩულა, რომელიც ოდნავ შესწითლებოდა.
- გენვის?
- ცოტათი.
- სახლში გამახსენე. კრემს წაგისვამ. მე თითი დავისველე და ფუჩულა გამოვბანე. საცვალი და კომბინიზონი ავუნიე და ღილები შევუკარი.
- ქურთუკის ჯიბიდან იოგურტი და კოვზი უნდა ამომელო. კარი გავაღე. დერეფანს გა-ვუყევი. სუსამ ხელი მომკიდა:
- მამიკო, დაღლილი ხარ?
- არა. წამო.
- იოიო თვალებდახუჭული იწვა ტახტზე. ტანს ზემოთ საბანი ეფარა. ფეხებშუა ჯამი ედგა. ჯამი თითქმის სავსე იყო წითელი მასით.
- პრაქტიკანტმა გამომიწოდა ზენარსა და საბანში გახვეული ახალშობილი. ბავშვს თვა-ლები დაჭყეტილი ჰქონდა და მშვიდად, სადღაც იყურებოდა.

**თარგმნა მიხეილ ბეროშვილმა**

## სავარჯიშოები

17. 11. 01

კომპიუტერის ჩართვა დიდად საოცარი რამაა. ეს რაღაც მოწყობილობა გაუთავებლად ზუზუნებს და შრიალებს. ამით მხოლოდ ისეთ წვრილმან საქმეს ვაკეთებ, როგორიც წერაა. პირადად მე მისი შესაძლებლობების მეასედს, თუ უფრო ნაკლებს, ვიყენებ. წერა ისეთი მარგინალური საქმიანობაა, რომ მისთვის სპეციალური მანქანა ძნელად მოიძებნება. კომპიუტერიც მხოლოდ კომუნიკატორი და გასართობი უფროა. თანაც ხელით წერა აღარ შემიძლია. კაცმა რომ თქვას, ის, რაც ამით გამოდის, პასტით და ქალალდით ვითომ რატომ ვერ გამოვიდოდა? არ ვიცი, რატომ. ალბათ იმიტომ, რომ შეუძებელია უკან დაბრუნება მაშინ, როცა ყველა კომპიუტერს იყენებს. მე რაღატომ უნდა ვთქვა უარი იმ უპირატესობებზე, რაც კომპიუტერს აქვს. მით უმეტეს, რომ ეს უპირატესობები ჩემი წერის პროცესს უკავშირდება და ტექნოლოგიებისა და მათი სულიერი მდგომარეობის შემადგენელი ნაწილია. სულიერ მდგომარეობაში იგულისხმება ყველაფრის შეცვლა-შესწორება კვალის დაუტოვებლად. მაშინ როცა საბეჭდი მანქანა მეტ ძალისხმევას, ყურადღების მთლიანად კონცენტრაციას ითხოვს. ქალალდებზე დაწერილი აზრი ხომ აბსოლუტურად განსხვავდება ნაფიქრალისგან. კომპიუტერით გამოთქმული აზრი, ცოტა არ იყოს, სხვის ნაფიქრალი ჩამოჰვავს. თუმცა ფორმა მისთვის მე უნდა მიმეცა სიტყვებისა და წინადადებების მეშვეობით. მე უნდა ჩამომეყალიბებინა სწორად და გასაგებად ის აზრი, რაც თავში მიტრიალებდა, როგორც მილიარდიდან ერთ-ერთი არარეალიზებული შესაძლებლობა. პოტენციურად მე ყველაფრის თქმა შემიძლია, იმისიც კი, რისი თქმაც თითქოს შეუძლებელია. თანაც ზუსტად ისევე, როგორც კომპიუტერს. რამდენადაც ვიცი, სინაპსები ტვინში იმავე პრინციპით მუშაობენ (1/0 = დენი არის/დენი არ არის), როგორითაც კომპიუტერი.

საბეჭდი მანქანით მუშაობა მეტ ოსტატობას მოითხოვს, რაც დღეს აღარავის სჭირდება. შესაძლებელია, ვინც იცოდა, თუ როგორ უნდა გამოეყენებინა „უნის“ საბეჭდი მანქანის ძნელად დასამორჩილებელი კლავიატურა, ფლობს იმ გამოცდილებას, რომელსაც მოკლებული არიან ისინი, ვინც თავიდანვე კომპიუტერის გამოყენება დაიწყეს. ჩანს, კომპიუტერი წერის პროცესს დემოკრატიულს ხდის. არ ვიცი, ხალხს ეს რამდენად ესმის, მაგრამ ჩემთვის ცოტა ძნელად გასაგებია, რადგანაც, მე ჯერ კიდევ ქვის ხანაში ვცხოვრობ, იმ დროში, როცა სიტყვა სამუდამოდ რჩებოდა ქალალდებ. მე ჯერ კიდევ ვერ გავიაზრე, რომ წერა და ფიქრი ერთიმეორისგან დიდად არ განსხვავდება და ორივე თითქმის ერთნაირად ნაკლებნიშვნელოვანია.

ზოგი წერას იმიტომ იწყებს, რომ უბრალოდ მოსწონს მაგიდასთან ჯდომა, ქალალდების ქექვა და ფურცლებზე ამბების გადატანა. მგონი, მათ ბავშვობაშივე იცოდნენ, რომ წერას დაინყებდნენ. ჩემი აზრით, ასეთი მნერლები არიან ინა კროსი და ანდრუს კივირაჲკი. მათთვის მნერლობა ნამდვილი პროფესია, რიგიანი და რეგულარული, როგორც სხვებისთვის სხვა პროფესიები. თანაც ისინი შესაბამისად ცხოვრობენ. ვფიქრობ, ბედნიერადაც გრძნობენ თავს. თუმცა რასაც ისინი წერენ, მე არ მაინტერესებს, რადგან უბრალოდ და ჩვეულებრივად მეჩვენება.

ჩემი აზრით, ის, რომ მნერალი ხარ, სასიამოვნოცაა, საპატივცემულოც და ნორმალურიც. მნერლის ბურჟუაზიული ყოფის ბრნეინვალებას, როცა ვიწყებ თვალთმაქცობას, მნერალი ვარ-მეტქი, ხანდახან მეც ვეზიარები ხოლმე. რაკი ხალხს მნერლები სჭირდება, ალბათ ამიტომ იმათაც თავიანთი პროფესიის საჭიროებაში ეჭვიც არ ეპარებათ. საზოგადოებას ისინი უყვარს. ამ სიყვარულს მნერლები ნამდვილად იმსახურებენ და კიდევ პურს არსობისას. ნამდვილ მნერალთაგან განსხვავებით სხვებმა წერა იმიტომ დაიწყეს, რომ არ იციან, რა აკეთონ, რაზე იფიქრონ, რადგანაც მნერლობა (უმაღლესი კატეგორიის რიგიანი

მწერლების წყალობით)არის ერთ-ერთი „არ ვიცი, რა ვქნას“ ყველაზე აღიარებული ფორმა. ამიტომაცაა რომ ის სხვებიც უსინჯავენ გემოს წერას იმ იმედით, რაღაცა გამოგვივაო. თითქოს ამ გზით პასუხისმგებლობას იხსნიან იმ ცხოვრების წინაშე, რომელსაც თავი და ბოლო ვერ გაუგეს. თანაც წერა თითქოს იმის საშუალებასაც აძლევთ, საზოგადოებასთან გარკვეული დისტანცია იყოს. და თუ აღიარებას ვერ მიაღწიე, არავინ შეგანუხებს. თავს და-განებებენ, ბოლოს და ბოლოს, მოგეშვებიან და შენც ისეთი ცხოვრებით იცხოვრებ, როგორისკენაც ისწრაფოდი, ანუ არ იცხოვრებ ისე, როგორც არ გინდა რომ იცხოვრო, ამისათვის კი თვითმკვლელობის იდეას ელოლიავები. გეშინია, ნიღაბი არ ჩამოგხსნან, არ გაცხადდეს შენი სიყალტე, არ თქვან, მწერლის სახელს ვიღაც ურცხვი, მშიშარა დეზერტირი ამოფარებიაო. თვითმკვლელობით კი შეგიძლია მარადიულ სიცოცხლეს ეზიარო.

ყველაზე კეთილი ადამიანებიც კი აღიარებენ, ცხოვრება ბრძოლააო. თუ ეს ასეა, მაშინ საზოგადოების ცხოვრების ყველაზე ბუნებრივი გამოხატულება ომი ყოფილა. ე. ი. ცხოვრებას, ანუ ბრძოლას, ვერავინ ვერავითარ ხელოვნურ საზღვარს ვერ დაუწესებს. ამ ომში შესაძლებელია მთელი მონდომებით იცხოვრო. ძველებმა იცოდნენ, რომ ომი მეფეებისა და დიდებულებისათვის ერთადერთი ბრწყინვალე გართობა იყო. ისინი, ვისაც ყველაზე მეტი თავისუფლება ჰქონდათ, დროს ომისათვის იყენებდნენ.

ომისთვის მეფეებსა და დიდებულებს, რა თქმა უნდა, ყმებიც სჭირდებოდათ. რაც მეტ ყმასა და ცხენს გაიყვანდნენ ომში, მით მეტ სიამოვნებასა და პატივისცემას იმსახურებდნენ. საყოველთაოდ ცნობილია, მეოცე საუკუნეში სავალდებულო სამხედრო სამსახურის მეშვეობით გენერლებმა შეძლეს ყველა მამაკაცი ომის ყმად ექციათ, ქალებს კი ქრილობების შეხვევა დაევალათ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ომი ყველასათვის ხელმისაწვდომი და დემოკრატიული გახდა. თუმცა იმავდროულად მან დაკარგა თავისი უნინდელი მომხიბვლელობა და ამაზრზენ მოვლენად იქცა. ამადვე იქცა პოლიტიკაც, რომელიც მანამდე ომისათვის მზადებასა და შემდგომში ნადავლის გადანაწილებას გულისხმობდა. ეს ყველაფერი დააგვირგვინა ატომური ბომბის შექმნამ. რა სიამოვნება უნდა მოგანიჭოს ომმა, რომელიც ხელის რამდენიმე მოძრაობით შეგიძლია დაასრულო? ასეთ ომში ადრენალინის გამოყოფაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ადრე ომი სათავგადასავლო ისტორიას ჩამოჰყავდა, ის ყველაფრისგან სუბლიმებული და ტრანსფორმებული უნდა ყოფილიყო. ვთიქრობ, მან უნდა დაიპრუნოს ადრინდელი დიდებულება, თანაც მდაბიოთაგან უნდა იყოს კონფირმაცებული.

გაზაფხულზე, როგორც კი მიწა ამწვანდებოდა, მხედარი ომში მიდიოდა და იბრძოდა მანამდე, სანამ ძალა ერჩოდა. ხოლო როცა მკლავი უნინდელ სიმარჯვეს ჰკარგავდა და ძვლები ტეხვას უწყებდნენ, მაშინ მიუჯდებოდა ხოლმე კერიას და იწყებდა თავისი ცხოვრების მშვენიერი ეპიზოდების, ანუ გადატანილი ომების, გახსენებას. ხოლო თუ ვიღაც ომის „მხიარულ“ ორომტრიალში ჩაკვდა, მერე რა, სამაგიეროდ ცხოვრება ნაცხოვრები იყო, ხოლო ომი — ნაომარი.

მე 1962 წელს დავიბადე. სწორედ ამ წელს საფრანგეთმა ალჟირი დატოვა, ხოლო კუბის კრიზისი ისე დამთავრდა, რომ საბჭოთა კავშირს თავისი ატომური რაკეტები არ გამოუყენებია. ძველმოდურმა, ნაპოლეონის დროინდელმა ომებმა პრესტიული დაკარგა. ხოლო დიდი, არმაგედონად წოდებული, ტექნოლოგიური ომი არ შედგა. ჩანს, მან სახე იცვალა.

მეც ყველაფრის გადადება დამებედა. მამამ მოახერხა და სანამ შვიდი შემისრულდებოდა, ექვსი წლისა შემიყვანა სკოლაში, რომ 18 წლამდე სკოლის დამთავრებაც მომესწრო და უნივერსიტეტის სტუდენტიც გავმხდარიყავი. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის თავიდან აცილება.

თვითონ ის რამდენჯერმე გადაურჩა გერმანიის ჯარში განვევას. ჯერ ერთი, უფროსი შეიძლება და ერთადერთი ვაჟი იყო ოჯახში, რომლის უფროსიც, ანუ პაპაჩემი, ომს ჩაეყლაპა, მეორეც — მორიგი მობილიზაციის დროს ნაცნობმა კოერულმა ექიმმა, ცნობა მისცა,

რომ ფილტვებით იყო დავადებული (პატარობისას მას ნამდვილად უნახეს რამდენიმე ლაქა ფილტვებზე) და თუმცა, როგორც მამულების პატრონი, ვალდებული იყო ჯარი სურსათით მოემარაგებინა, ის ყოველგვარი სამუშაოდან კი არა, სკოლიდანაც კი გაათავისუფლეს. მა-მიდაჩემი დღემდე შურით ყვება, რომ მამაჩემის ავადმყოფობის ძალიან ეშინოდათ, ის კი სრულიად ჯანმრთელი თავისუფლად დააბიჯებდა.

წინაპრებს ჩვენთვის არანაირი საბრძოლო ტრადიცია არ გადმოუციათ. მარტო ომის შიში გადმოვცეს. ომი კი არც ღირსებაა და არც თავგადასავალი. ესაა ტყეში გაქცევა, პირუტყვის გატაცება, სახლების გადაწვა, შიმშილი, შიში. ბაბუაჩემის თავგადასავლები-დან მხოლოდ ერთი ეპიზოდი დამამახსოვრდა. კერძოდ ის, თუ როგორ დასვეს ის სამხრეთ ესტონეთისა თუ ჩრდილოეთ ლატვიის, ერთი სიტყვით, ლივლანდის სამრეკლოში არტი-ლერის ხელმძღვანელად. თურმე რამდენიმე ღამის უძილო, იატაკზე წამოწოლილიყო და ისე ჩასძინებოდა, რომ ირგვლივ მიმდინარე ბრძოლებისა და ქვემეხების გრიალიც კი არ გაუგია. ეკლესიის სამრკელოც, გასაოცრად, გადაურჩა დანგრევას. პოდა, მეც ძილი მირჩევინა ომს. „Dozmiz, dozmiz, plutot vivze“, დიახაც, ძილი, ძილი სჯობს ცხოვრებას. ძილის თანამდევი კი სიზმარია, რომელსაც ვერაფერს გაუგებს კაცი. ის ზოგჯერ ისეთი შემაწუ-ხებელია, რომ ხვდები, ცხოვრება უფრო ადვილია, ვიდრე სიზმრის ნახვა: ცხოვრების გაუ-გებრობას ადრე თუ გვიან თავს დააღწევ, სიზმარში კი ეს ცოტა ძნელია. სხვათა შორის, წუხელ სიზმარი ვნახე: ვიღაც გლეხის სახლში ვიყავი, კედელთან, ქოთნით ყვავილი იდგა, არ ვიცი, ვარდი თუ ასკილი, ჯერ არ გაყვავებულიყო, მაგრამ რატომდაც დარწმუნებული ვიყავი, წითელი ყვავილი უნდა ჰქონიდა. ამავდროულად თითქოს ის და-ძმის სისხლის აღ-რევით დაბადებული ბავშვი იყო, რომელიც აუცილებლად უნდა გადაემალათ. ის არავის უნდა მოხვედროდა თვალში და სამუდამოდ კედელთან უნდა დარჩენილიყო. მე კი მყავდა ერთი ბეჭერი, უშნო და ამაზრზენი ცოლი, რომელთან რაღაც ისეთი მაკავშირებდა, რომ არ შემეძლო მიტოვება, რაც ყველას გაოგნებას იწვევდა. მე მრცხვენოდა ასეთი მეუღლის. მას მეჩერი, ჭაღარა თმა თავზე პალმის ფოთლებივით ეფინა. უნიტაზზე მჯდარი თავს წყლით ისველებდა და ეს ამშვიდებდა. საშინლად ნერვიულს, მეტისმეტი შრომისგან კანი მზეზე გამოშრობოდა და გაუხეშებოდა. სახლის წინ დიდი ადგილი გვქონდა, საყანედ მოხნული. ვიღაცამ მკითხა, ნამდვილად გინდა სოფელში ცხოვრებაო? აქ ხომ ვერც თეატრში წახვალ და ვერც კონცერტზე ივლიო. მე კი გულდაგულ და თანაც ფრანგულად ვუპასუხე, რომ არც ქალაქში დავდიოდი კონცერტებსა და თეატრში. აქ კი იყო „სუბსტანცე“. მხედველობაში მქონდა ყანა, რომელსაც გავყურებდი, მაინტერესებდა, ხები თუ ჩრდილავდა მას. ქოხის ნახევრად ჩამონგრეული სახურავი მარადმწვანე ხავსით იყო დაფარული. გადავწყვიტე, თუ ბავშვი გვეყოლებოდა მარტოს უნდა გამეზარდა, დედის გარეშე. თუმცა არავინ მაძლევდა იმის გარანტიას, ბავშვი შენნაირი გაიზრდებაო. მაინც დარწმუნებული ვიყავი, რომ მეყვა-რებოდა.

გუშინ საღამოს, მარის კვარტალში, კაფე „etoile man – quate“-ში, შევხვდი პარიზში ჩამო-სულ ჟერმას, რომელიც შაბათ-კვირას მეგობარ ქალთან ერთად ატარებდა. მან ჭიქა ღვი-ნოზე მიმიპატიუა. იმ კაფეში რამდენიმე წლის წინაც ვიჯექი იმ იმედით, ეგებ შევხვდე-მეთქი ვინმეს. ახლა ვხვდებოდი. თვითონაც არ ვიცოდი, რისი იმედი უნდა მქონოდა, ამდენად ჩემი საქციელი ლოგიკას არ ექვემდებარებოდა. არ მინდოდა იქ წასვლა. უფრო დიდი სიამოვნე-ბით შინ დავბრუნდებოდი და ტელევიზორს ვუყურებდი, დაღლილი ვიყავი. შეხვედრა რვის ნახევარზე დავთქვით, მანამდე დრო სამსახურში უნდა მომეკლა. მეტროში რომ ჩავედი, გა-მოაცხადეს, რომ ჰოტელ „დე ვილში“ საეჭვო პაკეტი იპოვესო, (შესაძლოა ასაფეთქებელი ნივთიერება) და მოძრაობა ნახევარი საათით შეჩერებულიყო. მატარებელი ნელ-ნელა მი-დიოდა შატელამდე, იქიდან კი ფეხით უნდა მევლო. ჟერმას თან ახლდა ერთი ნორვეგიელი მეგობარი. მთარგმნელი აღმოჩნდა. სანდომიანი, საყურიანი ბიჭი იყო, აშკარად ცისფერი. საუბარი გავაბით. ვთქვი: ალბათ ინსტიტუტს მივატოვებ-მეთქი. ჟერმამმა მკითხა, პარიზ-

ში მაინც თუ დარჩებიო. თავი გავაქნიე. რა უნდა მეკეთებინა პარიზში? მაშ რას აპირებო? მეც ადექი და გულახდილად ვუთხარი, წარმოდგენა არა მაქვს-მეთქი. მერე იმაზე დავიწყეთ ლაპარაკი, რას გააკეთებდა თითოეული ჩვენგანი, იმას რომ არ აკეთებდეს, რასაც დღეს აკეთებს.

მთარგმნელი ფიქრობდა, რომ მზარეულად ივარგებდა. აზრად არ მოსვლია ეთქვა, სწავლას გავაგრძელებ ან ურნალისტობას მოვყიდებ ხელსო. მგონი, არც იცოდა, საერთოდ რა საქმის კეთება შეეძლო. მე დავინტერესდი, თარგმანით საფრანგეთში თავის გატანა თუ შეიძლებოდა. იმან მიპასუხა, თითქმის შეუძლებელია, მაგრამ როგორლაც ვახერხებო. მივხვდი, მასაც ჩემსავით ცხოვრების ეშინოდა და ცდილობდა გაქცეოდა მას და განმარტოებულიყო. დიახ, არსებობენ ადამიანები, რომლებიც სიამოვნებით ცხოვრობენ განმარტოებით. სამწუხაროდ, ესტონეთში მხოლოდ მთარგმნელობით თავს ვერ ირჩენ, თორემ სიამოვნებით მოვკიდებდი ხელს ამ საქმეს. ურნალისტობაც გამორიცხულია, ჭირის დღესავით მძულს ეს საქმე. მასწავლებლობა? სისულელეა. სხვებს რა უნდა ვასწავლო, როცა მე თვითონ არ ვიცი, როგორ ვიცხოვრო. მე ჯერ კიდევ მოსწავლეობის პერიოდი მაქვს. სხვა არჩევანიც რომ არ არის? ერთი პერიოდი ნაკრძალში მუშაობაზე ვოცნებობდი. ახლა ესეც შეუძლებლად მეჩვენება, რადგან ეს ჩინოვნიკების საქმიანობაა, ანუ სამხედრო სამსახურის გარკვეული ფორმა. იმიტომაც მირჩევნია ყველაფრის გადავადება, რომ იძულებული არ გავხდე, ცხოვრება დავიწყო.

დილით შეშინებულმა გავიღვიძე. ეს მომავლის შიში იყო. ფული მჭირდება, საიდან და როგორ უნდა მეშვენა? იყო დრო, მეგონა, სიყვარული ყველა პრობლემას ჭრის-მეთქი და ყველას უაზრო მიზნებისაკენ კი არა, რომელიც თვალსა და ხელს შუა შეიძლება გამქრალიყო, არამედ სიყვარულისკენ უნდა ესწრაფა. ფული თუ უფულობა? რას მომცემს ფული უსიყვარულოდ? მაგრამ მე უკვე არც ამ მისწრაფებისა მჯერა. რადგანაც, მგონია, რომ არ არსებობს ისეთი სიყვარული, რომელიც ყველაფრისაგან გიხსნის და გადაგარჩენს, თუნდაც თვით სიცოცხლისგან. სიყვარული ადამიანური და თანაც ფარდობითა. ის პრობლემებს დროებით მიაყუჩებს ხოლმე. სიყვარული ბადებს განცდას, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე ვიღაც ხელისგულზე გატარებს. მაგრამ საქმე ისაა, რომ პარტნიორიც იგივეს მოელის შენგან. სამწუხაროდ, ამ ორმხრივ მოლოდინს ასრულება არ უწერია. მე ვიცი, მთლიანად ვერც სიყვარული მიხსნის და ვერც ვერაფერი მიწიერი გამათავისუფლებს ცხოვრებისაგან. ერთ მშვენიერ დღესაც ჩემი ცრუ ილუზიების არსენალი ამოინურება. ასეთ სიტუაციაში ერთადერთი რეალური ხსნა უნდა იყოს არენდა, მაგრამ ეს ჯერ ჰორიზონტზეც არ ჩანს.

დღევანდელი ბიზნესმენები, ბირჟის მაკლერები და მენეჯერები, ფაქტიურად, ჯარისკაცები არიან. შეხედეთ მათ ძლიერ პროფილებს, მათ ანთებულ თვალებს, ადრენალი რომ ჩემთვს. რა სექსუალურად გამოიყურება მათი გაპრიალებული ფეხსაცმელები. ძვირფასი კოსტიუმები, ძვირადლირებული მანქანები და ა. შ. მათთვის იგივეა, რაც მეომრისთვის მუნდირი, რეინის ჯავშანი და საომარი ცხენი. ისინი ის დიდებულები არიან, რომელთათვისაც მუშაობს მთელი მსოფლიოს „ყმაგლეხობა“. იმ მსოფლიოსი, რომელსაც თანდათან იპყრობენ და ინანილებენ. ვინ იცის, რამდენი მათგანი ჩამოვარდა ცხენიდან, სამაგიეროდ, სხვები მოახტნენ უნაგირს. ბევრიც, უკვე მოხუცი, კერიას უზის და იხსენებს წარსულს. მათ არ აღელვებთ არც ხალხის ტანჯვა, არც ღარიბთა უბედურება, არც ადრე გაზაფხულზე ომში მიმავალთა ბედი. მათ არ სჭირდებათ არც სახელმწიფო და არც ერი. ისინი შეთანხმდნენ, რომ მათი ძვირფასი სიცოცხლე დროებითა. ამიტომ ამ წარმავალ ცხოვრებაში მხოლოდ მოსაძლიერებელი დრო სჭირდებათ, რათა მერე ყველაფერი ხელში იგდონ. მაშინ კი აღარ იქნება ხუმრობის დრო. ის კულტურა, რომლის წარმომადგენელიც მე ვარ, მათ არც აინტერესებთ და არც აღელვებთ. ჩვენ გვაღელვებს ჩვენი სახელმწიფოს ბედიცა და ერის არსებობის გამართლებაც. რაინდებს არ ანაღვლებთ ის, რაც ჩვენ გადავიტანეთ. ჩვენ თვითონ ვაძლევთ იმის შესაძლებლობას, დაივიწყონ ყველაფერი, რაც ოდესმე შეგვითავაზებია, მათ ხომ ეს ისედაც არაფერში სჭირდებოდათ. მაგრამ გაივლის დრო და იმათაც მოენატრებათ

ეს ყველაფერი, მაგრამ მაშინ უკვე სხვები იქნებიან შემთავაზებლები. ისინი, ვინც რაიმე ახალს მოიფიქრებენ. ჩვენ კი აღარ დაგვრჩება არაფერი.

კიდევ რამდენი დრო დამრჩა? როდის შეწყვეტს „ჭენებას“ ცხოვრება ჩემი სახლის წინ? ამ დროისათვის მექნება იარაღი? არა, ცხოვრებისათვის კი არა, ჩემთვის!

მოსაწყენი და მშვიდი კვირა დილა გათენდა. თერთმეტის ნახევარია და ხალხს დარაბები არ გაუღია, ზოგს არც ფარდა აქვს გადაწეული. ერთადერთი ბინა, სადაც სინათლე ანთია, ჩემი ოთახის პირდაპირაა. ჩანს, იქ წიგნიც უკვე წაიკითხეს. საერთოდ, , იმ ბინაში ბევრს კითხულობენ. ხშირად ვხედავ აივნის კარის ლიობში ხელს, წიგნი რომ უჭირავს. მკითხველს ფეხები რაღაცაზე აქვს შემოწყობილი. ჩანს, სავარძელში ზის და წიგნს მაგიდის ნათურა უნათებს. იმ ბინაში ორნი ცხოვრობენ: ქალი და მამაკაცი. მკითხველი ქალია. არ ვიცი, რა წიგნებს კითხულობს. ქალაქი ხომ ერთობლიობაა, მასიური უცხო ცხოვრების სურათებისა, რომელთა მნიშვნელობას ვერასდროს მიხვდები, ისევე, როგორც მუნჯური ფილმების ხმი-ან კადრებს, ანდა ხმიანი ფილმის უხმო სურათებს. და მე, ცხოვრების მორევის შუაგულში, ვცდილობ, ცხოვრების აზრის გარკვევას. მინდა ავაგო ხიდი, რომელიც, როგორც წარსულ-თან, ასევე მომავალთან დამაკავშირებს.

სიზმარს ვიხსენებ. უცნაური იყო, ვითომ მამაჩემს ჰყავდა შვეულმფრენი, რომელსაც მე ვმართავდი. უფრო სწორად, თავის თავს თვითონვე მართავდა. მე საჭესთან ვიჯექი, გვერდით მამაჩემი მეჯდა. ძალიან დაბლა ვფრინავდით, თითქმის ქალაქის განათებული ქუჩის გასწვრივ. მეგონა, სადაცაა მაღალ შენობებს შევეჯახებით-მეტქი. მათი შავი სილუეტები მოგვყვებოდა. მამა მამშვიდებდა, ისეთ სიმაღლეზე ვართ, ცუდი არაფერი გველისო, მა-გრამ ეჭვი მეპარებოდა იმიტომ, რომ ცხადად ვხედავდი, როგორ დარბოდა ქუჩის გასწვრივ ერთი კაცი. ჩვენ ვითომ გასაღები გვჭირდებოდა. იმ კაცს კი სწორედ ეს გასაღები აელო. ოლონდ როდის, ვერ შევამჩნიე. შვეულმფრენი ქუჩაზე ეშვებოდა. კაცმა ტრამვაის გადაუს-წრო. გავეკიდე. ის მიხვდა, რომ ჩვენ გასაღები გვჭირდებოდა... თუმცა... შეიძლება მან მამა მოატყუა, როცა შვეულმფრენი მიჰყიდა. არადა, მამამ ამ შვეულმფრენის გამო მთელი დან-აზოგი დახარჯა. დედას არ უნდოდა შვეულმფრენი. შემდეგ ეს ამბავი (სიზმრები ვიღაცის მოყოლილ ამბებად იქცნენ) რაღაც ბურუსში გაეხვია. ვითომ მთელ ოჯახს ერთად მოგვეყ-არა თავი. ჩემი დებიც კი იქ იყვნენ. მე მქონდა ოთახი, რომელშიც ვიღაცის სამზარეულოს დიდი მაგიდა იდგა. თანაც მთელი ოთახი ძველი ბინიდან გადმოტანილი ყვავილებით იყო მოფენილი. ერთი პატარა არყის ხე, უკვე შეყვითლებული, ქოთნით იატაკზე ჩრდილში და-ედგათ. მე ფანჯრის რაფაზე გადავდგი, რადგანაც ზამთრის დაბალი მზის სხივები იქამდე სწვდებოდა, მაგრამ ეს უკვე აღარ იყო არყის ხე, ქცეულიყო წითელ ჭინჭრად, რომელიც ძალიან იხდენდა მზის სხივებს.

გუშინ საღამოს სამი შვეიცარიელი მწერლის ინტერვიუს ვუსმენდი ტელევიზორში. მათ-გან ერთი ახალგაზრდა იყო. გარეგნობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ფრიად წინდახედუ-ლი და მოწესრიგებული ჩანდა. მის წიგნებში საშინელებები იყო აღწერილი და მთლიანად ძალმომრეობის პრობლემებს ეძღვნებოდა. ვფიქრობ, ასეთი წერის სტილი ჰქონდა და კი-დევ სურვილი, თვითონაც ასეთი ყოფილიყო. მაგრამ ასეთი რამ, როგორც წესი, არ გამოს-დით მოწესრიგებულსა და წინდახედულ ადამიანებს.

მეორე იყო ახალგაზრდა ქალი, უფრო სწორედ, გოგონა, რომელსაც შემთხვევით რაღა-ცა დაეწერა და ეს რაღაცა ისეთ ბესტსელერად ცცეულა, რომ ოცდაექვს ენაზე ეთარგმ-ნათ. წიგნში ის თავის ცხოვრებას აღწერდა და დაახლოებით ასე ინტებოდა: „როცა მამამ მიგვატოვა...“ გოგონა, ჩანდა, არ მოელოდა ასეთ წარმატებას და ცოტა დაბნეული იყო, თუმცა ცდილობდა არ დასტყობოდა და თავდაჯერებით თამაშობდა სახელგანთქმულობას. ინტერვიუშიც განაცხადა, მინდოდა ისეთი წიგნი წამეკითხა, რომელშიც ჩემი ცხოვრება იქ-ნებოდა აღწერილი და რაკი მსგავსი ვერაფერი ვიპოვე, ავდექი და თვითონ დავწერეო. საზ-ღვარგარეთ რომ ვყოფილიყავი, მეც ვიტყოდი ასეთ ტყუილს.

მესამე იყო შავგვრემანი, შავწვერიანი, ნერვიული ტიპი. საუბრისას სახის ნაკვთე-

ბი უთამაშებდა. თურმე სადღაც სოფელში ცხოვრობდა, საძოვრებსა და ძროხებს შორის. სოფლის გზებზე ეხეტებოდა და ხომ ცნობილია, რომ ფიქრისთვის სიარული საუკეთესო საშუალებაა. ის ნელა წერდა, მერე ნაწერი ქალალდზე გადაპექონდა მელნით, რადგანაც მიაჩნდა, რომ მელანი სისხლივით მგრძნობიარეა. მისი ნაწარმოებების თემა, ძირითადად, კრიმინალური ისტორიები იყო.

წერის საგანი, თითქმის თავს გადახდენილი ამბავია. რატომ შეემთხვევა ხოლმე ზოგიერთს ასეთი რამ, სხვებს კი არა, არ ვიცი. ჩემი აზრით, ეს ხდება იმის გამო, რომ პიროვნებას უჭირს ცხოვრების შეცნობა, ანდა ანყდება საშინელ უსამართლობას. ჩვენ ვიბადებით და ვიზრდებით იმ შეგრძნებით, რომ ჩვენ (მე, ჩემს მშობელს, წინაპრებსა თუ მთელ ერს) უსამართლოდ მოგვექცნენ. პროცესი გააყალბეს, ჩვენებები არ გაითვალისწინეს. უბრალოდ, ვერ გაგვიგეს. ყოველ შემთხვევაში, რაღაც შეცდომა მოხდა. საქმე ისე უნდა წარმართო, ყველასთვის გასაგები იყოს. წერის დროს ბევრი ავტორი თავს იმართლებს ხოლმე, ხოლო თუ სხვებზე წერს, მაშინ უფრო მეტად საგრძნობია თავის მართლება— მართალი სიტყვის, ზოგადად, სამართლიანობისა თუ თანაგრძნობის ძიება. სიმართლე კი სწორედ სიტყვებში უნავს. ხოდა, უნდა ვცადო, ამ მასალისგან ისეთი ძირი შევკრა, რომ მასზე სამართლიანობამ იხაროს. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ, ხალხსაც, ხომ უნდა მოგვისმინოს ვინმებ. ხომ უნდა მოგვეცეს იმის საშუალება, ვთქვათ, რომ ყველაფერი ისე არაა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს და არც ისეთები ვართ, როგორადაც ერთი შეხედვით გამოვიყურებით. უნდა გალლვეს და ამოძრავდეს გულები, სადაც ზრახვა ჩაბუდებულა და გაქვავებულა. მართალ ნაწარმოებებად მე მიმაჩნია „სიმართლე და სამართლიანობა“, „პროცესი“, „იდიოტი“, „ქალი კამელიებით“, რომლის ავტორის მამაც, უფროსი დიუმა, უკანონო შვილი, თავის თავზე არაფერს წერდა. მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, როგორმე წარმატებისთვის მიეღწია და ამ გზით თავი დაემკვიდრებინა საზოგადოებაში. ამ თემას დიუმა უმცროსი შეეხო და სცადა, თავისი მშობლებისათვის ადამიანური სახე დაეპრუნებინა და მათთვის უსამართლობა ჩამოერეცხა.

მე დარწმუნებული ვარ ტამსარეს ოჯახის ისტორიაც რაღაც საიდუმლოს მალავს. თუ გულმოდგინეთ ჩავუკვირდებით, აღმოვაჩენთ კიდეც. თუმცა, იქნებ აღმოჩენილიცაა, ოლონდ ვერ შევამჩნიეთ. ის ხომ სულ თავის მართლებაშია, თითქოს თავის უდანაშაულობას უმტკიცებდეს ვინმეს. კარგი ადვოკატივით უხვესიტეტიანია, მაგრამ მაინც ძალიან გულისამაჩუქებელი. მან იცის, როგორ მოიგოს აუდიტორიის გული.

ბავშვობაში მომწონდა, მამას რომ ვეკამათებოდი ან ვენინაალმდეგებოდი. სამზარეულოში მე მაგიდასთან ფანჯრის მხარეს ვიჯექი, მამა მაგიდის თავში. ერთი სიტყვით, ჩვენ მხოლოდ მაგიდის კუთხე გვყოფდა, მაგრამ მეგონა, რომ ძალიან შორს იყო ჩემგან, მოკლედ, ორივენი ჩამოვგავდით ბარიერის აქეთ-იქით მყოფთ. ის ბრალდებული იყო, მე — ბრალმდებელი. ან ის იყო მოსამართლე, მე კი ბრალდებულის ადვოკატი. ჩემი აზრით, მამაჩემი არასოდეს იყო მართალი, მაინც ყოველთვის ერთსა და იმავეს მიმეორებდა: „მომეშვი, ბიჭო, ნუდარ მეკამათები“. მიუხედავად იმისა, რომ მტყუანი იყო, ბოლოს მაინც მართალი გამოდიოდა. ახლა ვხვდები, არ იცოდა, როგორ დაეცვა თავი ჩემი ბრალდებებისგან და თავის მართლებას იწყებდა. ხოდა, ჩემი განცდაც, რომ მამა არ იყო მართალი, წარმოადგენდა მისი ამ განცდის ანარეკლს. ის თავს დამნაშავედ გრძნობდა, თუმცა არ იცოდა, რაში იყო დამნაშავე.

სამაგიეროდ, აზრადაც არ მომსვლია, დედას ან ბებოს შევკამათებოდი. ერთადერთხელ ვუთხარი ბებოს „დებილ“-მეთქი და მერე მთელი დღე ვეანკალებდი, რომ მამა ამის გამო დამსჯიდა, მაგრამ არაფერიც არ მომხდარა. მან რაღაც კი მითხრა, მაგრამ ეს არაფერი იყო ბებიაჩემის ჩუმ მუქარასთან შედარებით.

თავიდან მამასთან ნებისმიერ თემაზე შემეძლო საუბარი. სულ ვლაპარაკობდით. როცა მივუყვებოდით თავისუფლებისა თუ პოლუს ქუჩებს კივიმაეს საუნამდე. ორივე ქუჩა საკმაოდ გრძელი იყო და ორივე ჩემი ბავშვობის დროინდელ უტკბეს მოგონებად დარჩა. კითხვებს

ვუსვამდი, ის კი ყველაფერზე დეტალურ და ლოგიკურ პასუხს მაძლევდა. თან ყველაფერს მიხსნიდა. მამა ძალიან ჭკვიანი იყო. ასეთნაირად სხვა არავინ მელაპარაკებოდა. მაშინ ის ესტონეთის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში დაუსწრებელზე სწავლობდა. ახლადა ვხვდები, რომ ის წლები მისი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი ხანა იყო. მან მიზანს მიაღწია. მამაჩემის უმცროს და-ძმებს შეეძლოთ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება, მას კი არა. ვიღაცას ხომ უნდა მიეხედა ეზო-ყურესთვის. ამიტომ იანედას ტექნიკუმში მიღებული განათლებით დაკმაყოფილდა. ომის მერე კი შიშისგან უნივერსიტეტში სწავლაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ერთხელ, ლენინგრადის ბაზარში პასპორტი მოპარეს და მთელი წელიწადი, სანამ მისი ამბავი კარგად არ გამოიკვლიეს (ბაბუაჩემის ჩრდილი მუდამ თან სდევდა), ახალი პასპორტი არ აღირსეს. საბრალომ მთელი ის წელიწადი შიშში გაატარა. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი კეთილად დამთავრდა.

ერთხელაც, მამა ივანოპის დღესასწაულზე მატარებლით შინ რომ ბრუნდებოდა, დილით, რატუშის მოედანზე, ერთ თანასოფლელს გადაჰყურია და იმას უთქვამს, რომ ტყეში გახიზნულებს მოუკლავთ ერთი კაცი, რომელიც, როგორც ამბობენ, ბაბუაჩემის მკვლელი ყოფილა.

არ მახსოვს, როდის შევწყვიტეთ მე და მამამ ჩვენი საუბრები. არც ის მახსოვს, როდის გამიჩნდა მის მიმართ სიძულვილის გრძნობა და ამის გამო სირცხვილისაც. როდის ჩაბარდა წარსულს ჩვენი ბედნიერი სეირნოპები პოლუსა და თავისუფლების ქუჩებში. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს მამამ მიმატოვა.

ახლა ვფიქრობ, ალბათ იმიტომ, რომ ის განსაკუთრებულ სიყვარულს შუათანა დისადმი იჩენდა. ჩემი და სპორტული ნიჭით დაჯილდოებული აღმოჩნდა და სრულიად ახალგაზრდა უკვე ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ჩემპიონი იყო ცურვაში. მე სპორტი არ მიტაცებდა. მამა ამის თაობაზე დედასთანაც კი ჩიოდა. სწორედ მაშინ ვიგრძენი თავი შეურაცხყოფილად. ჩემი დის სპორტული კარიერა ცუდად დამთავრდა, ბევრი ტრამვა მიიღო, მერე ბულემიით დაავადდა და საბოლოოდ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვდა. ამან მე და ჩემი და დაგვაახლოვა. სანამ ის წარმატებული სპორტსმენი იყო, მძულდა. ვცდილობდი, მისთვის ცხოვრება ჯოჯოხეთად მექცია. სულ ერთსა და იმავეზე ვერჩუბებოდი, აალაგე ჩვენი საწერი მაგიდა-მეთქი. ის ვარჯიშიდან ისეთი დაღლილი ბრუნდებოდა, არაფერის თავი არ ჰქონდა, მე კი ვუშარდებოდი.

ჩემი ლიტერატურული კარიერა ძალიან ჩამოჰვავდა ჩემი დის სპორტულ კარიერას. ჩვენს ოჯახში სწორედ ჩემი და იყო პირველი, ვინც წერა დაიწყო, ვინც დააინტერესა კულტურამ და ვინც ზურგი აქცია მამის მატერიალურ ლირებულებებს. ის იყო პირველი, ვინც ხელოვნებას მიმართა, როგორც დროშასა და იარალს, თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მე მხოლოდ ვბაძავდი მას. ის აშკარად, ბევრად ნიჭიერი იყო, ვიდრე მე. მართალია, მამაჩემი ამაყობს ჩემით, მაგრამ მიაჩნია, რომ ჩემი ეს საქმიანობა დროებითია და რომ მე გულდაგულ ვცდილობ ყველაფრის წახდენას, რათა ბოლოს ცუდად ვიგრძნო თავი. მეც ვიცი, რომ არა მაქვს ასე ცხოვრების უფლება.

გვიანი შემოდგომის ნესტიანი, ცივი მონაცრისფრო დღე იდგა. თითქოს გამოდარებას აპირებდა, მაგრამ სალამოსაკენ ცა გავარდისფერდა. ვიგრძენი, თხლად მეცვა მაშინ, როცა ხალხი ქუდებით დადიოდა, ხოლო ოთახის ძალებისთვის უიღეტები ჩაეცვათ. ხეებს ფოთლები სცვიოდა. განსაკუთრებით წაბლის ფოთლებს გადაეპენტათ ქუჩები. წიფლის ხეები წითელ-ყვითლად კრთოდნენ. ტყე ისევ დაბურული იყო, ოღონდ ბილიკები დაეფარა ბინდს. სიჩუმე იდგა. ზამთრის პირის სიჩუმე. სადღაც შორიდან ისმოდა კოდალას ნისკარტის კაკუნი, მოტოციკლის ხმა და პანია ჩიტის ფრთების ნაზი შრიალი. უცებ ვიღაცის მობილურის ზარმა დაარღვია სიმშვიდე, ამას ცხენის ფლოქვების ყრუ თქარათქური მოჰყვა. ცხენოსნებს ლოყები ასწითლებოდათ.

საღამოს ტელევიზით „სიკვდილი ვენეციაში“ აჩვენეს. წერა აზრის გამოთქმისა და დამალვის თამაშია. ოღონდ ეს ისეთი დამალვაა, რომელსაც ადვილად მიაგნებ. გამოთქმა კი

იმგვარია, რომელშიც ვერაფრით გაერკვევი. უდავოა, რომ თომას მანი დამალვის ვირტუ-ოზი და „თვალთმაქცი“ იყო. საინტერესოა, მალერი მართლა ვენეციაში მოკვდა თუ ხოლ-ერამ მოუღო ბოლო. ჩაიკოსე რომ ხოლერით მოკვდა, ეს ვიცი.

### 19. 11. 01

სიზმარი ასეთი იყო: საუნას ათბობდნენ. ღუმელში ცეცხლი ენთო, სინათლე კედელსა და იატაკზე ციმციმებდა. კედელთან ელაგა დაწვრილებული შეშა. საუნა გაცივდა, რადგანაც შეშა სწრაფად იწვოდა. საუნის ღუმელი რატომძაც წინა ოთახში ენთო და სითბო კარის გავლით დაორთქლილ ოთახამდე ძლიერ აღწევდა. რაღაცას ვწერდი და მინდოდა ყველას წაეკითხა, მაგრამ ვიფიქრე, სჯობს ჯერ თავად წავიკითხო-მეთქი. მერე ბავშვობის მეგობრის, რეინის, სახლში ვიყავი. მაგრამ იქ, ჩემდა გასაკვირად, მარტი ცხოვრობდა. ამ დროს კაურის ძმამ დამირეკა, კალანაში ვარ, ჩემს სახლშიო. მეითხა, როდის მოხვალო? მხოლოდ ის ხელნაწერი მქონდა, რომელიც მას უნდა წაეკითხა, მაგრამ ველოსიპედის გასაღებების ასხმულაც მქონდა მისაცემი. შევპირდი, ხუთ-შვიდ წუთში შეგხვდები კალესტეში, ჩემს ძველ სახლთან-მეთქი. ვითომ იქ ჯერ კიდევ ვცხოვრობდი. გასაღებებიც ვითომ იქა მქონდა დასატოვებელი. სინამდვილეში კი ჯერ კიდევ რეინი – მარტის სახლის გარშემო დავყიალობდი. მერე ვითომ მთხოვა, ღუმელი აანთეო, თვითონ კი კარის ღიობში იდგა და კარნიზს ამაგრებდა. მივიწვი საუნაში, რომელიც ისევ თბებოდა. არადა წასასვლელი ვიყავი შეხვედრაზე, რომელზეც ჩემთვის მნიშვნელოვანი საქმე წყდებოდა, მაგრამ ვერ მოვახერხე.

ჩემს ქუჩაზე ჩემი ორი მეგობარი ცხოვრობდა. ერთი – რეინი, მეორე – თიინა. ხშირად მიფიქრია, რომელი უფრო მექვირფასებოდა. ალბათ თიინა, მაგრამ ანგარიში ორივესთან მქონდა გასასწორებელი. თიინა ჩემზე ერთი წლით უმცროსი იყო, და ჩემი აზრით, ცოტა უტვინოც. მეჩეუბებოდა, გინდა თუ არა, კატას მოეფერეო. ერთ უპატრონო კატაზე მეუბნებოდა, რომელიც ჩვენი მარნის ფანჯარაზე წამოსკუპებული მზეს ეფიცხებოდა ხოლმე. საშინელი შესახედავი იყო, ბენვგაბურძგნილი, ბეხლენი. დიდი შანსი იყო, რაღაც ავადმყოფობა გადამდებოდა და ამიტომ ახლოს არ ვეკარებოდი. ამის გამო თიინა მკვლელს მეძახდა. მე ამას შეურაცხყოფად აღვიქვამდი. მან კი არ იცოდა, რას ნიშნავდა სიტყვა „მკვლელი“ და ვერც ვუხსნიდი. არადა, მისთვის მკვლელი ვიყავი და მორჩა. ახლა ვფიქრობ, რა კარგი იქნებოდა, კატა მყოლოდა. სოფელში ყველას ჰყავს. ამ ბინასაც ძალიან მოუხდებოდა. ბოლოს და ბოლოს, სულიერი იყო. თანაც სახლში დროზე დაბრუნების მიზეზიც მექნებოდა. როცა მაცივარს მივუახლოვდებოდი, კატა ფეხებზე ამომაცოცდებოდა კნავილით. შემჩნეული მაქვს, რომ კატებს ყველაზე მეტად მაცივარი უყვართ. მაცივრის კარის ხმა ისევე ზემოქმედებს მათზე, როგორც ადამიანზე მაღვიძარას ზარის ხმა. მეზობლებს, რომლებიც ჩემს მოპირდაპირე ბინაში ცხოვრობდნენ, ჰყავდათ კატა, რომელიც, თუ მარტო რჩებოდა, გაუსაძლისად კნაოდა და ფხოჭნიდა კარს. იქიდან ისეთი ხმები გამოდიოდა, ვფიქრობდი, კარგა მოზრდილი კატა იქნება-მეთქი. მაგრამ, როცა გაზაფხულზე სახურავიდან ჩემს თავადი შემოძვრა, აღმოჩნდა რომ პანანინა იყო. თოქმის უხმაუროდ დაიზღაზნებოდა. თავიდან არ მჯეროდა, რომ ეს ჩემი მეზობლების კატა იყო, მაგრამ ბატონი რენარდი მარწმუნებდა, იმათია. ერთხელაც მეზობლებს მივუკაუნენ. კარს არ აღებდნენ, მეგონა, შინ არავინ იყო. ბატონმა რენარდმა მირჩია, კარგად დააბრახუნეო. აღმოჩნდა, რომ ეძინათ. ჩანდა, მეპატრონეს ყველა მდგმურის ცხოვრების წესი და ჩვევები ძირფესვიანად ჰქონდა შესწავლილი. მოკლედ, ერთხელ კიდევ დავაბრახუნენ. იმ დღის მერე კატა აღარ მინახავს. აღარც კარზე ფხაჭუნის ხმა გამიგია. ერთ დღეს კი მათ ახალი კატა მოიყვანეს.

ერთხელაც, ლიფტში ერთი მოტოციკლისტის ქუდიანი ბიჭი დამეგზავრა. ქურთუქში შეყუული ჰყავდა კატა, რომელიც შეშინებული აცეცებდა თვალებს აქეთ-იქით. ბიჭმა მითხრა, ამას ლიფტი არასდროს უნახავს და ამიტომაა ასე შეშინებულიო. მოკლედ, იმ ბინაში, თურმე, ახალგაზრდები ცხოვრობდნენ. არ ვიცი, ახალი კატა დაიტოვეს თუ არა. ყოველ შემთხვევაში, მე აღარც კატის კნავილი გამიგია, აღარც კარის ფხაჭუნის ხმა. ეს-ტონეთში რომ დავბრუნდები, აუცილებლად ვიყოლიებ კატას ან ძალს. თუმცა არ ვიცი,

სად ვიცხოვრებ ან როგორ აეწყობა ჩემი ცხოვრება. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ეს-ტონეტში არასდროს მიცხოვრია.

განვლილი ცხოვრება აუტანელი მეჩვენება. ყურადღება მივაქციე, რომ ბევრი ჩემი ხნის მამაკაცი, რომელსაც მარტოობა აწუხებს ან ადამიანებთან ურთიერთობის პრობლემა აქვს, ძალლი იძენს, იშვიათად კატას. ეს საქციელი ცხოვრებასთან შერიგებას ჩამოჰვავს. მიშელ იუდიტეგასაც შეუძენია ერთი ძალლი, თუმცა მას ახალგაზრდა და ლამაზი ცოლი უნდა ჰყოლოდა. მან ინტერვიუშიც კი აღნიშნა, რომ არანაირ პრობლემებს არ აწყდებოდა და იდე-ალური ურთიერთობა ჰქონდა ძალლთან. ახლადა მივხვდი, რომ ცხოველებს ადამიანებთან გულწრფელი ურთიერთობა შეუძლიათ. ისინი შენს ყოველ მოძრაობაზე რეაგირებენ, მთლად შენზე არიან დამოკიდებული და ამას სხვადასხვაგვარად გამოხატავენ. ესეც ბევრ რამეს ნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის შორეულ სამყაროში მკვიდრობენ. ალბათ ერთ კატას მაინც შევიძენ. ძალლის შეძენა რევოლუციური ნაბიჯი იქნება იმიტომ, რომ ამ საქციელით შენ ვიღაცას არათუ ძალიან უახლოვდები, არამედ თითქმის ეწებები. ეს კი მე ჩვევად არა მაქვს. ყოველთვის ვანიჭებდი უპირატესობას დისტანციასა და ვუფრთხილდებოდი თავისუფლებას. ურთიერთობის შეწყვეტა შეიძლება კარგი იყოს, მაგრამ ასე ვერ მოექცევი ძალლს. C'est ce Le problème.

ცოტა ხნის წინ გავარკვიე, რომ რეინი, რომელიც ჩემზე ორი წლით უფროსი მეგონა, თურმე ოთხი წლით უფროსი ყოფილა. მიკვირდა, ჩვენთან, ასე პატარებთან, როგორ თამაშობდა. მართალია ვთიქრობდი, რომ მასზე ჭკვიანი ვიყავი, მაგრამ ფიზიკურად ვერც კი შევედრებოდი. ერთხელ რეინის ინიციატივით მის ბაღში, შეშის გროვის შუაში გამართულ ქოხში, კოცონი დავანთეთ. ბებიაჩემა გამოგვიჭირა. საოჯახო სასამართლოზე ბებო ყვებოდა, როგორ მოდიოდა ქოხიდან მთლად მიტკლისფერი რეინი. არ მახსოვს, დაგვსაჯეს თუ არა. მე ალბათ ყველაფერი რეინს გადავაბრალე, რაკი ის ჩემზე უფროსი იყო.

რეინისაგან ათ რუბლად გდრ-ს თვითგორია ვიყიდე. თეთრი ბორბლები ჰქონდა. რძის საყიდლად იმითი დავდიოდი. ბოთლებს მეტალზე ბრახაბრუხი გაუდიოდა და წონასწორობას აკარგვინებდა. ცარიელ ბოთლებს მაღაზიაშივე ვაბრუნებდი და იქიდან ცოტა ფულს ვიღებდი, თუმცა ეს აკრძალული მქონდა. ხურდა სამზარეულოს კარადაში თევზის ფორმის შუშის თასში ეყარა. იმ ხურდას არავინ თვლიდა, ამიტომ ხანდახან კაპიკებს ვიპარავდი. ზოგჯერ მამას ჯიბეშიც ვძვრებოდი ათი ან ოცკაპიკიანის მოსაპარად. ეს, ალბათ, სკოლამდე იყო, იმიტომ რომ ვერ ვანგარიშობდი და დედას ვეკითხებოდი ხოლმე, რამდენი იქნება ორმოცს სამოცდაათი რომ მივუმატო-მეთქი.

— შენ ისევ შენს კაპიკებს ანგარიშობ? — ერთხელაც მკითხა დედამ. შემრცხვა, რომ ჩემი საიდუმლო გამჭღავნდა, თუმცა ამ ამბავს გამოძიება არ მოჰყოლია. გამოძიება ცოტა მოგვიანებით დაიწყო. ცხვირსახოცების უჯრაში დედა თავის სამკაულებს ინახავდა. მე განსაკუთრებით მომწონდა შუშის მძივი. ყველაფერი კი: გულსაბრევი, ქარვის მძივი, ასრუბლიანები ეკატერინეს გამოსახულებით — ერთად ეწყო ხავერდის ყუთში. არ ვიცი, რომელი ოჯახისგან გადმოგვეცა მემკვიდრეობით. ალბათ მამის ოჯახისგან. რაღაც მნიშვნელოვანი ამბავი უკავშირდებოდა ამ ნივთებს.

მე ძალიან მიყვარდა იმ უჯრის ქექვა. ამ ქექვას ერთი გამართლება ჰქონდა: ვალაგებ. მაგრამ მაშინ სამზარეულოს უჯრებიც უნდა მელაგებინა, ნემსებისა და ძაფების უჯრაც, სადაც ერთმანეთში აბურდული ძაფები ეწყო, ხოლო დახარისხებული ღილები უნესრიგოდ ეყარა. დანა-ჩანგლის უჯრაში ჩანწყობილი ვერცხლის ახალ კოვზებს კბილის პასტით უნდოდა დაპრიალება. გულწრფელად მსიამოვნებდა ეს საქმიანობა (რასაც ახლა ვაკეთებ, ესეც უჯრების დალაგებაა. იმ უჯრების, რომელსაც მიხურავენ და აღარ გააღებენ). მაგრამ მე მაინც ყველაზე მეტაც ცხვირსახოცების უჯრა მიზიდავდა. იმ უჯრის სურნელი დღესაც ცხვირში მიღიტინებს. მგონი, ეს დედას მძივის სურნელი იყო. ცხვირსახოცების ქვეშ ვერცხლის რუბლიანები ეწყო. მე სათითაოდ მიმქონდა ისინი რეინთან. აღარ მახსოვს, სანაცვლოდ რას ვღებულობდი. მგონი, დაპირებების მეტს არც არაფერს. ბოლოს და ბოლოს, ეს ამბავი გამოაშკარავდა. აი, ამას კი მოჰყვა დიდი პროცესი. მე მესმოდა, რომ ქურდობა ერთ-

ერთი ყველაზე საშინელი დანაშაულია, ამიტომ ძალიან მეშინოდა, მაგრამ როცა ფულს ვიღებდი, მაშინ ამაზე არ ვფიქრობდი. თუმცა მესმოდა, რომ ქურდი ქურდია და მისი შენდობა არ შეიძლება. მაინც თავს იმით ვიმართლებდი, ფული ძველია და არავის არაფერში სჭირდებოდა-მეთქი. ვტყუოდი. სინამდვილეში ვიცოდი, რომ ეს ძვირფასი ნივთები იყო. ამ გზით ვცდილობდი რეინისთვის დამეტკიცებინა, რომ მე მაგარი ბიჭი ვიყავი და მიუხედავად უმცროსობისა, არაფრით ჩამოვუვარდებოდი. მაშინ მე ასე ხუთი წლისა თუ ვიქნებოდი. მაგრამ დავშინდი. ყველა მომხდარზე ჩურჩულებდა. მე ეზოში, ასკილის ბუჩქთან ვიდექი და მეგონა, რომ ჩემი ცხოვრება დამთავრდა. გულით მსურდა, ეს ყველაფერი არ მომხდარიყო.

არ მახსოვს, მაშინ როგორ დამსაჯეს. სამაგიეროდ მორიგი დასჯა დამამახსოვრდა. დედამ სარდაფში მიკრა თავი და მიპრანა, შარვალი ჩამენია. ეს მკაცრი სასჯელი ახალი სპორტული შარვლის ტაოტით დასვრის გამო დავიმსახურე. რა ჩემი ბრალი იყო, თუ ვიღაცამ მანქანა შეაკეთა და ტაოტიანი ჯოხი ხეს შეაწინდა. იმხელა ხმაზე ვყვიროდი... დედამ რამდენჯერმე დამარტყა. მე დარტყმამდე ვიწყებდი ყვირილს. უსამართლოდ მსჯიდნენ, რადგანაც ამჯერად ნამდვილად არ ვყოფილვარ დამნაშავე.

ზოგადად, ვცდილობდი დედას მოწონება და ქება დამემსახურებინა. როცა შინ ბრუნდებოდა, წინ მივეგებებოდი და მძიმე ჩანთებს ჩამოვართმევდი ხოლმე. სანოვაგე სამზარეულოში მიმქონდა და ყველაფერს თავის ადგილზე ვაწყობდი. ხშირად ქუჩაშიც ველოდებოდი და როგორც კი თვალს მოვკრავდი, მისკენ გავრბოდი. როგორც დედა ამტკიცებს, ამ დროისათვის უკვე ახლომხედველი ვიყავი. ამის დასტურად კი იმას იშველიებს, რომ მაშინ მხედავდი, როცა გიახლოვდებოდი, გზის ნახევარი რომ მქონდა გამოვლილიო. ახლომხედველობა კი ერთ საექიმო შემოწმებაზე დამიდგინეს. „აჩკარიკი“ უნდა გავმხდარიყავი. ამან თავზარი დამცა. ამიტომ სათვალის რეცეპტი „გავაქრე“, ვიცოდი, ეს დანაშაული იყო, დედასაც გულს ვატკენდი, ვიცოდი, დედა არა მარტო ამაში, იმაშიც დამანაშაულებდა, რომ ლამე სიბრძეები კითხვისაგან თვალები დავიავადე.

ხშირად მაგზავნიდნენ სარდაფში რაღაცის ამოსატანად. ხან ქვაბიო, ხან სტაფილო, კარტოფილი თუ ჯემიო. ერთხელაც დედამ კვერცხის ამოტანა დამავალა. ბრეტელებიანი, ბამბის მოკლე შარვალი მეცვა, წინ ჯიბეებით. ჩვევად მქონდა, კარებს მუცლით ვაღებდი ხოლმე. ამჯერადაც ასე მოვიქეცი და, რა თქმა უნდა, კვერცხებიც დავამტვრიე და დედაც გავაპრაზე. მახსოვს მითხრა:

— რა გჭირს, რატომ ხარ ასეთი მოუქნელი. თანაც ხელები არა გაქვსო? — შემრცხვა, მაგრამ ვერაფრით ვაღიარებდი, რომ მართლაც მოუქნელი ვიყავი.

ოდესლაც მე და რეინმა „რიგა-ვეფის“ საბავშვო ტელეფონები შევიძინეთ და ჩვენს სახლებს შორის ხაზი გავაპით (იმ დროს ტელეფონი ჩვენს ქუჩაზე არავის ჰქონდა). მავთული ხშირად ფუჭდებოდა. მეეჭვება, იმ ტელეფონით ბევრი გველაპარაკა, მაგრამ მახსოვს, სულ იმის მოლოდინში ვიყავი, ან ახლა დამირეკავს, ან ახლა-მეთქი.

ზაფხულობით რეინი და თინა სოფელში მიდიოდნენ. ჩვენ — არსად და მარტო საშინლად მოწყენილი ვიყავი ხოლმე, მაგრამ როცა შინ იყვნენ და ერთად ვთამაშობდით, სულ ვჩხუბოდით, რა გვეთამაშა. ერთხელ, რეინის მამის სახელოსნოში რომ ვთამაშობდით, რეინმა მიპრანა, დაზგაზე დავწოლილიყავი და შარვალი გამეხადა. ეს აზრი რაღაც არ მომწონა, მაგრამ წინააღმდეგობის განევის შემეშინდა, დედიკოს ბიჭად რომ არ მოვენათლე. რეინს სურდა ეჩვენებინა, რას აკეთებენ დიდები ლამ-ლამბით. მე ეს სულაც არ მაინტერესებდა. ის ზემოდან დამაწვა. ისე შემრცხვა, რა მექნა არ ვიცოდი. რეინმა დამაფიცა, რომ ამას არავის ვუამბობდი. მაგრამ მე ისე მრცხვენოდა, რა მათქმევინებდა.

ზაფხულობით ბებიას სოფელ მოდრიკუში მივყავდი სტუმრად მამიდასთან. მამიდა ტექნიკუმის მასწავლებელი იყო და ჰყავდა ჩემზე ორი წლით უმცროსი ბიჭი. სულ ვჩხუბობდით. ჩასული არ ვიყავით, ნამოსვლა მინდოდა. სახლი მენატრებოდა. თუმცა მერე მთელი წელი სულმოუთქმელად ველოდი, როდის წავიდოდით მოდრიკუში ან ისინი როდის ჩამოვიდოდნენ ჩვენთან. იმათ მწვანე მოსკვიჩი 1103 ჰყავდათ. სკოლიდან მომავალი გზის ბოლო

მონაკვეთს კისრისტებით გავირბენდი ხოლმე იმ იმედით, ეგებ სახლთან მწვანე მოსკვიჩი დავინახო-მეთქი, თუმცა არასდროს მხვდებოდა. და გულდანყვეტილი ვიხსენებდი ჩემს მა-მიდაშვილს და იმას, თუ რას ვთამაშობდით ერთად, ძირითადად, ვწეუბობდით.

მე ძალიან მომწონდა მამიდა კოიდულას სახლი მორდიკუში. მინდოდა, ჩვენც ასეთი სახ-ლი გვექონდა. აქ გამეფებული საოცარი წესრიგის წყალობით მთელი სახლი სიმშვიდეს გფე-ნდა. ერთ თოახში მთელ კედელზე წიგნების თაროები იყო აყუდებული და წიგნები ორ რიგად ეწყო. მამიდას ყველა ტომი ჰქონდა სერიიდან „სახმელეთო და საზღვაო თავგადასავლები“. ჩვენ კი, სახლში მხოლოდ „განძის კუნძული“ და კიდევ ერთი წიგნი თუ მოგვეძევებოდა. მე ან საწოლში, ან სავარძელში მოვკალათდებოდი ხოლმე და ვენაფებოდი წიგნებს. ყველაზე კარგი ის იყო, რომ მამიდას სახლში არავინ მეჩეუბებოდა, გეყო კითხვა, წადი ვაშლის ხეს ძირი შემოუთოხნეო. რას აკეთებდა ან სად იყო ამ დროს ჩემი მამიდაშვილი, არ მახსოვს.

სამსახურში წასვლის წინ მამიდა კოიდულა სამზარეულოს მაგიდაზე საუზმეს ტოვებდა. ყველაფერს თეთრი, კრიალა ტილო ეფარა... და მიუხედავად იმისა, რომ ივნისი იყო, იმ ტი-ლოს ქვეშიდან წითელი პამიდვრები იჭყიტებოდნენ.

მამიდასთან ყოფნა მიყვარდა. აქ ყველაფერი მომწონდა და, რაც მთავარია, სიმყუდრო-ვესა და სიმშვიდეს მფენდა. ისინი ჩვენსავით შრომით წელზე ფეხს არ იდგამდნენ. თანაც ერთიანი, ტყბილი ოჯახი ჰქონდათ.

ის ურთიერთობები, რაც ბავშვობაში გვაქვს, ჩანს, მთელი ცხოვრების მანძილზე მეორ-დება. სულ ერთი და იგივეა. მოლოდინი და იმედგაცრუება. რა წარმოდგენებიც ადამიან-ებზე მქონდა, სულ გამიცრუვდა. მათი ყოველგვარი კავშირი ურთიერთგამომრიცხავია, ამიტომ არასდროს არანაირ დაჯგუფებებში არ გავერთიანებულვარ. ის კი არა, საბავშვო თამაშისაც კი, რომელსაც „წრეში ბურთი“ ერქვა, მეშინოდა და არ ვთამაშობდი.

ნელ-ნელა რეინი და თიინა მშორდებოდნენ. რეინი, ალბათ, იმიტომ რომ უკვე ჭაბუკი გახდა, მე კი ისევ ბავშვი ვიყავი. თიინა კი გოგო იყო და თოჯინებით ერთობოდა, რაც მე არ მაინტერესებდა. ან ის და რეინი ველარ ენყობოდნენ ერთმანეთს და თუ ერთთან ყოფნას ვარჩევდი, მეორე მოლალატედ მთვლიდა. ახლა ვიცი, რომ ეს ასე არ იყო, მაგრამ ამ გამოც-დილებამ ცხოვრების მაგალითის ძალა შეიძინა.

ისე, ცხოვრებაში ყოველთვის ორი მეგობარი მყავდა. რომელთაც შორისაც არჩევა-ნი უნდა გამეკეთებინა. ერთი იყო ბიჭი, მეორე — გოგონა. კაცი და ქალი. ორივე ჩემზე ან უფროსი, ან უმცროსი. ბევრს ვცდილობდი, მათს შენარჩუნებას, მაგრამ არაფერიც არ გამომდიოდა, იმიტომ რომ ცხოვრება მცდელობა არაა. კაცი ან ცხოვრობ, ან არა. თანაც ცხოვრებისეულ გამოცდილებას თუ არ გაითვალისწინებ, მეორე მცდელობას აზრი არა აქვს. უკვე მეორმოცე წელში ვარ და ვგრძნობ, რომ ცხოვრება ჯერ არ დამიწყია. რაც აქამ-დე იყო, იყო მხოლოდ სპექტაკლი. მინდა კი ნამდვილი ცხოვრების დაწყება? ძალიან მინდა ჩავარცხდე სხვადასხვა საგნის არსს. მაგრამ ვერ ვახერხებ და აღარც მაინტერესებს. ასე კი შორს წამდვილად ვერ წავა კაცი.

ბავშვობაში ცხოვრების რამდენიმე სტილს გავუსინჯე გემო. მაგალითად, როგორია მსა-ხიობის ცხოვრება. გულით მინდოდა მსახიობი გავმხდარიყავი და ჩემი ინიციატივით, გუ-ლის ფანცექალით, შევაღე თეატრალური ჯგუფის კარი. ეს იყო „სახლმმართველობის თეა-ტრალური ჯგუფი“. ღმერთმა უწყის, საიდან მომივიდა თავში ეს აზრი. იქაური ბავშვების ცოტა კი მეშინოდა, მაგრამ სამი წლის განმავლობაში საახალწლო სპექტაკლებში მთავარ როლებს ვასრულებდი. ერთ წელინადს კაჭკაჭი ვიყავი, მეორე წელს — მამალი და ბოლოს თოვლის ბაბუა. ეს ჩემი სამსახიობო კარიერის მწვერვალი იყო, რის მისაღწევადაც წლები დამჭირდა. ლექსები ზეპირად უფრო მაღე ვისწავლე, ვიდრე ბგერა რ-ს წარმოთქმა. ერთ-ხელ მამამ საპარიკმახეროში მათქმევინა ლექსები. სკამზე დამსვეს და მეც დავიწყე: „კატა კნუტუნებდა ნულ-ნულ“ (ნურ-ნურის წაცვლად ნულ-ნულს ვამბობდი). პარიკმახერ დეი-დებს ეს ძალიან მოსწონდათ. მესამე კლასში ვიყავი, როცა საკუთარი ინიციატივით სკო-

ლის ეზოში გამართულ ზემობეჭი ზეპირად წავიკითხე ლექსი: „თანამგზავრების ახალი წლის ღამე“, დაბეჭდილი პატარა, ლურჯ წიგნში, რომლის მთავარი გმირი გახლდათ ასტრონომი ბიძა ქლიავი. წარმომიდგენია, რა მოსახეზრებელი იყო ეს იმ პავშვებისათვის, რომლებიც მხოლოდ საჩუქრებს უცდიდნენ. ჩემთვის კი ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესოდ შესრულებული როლი და ერთ-ერთი უბედნიერესი დღე ჩემს ცხოვრებაში.

სამსახიობო კარიერა რომ ამოვწურე, ბუნების კვლევას მივყავი ხელი. „ახალგაზრდა ნატურალისტთა სახლის“ აქტიური წევრი გავხდი. გადავიკითხე წლიური ნაშრომები „ესტონეთის ბუნება“ და ერთი კუმარის რედაქტორობით გამოსული წიგნები: „ესტონეთის სასრულინველები“, „ესტონეთის სსრ ფლორა“. მალე მშვენივრად ვერკვეოდი ბუნების დაცვის საქმეში. ადვილად დავიმახსოვრე ფრინველებისა და ცხოველების სახელებიც, მათი ლათინური დასახელებებიც კი. სხვაგვარად როგორ იქნებოდა, მე ხომ, ფაქტობრივად, მეცნიერი ვიყავი. ზამთრობით თხილამურებით ჰარკუს პარკში მივდიოდი და ფოტოაპარატ „სმენით“ სურათებს ვუდებდი წინკანებს, რომლებიც ფოტოზე ძლივს ჩანდნენ. საერთოდ, იქ ძალიან ციონდა და გარემოც ძალიან უსიამოვნო იყო. კომპანიას არც ჩიტები მიწევდნენ. სამაგიეროდ უკვე მეშვიდე კლასელმა სამეცნიერო თემა დავწერე სათაურით : „ზემო ჭაობი, როგორც ეკოსისტემა“, რისთვისაც ყირიმის კონფერენციის საგზური მოვიპოვე. იქ ყველაზე პატარა მე აღმოვჩნდი. იქიდან მოყოლებული ვოცნებობდი ნაკრძალში მემუშავა და მეტყევის განმარტოებულ სახლში მეცხოვრა. ჩემი კერპი იყო ფრედ იუსი. მატარებლით მუსტიოები წავედი. ერთი ღამე ძველ საუნაში გავათენე. ერთი ღამე შვლების სადგომშიც კი მეძინა. ნამდვილ ტყეში წასვლა არც ისე საინტერესო აღმოჩნდა, ვიდრე ამაზე ოცნება. იქ ვერ ვხედავდი იშვიათ ფრინველებს. ზაფხულის დღეები მოსაწყენი, ერთფეროვანი იყო და მაინც ვოცნებობდი მეტყევის სახლზე. ბუნების კვლევა იყო ერთ-ერთი ყველაზე კარგი საშუალება ამ ოცნების განსახორციელებლად. მაშინ კი შევძლებდი მეცხოვრა ყველასაგან შორს იმ საშინელი საიდუმლოთი, რასაც მივაკვლიე. მაგრამ ვიცოდი, ერთ მშვენიერ დღეს იქაც აუცილებლად მოვიდოდა ვინმე და მე მარტო არ უნდა დავხვედროდი. სწავლის პერიოდში სკოლა გამოვიცვალე. გადავედი იმ სკოლაში, სადაც ბიოლოგის გაძლიერებული სწავლება მიმდინარეობდა, თუმცა მამა უპირატესობას ანიჭებდა ფიზიკა-მათემატიკის კლასს, რომელიც ჩემმა დამ დაამთავრა. მე დიდად არ მიყვარდა ფიზიკა-მათემატიკა. ბიოლოგის კლასი დიდეკულასში იყო. იქამდე რომ მივსულიყავი, ან ორი ავტობუსი უნდა გამომცვალა, ან მატარებელი და ავტობუსი, ან ჯერ მატარებელი და მერე ტროლებუსი. იმ კლასში ბიოლოგია ჩემსა და ერთი ჩემი ძველი თანასკოლელის გარდა, არავის აინტერესებდა. ამიტომ ახალ სკოლასთან შეგუება გამიჭირდა. ბოლო წელს შევიძინე ორი მეგობარი. ისინი მეცხრე კლასელები იყვნენ და ჩემზე ორი წლით უმცროსნი. ჯერ ერთს დავუახლოვდი, მერე მეორეს და კიდევ ერთ მათ თანაკლასელ გოგონას (უფრო სწორად, ის დამიახლოვდა მე). იმ დროს მე უკვე ლექსებს ვწერდი და ინტელექტუალურად მივაჩნდი ყველას. ალბათ ამან განაპირობა ჩვენი მეგობრობა. თან ისინი ბუნებითაც დავაინტერესე. ჩვენ ერთად წავედით ექსკურსიაზე ასტრახანის ნაკრძალში. მე ხან ერთზე ვიყავი შეყვარებული, ხან მეორეზე, თან იმ ჩემზე შეყვარებულ გოგონას ვხვდებოდი. სკოლა რომ დავამთავრე ერთ მეგობართან ერთად ლაპლანდიის ნაკრძალი მოვიარე. პლანული დღე იყო. ის იმდენს ლაპარაკობდა, შევბეზრდი. ალბათ ამიტომაც იმ მოგზაურობიდან ბევრი არაფერი დამამახსოვრდა.

მეგობრებს ძნელად ვიძენ. მით უფრო, ამ ასაკში. თუ ვინმესთან ვმეგობრობ, ისევ სკოლისდროინდელი მეგობრები არიან, ისიც იმიტომ, რომ ვფიქრობ, სიჭაბუკის დროინდელ მეგობრებს ვეღარავინ და ვერაფერი შეედრება. მაშინ ჩვენ ერთმანეთის ხასიათს ვააშკარავებდით ხოლმე. ამ დროს ჩვენი კანი ფაქიზი და გრძნობებით გაუღენთილი იყო. იცი, ეს აღარასოდეს გამეორდება, ტკივილი გიპყრობს, რაკი გრძნობ, რომ შენი შემდგომი ცხოვრება აღარ იქნება ასეთი მომზიდვლელი და საინტერესო. რაღა უნდა მოხდეს ახალი... მხოლოდ მოჩვენებები (?). ეს მოჩვენებანი კი, როგორც რომან „სიკვდილი ვენეციაშია“ აღწერილი, სხვა არაფერია, თუ არა სიკვდილის ნიღაბი.

მთელი ცხოვრება არჩევანის წინაშე ვიდექი. ცხოვრებისაგან შემოთავაზებული მორიგი არჩევანი უნივერსიტეტის რომელიმე ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელება იყო. უპირატესობა ბიოლოგიას მივანიშე, თუმცა უკვე აღარც მხიბლავდა და აღარც მაინტერესებდა. უბრალოდ, დროის სულისკვეთებას ავუნებულ ფეხი, როგორც ყოველთვის, თანაც სულ თვალწინ მედგა ნაკრძალი, მეტყვევის მყუდრო სახლი, განმარტოებული ცხოვრება და ლექსების თხზვისთვის შესაფერი გარემო, თუმცა ვიცოდი, რომ პროფესიად ესტონური ლიტერატურის არჩევა უმნიშვნელო რამ იყო. და თუ ბიოლოგია ვამჯობინე, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ სპეციალობას ის ხალხი ირჩევს, ვინც ზუსტად არ იცის, რისი გაკეთება სურთ და რა აინტერესებთ. ისინი, როგორც წესი, თავიანთ თავს ეძებდნენ. თანაც, თუ ამ ფაკულტეტის სტუდენტი იყავი და ლექსების წერაც შეგეძლო და მუსიკის მოსმენაც, შენ მიმართ ყველა პატივისცემით იმსჭვალებოდა. მაგრამ მე თავიდან ვერანაირ ჯგუფში ვერ გავერთიანდი. ძალიან გამიჭირდა ახალ გარემოსთან შეგუება. პირველ წელს ყველა ჩემი თანაკურსელის სახელი და გვარიც კი არ ვიცოდი. ბინა სოფელ იარისტები იან ტიგანესთან ვიქირავე (მატარებელ „ელვათი“ ვმგზავრობდი). ეს ბინა თავის დროზე ჩემს დას მოეძებნა. მეც მას მივპასე. ამით ერთგვარად ფრთა შევასხი სოფელში ცხოვრების ჩემს იდეალს. სადგურიდან სახლამდე გაშლილი მინდორი უნდა გადამევლო. ახლაც მახსოვს მაშინდელი ზამთრის ცივი სალამოები და დილები.

თუ ლექციები ადრე მეწყებოდა, მაშინ შვიდსაათიან მატარებელს მივყვებოდი. თუ გვიან, ათის ოცნებითანან. ვცხოვრობდი ისე, როგორც მარტოხელა კაცს შეეფერებოდა და ვერთობოდი ლექსებით, რომელსაც ჯერ კიდევ სკოლაში ვკითხულობდი. ჩემთვის აღმოჩენა იყო ალექსანდრე სუუმანის პოეტური კრებული „აქ, ჩვენთან, ჰიპერბორეთში“. გოგონა, რომელთანაც სკოლაში ვმეგობრობდი, დროდადრო მეწვეოდა ხოლმე. ერთად ვსეირნობდით ტარტუს შემოგარენში, ვრცელ მინდვრებზე, მაღალძაბვიანი მავთულების ქვეშ. შემოდგომა იყო. სურვილი მკლავდა, როგორმე ეს გოგო თავიდან მომეშორებინა. ვგრძნობდი, ამ ურთიერთობიდან არაფერი გამოვიდოდა.

მარტო დავრჩი. მატარებელში. „ჩემი ლოცვების“ სტროფებს ვიმეორებდი. ზუსტად აღარ მახსოვს ტარტუში მივდიოდი თუ პირიქით. აქ, ნარმოვიდგინე, როგორ ვიცხოვრებდი მთლად თოვლში ჩაფლული ვისლანდის კუნძულზე. დღემდე მიმაჩნია, რომ სუუმახი კარგი პოეტია. ის ჩემი კულტურის ისეთივე ნაწილია, როგორც ბეტი ალავერი, ვივი ლუკი. ოლონდ სუუმახი უფრო პატიოსანი და გულწრფელია, რაც დიდი იშვიათობაა. მწერლობაში ის არასდროს გამხდარა ძალიან ცნობილი. სწორია მიხეილ ლოტმანი, როცა აღნიშნავს, რომ ესტონურ ლიტერატურაში კაცები ბევრად ნიჭიერნი არიან, ვიდრე ქალები. ქალები უფრო პოპულარული არიან. ეს კაცების სიმბოლური, თუ უფრო სწორე, რეალურ-კულტურული თვითმკვლელობაა.

ორმოცი წელი სიკვდილთან მაახლოებს. მე ან მოვკვდები, ან უნდა გავაკეთო რაღაც ისეთი, რაც სიცოცხლეს გამიგრძელებს. ეს უკანასკნელი უფრო ძნელია, ოთხი წლისამ კითხვა დავიწყე. ცამეტი წლის რომ გავხდი, ესეც მნიშვნელოვან თარიღად აღვიქვი, რადგან გარდატეხის ასაკის გამო მივიჩნიე, რომ ჩემში მოკვდა მშვიდი, რაციონალური ბავშვი. მაგრამ მეორე მხრივ, სწორედ ამ ასაკში დავიწყე ლექსების წერა, სწორედ ამ ასაკში ვიყვავი პირველად შეყვარებული. ოცდაორი წლისამ ლექსების გამოცემა გადავწყვიტე. დავბეჭდე კიდეც პირველი ლექსი. მერე იყო კრებული „სახლი მდინარის პირას“, ოცდათერთმეტი წლის ასაკში კი აქ, პარიზში — „მოსაზღვრე ქვეყანა“. მე მომზონს ეს ოთხობითი სისტემა. ოთხი ჩემი ციფრია. ხომ უნდა ჰქონდეს რაიმე წესი ცხოვრებას. ეს წესი, ერთი შეხედვით, ძნელი, მაგრამ მარტივი უნდა იყოს. თუ ეს წესი აღმოაჩინე, მაშინ თავისუფალი ხარ, თუ ვერა, მაშინ შენ კი არ ფლობ, ცხოვრება გფლობს შენ და ცხოვრობ ასე, ბრმად.

**თარგმნა გია რჩეულიშვილმა**

## იურგენ რომსტე

### პოდიუმის ვიზუალური დიზაინი

ციკლიდან „პოეტის ცხოვრება“

დღისით ვლაპბობდი  
ერთ სულელურ დისკუსიაზე  
(დისკუსია შედერს როგორც დნკ-ს რეპლიკაცია)  
საღამოს შვიდზე კი  
ვცდილობდი ტარტუს ცენტრალურ პარკში  
რაღაც მემღერა  
რის გამოც  
ო. ლუტსის სახელობის ბიბლიოთეკა  
648 კრონს გადმორიცხავს ჩემს ანგარიშზე  
პუბლიკის წინაშე დიდი ბოდიში  
მაგრამ ძალიან ძალიან ვჩქარობ

ავტობუსს შევახტი  
აეროპორტის სიახლოვეს გამომეღვიძა  
ცოლი მირეკავს  
მეკითხება ვსვამდი თუ არა  
ვეუბნები რომ  
არა  
მერე კი მახსენდება რომ  
ძველ მეგობართან ერთად დღისით  
ლიქიორს ვყლურნავდი  
და ლუდს ვწრუპავდი  
„პახმელია“ მიმძაფრდება  
და ცუდად ვხდები  
ცოლს ბოდიშს ვუხდი და ვეუბნები რომ ვსვამდი თუმცა  
ახლა უბრალოდ გადაღლილი ვარ

ავტოსადგურზე ტაქსში ვჯდები  
„საკალამდე“ გზა  
დამტკიცებული ტარიფით ადრე  
35 კრონი ღირდა  
ახლა ფასმა 48-მდე აიწია  
ქალაქის მამებმა  
მინიმალური ბოროტი ტარიფი მოხსნეს რამეთუ  
ეს არღვევდა კლიენტის უფლებას  
კლიენტს სურს რომ წესიერი იყოს და ტაქსისტს  
უფრო მეტი გადაუხადოს  
ტაქსისტს მოკლე დისტანციისათვის  
ბოდიშს ვუხდი  
ის მპირდება რომ წავა პორტში  
რათა იქ ფინელი დაითრიოს  
და მასთან ერთად შორს გაემგზავროს

ცენტრ „საკალას“ წინ ახალგაზრდობა  
შეკრებილა და ღელავს მძვინვარებს  
მათ შენობაში არ უშვებენ  
თხუთმეტიოდე მათგანი ცდილობს  
კარის შემტვრევას  
გარეთ გამოდის მდედრობითი სქესის არსება  
გალიზიანებული მეტისმეტად  
რა დღეში ხართ?  
ბოდიშს ვუხდი  
ვეუბნები რომ გამომსვლელი ვარ  
და აი უფასო ღონისძიებაზე  
ბრნყინვალე პუბლიკა შეიკრიბა  
მდედრობითი სქესის არსება  
ნერვიულად მიხსნის რომ მათ დააგვიანეს  
მე ვაპროტესტებ ვეუბნები თუკი ახლა  
ლიტერატურული სალამოდან ახალგაზრდებს გაყრიან ისინი  
აღარასოდეს აქ აღარ მოვლენ  
მდედრობითი სქესის არსება მეკითხება ბოლოს და ბოლოს  
შევდივარ თუ არა დარბაზში  
მე ვპასუხობ რომ მარტო არა  
და ის კარს კეტავს

ახალგაზრდებთან ერთად გვერდითა კარებიდან  
შევდივარ და  
პოლიციელს ვეუბნები  
რომ ჩვენ ყველანი გამომსვლელი ვართ  
ხოლო ის მპასუხობს რომ მე არყის სუნითა ვარ აქოთებული  
ვეთანხმები და ნაბიჯს ვუჩქარებ  
თან ზურგსუკნიდან დიდ ბოდიშს ვაწევ

დარბაზში შევდივარ  
ათი წუთის დაგვიანებით  
ვისაც კი ვხედავ ბოდიშს ვუხდი  
ერთ-ერთი მათგანი მეუბნება რომ  
ცოტა ხნის წინ გამომაცხადეს  
თავპირისმტვრევით ავრბივარ სცენაზე  
ანსამბლის წინ ვდგები და ვრატრატებ  
რამდენიმე ლექსს  
მერე სუყველას ვუხდი ბოდიშს

ორგანიზატორი ქალბატონები პანიკაში არიან  
ისინი შეიძლება დააჯარიმონ  
ვინაიდან ანსამბლისთვის ხელის შეშლა არ შეიძლებოდა  
ვღელავ  
ვცდილობ დავამტკიცო  
რომ მე ანსამბლს ხელს არ ვუშლიდი  
რომელიღაც ორგანიზატორს ვეუბნები  
რომ ის მთვრალი არის და  
ბოდავს  
რის შემდეგაც დიდ ბოდიშს ვუხდი

იმდენი ლამაზი  
გოგოა ირგვლივ  
რომ არ ვიცი სად გავიხედო  
თავს ვქინდრავ დაბლა ვიყურები და  
კვლავ ბოდიშს ვიხდი

ბოდიშს ვუხდი ტაპანი კინუნენს  
ასკოს და სხვებს  
ვეუბნები რომ დავიღალე  
და ერთი სული მაქვს მივიდე სახლში

სახლში მისული ბოდიშს ვიხდი იმის გამო რომ  
გვიან დავპრუნდი  
და თანაც მთვრალი

ფილით ბავშვი  
ბალში მიმყავს  
საუზმეზე ვერ ვასწრებთ და  
ბოდიშს ვუხდი  
დაგვიანების გამო აღმზრდელს

სამსახურიდან ორგანიზატორებს  
ბოდიშის წერილს ვუგზავნი და  
ვპირდები რომ  
ჩემი ჯიბიდან გადავიხდი ჯარიმას  
თუკი საჭირო გახდა

მნიშვნელოვანი კრება დაიწყო სამსახურში  
ჩემს დავალებაზე მითხრეს რომ ის  
დაუდევრადაა შესრულებული  
მაგრამ ეს ჩემი  
ბრალი არ არის მხოლოდ და მხოლოდ  
ბოდიშს ვიხდი და პირობას ვდებ რომ გამოვსწორდები  
ბოდიშს ვიხდი  
ნადრევად ვტოვებ სამსახურს და გავრბივარ  
რათა მივასწრო ავტობუსს რომელიც  
წამიყვანს კოხტლა-იარვეში

ავტობუსი არ ჩანს  
ვვარდები პანიკაში და  
ორგანიზატორებთან ვიწყებ რეკვას  
შემდეგ სუყველას ბოდიშს ვუხდი  
რადგან ტყუილად ვნერვიულობდი  
უჩემოდ ცხადია  
ისინი არსად არ წავიდოდნენ

ავტობუსში პირს არ ვაჩერებ  
ტაპანისთან ვლაყბობ და ვლაყბობ  
ორგანიზატორი ქალბატონები განწყობილან საპრძოლველად

ვცდილობ რომ არ გადავეკიდო  
 ჩემს იუმორს ისინი მაინც ვერ გაიგებენ  
 რეჟისორი სიპელგარი მირეკავს და მეკითხება  
 მულტფილმის სცენართან დაკავშირებით  
 როგორაა საქმე აუუუ  
 ბოდიშს ვუხდი და ვპირდები რომ  
 სცენარს დღეს ღამით ჩავუჯდები  
 მობილურის ბატარეა ჯდება ვხარობ და  
 ტელეფონს ვთიშავ

ძალიან უუმურ ხასიათზე ვარ  
 მაგრამ განტვირთვას ვერ ვახერხებ  
 პირიქით სიდრით ვყოჩალდები  
 რამდენიმე უწყინარ ლექსს ვარჩევ რათა  
 ძირითადად ბებრუხანა ქალებისგან  
 შემდგარი პუბლიკის წინაშე ბოლოს  
 ბოდიშის მოხდამ არ მომიწიოს  
 თავშესაქცევად  
 ლექსს ვწერ კრისტინა ეხინისათვის  
 საკმაოდ კარგი ლექსი გამოდის  
 დაახლოებით ისეთი როგორიც ტაპანის ლექსია  
 თუმცა ლექსში ჩემს თავზე უფრო მეტს ვლაპარაკობ  
 ვიდრე მასზე  
 და ამის გამო ბოდიშს ვუხდი მერე კრისტინას

ტალინისაკენ უკანა გზაზე  
 ჩემი ერთი უხეირო შეკითხვის შემდეგ  
 ორგანიზატორი ქალბატონები შეტევაზე გადმოდიან  
 და ძველ თემას უბრუნდებიან  
 რომ ანსამბლის გამოსვლა მე  
 მართლა ჩავშალე  
 რაზეც ყვირილს და ღმუილს ვიწყებ  
 ერთი ქალი  
 მიმტკიცებს რომ ჩემი ლექსი  
 „რისთვისაა საჭირო ლექსები“  
 უვარგისია  
 ეეუბნები რომ ის ბევრს მოსწონს  
 და მშვენივრად აჩვენებს თუ მე რა მაწუხებს  
 ვეუბნები თუ ცხოვრებაში  
 ამდენი რამაა დაავადებული  
 ლექსები საერთოდ უვარგისი  
 ან უაზროც კი შეიძლება გახდეს  
 იგი ბედნიერად ილიმება  
 და ამბობს ჰმე  
 თუკი ასეა  
 მაშინ კარგია ასეთი ლექსებიც რომ არსებობს  
 ბოდიშს ვუხდი იმისთვის რომ  
 ჩემი პოეზია  
 გაუგებარია

ტაპანისთან განუწყვეტლივ  
 ვქაქანებ პანკზე და როკ-ენ-როლზე  
 იმ ძველ ნარკო-ალკოჰოლურ ისტორიებს  
 ვიხსენებთ რომლებიც  
 ყველასათვის გასაგები  
 მაგრამ ასეთი სასაცილო და საყვარელია  
 ის მიყვება  
 პელე მიღონენინზე  
 ხოლო მე ელვესტზე და პირიქით  
 მერე კი ერთად ვმდერით ფინურად ეპ ნორმაალის  
 “poliisi ajaa sinisella autolla, uuaa-uuaa”

ლრუბლებს მიღმიდან  
 მზის სხივები უცებ ღვთიური ნათელივით  
 იკაფავენ ჩვენსკენ გზას და  
 შუქი მძღოლს პირდაპირ თვალებში სცემს  
 მე ვამბობ რომ ეს შესანიშნავი სურათია პოეტისათვის  
 ჩვენ ვიცინით  
 ტალინის შესასვლელთან ნისლის სქელი კედელი გვხვდება  
 ეს ქალაქი საერთოდაც ნისლისგანაა აშენებული

ტალინში ტაპანის ვუთხარი რომ  
 გაბრაზებული ვარ საშინლად  
 მეზობელს ვურეკავ  
 და ვეუბნები რომ მეტი არასდროს აღარ გამოვალ  
 ამ ფესტივალზე  
 ხოლო ჩემს თავს ბოდიშს ვუხდი  
 რომ ასეთი იდიოტი ვარ  
 და მუდამ ასე უმიზეზოდ ვლიზიანდები

ბოდიშს ვუხდი  
 არც კი ვიცი ვის  
 უფალს და მგონი კიდევ ვიღაცას  
 პარასკევობით ტალინში ჩვეული  
 ცხოვრება დუღს კაფე-ბარებში  
 მოტყუებულად ვგრძნობ თავს  
 არავინ არაფერს არ მეუბნება

ბოდიშს ვიხდი  
 მოზარდები იცინიან ირგვლივ ისე  
 როგორც საერთოდ მოზარდები იცინიან ხოლმე მაგრამ  
 მე მეჩვენება  
 რომ ისინი მე დამცინიან

მოვუხდიდი მე მათაც ბოდიშს  
 მაგრამ არ ვიცი  
 რატომ და რისთვის

## გარადისობის ძიება VII

გადავწყვიტე მარად ვიცხოვრო  
 და მოვენყვე სამუშაოდ ვიცე-კანცლერად  
 კომუნიკაციის მეტაფიზიკის სამინისტროში  
 ჩემს ხელში გადის კაცობრიობის უმნიშვნელოვანესი საკითხები

რისთვის ვართ საჭირო

ნამდვილია თუ არა ის რასაც ვხედავთ

თუკი ფრთიანი ფრაზა ვაზროვნებ ესე იგი ვარსებობ ვიცი  
 ამქვეყნად მაშინ ვინდა აზროვნებს

ღმერთი კარგია ცუდია ყველაფერი ფეხზე კიდია თუ სულაც მოკვდა

რომელი მაღაზიები მუშაობენ დღესასწაულებზე

რა ფერის შპალერის გაკვრა აჯობებს

შეიძლება თუ არა ბავშვი გააკეთო ახლო ნათესავთან

არსებობს თუ არა ჭეშმარიტება  
 და ა. შ.

მე ამ კითხვებს არქივში ვატარებ  
 ვახარისხებ და ვათავსებ სამ საქალალდეში

1. გადაუწყვეტელი საკითხები
2. არაარსებითი საკითხები
3. ბრიყვული საკითხები

ყოველ მათგანს თარიღს ვაწერ და სამინისტროს ბეჭედს ვასვამ  
 მერე ჩემს სექსუალურ მდივანს თებოების ვნებიანი რხევით  
 მიაქვს ეს საქალალდეები საცავში შესანახად ძალზე დიდი ხნით  
 მანამ სანამ არ დაიქირავებენ იმას ვინც დაიწყებს ამ შეკითხვებზე  
 წერილობითი ფორმით პასუხის გაცემას

ანუ ალბათ რომელიღაც ჩერჩეტ პოეტს  
 რომელიღაც ოხერ მოკალმეს

\* \* \*

სამსახურში სურთ  
ვიყო კურდლელი  
„დურასელის“ ელემენტებით

მე კი ერთი ჩვეულებრივი ზღვის გოჭი ვარ მხოლოდ და მხოლოდ

სახლში სურთ რომ  
მონდომებული მამიკო-პინგვინივით  
ვფაფხურობდე გაუთავებლად

და არა რიგითი ტოროლასავით დავფარფატებდე

თუმც ჩემი გული ჩემი გული  
თავისუფალია ხახვივით და  
შიგნით — ბოლქვი გარეთ — ნაფცქვენი

ჩრდილოეთის ნაზ ქარიშხალში

თარგმნა შოთა იათაშვილმა

## ხილის პუზები

1.

ახალ სახლში, რა თქმა უნდა, ბედნიერები იყვნენ. რატომაც არა: პატარა, ოროთახიანი ბინიდან საკუთარ სახლში გადასვლა სულაც არ იყო ურიგო საქმე. ვაუ! მაგარია! — ფიქრობდა აღტაცებული რაინერი. შემდეგ, მესაკუთრის თვითკმაყოფილება კარგად რომ შეიგრძნო, დინჯად დაასკვნა, რომ ამაში არაფერი იყო განსაკუთრებული... ქალაქის უკონტროლო განსახლებაზე ლაყაფი კი სრულ სისულელედ მიაჩნდა. მას და იუტას მალე ბავშვი ეყოლებოდათ. მინდა ახლა მე, რომ სანამ გაიზრდება, სანამ ნამდვილ ადამიანად იქცევა, სადმე, ქუჩაში მანქანამ გაიტანოს ჩემი შვილი? — ფიქრობდა რაინერი. უძრავ ქონებასაც რა სასაცილო ფასები ედო, ღმერთო! ქალაქის ცენტრში, ოროთახიანი მოცუცენული ბინა ივივე ღირდა, რაც ქალაქგარეთ საკუთარი სახლი. თან ძველ ბინაში წამდაუწუმ ფულის დადება უწევდათ. ტუალეტი საკუთარი იყო თუ საერთო, ცხელი წყალი მოდიოდა თუ არ მოდიოდა, მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაინც მაყუთს აყაჭვინებდნენ. მოკლედ დიდი უნამუსობა იყო და ყელშიაც ამოუციდა რაინერს. საკუთარი სახლის შეძენა სრულიად ლოგიკურ და გამართლებულ ნაბიჯად მიაჩნდა. თუმცა ამ ახალ სახლსაც ბევრი ხლაფორთი დასჭირდა: ხელოსანი ცოტა იყო, საქმე — უამრავი და მუშებსაც სულ თავს გაუვიდათ, როცა თვითონ მოეგუნებებოდათ, მაშინ გამოჩნდებოდნენ ხოლმე, უფრო ხშირად არ მოდიოდნენ. სასამართლოში არ უნდა ვუჩივლო ახლა ამ შობელძალლებს? — ფიქრობდა რაინერი. ბოლოს ისევ თვითონ მოუწია სახლის შემოფიცვრა, კედლებიც იუტას დახმარებით თავად შელება და პლინტუსებიც საკუთარი ხელით დააჭედა იატაკს. არცთუ ისე ცუდად გამოუვიდა. ძველ ბინაში აღებული ფული და ბანკიდან გამოტანილი კრედიტი კი შემოადნა ხელში, მაგრამ ამაზე აღარ დარდობდა, რაკი საკუთარი სახლის პატრონი იყო. თანაც ორივენი, რაინერიც და იუტაც, აქ თავს მშვენივრად გრძნობდნენ.

ავეჯი იუტამ შეარჩია.

ჩინებულ ფინურ დივანზე მიწოდებილები ტელევიზორს უყურებდნენ და ყავას წრუპავდნენ. ბავშვის დაბადებამდე რამდენიმე თვე იყო დარჩენილი და ჯერჯერობით თავიანთ გემოზე ისვენებდნენ.

— ჩემს თანამშრომლებს არც კი სჯერათ, რომ სიმღერის ტექსტში კაცმა შეიძლება ამდენი ფული აიღოს, — ხშირად ამბობდა იუტა.

რაინერი მონაფეობისას მართლაც ბევრ ლექსს წერდა. ერთხელაც, ვიღაც გოგომ, სადღაც წვეულებაზე, სკოლის ძველი ალმანახი გადაფურცლა და რაინერის ლექსს წააწყდა. ახლა, ის, ყმანვილობისდროინდელი ლექსი, გულისამრევად ეჩვენებოდა რაინერს, მაგრამ იმ გოგოს, ეტყობა მოეწონა. იმას თურმე თავის დაქალთან ერთად მუსიკალური ბენდიც ჩამოეყალიბებინა. რაინერს დაურეკა და გულისამაჩუყებელი მოკრძალებით ჰკითხა: — თქვენი ლექსი რომ გამოვიყენო თუ შეიძლება, ჩემი მუსიკისთვის სწორედ ასეთი „ქულ“ პოეზია მჭირდებაო. რატომაც არა, — გაიფიქრა რაინერმა, რას წარმოიდგენდა, რომ მისი ლექსი შემდგომში ასე გაპიტდებოდა და მერე მას რომელიდაც ბითურ რეკლამაში გამოიყენებდნენ... რაინერი ჩვეულებრივი, რიგითი გამყიდველი იყო სამშენებლო ინვენტარის მაღაზიაში შეიძინა ხელსაყრელ ფასად. ცხოვრობდნენ ახალთახალ სახლში და ყველაფერი: — მოპირკეთებული ბუხარი, ალუბლის ხის პარკეტი, სპეციალური შეკვეთით დამზადებული საძინებლის ავეჯი, ჯაკუზი... — ფანტასტიკური იყო.

— ხანდახან თავს ისე ვგრძნობ, თითქოს „შოურუმში“ ვცხოვრობდე, — ამბობდა ხოლმე იუტა.

— მეტისმეტია, — პასუხობდა რაინერი და თან სიხარულისგან იღიმოდა. ულამაზესი ქალი იყო იუტა. ხასიათიც მშვენიერი ჰქონდა. რაინერს, ძველ მექალთანეს, მისთვის არას-

დროს უღალატია, თუმცა არაერთხელ ჰქონდა ამის შესაძლებლობა. ამაყობდა კიდეც, რომ იუტას ერთგული იყო. კარგად ხედავდა რაინერი, მისი ასაკის კაცები პირველი ან მეორე ბავშვის შემდეგ როგორ გაურბოდნენ ოჯახურ ყოველდღიურობას და გაცილებით უმცრო-სი ასაკის გოგოებთან ინუგეშებდნენ ხოლმე თავს. თვითონ კი, პირიქით, უყვარდა თავისი ყოველდღიურობა, რომელსაც იუტა ავსებდა.

## 2.

ერთი სიტყვით, ყველაფერი კარგად იყო ადრეული შემოდგომის ერთ ჩვეულებრივ დღემდე, როცა სამზარეულოში შესულმა რაინერმა ფიჭვის ხის მაგიდაზე ვაშლის ნაჭრებს შესეული მწერები აღმოაჩინა. ვერაფრით მიხვდა, რა ჯურის არსებებთან ჰქონდა საქმე და მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ მიუქცევია. ვაშლის ნაჭრები სანაგვეში ჩაუძახა. მეორე დღეს შეამჩინა, რომ მწერები უფრო მომრავლებულიყვნენ. იუტამ მწერებს ყურძენი გაარი-და და მაცივარში შეინახა. მესამე დღეს ეს სერიოზული საუბრის თემა გახდა:

- ეს რა ჯანდაბაა? — თქვა რაინერმა.
- ხილის ბუზები არიან, — უპასუხა იუტამ, ყოველ შემოდგომაზე ჩნდებიან ხოლმე.

რაინერი შეფიქრიანდა: — შხამიანები არიან?

იუტას გაეცინა: — ვერ ხედავ რა პანანინები არიან, უბრალოდ თავს შეგაბეზრებენ, თორებ ისე არაფერს აშავებენ.

ამ პანანინა ბუზებმა მართლაც შეაბეზრეს ისინი და თან უფრო და უფრო მრავლდებოდ-ნენ. ერთხელაც, რაინერმა სანაგვე ყუთში რაღაცის ჩაგდება დაპირა და ყუთს თავი რომ ახალა, იქიდან ბუზების მთელი გუნდი წამოშალა და საძინებლის კარზე დასხდა. — ფუ, შენი! — შეიგინა. მიხვდა, რაღაც უნდა ეღონა, რომ როგორმე თავიდან მოეშორებინა ეს წყ-ეულები. რამდენიმე ამაო ცდის შემდეგ სინანულით დაასკვნა, რომ ამ აბეზარ წერტილებს კოლოებზე სწრაფი რეაქცია ჰქონდათ და ასე იოლად ვერ გაუმკლავდებოდა. ტყუილად ცდილობდა საჩვენებელი ან ცერა თითით კედელზე მიესრისა რომელიმე, უმეტესწილად, არაფერი გამოსდიოდა. ბოლოს ხელი ჩაიქნა და კომპიუტერი ჩართო, ინტერნეტში — შე-ვიდა.

## 3.

— მეტი აღარ შემიძლია... მაინც საიდან მოეთრევიან, იქნებ წყალში მრავლდებიან... რაღა ჩვენი პირსაბანი მოსწონთ მაინცდამაინც?

— კარგი, დამშვიდდი, დაფრინავენ, სხვას ხომ არაფერს გიშავებენ.  
— დავმშვიდდე? სხვათა შორის, ეგენი თავიანთი განავლის ლაქებსაც ტოვებენ კედლე-ბზე! — რაინერმა მრავალმნიშვნელოვნად აღმართა საჩვენებელი თითი და დააყოლა, — დაიმახსოვრე, მალე ისე გამრავლდებიან, სამზარეულოში ჩვენი ადგილი აღარ იქნება.

იუტას გაეცინა: — კარგი მაშინ, დაიწყე მათი ლიკვიდაცია, მაგრამ, ჩემი აზრით, სჯობს ყინვების დაწყებას დაველოდოთ, მალე ოქტომბერიც დადგება და ისინიც გაქრებიან.

რაინერმა არ დაუჯერა. ხილის ბუზები ისე პატარები იყვნენ, გადაწყვიტა მათ დასახ-ოცად თითის წვერზე უფრო ბრტყელი საგანი გამოეყენებინა. ადგა და ხელსაწმენდი წყ-ალში კარგად დაალბო, რომ დამძიმებულიყო და მოხერხებულად გაკეცა. შედეგი აშკარად საგრძნობი აღმოჩნდა. დადიოდა სამზარეულოში და ტყაპატყუპით ულეტდა ბუზებს. პრინ-ციპში, ყოველდღიურ საქმიანობაში ისინი ხელს სულაც არ უშლიდნენ, ზუზუნითაც არ ზუზუნებდნენ, მაგრამ საზიზლარი სანახავი იყო მათი ცქერა, მაცივრის სახელურზე რომ შეიხუნდლებოდნენ, ანდა ფანჯრების მინებზე ინყებდნენ გუნდ-გუნდად ცოცვას... რაინ-ერი დახოცილი ბუზების ციცქნა გვამებს ხელსაწმენდიდან პირსაბანში ყრიდა. პირსაბანის ფსკერი ერთმანეთში ალუფხული მკვდარი მწერებით მთლად გადაშავდა. ზოგიერთი კედ-ლებს შერჩენდა უშნო ლაქად, მათი მოშორება ნაჭრითაც შეიძლებოდა, თუ ფრთხილად მოწმენდდა კაცი.

საღამოს ტელევიზორს მიუსხდნენ და ისე გაერთნენ ლაპარაკში, ამინდის პროგნოზი

სულ გამოეპარათ. არადა გამოაცხადეს, რომ არაჩვეულებრივად თბილი შემოდგომის გამო სინოპტიკოსები ყინვების დაგვიანებას ვარაუდობდნენ.

მეორე დღეს გადაწყვიტეს, შაბათ-კვირა სამხრეთ ესტონეთში გაეტარებინათ და კიდევ გაემგზავრნენ ბებიასთან, რომლის სამზარეულოშიც ვაშლის ნამცხვრის სურნელი ტრიალებდა. ფანჯრიდან მოჩანდა, როგორ ცვიოდა ყვითელი ფოთლები არყის ხეს. ქვემოთ, ველზე კი, ნაკადული მორაკრაკებდა, ეს იყო ორი მშვიდი დღე და უსიზმროდ გატარებული ორი ღამე. „ჰაერიც რა მაგარია!“ — ფიქრობდა დაწყნარებული რაინერი.

სახლში რომ დაბრუნდნენ და შუქი აანთეს, მაგიდიდან, კედლებიდან თუ იატაკიდან ბუზების მთელი ჯგრო წამოუფრინდათ. რაინერმა უხმოდ აიღო ხელსაწმენდი გაკეცა და გამძვინვარებული დაერია მათ. თან ხელსაწმენდს იქნევდა, თან თვალებში ებლანდებოდა სისხლით დაწინწკლული ტილო. ბუზები იყვნენ ყველგან: სასტუმრო ოთახსა და საძინებელში, ტელევიზორსა თუ მუსიკალური ცენტრის დინამიკზე. იუტას მანიკიურის მაკრატელზეც კი. მერე რაინერმა ისინი თავის პირსაპარსა და იუტას ფრჩხილების ლაქის ფლაკონზეც აღმოაჩინა. ერთი ბუზი ჩამქრალ ბუხარში ეულად ტრიალებდა, ხოლო ორნი მაცივარში განმარტოებულიყვნენ შეყვარებულებივით. რაინერი შეშლილივით დარბოდა და ცდილობდა ყველა ბუზი ერთბაშად გაეულიტა, თან რაღაცას ცრიდა კბილებში. მოგვიანებით ვერაფრით გაიხსენა ბუზებს ეუბნებოდა რამეს თუ ღმუოდა. ალბათ გულში ყვიროდა: დაიხოცეთ! დაიხოცეთ!

— აი, ეს არის მასობრივი მკვლელობა! — ხუმრობდა იუტა და ცდილობდა კარგი განწყობა შეენარჩუნებინა.

დილით ნახეს, რომ ბუზები კიდევ უფრო მომრავლებულიყვნენ და რაინერი საპოლოოდ დარწმუნდა, სანამ მათ თავიდან არ მოიშორებდა, არაფრის გამკეთებელი არ იყო.

— ხომ ხედავ, მაინც ვერაფერს გახდი, — უთხრა იუტამ. — სამსახურში ვარ წასასვლელი და მანამდე მშვიდად მაინც დამალევინე ყავა, დაანებე თავი ამ ბუზებს.

რაინერი უცებ გაბრაზდა:

— შენ რატომ არ მეხმარები? რაღაც არა მგონია, უბრალო ბულალტრის სამსახურში დაგვიანების გამო ერთი ამბავი ატყდეს.

— პირადად მე ამ მწერუკების დახოცვა სულაც არ მინდა, — მშვიდად უპასუხა იუტამ, მალე ისედაც დაიხოცებიან. აბა წარმოიდგინე, რა მოკლე და უაზრო სიცოცხლე აქვთ ამ საცოდავებს.

რაინერმა მხრები აიჩეჩა. თავად მას უკვე დაერეკა თავისი შეფისთვის და ეთქვა, რომ წახევარი საათით შეაგვიანდებოდა. მის ცხვირწინ აყუდებულ კედელს ცოცხალი და საღსალამათი ბუზები შესეოდნენ. ყავის წყალი უკვე დუღდა და იუტამ სცადა კომპრომისი მოეძებნა:

— მტვერსასრუტი ხომ არ გვესინჯა?

რაინერს რჩევა ჭკუაში დაუჯდა.

— მოვიფიქრე, — უთხრა იუტას, — მთავარ გუნდს მტვერსასრუტით დავერევი, გადარჩენილებს ისევ ხელსაწმენდით დავბრიდავ.

მტვერსასრუტი სახიფათოდ აბლავლდა. რაინერი მტვერსასრუტის მილს ისე იქნევდა, თითქოს ხმალი ეჭირა ხელში და მტრად კიდევ ცხრათავიანი გველეშაპი ეგულებოდა. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა.

იუტა შეჟყურებდა რაინერს და ისე შეეცოდა, მისი გულის მოლბობა გადაწყვიტა.

— კიდევ კარგი ხილი გადავუმალეთ, — უთხრა რაინერს, — იცი, თურმე ვაშლის გულში ბუდის მოწყობაც შეუძლიათ, როგორც ყურბელას — მარწყვში.

რაინერი არაფერს პასუხობდა, მხოლოდ ხმამაღლა ქშენდა.

— თან მათაც ადამიანებივით მეტსახელები აქვთ, — განაგრძობდა იუტა, — ვაშლის ბუზა, ძმრის ბუზა, ატმის ბუზა...

რაინერს საკუთარი ქშენის გარდა არაფერი ესმოდა. ყურძნის ბუზა, ნესვის ბუზა... მთელ შიგანში ეს წყეული ბუზები უზუზუნებდნენ. სადღაც ტვინში კი ვებერთელა ასოებად კაშ-

**კაშებდა: დახოცე ბუზები! დახოცე ბუზები!** მაგრამ გრძნობდა, რომ თვითონ ამ სიტყვებს წერტილად თუ გამოადგებოდა, პატარა უმწეო წერტილად და რაინერმა უცებ იფეთქა. თავი ცხედრებით მოფენილ ბრძოლის ველზე წარმოიდგინა, თითქოს გასისხლიანებული ჯავშანით იდგა და ბრძოლის ველს გაჰყურებდა. მერე ერთბაშად ამოიბლავლა: — აღარ შემიძლია!!!

გადარჩენილი ბუზები არხეინად დაფრინავდნენ აღმა-დაღმა. რაინერმა ფარ-ხმალი დაყარა, უიმედობამ მოიცვა. სამსახურში წასვლის დრო იყო.

#### 4. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ

ორი კვირის წინ ზამთრის პირის პირველმა ყინვამაც მოუჭირა. რაინერი და იუტა დილის გადაცემას უყურებდნენ. ფანჯრის მიღმა, გაშიშვლებულ ტოტებში ნაზაფხულები და დაღლილი, დასუსტებული მზე კიაფობდა. „კარგია რომ მანქანა გვყავს, — ფიქრობდა რაინერი, — შენ უბრალო მოხმარების საგანი უძახე და... ბრრრ!.. ასეთ სიცივეში ავტობუსის გაჩერებაზე ყურყუტს ხომ სჯობია საკუთარი, თბილი მანქანა“.

ისინი გადაცემის სტუმარს უსმენდნენ. ჩია ტანის გამხდარ და მზეზე გარუჯულ კაცს, რომელიც ახლახან ჩამოსულიყო ინდოეთიდან. სახეზე ეტყობოდა, სხვანაირი მზის ქვეშ რომ ჰქონდა გატარებული წლები. ლაპარაკისას ძლივს შესამჩნევი ირონიული ღიმილი დასთამაშებდა.

— იქ, საიდანაც მე ჩამოვედი, ვერასოდეს იქნები მარტო. შენ გარშემორტყმული ხარ ცოცხალი არსებებით, რომლებიც არასოდეს მიგატოვებენ, თუნდაც — მწერები. მე ჩემს თავს შევპირდი, რომ არავის, მით უფრო ყველაზე პატარა არსებას, არ წავართმევ სიცოცხლეს. სამწუხაროდ, ხალხს ამ საკითხთან დაკაშირებით სხვა აზრი აქვს. ჩვენ არ ვხოცავთ ადამიანებს, დიდ ცხოველებს, მაგრამ არაფრად ვაგდებთ თაგვის, ტარაკანის თუ კოლოს სიცოცხლეს. რაც უფრო პატარაა არსება, მით უფრო მეტად აგრესიულები ვართ. ბუდისტებს კი ღრმად სწამთ, რომ ნებისმიერი სიცოცხლის მოსპობას შეიძლება საბედისწრო შედეგი მოჰყვეს.

რაინერი გაოცებული უსმენდა, მერელა დაფიქრდა, იქნებ მართალს ამბობს ეს კაციო.

იუტა რაინერს მიეხუტა: — კვიპროსი გახსოვს? ველოსიპედები რომ დავიქირავეთ და იმდენი ვიარეთ, ლამის თურქეთის საზღვარზე გადავედით.

— როგორ ახერხებთ, რომ ხალხმა ირწმუნოს თქვენი? — შეეკითხა მოგზაურს გადამცემის წამყვანი, — ალბათ განსაკუთრებული კარმით დაიბადეთ არა?

ჩია კაცს გაეცინა, თვალი მოავლო ეგზოტიკური პასუხის მოლოდინში განაბულ მსმენლებს. რაინერიცა და იუტაც გაფაციცებით შეჟყურებდნენ ეკრანს. კაცმა ჩაიცინა და როგორც იქნა პასუხის ღირსი გახადა წამყვანი.

— მე ევროპელი ვარ, — თქვა მან, — შუასაუკუნეებში რომ მეცხოვრა, ალბათ პირველი მე ავიღებდი მახვილს ხელში, — იღიმებოდა, ნაოჭებით დაღაროდა ყავისფერი სახე. უცებ მისი ნაოჭები ღრმა და გაუვალ ხეობებად იქცნენ, თითქოს უდაბნოსფერი კანიდან შორეული, ხრიოვი მიწების ქარმა დაჰბერაო.

— კვიპროსზე რომ გვალვა იყო გახსოვს? — ეკრანისათვის თვალი არ მოუშორებია, ისე წასჩურჩულა რაინერმა, — გუბეებს რომ დაემსგავსნენ ტბები.

#### 5. დაახლოებით ნახევარი წლის შემდეგ

რაინერი ეზოში, მშენებლობიდან მორჩენილი ქვიშის გროვასთან იჯდა. სახლიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისმოდა ბავშვის ტირილი. ის ყურს უგდებდა და თან სილაში ურევდა ხელებს. ცოტა ხნის წინ კოკისპირულად წვიმდა და ახლა ქვიშის ნესტიან მჭიდრო მასაში ხელების ფათური სიამოვნებდა.

ნეტავ ბავშვობაში თუ მიყვარდა სილაში თამაში, — ფიქრობდა რაინერი და ვერაფრით ისხენებდა. მერე წამოდგა და ერთ ადგილზე სველი ქვიშის დახვავება დაიწყო. თვითონაც არ იცოდა, რას აკეთებდა. უბრალოდ ქვიშას აშვავებდა. სილაც, თითქოს საგანგებოდ

ფქვილივით წმინდა იყო. არც კენჭი ერია შიგ, არც სხვა რამ ნაგავი... და უეცრად გაახსენდა: ერთხელ, ბავშვობაში, დედ-მამასთან ერთად ჩუდის ტბაზე რომ ისვენებდა. მაშინ მზეზე საშინლად დაიწვა ზურგი... თვალინი დაუდგა ქაფოდებული ტალღები, ადრე უზარმაზარ მთებად რომ ეჩვენებოდა. იხსენებდა ამას ყველაფერს და ამასობაში მისი ხელები ანგარიშ-მიუცემლად, მარჯვედ და ოსტატურად ირჯებოდნენ, ქვიშისაგან რაღაც ფიგურებს ქმნიდნენ. როცა გამოერკვა, თვითონვე გაოცდა: მის წინ მშვენივრად აგებული ქვიშის სასახლე იდგა. რას იტყვოდნენ ნეტავ მისი თანამშრომლები, ეს რომ დაენახათ. დიდი „ჰიტმეისტერი“ ქვიშის კოშკებს აგებს!!!. უცებ დადინჯდა. რა მოხდა ნეტავ? როგორ გამოუვიდა ეს. მას ხომ აზრადაც არ მოსვლია ქვიშის სასახლის აშენება.

იქნებ სხვანაირია ნამდვილი ფიქრი. წახვალ ერთხელაც ასე, გასცდები საკუთარ თავს და ამ დროს, თითქოს ამას ელოდებოდნენო, შემოგიძვრებიან საიდანლაც საგნები თუ მოვლენები, აქამდე დაუნდობლად გაძევებულნი, უაზრო ფიქრუკებით გამოტენილ თავში ვერ დატეულნი, შემოგიძვრებიან და მერე ისე ცოცხლად წარმოგიდგებიან, თითქოს აგერ, წა-მის წინ, შეგევლოს თვალი, თითქოს სულ ახლახან გადაგხდენოდეს თავს ყველაფერი... ზოგიერთს, ამ ქვიშის კოშკევით, ძალიან შორიდან მოსულს, ვერც კი გაიხსენებ, მაგრამ რა უცნაური გრძნობაა, ღმერთო, რომ ის შენია. ისე გეთავისება, ისე გეძვირფასება, რომ მათ გარეშე, თუ აქვე, გვერდით, არ გეგულებიან, კაპიკი ღირდეს იქნებ შენი ცხოვრება, — ფიქრობდა რაინერი.

ყავისფერსახიანი მოგზაური გაახსენდა. თითქოს ახლაც ესმოდა მისი ხმა. შემდეგ თავის აგებულ ქვიშის სასახლეს შეხედა... დაე, ეს კოშკი, თუნდაც ქვიშის, თუნდაც ასე პატარა, ცოტა ხნით მაინც ყოფილიყო ძეგლი, მოსაგონარი იმ პანაზინა მწერუკებისა, მან ასე დაუნდობლად რომ დახოცა. იმ უსახო და უსახელო არსებების მოსაგონარი.

ბავშვს იუტას ხელებში ტკბილად ჩაეძინა.

თარგმნა ლუკა ბაქანიძემ

# აირის

სალიტერატურო  
რეაციისა-ფილოსოფიური და  
საზოგადოებრივი ქართველი

№14 2008-2009

თბილისი  
2009

კავშირი „კულტურულ ურთიერთობათა  
ცენტრი – კავკასიური სახლი“  
თბილისი, გალაკტიონის ქ. №20